საქართველოს სახალხო დამცველი

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

2016

საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს
სახალხო დამცველი

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში

(პრევენციის ეროვნული მექანიზმი)

2016 წელი

www.ombudsman.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი 5

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა 7

2.1. პრევენციული ვიზიტები 7

2.2. კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან 8

2.3. სამუშაო მეთოდოლოგია და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრთა სწავლება 13

3. მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში 16

3.1. ზოგადი მიმოხილვა 16

3.2. პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობა 28

3.3. წესრიგი და უსაფრთხოება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში 38

3.4. პერსონალი – სამუშაო პირობები, სწავლება და ანგარიშვალდებულება 76

3.5. პატიმრობის პირობები 85

3.6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება 118

3.7. კონტაქტი გარე სამყაროსთან 134

3.8. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 148

3.9. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა 156

3.10. განსაკუთრებული კატეგორიები 194

4. მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში 222

4.1. შესავალი 222

4.2. ზოგადი მიმოხილვა 223

4.3. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობა 227

4.4. არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ძირითადი გარანტიები.....251

4.5. პროცედურული გარანტიები.....269

4.6. თანამშრომელთა სამუშაო პირობები და სწავლება.....291

4.7. დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მდგომარეობა.....296

5. დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი.....306

6. შშმ პირთა პანსიონატების მონიტორინგი.....310

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT) შესახებ

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი (შემდგომში ასევე *ფაკულტატური ოქმი)* ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფლება აღკვეთილ/შეზღუდულ პირთა დაცვის გაძლიერებას. ოქმის მიღებით, საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა, რომ თავისუფლება აღკვეთილი პირები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი გაცილებით უფრო მაღალია და რომ ამ რისკთან ბრძოლისას მისაღები ზომები ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს პრევენციულ მიდგომას. ფაკულტატური ოქმი იზიარებს იდეას, რომ დაკავების ადგილებში არასათანადო მოპყრობის ყველაზე ეფექტიანი პრევენცია ასეთ ადგილებში დამოუკიდებელი და რეგულარული ვიზიტების განხორციელების გზითაა შესაძლებელი. ასეთი ვიზიტებით მოწმდება დაკავების ადგილებში მყოფ პირთა მიმართ მოპყრობა და მათი განთავსების პირობები.

ფაკულტატური ოქმი ძალაში 2006 წლის ივნისში შევიდა. ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, ეროვნულ დონეზე შექმნან „პრევენციის ეროვნული მექანიზმი“ (NPM). ეს არის ერთი ან რამდენიმე ორგანოსაგან შემდგარი ინსტიტუცია, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულთა მიმართ მოპყრობას, გასცემს რეკომენდაციებს, შეიმუშავებს პოზიციას დახურული ტიპის დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ პოლიტიკასა თუ პრაქტიკაზე.

იმისათვის რომ მასზე დაკისრებული ფუნქციები ეფექტიანად შეასრულოს, პრევენციის ეროვნული მექანიზმი უნდა:

- იყოს მთავრობისაგან და შესამოწმებელი ინსტიტუტებისაგან სრულიად დამოუკიდებელი;
- იყოს შემოწმებისათვის საჭირო ყველანაირი რესურსით სრულად აღჭურვილი;
- ჰყავდეს შესაბამისი საექსპერტო ცოდნის მქონე პერსონალი, რომელსაც ეფექტიანად შეუძლია დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგი.

პრევენციის ეროვნულ მექანიზმს უფლება აქვს:

- დაუბრკოლებლად შევიდეს დაკავების ყველა ადგილზე (მათ შორის კერძო პირების მფლობელობაში არსებულ ადგილებშიც);
- დაკავებულებთან ან სხვა პირებთან, კონფიდენციალურ გარემოში, ჩაატაროს პირისპირ ინტერვიუ;

- თავად გადაწყვიტოს, დაკავების რომელ ადგილებში ჩაატაროს მონიტორინგი და ვის გაესაუბროს;
- ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა თავისუფლება აღკვეთილი პირებისა და დაკავების ადგილების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ;
- მიიღოს სრული ინფორმაცია დაკავებულების მიმართ მოპყრობისა და მათი საცხოვრებელი გარემოს შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, თანამშრომლობს წამების პრევენციის ქვეკომიტეტთან (SPT), რომელიც ფაკულტატური ოქმით დაფუძნებული სახელშეკრულებო ორგანოა და აღჭურვილია როგორც ოპერაციული (როგორიცაა ოქმის მონაწილე სახელმწიფოებში დაკავების ადგილების მონახულება და დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით რეკომენდციების გაცემა), ასევე საკონსულტაციო ფუნქციებით (როგორიცაა ოქმის მონაწილე სახელმწიფო ორგანოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმების დახმარება, სწავლება ა.შ.). წამების პრევენციის ქვეკომიტეტი აერთიანებს 25 დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ექსპერტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ქვეკომიტეტი აქვეყნებს თავისი საქმიანობის ანგარიშს ყოველწლიურად. ამჟამად ოქმის მონაწილეა 83 სახელმწიფო, რომელთაგან 65-მა უკვე შექმნა პრევენციის ეროვნული მექანიზმი.[1]

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ

2009 წლის 16 ივლისს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველი ასრულებს ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველთან იქმნება სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში , მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.[2]

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;
- სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც ღია კონკურსის წესით კომპლექტდება სხვადასხვა დარგის ექსპერტებისაგან;

1 მონაცემები აღებულია წამების პრევენციის ასოციაციის ოფიციალური ვებ გვერდიდან: http://apt.ch/en/opcat-database/ [ბოლოს ნანახია: 07.06.2017].

2 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ", მუხლი 19[1](1).

- პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს და მისი მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ხელშეწყობა.

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა

2.1. პრევენციული ვიზიტები

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საანგარიშო პერიოდში პენიტენციური დაწესებულებების, პოლიციის სამმართველოების, დროებითი მოთავსების იზოლატორების, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების,[3] შშმ პირთა პანსიონატებისა და მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.[4] ამასთან, 2016 წლის განმავლობაში, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით, პენიტენციურ დაწესებულებებში ხორციელდებოდა პროექტიც, „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“.[5]

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად, ქვეყნის მასშტაბით, 12 პენიტენციურ დაწესებულებაში[6] განახორციელა 35 ვიზიტი,[7] პოლიციის 58 სამმართველოში - 58 ვიზიტი, 27 დროებითი მოთავსების იზოლატორში - 31 ვიზიტი,[8] 11 მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში - 11,[9] 6 შშმ პირთა პანსიონატში - 6 ვიზიტი.[10] გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ევროკავ-

3 მონიტორინგის შედეგები აისახა საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავში - „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა“, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf [ბოლოს ნანახია 28.03.2017].

4 ევროკავშირის პროექტის - „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ - ფარგლებში.

5 პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველი ანგარიშის გამოქვეყნება იგეგმება 2017 წელს.

6 სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ 650 პატიმარს.

7 სხვადასხვა დროს, საჭიროების მიხედვით, მონიტორინგში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის, ბავშვის უფლებათა ცენტრის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტისა და თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები.

8 სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ 60 დაკავებულს.

9 მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრთან ერთად. მონიტორინგის შედეგები შესულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიშში. ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> [ბოლოს ნანახია: 07.06.2017].

10 მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრების მონაწილეობით. მონიტორინგის შედეგები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის ქვეთავში - „შშმ პირთა პანსიონატების მონიტორინგი“.

შირის წევრი ქვეყნებიდან, მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში, 5 ფრენის მონიტორინგიც განახორციელეს.[11]

მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეამოწმეს დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებული ფიზიკური გარემო და ამ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება ამ პირთა მიმართ მოპყრობაზე გამახვილდა.

2.2. კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან

მანდატიდან გამომდინარე საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი დიდ ყურადღებას უთმობს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას. აღსანიშნავია, რომ, როგორც მდგომარეობის შესწავლისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესი, ასევე ამ რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირება და შესრულების მიმდინარეობაზე თვალყურის დევნება შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გარეშე. ამ მიმართულებით, 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა.

2.2.1. დიალოგი სახელისუფლებო ორგანოებთან

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აქტიური კომუნიკაცია და დიალოგი ჰქონდა ხელისუფლების ორგანოებთან. შეხვედრები იმართებოდა როგორც ინდივიდუალურ რეჟიმში, ასევე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან საანგარიშო პერიოდში შედგა არაერთი შეხვედრა, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული კონკრეტული პრობლემების ირგვლივ და სახალხო დამცველის ცალკეული რეკომენდაციების შესრულებისათვის განსახორციელებელ საქმიანობაზე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი ჩართული იყო წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. ასევე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის უწყებათშორისი საბჭოს პენიტენციური რეფორმის სამუშაო ქვეჯგუფში.

2.2.2. დიალოგი დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2016 წელს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორც

11 პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები გაესაუბრნენ საქართველოში დაბრუნებულ 206 საქართველოს მოქალაქეს.

საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სახალხო დამცველი და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები პირადად იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გამართულ სხვადასხვა ფორუმებსა და შეხვედრებში, მათ შორის მნიშვნელოვანია გამოიყოს შემდეგი ღონისძიებები:

- 2016 წლის 17 მარტს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე ჟენევაში, ადამიანის უფლებათა საბჭოს 31–ე სესიაზე, სადაც 2015 წლის ნოემბერში უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების მიღება განიხილებოდა, სიტყვით გამოვიდა. მან ყურადღება გაამახვილა ბრალდების ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს გამოიძიებს.

- 2016 წლის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ნათია კაციტაძემ და ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელმა ლევან მესხორაძემ საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები გამართეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის და ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის და ევროსაბჭოს სხვა წარმომადგენლებთან.

- საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი რეგულარულ შეხვედრებს აწყობდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, რომელზეც სხვა საკითხებს შორის, განიხილებოდა ასევე დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა.

- პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს რეგულარული შეხვედრები და კომუნიკაცია ჰქონდა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2.2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა

თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება პრევენციის ეროვნული მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება ვიზიტის შემდგომი, სპეციალური და წლიური ანგარიშების გამოქვეყნებით, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებით, შეხვედრებითა და მედიის საშუალებით.

- 2016 წლის 26 ივნისს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა წარადგინა საქმიანობის წლიური ანგარიში.

- 2016 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა წარადგინა სამი სპეციალური ანგარიში, რომელიც ეხებოდა (1) შსს-ს დაქვემდებარებულ ორგანოებში არსებულ მდგომარეობას (2) ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას; (3) შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში.

- 2016 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მოამზადა, გამოაქვეყნა და შესაბამის ორგანოებს გაუგზავნა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტის შემდგომი ორი ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

- საანგარიშო პერიოდში საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმი კვლავ აგრძელებდა კვარტალური ბიულეტინების გამოცემას, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული საქმიანობა, ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციების შესრულების დინამიკა, საკანონმდებლო მიმოხილვა, საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დარგის ექსპერტების მოსაზრება, სამომავლო ღონისძიებების ანონსი და სხვა. 2016 წელს სულ გამოქვეყნდა ასეთი სამი ბიულეტინი.

ამჟამად მზადების პროცესშია ხუთი ვიზიტის შემდგომი ანგარიში, ერთი სპეციალური ანგარიში პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანდაცვის უფლების შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი რეგულარულად ავრცელებდა საჯარო განცხადებებს თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში განხორციელებული ვიზიტებისა და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტელე და რადიო გადაცემაში, ასევე გამოქვეყნდა არაერთი ინტერვიუ ბეჭდვით და ინტერნეტ მედიაში.

2.2.4. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელთაგან აღსანიშნავია:

- 2016 წლის 7-11 თებერვალს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მონაწილეობდა საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში გამართულ სასწავლო ვიზიტში, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“.

- 2016 წლის 21-23 ივნისს, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, ომბუდსმენთა საერთაშორისო ინსტიტუტის ორგანიზებითა და წამების პრევენციის ასოციაციასთან თანამშრომლობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე

„ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი“. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები ევროპის 17 ქვეყნიდან. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია და ამავე დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი აკაკი კუხალეიშვილი.

- 28-29 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აკაკი კუხალეიშვილმა და ლევან ბეგიაშვილმა მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გამართულ სამუშაო შეხვედრაში თემაზე – „შესაძლებლობების გაზრდა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორებისათვის“. შეხვედრის მიზანი იყო მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივ ოპერაციებში;

- 2016 წლის 6-7 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ მონაწილეობა მიიღო „წამების პრევენციის ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში, რომელიც მიეძღვნა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს. ნიკა კვარაცხელიამ შეხვედრაზე წარმოადგინა მოხსენება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მკურნალობის, ქიმიური შეზღუდვის და ზედოზირების შესახებ;

- 2016 წლის 13-14 ოქტომბერს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა ეუთოს რეგიონის პრევენციის ეროვნული მექანიზმების ყოველწლიური სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ მიიღო. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა, მიღწეული პოზიტიური შედეგები და არსებული გამოწვევები;

- 2016 წლის 8-9 ნოემბერს, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა სამართლებრივმა ექსპერტმა საბა ფიფიამ მონაწილეობა მიიღო პრევენციის ეროვნული მექანიზმების მე-6 აღმოსავლეთ ევროპული კონფერენციაში, რომელიც გაიმართა ქ. ლვოვში (უკრაინა);

- 2016 წლის 8-10 დეკემბერს, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მკვლევარ ანალიტიკოსმა აკაკი კუხალეიშვილმა ქ. მინსკში (ბელარუსი) მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „მოქალაქე და მილიცია“;

- 2016 წლის 17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ, საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სახელით, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.[12] მოხსენებაში ხაზგასმული იყო 7 წლის განმავლობაში მექანიზმის

12 აღსანიშნავია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე, მსოფლიოს 65 პრევენციის ეროვნული მექანიზმიდან, მომხსენებლებად მხოლოდ 3 ქვეყნის – საქართველოს, ნორვეგიის და ყირგიზეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული.

მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა, მიღწევები და არსებული გამოწვევები. მოხსენება შეიცავდა მკაფიო გზავნილს, წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე. ღონისძიება გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის 10 წლისთავს ეძღვნებოდა და მასზე ორგანიზაციის მიღწევები და არსებული გამოწვევები შეაჯამეს.

2.2.5. ურთიერთობა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან

2016 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან.

საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისთან. ჩატარდა არაერთი შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის საკითხზე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებს რეგულარული კომუნიკაცია ჰქონდათ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - „წამების პრევენციის ასოციაციასთან“ რეკომენდაციების შესრულების კონტროლის სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით პრევენციის ეროვნული მექანიზმი იკვლევდა პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის უფლების რეალიზებას.

საანგარიშო პერიოდში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირთან პროექტ „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა II“-ის ფარგლებში. ევროკავშირი უკვე რამდენიმე წელია, მნიშვნელოვან ფინანსურ და ანალიტიკურ დახმარებას უწევს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს, რაც გამოიხატება ისეთი რეგულარული აქტივობების დაფინანსებაშ, როგორიცაა ტრენინგები, მონიტორინგის ვიზიტები, საჯარო პრეზენტაციები და სხვ.

ამასთანავე, ევროპის საბჭოს პროექტ „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის ჩატარდა არაერთი სასწავლო აქტივობა.

2.2.6. კომუნიკაცია უცხოელ კოლეგებთან

საქართველოს სახალხო დამცველი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა ქვეყნების პრევენციის

ეროვნულ მექანიზმებთან თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას. 2016 წლის 22-24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები სამუშაო/სასწავლო ვიზიტით ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ხორვატიის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის გაცნობა. ვიზიტის ფარგლებში პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები გაეცნენ ხორვატიის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სტრუქტურას, ანგარიშების მომზადების თავისებურებებს, ფოტო გადაღებასთან დაკავშირებით არსებულ პრაქტიკას, მონიტორინგის ინსტრუმენტებსა და რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მეთოდოლოგიას.

2.3. სამუშაო მეთოდოლოგია და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრთა სწავლება

2.3.1. საკონსულტაციო საბჭო

საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა. საბჭო სახალხო დამცველს წარმუდგენს მოსაზრებას შემდეგ საკითხებზე: ა) პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ; ბ) სამუშაო მეთოდოლოგიის შესახებ; გ) თემატური კვლევების შესახებ; დ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების პროფესიული სწავლების შესახებ; ე) პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ. ვ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე. საბჭოს მოსაზრებას აქვს საკონსულტაციო ხასიათი. მისი მოწვეული წევრები ხელს უწყობენ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აკადემიურ წრეებთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დამყარებაში.

საბჭოს წევრთა შემადგენლობაში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების გარდა ასევე შედიან მოწვეული წევრები, რომლებიც შეიძლება იყოს ა) პირი, რომელიც ეწევა საგანმანათლებლო/აკადემიურ საქმიანობას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან დაკავშირებულ სფეროში; ბ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი; გ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი; დ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი.[13]

13 საბჭოს შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meqanizmi/prevenciis-erovnuli-meqanizmis-sakonsultacio-sabcho/prevenciis-erovnuli-meqanizmis-sakonsultacio-sabchos-shesaxeb.page> [ბოლოს ნანახია 07.06.2017]

2016 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს ოთხი სხდომა ჩატარდა. საკონსულტაციო საბჭოს წევრებს მიეწოდა ინფორმაცია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, თავის მხრივ საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები და რეკომენდაციები პრევენციის ეროვნული მექანიზმის უკეთ ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის.

2.3.2. სამუშაო მეთოდოლოგია

2016 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამუშაო მეთოდოლოგიის გადასინჯვასა და გაუმჯობესებას. ამ მიზნით გაიმართა არაერთი ღონისძიება და შეხვედრა, ჩატარდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა გადამზადების სამუშაოები.

2016-2017 წლებში ღია კონკურსის გზით განახლდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემადგენლობა. კონკურსის შედეგად შეირჩა 36 დამოუკიდებელი ექსპერტი სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის: იურისტები, ექიმები, ჯანდაცვის სპეციალისტები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ადიქტოლოგი, ნუტრიციოლოგი და სხვ. [14]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებული შემადგენლობისათვის ჩატარდა ტრენინგი მონიტორინგის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელსაც უძღვებოდა წამების წინააღმდეგ ქვეკომიტეტის წევრი არმან დანელიანი.

2016 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებამოსილება მიენიჭა. აღნიშნული უფლებამოსილების ეფექტიანად შესრულებისათვის, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა მოამზადა ფოტოგადაღების წესი, რომელიც შეიცავს როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებს, ასევე გადაღების ტექნიკურ ინსტრუქციასაც.

2016 წელს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დანერგა რეგიონებში მომუშავე ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანზიაციების წარმომადგენლებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარების პრაქტიკა. აღნიშნული ფოკუს ჯგუფების მიზანია პოლიციის სისტემაში არსებული ვითარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება, რომელიც შემდგომ ანგარიშში გაკეთებულ მიგნებებს დაედება საფუძვლად. 2016 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა სულ ექვსი ასეთი ფოკუს ჯგუფი ჩაატარა.

14 სპეციალური პრევენციული ჯგუფის სრული შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია იხ. შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meqanizmi/specialuri-prevenciuli-djgufi> [bolos nanaxia 07.06.2017].

გარდა ამისა, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების შესახებ სპეციალური ანგარიშის მოსამზადებლად შემუშავდა კვლევის სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში ჯანდაცვის უფლების და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზისა და პრაქტიკის ანალიზს.

2.3.3. თანამშრომელთა სწავლება

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში", ჩაუტარდათ ტრენინგი ანგარიშის წერის ტექნიკაში. ტრენინგის მიზანი იყო ანგარიშგების გაუმჯობესების გზით პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

2016 წლის 15-17 აპრილს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II" ფარგლებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგის მიზანს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება წარმოადგენდა.

2016 წლის 7-8 მაისს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II" ფარგლებში, სხეულის დაზიანების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეთათვის სხეულის დაზიანების დოკუმენტირების საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გაცნობა. ტრენინგს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის წევრი, ექსპერტი ჯორჯე ალემპიევიჩი უძღვებოდა.

2016 წლის 7-9 ივლისსა და 28-30 ოქტომბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ორი ტრენინგი პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების საკითხებზე.

2016 წლის 3-5 ნოემბერს, ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ჩაუტარდათ ტრენინგი „პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგთან დაკავშირებით".

2016 წლის 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ.

3. მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში

3.1. ზოგადი მიმოხილვა

ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, 2015 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოში სულ 10 242 პატიმარი იყო, მათ შორის 54 არასრულწლოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში 100 000 მოსახლეზე 274 პატიმარი მოდიოდა.[15] აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მონაცემები საქართველოს 2014 წლის 1 სექტემბრის მაჩვენებელთან (227 პატიმარი 100 000 მოსახლეზე) შედარებით მაღალია.[16] ევროპის საბჭოს ანგარიშის შესაბამისად, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც ციხეებში პატიმრების რაოდენობა მაღალია.[17]

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა 382-ით არის შემცირებული. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა მაქსიმალურად იყოს მიმართული არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისაკენ. პატიმართა დიდი რაოდენობა, ასევე დიდი პენიტენციური დაწესებულებების არსებობა, პენიტენციურ სისტემაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, პატიმრობის სათანადო პირობებისა და ადეკვატური სერვისების მიწოდების თვალსაზრისით არსებით გამოწვევას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი პირის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახის – შინაპატიმრობის[18] შემოღებასა და ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით, საზოგადოებისაგან იზოლირების გარეშე, არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის აღსრულებას. მისასალმებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც პენიტენციურ სისტემაში ახალი ტიპის გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შექმნას ითვალისწინებს. ამავე პაკეტის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს ენიჭება უფლებამოსილება, მსჯავრდებულის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში და კანონით განსაზღვრული საშეღავათო პერიოდის

15 ევროპის საბჭო, ყოველწლიური სისხლის სამართლის სტატისტიკა, ციხის მოსახლეობის კვლევა, 2015 წელი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://wp.unil.ch/space/files/2017/03/SPACE_I_2015_Report_170314.pdf [ბოლოს ნანახია 20.03.2017].

16 ევროპის საბჭო, ყოველწლიური სისხლის სამართლის სტატისტიკა, ციხის მოსახლეობის კვლევა, 2014 წელი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://wp.unil.ch/space/files/2016/05/SPACE-I-2014-Report_final.1.pdf [ბოლოს ნანახია 20.03.2017].

17 ევროპის საბჭო, პრესრელიზი, DC031(2017), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე, https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p&Ref=DC-PR031%282017%29&Language=lanEnglish&Ver=original&Site=DC&BackColorInternet=F5CA75&BackColorIntranet=F5CA75&BackColorLogged=A9BACE&direct=true [ბოლოს ნანახია 27.03.2017].

18 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 69.

მოხდის შემდეგ, დარჩენილი სასჯელი შეუცვალოს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესია, დაუსჯელობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა. სახელმწიფო ვალდებულია, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით ადეკვატური რეაგირება განახორციელოს. შესაბამისად, 2013, 2014 და 2015 წლის მსგავსად, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოების უზრუნველყოფის მიზნით დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს პატიმრების მიმართ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ იქნა 3 წინადადება. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2016 წლის განმავლობაში განხორცილებული ვიზიტებისას ერთეულ შემთხვევებში მიიღეს ინფორმაცია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული წამების განმარტება არ შეესაბამება გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციაში მოცემულ განმარტებას, ასევე, საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე არ არის უზრუნველყოფილი წამების მსხვერპლთა სამართლებრივი დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემურია პენიტენციურ დაწესებულებებში ექიმსა და პატიმარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი. უმეტეს დაწესებულებაში, პატიმრების შესახლებისას, პატიმართა სამედიცინო შემოწმებას დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები ესწრებიან.

სახალხო დამცველი მიესალმება პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების ახალი წესის მიღებას, მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანების აღრიცხვის ახალი წესი არ მოქმედებდა, ხოლო არსებული პრაქტიკით დაზიანებების აღწერა ისევე როგორც წინა წლებში, ხარვეზებით მიმდინარეობდა და ვერ უზრუნველყოფდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიან გამოვლენას და დოკუმენტირებას.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს კვლავ პრობლემად რჩება ექიმის დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ეჭვქვეშ აყენებს პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, ექიმის მიერ დაზიანებების დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების დროს, მის მიუკერძოებლობას. ამავე დროს უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ექიმის მიერ საქართველოს მთავარ პროკუ-

რატურაში შეტყობინების გაგზავნის ვალდებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველი თვლის, რომ მიუხედავად პატიმრის თანხმობის აუცილებლობისა, საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ექიმმა, პატიმრის ინტერესებისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ რისკის შეფასების პროცესში არ არის უზრუნველყოფილი მსჯავრდებულის სათანადო ჩართულობა. 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ მსჯავრდებულს უფლება ჰქონოდა, მულტიდისციპლინური გუნდისთვის, მისი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, წარედგინა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა მითითებული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

მისასალმებელია, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს შემცირებულია პატიმრების დეესკალაციის ოთახში მოთავსების ხანგრძლივობა, თუმცა დაფიქსირდა ერთეული შემთხვევები, როდესაც პატიმრები აღნიშნულ ოთახებში მოთავსებული იყვნენ 20-დან 36-დღემდე ხანგრძლივობით. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად 72 საათი განისაზღვრა. მიუხედავად ამისა, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი.

დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო და პირობები არ არის უსაფრთხო და არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. აღნიშნულ ოთახებში მეთვალყურეობის სისტემები ისეა დამონტაჟებული, რომ ტუალეტის ნიჟარა მოქცეულია ვიდეოკამერების ხედვის არეალში. დეესკალაციის ოთახებში მყოფ პატიმრებს არ ეძლევათ მაღაზიით, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლება. დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და არ ხდება ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა და ჩარევა, ზემოხსენებული რისკების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრებს აქვთ განცდა, რომ დეესკალაციის ოთახი მათ დასასჯელად გამოიყენება.

სახალხო დამცველი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად 120 საათის (5 დღე-ღამე) განსაზღვრას. მიუხედავად ამისა, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია მითითებული ჩანაწერები ინახებოდეს არანაკლებ 10 დღის ვადით, ხოლო დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ჩანაწერები – 1 თვის ვადით. ამასთან, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნას ასეთ ჩანაწერებზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაუბრკოლებელი წვდომა.

ისევე როგორც 2015 წელს, 2016 წლის განმავლობაშიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმების შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა პატიმრობის კოდექსში და ზემოაღნიშნულ წესში შესულიყო ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და დაუშვებელია რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი; თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს ქმნის დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, რომელიც ხშირად ხდება პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პოლიტიკას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, რეაბილიტაციას და შესაბამისად, საზოგადოებაში რეინტეგრაციას. პრობლემად რჩება ის გარემოება, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის დაწესებული შეზღუდვები არ არის დასაბუთებული და არ ეფუძნება პატიმრის რისკის ინდივიდუალურ შეფასებას. მაგალითად, არსებული რეგულაციებით, დირექტორს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, პატიმარი ხანგრძლივი დროით მოათავსოს სხვა პატიმრებისგან განცალკევებით. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებებით არ არის განსაზღვრული პატიმრების იზოლირების მაქსიმალური ვადა და მეთვალყურეობა პატიმრის შემოსახლების ყველა შემთხვევაში წესდება. დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს არ ეძლევათ საშუალება, დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით. ამავე დროს, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პატიმრებისათვის კანონმდებლობით დადგენილია უფრო ნაკლები რაოდენობის პაემანისა და სატელეფონო საუბრის განხორციელების შესაძლებლობა, ვიდრე სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში.

2016 წლის განმავლობაშიც პენიტენციურ დაწესებულებებში სისტემურ ხასიათს ატარებდა პატიმრების განმარტოებით საკანში მოთავსება კანონით განსაზღვრული პროცედურის დაცვის გარეშე. 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, პატიმრების განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვა მოხდეს სავალდებულო წესით, ამ ღონისძიების

გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით, თუმცა მითითებული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 ქალთა დაწესებულებაში სკანერის აპარატების დამონტაჟებასა და დაწესებულების დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას, რომლის შესაბამისად, ბრალდებულ/მსჯავრდებულს უფლება აქვს პირადი სრული შემოწმება სკანერის გამოყენებით გაიაროს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული დანაწესი, რომლის მიხედვითაც ბრალდებული/მსჯავრდებულის სრული შემოწმება უნდა განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირველად შემოსახლების, დაწესებულების დროებით დატოვებისა და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის ნორმას, რომელიც სრული შემოწმების რუტინულად და დაუსაბუთებლად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ასევე, სრული შემოწმების გარდა, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული სრული შემოწმება და შინაგანი შემოწმება და არ არის დადგენილი თითოეულის გამოყენების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები. პრობლემურია დაწესებულებაში მყოფ პატიმრებთან ხანგრძლივ და ხანმოკლე პაემანზე შესულ პირთა შემოწმება, რომლის დროსაც სავალდებულოა მათი სხეულის ნაწილობრივი გაშიშვლება, აღნიშნული ეწინააღმდეგება მოქმედ ნორმატიულ ბაზას.

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში კვლავ გამოწვევად რჩება ის გარემოება, რომ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, განათება და გათბობა, ასევე არ არის დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები. პრობლემურია პატიმრის სეზონის შესაფერისი ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგება, სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით სარგებლობა და სასეირნო ეზოების მოწყობა.

N14 და N17 დაწესებულებებში, ბარაკის ტიპის საცხოვრებლებში არ არის უზრუნველყოფილი პრივატული გარემო, მწეველი და არამწეველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობენ, რთულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი; გარდა ამისა, ასეთი ტიპის საცხოვრებელი უსაფრთოხების დაცვის თვალსაზრისითაც დამატებით, მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის.

2016 წელს კვლავ პრობლემად რჩება ყველა მსჯავრდებულის 4 m^2 საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ამასთან, N2 და N8 დაწესებულებებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები რიგ შემთხვევებში ერთად არიან განთავსებული, რაც პატიმრობის კოდექსით დადგენილი მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენს.

2016 წელს, წინა წელთან შედარებით, პატიმართა მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევათა რაოდენობა 16%-ით გაიზარდა. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში დისციპლინური სახდელები ნაკლებად გამოიყენებოდა, დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი საგანგაშოდ გაიზარდა N3 დაწესებულებაში (2015 წელს 1 პატიმარზე 2 დისციპლინური სახდელი მოდიოდა, ხოლო 2016 წელს – 9), N6 დაწესებულებაში (2015 წელს დისციპლინური სახდელი ყოველ მეორე პატიმარზე მოდიოდა, ხოლო 2016 წელს – 1 პატიმარზე 2 დისციპლინური სახდელი) და N2 დაწესებულებაში (გაიზარდა 2,5-ჯერ). გარდა ამისა, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს N2 დაწესებულებაში 40,4%-ით გაიზარდა სამარტოო საკნებში პატიმართა მოთავსების შემთხვევები, რაც საყურადღებოა. აქვე სამართლიანობა მოითხოვს, დადებითად აღინიშნოს, რომ მთლიანობაში, პენიტენციურ სისტემაში სამარტოო საკნებში მოთავსების შემთხვევები 23%-ით შემცირდა, თუმცა სახალხო დამცველი ამავდროულად შეშფოთებულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში, ზოგიერთ დაწესებულებაში კვლავ დაფიქსირდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევები.

2016 წლის განმავლობაში N3 და N6 დაწესებულებებში გამოკითხულ პატიმართა განცხადებით, ფიქსირდებოდა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მათი პროვოცირება დისციპლინური სახდელების დაკისრების ან დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიზნით. პატიმრებს აქვთ განცდა, რომ დეესკალაციის საკნებში მათი გადაყვანა ხდება დასჯის მიზნით, მათ მიერ დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში და არა უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებიდან გამომდინარე. N3 და N6 დაწესებულებებში დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში, დეესკალაციის ყოფნის პერიოდში პატიმარს დისციპლინური სახდელი დაეკისრა.

როგორც წესი, პრაქტიკაში დისციპლინური სამართალწარმოება ზეპირი მოსმენის გარეშე იმართება, ხოლო განკარგულება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გამყარებულია მხოლოდ დაწესებულების თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებითა და პატაკებით. პატიმრები დისციპლინურ სამართალწარმოებაში პრაქტიკულად არ მონაწილეობენ, რაც დისციპლინური სახდელის უკანონოდ დაკისრების მაღალ რისკს წარმოშობს.

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ N7 დაწესებულებაში სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას, რომელიც შეეხებოდა 2015 წლის განმავლობაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოვლენილ მსჯავრდებულის ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვის შემთხვევებს. შემოწმების შედეგად N7 დაწესებულების დირექტორს და იურისტს დისციპლინური სახდელი დაეკისრა. დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2016 წელს, N7 დაწესებულებაში პატიმრის ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ გენერალური ინსპექცია, სისტემური მონიტორინგის ფარგლებში, გააგრძელებს დაწესებულებებში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკის შესწავლას, რათა თავიდან იქნას აცილებული დისციპლინური სახდელების უკანონო ან/და არაპროპორციული გამოყენება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის ანგარიშის თანახმად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის დაინერგა და მოქმედებს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი. 2015 წელს ეს მიდგომა დაინერგა N5 და N16 დაწესებულებებში, ხოლო 2016 წელს, როგორც საპილოტე პროგრამა, განხორციელდა N6, N12 და N17 დაწესებულებებში. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი 2017 წლის 31 დეკემბრამდე ყველა დაწესებულებას მოიცავს, რაც მისასალმებელია.

2016 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა და ამ ეტაპზეც ტარდება სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიება. პატიმართა გარკვეულ ნაწილს საშუალება მიეცა, მონაწილეობა მიეღო კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, დაუფლებოდა ზოგად/პროფესიულ განათლებას და შეესწავლა სხვადასხვა ხელობა. ამ კუთხით ყველაზე კარგი მაგალითია N5 დაწესებულება. მიუხედავად რეაბილიტაციის კომპონენტის გაძლიერების მცდელობისა, ამ კუთხით კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს. პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობაში, განსაკუთრებით დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირეა, ასევე არსებულ აქტივობებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია. უცხოელ პატიმრებს ენის ბარიერის გამო უჭირთ კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან, მათ შორის სოციალურ მუშაკებთან, რის გამოც ფაქტობრივად ვერ ახერხებენ სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვას.

პენიტენციური დაწესებულებების სოციალურ განყოფილებებში პერსონალის რაოდენობა კვლავ არასაკმარისია. მაგალითად, N2 დაწესებულებაში – 1218 და N17 დაწესებულებაში 1922 პატიმართან მხოლოდ 2 ფსიქოლოგს უწევდა მუშაობა; N14 დაწესებულებაში – 1152 და N15 დაწესებულებაში 1706 მსჯავრდებულთან მხოლოდ 1 ფსიქოლოგი მუშაობდა.

პატიმართა ქცევის პოზიტიური მართვის კონტექსტში, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებლის ზრდის ფონზე, 2016 წელს 37,2 %-ით შემცირდა პატიმართა წახალისების შემთხვევები. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ წახალისების ფორმების გამოყენებით ქცევის პოზიტიური მართვა უმნიშვნელოვანესია კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირების, ანტისოციალური ქცევის კორექციის, რეაბილიტაციის და საბოლოოდ, რესოციალიზაციის თვალსაზრისით.

დაწესებულებებში დასაქმების კუთხით უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა 28.1%-ით შემცირდა. სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც 2015, ასევე 2016 წელსაც, სურვილის მიუხედავად, კვლავ უწევდათ შაბათ-კვირას, სადღესასწაულო დღეებში და საჭიროების შემთხვევებში ღამის საათებში მუშაობა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ პატიმრობის, დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს არ მიეცათ საშუალება, დაკავებულიყვნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტ-

ერესო აქტივობით. ისინი 23 საათს კვლავ საკანში ატარებენ. N6 და N8 დაწესებულებებში მყოფი პატიმრების გადმოცემით, ისინი ხშირად უარს აცხადებენ გასეირნებაზე, რადგან სასეირნოდ გასვლას დილის 7 ან 8 საათზე სთავაზობენ. N8 დაწესებულებაში სასეირნო ეზოების და პატიმართა რაოდენობის, ასევე სასეირნოდ გაყვანის დამკვიდრებული პროცედურის გათვალისწინებით, დღის განრიგით განსაზღვრულ 3 საათში, შეუძლებელია ყველა პატიმრის გაყვანა სასეირნოდ. N18 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გადმოცემით, ისინი სასეირნო ეზოებში კვირაში ორჯერ გაჰყავთ, ისიც მხოლოდ 15 წუთით. ასეთ პირობებში ყოფნა შეიძლება უარყოფითად აისახოს პატიმართა ჯანმრთელობაზე.

დადებითად უნდა აღინიშნოს პენიტენციური ჯანდაცვის ორგანიზების კუთხით გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ, სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების, ასევე სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად დაზიანებების აღრიცხვის წესის დამტკიცება. გარდა ამისა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის მართვის სისტემის ნორმატიულ დონეზე განსაზღვრა.

სამედიცინო პერსონალის რაოდენობა 2016 წელს არ შეცვლილა, შესაბამისად, კვლავ პრობლემას წარმოადგენდა ექიმების/ექთნების ხელმისაწვდომობა. ასევე პრობლემური იყო N18 დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის, სანიტრების ხელმისაწვდომობის საკითხიც. პატიმართა კონსულტაციის საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ რიგ დაწესებულებებში ექიმ კონსულტანტთა ვიზიტების რეგულარობა და სიხშირე საკმარისი არ არის. ამასთან, ექიმ-სპეციალისტების ვიზიტებთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება წლის დასაწყისში, სანამ სამედიცინო დეპარტამენტსა და ექიმ-სპეციალისტებს შორის ხელშეკრულებები გაფორმდება.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას სამედიცინო დეპარტამენტი შემთხვევას დროულად ადასტურებს. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში გვიანდება სამედიცინო მომსახურების მისაღებად პატიმრის სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პატიმარი 2014 ან 2015 წლიდან ელოდა სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას.

მისასალმებელია სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სტანდარტების პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში იმპლემენტაციის თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, დამტკიცდა სამედიცინო მომსახურების სტანდარტები, ასევე განისაზღვრა პენიტენციურ სისტემაში სტატისტიკური წარმოების წესები, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების და წარდგენის ვადები. აქვე უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ნაბიჯები არ გადადგმულა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის პენიტენციური ჯანდაცვის მართვის გადასაცემად განსახორციელებელი, დროში გაწერილი აქტივობების გეგმის შედგენის კუთხით.

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა პენიტენციური ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. კვლავ პრობლემად რჩება სათანადო

ფსიქიატრიული მომსახურების მიღება. ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა გამოვლენის და მათთვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებისთვის, ფსიქიატრის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან მისი თანამშრომლობის გაღრმავება.

დადებითად უნდა აღინიშნოს სუიციდის პრევენციის პროგრამის პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში ამოქმედება, თუმცა მნიშვნელოვანია, შეფასდეს სუიციდის პრევენციის პროგრამის მუშაობის ეფექტიანობა, რათა გამოვლინდეს პროგრამის ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები შევიდეს.

2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრების უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა შეთავაზებული საკვების რაოდენობაზე, ხარისხსა და გემოზე. პენიტენციური დაწესებულებების მაღაზიებს ბეჭდური სახით არ აქვთ იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომელსაც მიაწვდიან პატიმრებს, მათთვის სასურველი პროდუქტების შერჩევის გასაადვილებლად. გარდა ამისა, პენიტენციური დაწესებულების მაღაზიაში დადგენილი ფასები დაწესებულების გარეთ არსებული მაღაზიის ფასებთან შედარებით 10-20%-ით მაღალია. პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამანათით დაშვებულია ერთჯერადად მხოლოდ 5 კილოგრამი ხილის მიღება, რაც არასაკმარისია.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ძირითადად განთავსებული არიან N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, ხოლო ბრალდებული არასრულწლოვანები – N2 და N8 დაწესებულებებში. რიგ შემთხვევებში, უსაფრთხოების მიზნით, სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან არასრულწლოვანი N2 ან N8 დაწესებულებაში გადაყავთ. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვნებმა სასჯელი უნდა მოიხადონ სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და ისინი არ უნდა გადაიყვანონ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განუსაზღვრელი ვადითა და დასაბუთების გარეშე, რადგან აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს რეაბილიტაციის პროცესს და ეწინააღმდეგება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საუკეთესო ინტერესებს.

ქალი პატიმრები, N5 პენიტენციური დაწესებულების გარდა, N2 დაწესებულებაშიც არიან მოთავსებული. სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადებულ პატიმრობის კოდექსსა და თანმდევ ნორმატიულ აქტებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში (შაბათ-კვირა)დედის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებას ითვალისწინებს.

N5 პენიტენციური დაწესებულების გარდა, ქალი პატიმრები, ასევე, იმყოფებიან N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არ არის ქალთა საჭიროებებზე მორგებული, იგივე პირობები და სერვისები, რაც ხელმისაწვდომია N5 დაწესებულებაში.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს N5 დაწესებულებაში ქალ მსჯავრდებულთა ტრანსპორტირების საკითხის გაუმჯობესებასა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მიუხედავად ამისა, პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საპატიმრო განყოფილებაში არსებული საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკნები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, საპირფარეშოებში არ მოდის ცხელი წყალი და პატიმრებს ტანსაცმლის გარეცხვა უწევთ ხელით, პირდაპირ ონკანის ქვეშ, ცივ წყალში.

აღსანიშნავია, რომ N6 და N8 პენიტენციური დაწესებულებებისაგან განსხვავებით, N7 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები ვერ სარგებლობდნენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებებში, სადაც უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირები არიან მოთავსებული, 2016 წლის განმავლობაში არ ხორციელდებოდა მრავალფეროვანი და სისტემატური ხასიათის სარეაბილიტაციო აქტივობები. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილია ნაკლები რაოდენობის პაემნის და სატელეფონო საუბრის განხორციელების შესაძლებლობა.

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში იმყოფებოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 35 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. სახალხო დამცველი მიესალმება უცხოელი პატიმრებისათვის უფლებების შესახებ ბროშურის სხვადასხვა ენაზე დაბეჭდვას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ბროშურა, მცირე რაოდენობის გამო, არ არის ხელმისაწვდომი ყველა უცხოენოვანი პატიმრისათვის. უცხოელი პატიმრებისათვის, ენობრივი ბარიერის გამო, პრობლემას წარმოადგენს კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან, მათ შორის, სამედიცინო პერსონალთან. უცხოელ პატიმრებს, სხვა პატიმრების მსგავსად, არ მიუწვდებათ ხელი დაწესებულებებში არსებულ აქტივობებზე. უცხოელი პატიმრების განცხადებით, საერთაშორისო ზარების განხორციელების სიძვირიდან გამომდინარე, ისინი ხშირად ვერ ესაუბრებიან ოჯახის წევრებს. ასევე, უცხოელი პატიმრების შეფასებით, ძვირი ღირს წერილის გაგზავნა და ამანათების მიღება. დაწესებულებებში საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებები, რის გამოც ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ, ბრალდებულების მიერ ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის და სატელეფონო ზარების უფლების განსახორციელებლად აღარ არის საჭირო გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვის მიღება.[19] მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს რიგი პრობლემები ბრალდებულების პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულებისთვის არ არის გათვალისწინებული სარეაბილიტაციო აქტივობები. ისინი 23 საათს საკანში ატარებენ ისე, რომ არ აქვთ შესაძლებლობა, დაკავდნენ რაიმე

19 2016 წლის 1 იანვრამდე, ბრალდებულს ხანმოკლე პაემნით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვით, ხოლო მიმოწერისა და სატელეფონო ზარების განხორციელება გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვის საფუძველზე.

ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით. ამასთან, N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში, რიგ შემთხვევებში, ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად იყვნენ მოთავსებული საკანში, რაც პატიმრობის კოდექსის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენს და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით გაუმართლებელია. გარდა ამისა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, თითოეული ბრალდებული უზრუნველყოფილი იყოს არანაკლებ 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით, რაზეც 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, თუმცა ეს წინადადება არ შესრულებულა.[20] ანალოგიურად, არ არის შესრულებული სახალხო დამცველის წინადადება ბრალდებულისათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე.

2016 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ასევე ხანმოკლე პაემნის მინით გადატიხრულ ოთახებში ჩატარება, რა დროსაც პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მხოლოდ 5 პენიტენციურ დაწესებულებაშია.

დადებითად უნდა აღნიშნოს, რომ 2016 წელს N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ხანგრძლივი პაემნით იმ დაწესებულებებში, სადაც მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებსა[21] და სამკურნალო დაწესებულებებში[22] ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს. აღნიშნული წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის პირდაპირ შეზღუდვას, რომელიც არ იძლევა ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინების შესაძლებლობას. დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ინიციატივა, რომლის თანახმადაც საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულს საშუალება ექნება ისარგებლოს წლის განმავლობაში ორი ხანგრძლივი პაემნით. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ეს ინიციატივა მალე აისახება პატიმრობის კოდექსში, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

დახურული ტიპის დაწესებულებებში ტელეფონის აპარატები ისეა განთავსებული, რომ შეუძლებელია სატელეფონო ზარის კონფიდენციალურ გარემოში განხორციელება. ამასთან, კვლავ პრობლემას წარმოადგენს დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პატიმრების მიერ სახალხო დამცველთან კორესპონდენციის გაგზავნა და სატელეფონო ზარების განხორციელება. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგის ვიზიტების დროს N5, N8 და N11 დაწესებულებებიდან რამდენჯერმე სცადეს სახალხო დამცველის აპარატის

20 პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მ.-ზე ნაკლები.

21 პენიტენციური დეპარტამენტის N7, N8, N9 დაწესებულებები.

22 N18 და N19 დაწესებულებები.

ცხელ ხაზზე (1481) დარეკვა, თუმცა უშედეგოდ. აქვე აღსანიშნავია, რომ პატიმრებს საშუალება არ აქვთ სახალხო დამცველის აპარატის და ინსპექტირების სხვა ორგანოების ცხელ ხაზზე დარეკონ ღამის საათებში.

სახალხო დამცველი მიესალმება პატიმართა უფლებების, ასევე მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ პატიმართა ინფორმირების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. კერძოდ, დადებითად უნდა შეფასდეს რამდენიმე დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება და ტრენინგების ჩატარება. მიუხედავად ამისა, დაწესებულებებში პატიმართა სათანადო ინფორმირება კვლავ გამოწვევად რჩება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, გასაძლიერებელია სოციალური სამსახურების როლი პატიმართა მხრიდან მოთხოვნა/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით. პატიმრებისათვის საკნებში კვლავ არ არის ხელმისაწვდომი საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე ინფორმაცია პატიმრის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. დახურულ დაწესებულებებში პრობლემურია ღია წერილის გაგზავნის დამადასტურებელი რეგისტრაციის ნომრის მიღება და საჩივრის გაგზავნა კონფიდენციალურობის დაცვით.

სახალხო დამცველი მიესალმება, 2015 წელთან შედარებით, გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის რაოდენობის გაზრდას. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარება უფრო ეფექტიანია, რადგანაც მისი მოულოდნელობის ეფექტიდან გამომდინარე, იძლევა უფრო მეტი პრობლემური საკითხების გამოვლენის შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში შეინარჩუნონ კვალიფიციური კადრები. ამისათვის აუცილებელია, რომ დაწესებულების პერსონალის ანაზღაურება და სამუშაო პირობები ხელსაყრელი იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას რთული და შრომატევადი სამუშაოს კომპენსირება. პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი სამედიცინო დაზღვევით. დაწესებულებებში მომუშავე მორიგე ექიმებისა და ექთნების, სანიტრების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების სამუშაო პირობები რთულია. დაწესებულებების პერსონალისათვის არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულებამდე ტრანსპორტირება და კვება. ასევე, თანამშრომლებთან არ მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული გადაწვის თავიდან ასაცილებლად.

სახალხო დამცველი მიესალმება პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებისათვის სავალდებულო გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელებას. მიუხედავად ამისა, პროგრამების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროგრამების მეთოდოლოგია ზოგადი ხასიათისაა და შემდგომ დახვეწას საჭიროებს.

3.2. პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობა

წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური რეაგირება მოხდეს, რათა წამების ჩამდენ პირებს არ გაუჩნდეთ დაუსჯელობის განცდა.

სახალხო დამცველმა 2013, 2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებში წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს – სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მხრიდან, ასევე პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე ეფექტური გამოძიების წარმოების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ამ დროისათვის შესრულებული არ არის. შესაბამისად, უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმის შესახებ, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის, ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა არსებობს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის თანახმად, არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოქცევას ან სასჯელს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის, ადამიანის პიროვნებისათვის, დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“[23]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლებრივ მდგომარეობას შესაბამის დაწესებულებაში. სახელმწიფოს მხრიდან ყველა სათანადო ზომა უნდა იყოს მიღებული, რათა ადამიანს იმაზე მეტი ტანჯვა არ მიადგეს, რაც ისედაც თან ახლავს სასჯელს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი იწვევს

23 General Comment No 29, States of emergency (Article 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31. August 2001, para. 13(a).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცული სფეროს დარღვევას.[24]

კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად უსვამს ხაზს, რომ მე-3 მუხლი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დარწმუნდეს, რომ თითოეული პირი დაპატიმრებულია იმ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ღირსების პატივისცემას, რომ სასჯელის აღსრულების ღონისძიების პირობები მას არ აგდებს სასოწარკვეთილებაში, რომელიც აჭარბებს პატიმრობისათვის დამახასიათებელ ტანჯვის ხარისხს და, დაპატიმრების პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.[25]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების დაცვა წამების, არასათანადო და დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელისგან, ისევე როგორც მათი სიცოცხლის უფლების დაცვა. პატიმრები იმყოფებიან სახელმწიფოს ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უჩნდებათ ვალდებულება პატიმრის ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული რეალური და მომენტალური რისკების პრევენციის მიზნით მიმართონ ყველა გონივრულ ზომას, თუ მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ ასეთი რისკის არსებობის შესახებ.[26] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის და სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს აკისრია არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება (არ დაარღვიოს პირის უფლება), არამედ პოზიტიური ვალდებულებაც (დაიცვას პირის უფლება).

წამების პრევენცია არის გლობალური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს არსებითად შეამციროს რისკები და შექმნას ისეთი გარემო, სადაც წამება და არასათანადო მოპყრობა ნაკლებად მოსალოდნელია. სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება – დაიცვას პირები წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან, თავისთავად გულისხმობს სწორედ ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანების არასათანადო მოპყრობისგან დაცვას. აღნიშნული პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა საერთაშორისო სტანდარტების სახით მოცემულია როგორც ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისა და გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის არაერთ ანგარიშში. შესაბამისად, სახელმწიფოში, პრაქტიკულ

24 კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (KUDLA v. POLAND) (no. 30210/96), ასევე ვალაშინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania), no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII.

25 დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ (CASE OF DAVTYAN v. GEORGIA) (no 73241/01).

26 იხილეთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები: პანტეა რუმინეთის წინააღმდეგ, (Pantea v. Romania no. 33343/96, §190, ECHR 2003-VI და პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ, (Premininy v. Russia) no. 44973/04, §84, 10 February 2011.

და საკანონმდებლო დონეზე, უნდა არსებობდეს იმგვარი სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უპირობო დაცვას არასათანადო მოპყრობისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში არ არის გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როდესაც წამება ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირის ან სხვა ოფიციალური პირის მდუმარე თანხმობით. შესაბამისად, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რომ წამების წინააღმდეგ კონვენციაში არსებული განმარტების ზუსტი ასახვისათვის,[27] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში შესულიყო ცვლილება და განსაზღვრულიყო, რომ წამება შესაძლებელია ჩადენილი იყოს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მდუმარე თანხმობით.[28] აღსანიშნავია, რომ მითითებული წინადადება არ შესრულებულა.

როგორც 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მსხვერპლის სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ წამების წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ ამოცანას წარმოადგენდა მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებული კანონმდებლობის ანალიზი და შემდგომი გაუმჯობესება.[29]

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, იურიდიული დახმარებით სარგებლობა, როგორც წესი, შეუძლიათ მხოლოდ გადახდისუუნარო პირებს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში წამების მსხვერპლთათვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს კანონში „იურიდიული დახმარების შესახებ“ შესულიყო ცვლილება და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი

27 ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ამ მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია.

28 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 28.

29 ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, გვ 21, ხელმისაწვდომია: http://police.ge/files/MONITORING/Documents/Action%20Plan%2015-16.pdf

ყოფილიყო სახელმწიფოს ხარჯზე სათანადო სამართლებრივი დახმარებით,[30] თუმცა მითითებული წინადადება შესრულებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში არცერთი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მიმართ არ დამდგარა გამამტყუნებელი განაჩენი არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

2015 წელს სახალხო დამცველის მიერ მომზადდა 4 წინადადება, რომელიც შეეხებოდა პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ სავარაუდო ძალადობის ფაქტებს.[31] 2016 წელს კი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე 3 წინადადება გაიგზავნა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2016 წლის განმავლობაში განხორცილებული ვიზიტებისას ერთეულ შემთხვევებში მიიღეს ინფორმაცია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. კერძოდ, პატიმართა განცხადებით, აღნიშნული გამოიხატებოდა დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან ფსიქიკურ ზეწოლასა (მუქარაში და დაშინებაში) და ფიზიკურ ძალადობაში. პატიმართა გადმოცემით, რიგ შემთხვევებში დაწესებულების თანამშრომლები მათ სრულიად უმიზეზოდ მიმართავენ უხეშად, ხმამაღლა და ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ ზოგიერთ დანესებულებაში, ცალკეულ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა პატიმრების შორის ძალადობის ფაქტებს. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს საგამოძიებო ორგანოებისათვის არ მიუმართავს, რადგანაც პატიმრებმა სამართლებრივ რეაგირებაზე უარი განაცხადეს.

დახურულ დაწესებულებაში პირის შესახლებისას მისი სამედიცინო შემოწმება კონფიდენციალურად უნდა მოხდეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ პირი გამოიკითხოს მხოლოდ ექიმის მიერ, დაწესებულების თანამშრომლების დასწრების გარეშე.[32]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, შეემუშავებინა მკაფიო ინსტრუქცია ექიმსა და პატიმარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და უზრუნველეყო პრაქტიკულად მისი განხორციელება. აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. გარდა ამისა, როგორც 2015 და 2016 წლებში ჩატარებული შემოწმებების შედეგად დგინდება, პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობაში პატიმრების შესახლებისას, მათ სამედიცინო შემოწმებას ესწრებიან დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები და, რიგ შემთხვევებში, პენიტენციურ დაწესებულებებში მიღებული დაზიანების აღრიცხვის

30 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 28.

31 საქართველოს სახალხო დამცველის ანაგრიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 386, 2015 წელი.

32 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 75.

დროსაც, პატიმრისა და ექიმის შეხვედრას ესწრება ადმინისტრაციის წარმომადგენელი. შესაბამისად, მითითებულ დაწესებულებებში, პატიმარსა და ექიმს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილი არ არის.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პატიმარსა და ექიმს შორის ნდობის არსებობას, რათა მოხდეს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დოკუმენტირება, რაც მათ შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია.

2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება არ განსხვავდება 2015 წელს არსებული პრაქტიკისგან. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში შესახლებისას პატიმარს დაუყოვნებლივ ხვდება ექიმი და, მათი არსებობის შემთხვევაში, ხდება პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება. დაზიანების აღმოჩენის შემდეგ, პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ დოკუმენტაცია ივსება საერთო წესით და ინახება პატიმრის სამედიცინო ისტორიაში. გარდა ამისა, გასული წლების მსგავსად 2016 წელსაც დაწესებულებებში წარმოებდა „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი“, რომელშიც სამედიცინო პერსონალი პატიმრის სხეულზე აღმოჩენილ დაზიანებებს აღრიცხავდა. დაზიანების მოკლე აღწერა და წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია შედიოდა გრაფებში – „თვითდაზიანება“, „საყოფაცხოვრებო ტრავმა“, „სხვა პირის მიერ“. ექიმი არ ახდენდა დაზიანების ხასიათისა და მისი წარმომავლობის შესახებ პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობის შეფასებას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[33] პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების სხეულის დაზიანებათა რაოდენობის შესახებ 2015 და 2016 წლების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა სხეულის დაზიანებათა რაოდენობა										
დაწესებულება	თვითდაზიანება		სხვა პირის მიერ		საყოფაცხოვრებო		დაუზუსტებელი		სულ	
	2015	2016	2015	2016	2015	2016	2015	2016	2015	2016
N2	533	624	100	129	236	246	7	6	876	1005
N3	0	180	0	9	16	23	3	0	19	212
N5	21	19	0	7	202	275	0	0	223	301
N6	353	387	0	3	27	68	0	246	380	701
N7	110	9	0	0	5	4	2	1	117	14
N8	771	482	79	36	396	215	54	0	1300	733
N9	0	0	0	0	6	9	0	0	6	9
N11	1	2	3	0	40	22	0	0	44	24

33 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 10 მარტის MOC 71600192429 წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3159/16).

N12	2	2	1	1	9	5	0	2	12	10
N14	2	10	6	0	105	181	0	0	113	191
N15	42	6	2	0	214	162	0	4	258	172
N16	0	0	0	0	15	24	0	0	15	24
N17	56	15	3	4	168	216	3	2	230	237
N18	172	128	0	0	30	0	0	28	202	156
N19	57	28	4	0	21	32	15	4	97	64
ჯამი	2120	1892	198	189	1490	1482	84	293	3892	3853

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში დაფიქსირებული სხეულის დაზიანების ფაქტების საერთო რაოდენობა არსებითად არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ N8 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში შემცირებულია პატიმრების სხეულის დაზიანების შემთხვევები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა საგულისხმოა, რომ N2 დაწესებულებაში დაზიანებების რაოდენობა გაზრდილია, მათ შორის, სხვა პირის მიერ მიყენებული დაზიანებების რაოდენობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, 2016 წელს, 246 შემთხვევაში ვერ მოხერხდა დაზიანების წარმომავლობის დადგენა, 2015 წელს ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაშიც (28 შემთხვევა).

ისევე, როგორც გასულ წლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში, პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება პრობლემას წარმოადგენდა 2016 წელსაც. საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტს, „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად შემუშავებულიყო და დანერგილიყო დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდებოდა სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი“.[34] აღნიშნული წესის თანახმად, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი პაციენტს შეამჩნევს რაიმე სახის ფიზიკურ დაზიანებას, ემოციური მდგომარეობის ცვლილებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღუძრავს ეჭვს პაციენტის მიმართ შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, სამედიცინო პერსონალმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა ზემოაღნიშნულის თაობაზე პაციენტისგან ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამავე ბრძანებით დამტკიცდა დაზიანების აღრიცხვის ფორმა, რაშიც ექიმს შესაძლებლობა ექნება ილუსტრაციების გა-

34 აღნიშნული ბრძანების თანახმად, მითითებული წესი ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

მოყენებით მიუთითოს დაზიანებების ადგილმდებარეობა. აღნიშნული წესი ასევე ითვალისწინებს, რომ დაზიანების აღრიცხვის ფორმის შევსებისას, პაციენტის თანხმობის შემთხვევაში, ექიმი ვალდებულია გადაიღოს დაზიანების ამსახველი ფერადი ფოტო.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება მითითებული საკითხის სამართლებრივად დარეგულირებას და, ცალსახად, წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს აღნიშნული წესის დამტკიცებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანების აღრიცხვის ახალი წესი არ მოქმედებდა,[35] ხოლო არსებული პრაქტიკით დაზიანებების აღწერა, ისევე როგორც წინა წლებში, ხარვეზებით მიმდინარეობდა და ვერ უზრუნველყოფდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტურ გამოვლენას და დოკუმენტირებას.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი თვლის, რომ აუცილებელია ხსენებულ წესში შევიდეს გარკვეული ცვლილებები, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოვლენის მიზნით, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის“ მე-6 მუხლის თანახმად, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ექიმი ვალდებულია ინფორმაცია აცნობოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

სახალხო დამცველი მიესალმება ექიმის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულების ნორმატიულ დონეზე განსაზღვრას, თუმცა თვლის, რომ სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ გამოძიების დაწყება და წარმოება ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და ეფექტურ გამოძიებას.

არასათანადო მოპყრობის შესახებ საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების საკითხზე, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულიყო პენიტენციური დაწესებულებების ექიმის ვალდებულება – იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს ინფორმაციას ან დაასკვნის, რომ პატიმარი შესაძლოა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, პირდაპირ გაუგზავნოს შეტყობინება საქართველოს მთავარ პროკურატურას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პოზიციის თანახმად, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისთვის შეტყობინების გაგზავნის პრაქტიკა განპირობებულია „სისხლის სამართლის საქმეთა საგ-

35 ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

ამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანებით დადგენილი რეგულაციით, რომლის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ პენიტენციური დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულს.

ამდენად, მითითებული რეკომენდაცია არ შესრულებულა და ამ საკითხზე სახალხო დამცველის პოზიცია კვლავ იგივე რჩება. ამასთან, აუცილებლად მიაჩნია, შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში შევიდეს ცვლილება, რომელიც დაადგენს, რომ პატიმრის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დანაშაული გამოიძიოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.

ზემოხსენებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამედიცინო შემოწმების წინ ექიმმა უნდა მიიღოს პაციენტის ინფორმირებული თანხმობა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამედიცინო შემოწმებაზე პაციენტის უარი ან თანხმობა უნდა დადასტურდეს პაციენტის ხელმოწერით. პაციენტის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში შემოწმება არ უნდა ჩატარდეს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ მიმართ განხორციელდება არასათანადო მოპყრობა, რადგან არსებული მდგომარეობით, საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ დონეზე არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლნი არ არიან უზრუნველყოფილნი სათანადო სამართლებრივი დაცვის გარანტიებით, რაც საჩივრით მიმართვის შემთხვევაში, შეამცირებდა მათ მიმართ შესაძლო რეპრესიების რისკებს. ამდენად, ზემოხსენებული ნორმა შეიცავს რისკს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი არ იგრძნობს თავს დაცულად და არ ექნება მოლოდინი, მისი უფლებების დამრღვევები სათანადოდ იქნებიან დასჯილები, შესაძლოა არ მოისურვოს საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინება.

„სტამბოლის პროტოკოლის“ თანახმად, სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის საუკეთესო ინტერესები და ახსოვდეს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ამავე დროს, ექიმს უჩნდება მორალური საფუძველი არასათანადო მოპყრობის გამოაშკარავების სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი თანახმაა არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმი ვალდებულია, გადაუგზავნოს ეს ინფორმაცია შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. თუ პატიმარი უარს აცხადებს ამა თუ იმ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმმა უნდა აწონ-დაწონოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, პოტენციური საფრთხე მოცემული პაციენტისთვის, თუ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებით მიღებული სარგებელი ყველა პატიმრისათვის, აგრეთვე საზოგადოებისთვის, რომელიც დაინტერესებულია, რომ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა აღმოიფხვრას.[36]

36 სტამბოლის პროტოკოლი, პარ. 72.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი თვლის, რომ მიუხედავად პატიმრის თანხმობისა, საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ექიმმა, პატიმრის ინტერესებისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს კვლავ პრობლემად რჩება ექიმის დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებული პრობლემები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგების შედეგების მიხედვით შეინიშნება სამედიცინო პერსონალის გარკვეული დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ, რაც ეჭვქვეშ აყენებს პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, ექიმის მიერ დაზიანებების დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების დროს, მის მიუკერძოებლობას. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს ექიმების სათანადო დამოუკიდებლობა. ექიმის პროფესიული დამოუკიდებლობის კონტექსტში მნიშვნელოვანია პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში ინტეგრაცია.[37]

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- შემუშავდეს მკაფიო ინსტრუქცია ექიმსა და პატიმარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და პრაქტიკულად განხორციელდეს
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესში“ შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, შემდეგი მიზნით:
    - o განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულებების ექიმის ვალდებულება – იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს ინფორმაციას ან დაასკვნის, რომ პატიმარი შესაძლოა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას
    - o საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ექიმმა, პატიმრის ინტერესებისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით

37 აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას აგრეთვე ხაზს უსვამს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშში, სადაც ხაზს უსვამს ციხის ჯანდაცვის, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ინტეგრაციის აუცილებლობას, როგორც ექიმების პროფესიული დამოუკიდებლობის გაზრდის საშუალებას.

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რომლის თანახმად, განსაზღვრული იქნება ექიმის ვალდებულება – იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს ინფორმაციას ან დაასკვნის, რომ პატიმარი შესაძლოა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას; ეს პაკეტი წარუდგინოს მთავრობას პარლამენტში ინიცირებისათვის

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- უზრუნველყოს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რომლის თანახმად, განსაზღვრული იქნება, რომ წამება შესაძლებელია ჩადენილი იყოს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მდუმარე თანხმობით და ამ პაკეტის მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

- უზრუნველყოს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რომლის თანახმად, განსაზღვრული იქნება, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე სათანადო სამართლებრივი დახმარებით და ამ პაკეტის მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

- „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის თანახმად დადგინდება, რომ პატიმრის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულის გამოძიებას განახორციელებს საქართველოს მთავარი პროკურატურა

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ წამება შესაძლებელია ჩადენილი იყოს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მდუმარე თანხმობით

- საქართველოს კანონში „იურიდიული დახმარების შესახებ“ შევიდეს ცვლილება და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე სათანადო სამართლებრივი დახმარებით.

- შევიდეს ცვლილება საქართველოს „პატიმრობის კოდექსში“ და განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულებების ექიმის ვალდებულე-

ბა – იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს ინფორმაციას ან დაასკვნის, რომ პატიმარი შესაძლოა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

3.3. წესრიგი და უსაფრთხოება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის შესაბამისად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიუთითა, რომ ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც არ შეიძლება გადახვევა.[38]

უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა არის ფუნდამენტური უფლება დაკავების ადგილებში. ადამიანის უფლებების დაცვის ნორმებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ პირთა უფლებების დაცვის ვალდებულების განუყოფელ ნაწილს.[39]

კონტროლისა და უსაფრთოხების უზრუნველყოფის მიზანი უკეთესად მიიღწევა ისეთ გარემოში, სადაც პატივისცემით ეპყრობიან პატიმრის ღირსებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია იმის თქმა, რომ პატიმრის მიმართ ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა გამოიწვევს უსაფრთოხებისა და კონტროლის შესუსტებას. პირიქით, სამართლიანი მოპყრობა და კანონიერება არა მხოლოდ კრიტიკულად მნიშნელოვანია ციხეში კარგი გარემოს უზრუნველსაყოფად, არამედ მას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა წესრიგის უზრუნველსაყოფად. იქ, სადაც დაცულია პატიმართა უფლებები, ბევრად უფრო რეალურია, რომ პატიმრები აღიარებენ ციხის პერსონალის ლეგიტიმურობასა და ავტორიტეტს, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს დაძაბულობისა და არეულობის შემთხვევების შემცირებას.[40]

ყველა ქვეყანაში არსებობენ გარკვეული რაოდენობის პატიმრები, რომლებიც მიჩნეულნი არიან, როგორც განსაკუთრებული რისკის მატარებლები. აღნიშნული პატიმრებისათვის მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორიის მინიჭება შეიძლება გამომდინარეობდეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან საპატიმროში გამოვლენილი ქცევიდან.[41]

38 გაეროს ზოგადი კომენტარი N29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4), პარა. 13 ა, აგვისტო 2001.

39 გაეროს სპეციალური მომხსენებელი სასჯელის თვითნებური, სასამართლო გარეშე აღსრულების საკითხებში, ანგარიში გაეროს გენერალური ასამბლეისადმი, პარა. 51, 5 სექტემბერი 2006 წელი.

40 გაეროს ოფისი ნარკოტიკებთან და დანაშაულთან დაკავშირებით, სახელმძღვანელო პრინციპები - განსაკუთრებული რისკის პატიმრების მენეჯმენტი, გვ. 10, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/HB_on_High_Risk_Prisoners_Ebook_appr.pdf 2016 წელი [ბოლოს ნანახია: 09.03.2017].

41 ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი, მე-11 ზოგადი ანგარიში, 2000 წლის 1 იანვარი -31 დეკემბერი, პარა. 32, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ვებგვერდზე: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680696a75 [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

საშიშროების რისკის დონის მიხედვით მსჯავრდებულთა კლასიფიცირება თავისთავად მოითხოვს მათთვის სპეციალური პატიმრობის პირობების შექმნას. მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორიის მინიჭება უნდა გამომდინარეობდეს პატიმართა მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან საპატიმროში გამოვლენილი ქცევიდან.[42] იმ შემთხვევაში, თუ პატიმრების კლასიფიკაციის სისტემა მოქმედებს ეფექტურად, მითითებული კატეგორიის პატიმრები წარმოადგენენ საერთო პატიმრების ძალიან მცირე ნაწილს. ევროპის წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) დიდ ყურადღებას ანიჭებს პატიმრების აღნიშნულ ჯგუფს და მოითხოვს საგამონაკლისო, განსაკუთრებული ზომების მიღებას, რადგანაც ისინი სხვა პატიმრებთან შედარებით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან.[43]

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 27-ე წესის შესაბამისად, „დისციპლინა და წესრიგი მკაცრად უნდა იყოს დაცული, თუმცა, შემოღებულ უნდა იქნას მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და დაწესებულებაში თანაცხოვრების სათანადო წესების დასაცავად“[44]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავისი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, თანმიმდევრულად უჭერს მხარს პოზიციას, რომ პატიმრები, ზოგადად, აგრძელებენ კონვენციით გარანტირებული ყველა ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობას გარდა თავისუფლების უფლებისა. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს იმას, რომ იქ, სადაც კონვენციის მკაცრი ზომები მოითხოვს კონვენციის უფლებების შეზღუდვას, აუცილებელია იყოს საფუძვლიანი კავშირი აღნიშნული ზომების გამოყენებასა და ინდივიდის ქცევას შორის.[45]

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66[2] მუხლის შესაბამისად, ,,განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომელიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფთა, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებას“.[46] აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ N106 ბრძანების შესაბამისად, N3, N6, N7 დაწესებულებებს საქართველოში მიენიჭა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სტატუსი.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულები-

42 წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11ზოგადი ანგარიში, კომიტეტის აქტივობები 2000 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, პარაგრაფი 32, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890679 [ბოლოს ნანახია 07.03.2017].

43 წამების პრევენციის ევროპული მე-11 ზოგადი ანგარიში, პარა. 32.

44 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 27.

45 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ (Case of Khoroshenko v. Russia), პარ. 116.

46 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 66.

სა და პრობაციის სამინისტროს პოლიტიკას. არსებული მიდგომებით, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება გამოიყენება, როგორც სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებზე დაფუძნებული, შეზღუდვების, აკრძალვებისა და უპირობოდ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებად, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, რეაბილიტაციას და, შესაბამისად, საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, პატიმრები თავსდებიან ერთ ან ორადგილიან საკნებში. პატიმრის ერთ ან ორადგილიან საკანში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს დირექტორის დისკრეციას. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არსებული განაწესი, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს შესაძლებლობას აძლევს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე პატიმარი ხანგრძლივი დროით მოათავსოს ერთადგილიან საკანში და, შესაბამისად, შეუზღუდოს სხვა პატიმართან კონტაქტის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველი თვლის, რომ აუცილებელია შესაბამისი ცვლილებები შევიდეს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებებში, რათა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პატიმრის ერთადგილიან საკანში მოთავსება ხდებოდეს მხოლოდ პატიმრის რისკის ინდივიდუალური შეფასებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების გონივრული ინტერვალებით გადახედვა და ერთადგილიან საკანში მოთავსების კომპენსირება ისეთი საშუალებებით, როგორიცაა კონტაქტი გარესამყაროსთან, სარეაბილიტაციო აქტივობებზე ხელმისაწვდომობა, ბიბლიოთეკითა და ტელე-რადიო საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, მეთვალყურეობისა და კონტროლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალების გამოყენება არაეფექტურია. პატიმრობის კოდექსის მე-12[1] მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც ეხება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების მიმართ, ყველა შემთხვევაში, გამოიყენებოდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ამ დაწესებულებებისათვის სტატიკური უსაფრთოხების სისტემა წარმოადგენს უსაფრთხოების მიღწევის ძირითად საშუალებას. სახალხო დამცველი თავის არაერთ ანგარიში მიუთითებს, რომ უსაფრთოხების სისტემა არ უნდა იყოს დაფუძნებული მხოლოდ სტატიკური უსაფრთხოების სისტემაზე და ის უნდა ითვალისწინებდეს დინამიკური უსაფრთხოების კონცეფციის აქტიურ განხორციელებას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგისას გაირკვა, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მეთვალყურეობის დაწესება ხდება პატიმრის შემოსახლების ყველა

შემთხვევაში. დაწესებულებაში მყოფი ყველა ბრალდებული და მსჯავრდებული ავტომატურად თავსდება ელექტრონული მეთვალყურეობით აღჭურვილ საკანში. მიუხედავად იმისა, რომ მეთვალყურეობის შესახებ გამოიცემა ბრძანება, რომელსაც საფუძვლად უდევს უსაფრთხოების სამსახურის შუამდგომლობა და სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომლის პატაკი, აღნიშნული ბრძანებები არის შაბლონური ხასიათის და არ ეფუძნება რისკის ინდივიდუალური შეფასების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის რუტინულად განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ იმის გამო, რომ დაწესებულება წარმოადგენს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეზღუდვა დაწესებული იყოს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელ და დაუსაბუთებელ ჩარევად.

უსაფრთხოების ღონისძიების სახით განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების განუსაზღვრელი ვადითა და დაუსაბუთებლად გამოყენების საფრთხეზე მიუთითებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრების განცალკევების ვადის გაგრძელების შესახებ კონკრეტული, მაქსიმალური ვადის არარსებობა. აღნიშნული მიუთითებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სხვა დაწესებულებებთან შედარებით განსხვავებული პირობების არსებობაზე.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშში მიუთითებს, რომ პაემნების რაოდენობა არ უნდა იყოს დამოკიდებული დაწესებულების ტიპზე და ჩადენილ დანაშაულზე. მნიშვნელოვანია, რომ უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირებს მიეცეთ მეტი ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანი, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის წევრებთან მყარი კავშირის შენარჩუნებას და რეაბილიტაციას.[47]

აღსანიშნავია, რომ, ოჯახთან კონტაქტის თვალსაზრისით, დახურული დაწესებულებებისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები არათანაბარ მდგომარეობაში არიან სხვა ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებთან შედარებით. კონკრეტულად კი, მსჯავრდებულებს, რომელთაც განსაზღვრული აქვთ მაღალი რისკი ან მოთავსებულნი არიან დახურული ტიპის დაწესებულებაში, ერთი თვის განმავლობაში ეძლევათ მხოლოდ ერთი ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით, თვეში ერთხელ დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები კიდევ უფრო შეზღუდულ პირობებში იმყოფებიან ტელეფონით სარგებლობასთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი, აღნიშნულ

47 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, (2015) ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf [ბოლოს ნანახია: 14.03.2017].

პატიმრებს ერთი თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 10 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით დამატებით ერთი სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 10 წუთისა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პაემნების განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული დაწესებულების ტიპსა და ჩადენილ დანაშაულზე. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი იყოს იმ რაოდენობის პაემნები და სატელეფონო საუბრები, რა რაოდენობითაც სარგებლობენ სხვა ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები. ხანმოკლე პაემნისა და სატელეფონო საუბრის რაოდენობის შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთ კონტაქტს უკავშირდება დანაშაული.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უსაფრთხოების კუთხით მკაცრი რეჟიმის არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2016 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა N3 და N6 დაწესებულებებში.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებულ რისკის დაწესებულების ადმინისტრაცია გაძლიერებული უსაფრთხოების დაცვის პირობებში მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების პატიმრებთან დაკავშირებითაც შეძლებისდაგვარად გაავრცელოს ჩვეულებრივ ციხეებში მოქმედი რეგულაციები. აღნიშნული რეჟიმის საკომპენსაციოდ, პატიმრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები სარეაბილიტაციო აქტივობებში.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უმნიშვნელოვანესია მრავალმხრივი და პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მისწრაფებებზე მორგებული მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების არსებობა. 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს არ ეძლევათ საშუალება დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით.[48] ასეთი მდგომარეობა დაწესებულებებში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე და, რაც მთავარია, ასეთ პირობებში ვერ მიიღწევა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის და დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნები.

N6 დაწესებულების დირექტორის წერილიდან ირკვევა, რომ დაწესებულებაში პროფესიული განათლების, ხელობის შესწავლისა და სხვა სახის სარეაბილიტაციო აქტივობების ჩაუტარებლობის მიზეზი იყო ის, რომ N6 დაწესებულება წარმოადგენს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესე-

48 დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პენიტენციური დაწესებულებების დღის განრიგისა და სარეაბილიტაციო აქტივობების თავში.

ბულებას.[49] სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს აღნიშნულ მიდგომას და მიიჩნევს, რომ ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს სისტემის დამოკიდებულებას განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისადმი და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.[50]

აღსანიშნავია, რომ N7 განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წლის განმავლობაში მხოლოდ 2 პატიმარი იყო ჩართული სარეაბილიტაციო აქტივობაში. N3 დაწესებულებაში წლის განმავლობაში ჩატარდა 8 სარეაბილიტაციო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 მსჯავრდებულმა.

განსაკუთრებული რისკისა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებისათვის უმნიშვნელოვანესია მრავალფეროვანი და რეგულარული აქტივობების შეთავაზება, რათა ხელი შეეწყოს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს და მათ რეაბილიტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ დაწესებულების უსაფრთოხების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყონ სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება.

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, „ციხეში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამავე დროს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანის ღირსებისა და პატივის შესაბამისი საცხოვრებელი პირობები და შეთავაზებულ იქნეს სხვადასხვა ღონისძიებით დატვირთული პროგრამა“.[51] აღნიშნული განაწესი მოითხოვს ისეთი წესრიგისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვას, რომელიც შეინარჩუნებს ბალანსს უსაფრთხოებასა და იმ პროგრამებს შორის, რომლებიც შექმნილია პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის. ეს გულისხმობს ციხეების ეფექტური მართვისათვის აუცილებელი სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინებას.

სარეაბილიტაციო პროგრამების არარსებობასთან ერთად, პრობლემურია ის, რომ განსაკუთრებული რისკისა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები 23 საათს ატარებენ საკნებში. მათი გასეირნება დღის განმავლობაში შემოიფარგლება მხოლოდ 1 საათით საკნის მსგავს სასეირნო ეზოებში გასვლით, სადაც არ არის პირობები ფიზიკური დატვირთვისათვის. აღნიშნული ასევე უარყოფითად აისახება პატიმრის ჯანმრთელობაზე.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ კანონპროექტით შემოთავაზებულ ცვლილებას, რომლის მიხედვით, ზოგადად მცირდება ადმინისტრაციული პატიმრობის ხანგრძლივობა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პატიმრებისთვის წელიწადში 150 დღემდე იზრდება დისციპლინური პატიმრობის ვადა. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის გაზრდა კიდევ ერთხელ ადასტურებს

49 N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 17 იანვრის წერილი MOC7 17 00040633 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/205).

50 მანდელას წესები, წესი N 91, 92.

51 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, „ევროპული ციხის წესები,“ წესი N49, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2006)2, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს.

რეპრესიული მიდგომისთვის უპირატესობის მინიჭებას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სახალხო დამცველის პოზიციით, ადმინისტრაციული პატიმრობა საერთოდ უნდა გაუქმდეს, როგორც პენიტენციური დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის არაეფექტური მეთოდი.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გაძლიერებული უსაფრთხოების სტატუსიდან გამომდინარე გაძლიერებული სტატიკური უსაფრთხოების ზომები, დაწესებული ბლანკეტური ხასიათის აკრძალვები, შეზღუდვები და ძალიან მცირე სარეაბილიტაციო აქტივობები, გამორიცხავს სამინისტროს მიერ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების სულისკვეთების გაზიარებას, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეძლებისდაგვარად უნდა გავრცელდეს ჩვეულებრივ ციხეებში არსებული რეგულაციები. ასევე ის, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უსაფრთხოების ზომები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ისინი აუცილებელია.[52]

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. ზემოთქმული მიზნებისათვის, შესაძლებელია უსაფრთხოების კომპონენტების შემდეგი კლასიფიკაცია: ფიზიკური უსაფრთხოება გულისხმობს შენობა-ნაგებობის ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს, მათ შორის, შენობის კედელს, ფანჯარას, კარს და ა.შ., პროცედურული უსაფრთხოება ეხება იმ მეთოდებსა და პროცედურებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ციხის უსაფრთხოებისათვის. საუბარია გაქცევის თავიდან აცილებისა და წესრიგის დამყარებისათვის აუცილებელ არსებულ წესებზე.[53] უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას ე.წ. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს.

დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[54]

52 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტი, მინისტრთა კომიტეტის R (82) 17 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის, საშიში პატიმრების პატიმრობა და მოპყრობა (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1982 წლის 24 სექტემბერს მინისტრების მოადგილეების 350-ე შეხვედრაზე, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ochrance.cz/fileadmin/user_upload/ochrana_osob/Umluvy/vezenstvi/R_82_17_treatment_dangerous_prisoners.pdf [ბოლოს ნანახია 07.03.2017].

53 ენდრიუ კოილე, „ციხეების შესწავლის საერთაშორისო ცენტრი", „ციხის მართვა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით" 2009, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.prisonstudies.org/ [ბოლოს ნანახია 10.02.2017].

54 გაეროს ციხეებში ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო, 2013 წელი, პარა. 21-22, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf [ბოლოს ნანახია 10.02.2017].

პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობა. იმისათვის, რომ ასეთი პოზიტიური ურთიერთობა არსებობდეს, მნიშვნელოვანია პატიმრებს გააზრებული ჰქონდეთ, რომ დაწესებულებაში არსებული წესები და პროცედურები უსაფრთხოა და ადამიანური გარემოს შესაქმნელად არის დაწესებული. პატიმრები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ მოეპყრობიან სამართლიანად და დაიცავენ მათ უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის პირობებში დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს ამოსავალ წერტილს, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკულად აუცილებელია ძალისა და იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენება. პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ისეთ ელემენტებს, როგორიცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენება.[55]

სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რომელიც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.[56] ეს გულისხმობს იმას, რომ დამატებითი უსაფრთხოების ზომას უნდა მიმართონ უკიდურეს შემთხვევაში. ძალისა თუ იძულების სხვა ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ადეკვატური პროცედურებისა და პრაქტიკაში არსებული საუკეთესო მაგალითის გამოყენებით.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გარდა, სხვა დაწესებულებებშიც პრობლემურია ადმინისტრაციის მიერ პატიმრების მიმართ უსაფრთხოების ღონისძიებებისა და მეთვალყურეობის განხორციელების პრაქტიკა.

გარდა ზემოაღნიშნული პრობლემებისა, პენიტენციური დაწესებულებებში პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს ქმნის დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, რაც ხშირად ხდება პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი.

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, კრიმინალური სუბკულტურა სათავეს იღებს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და დღესაც, პენიტენციურ სისტემაში, გამოხატულია არაფორმალური მმართველობის ფორმით, იგი ემსახურება პრივილეგირებული პატიმრების გარკვეული ჯგუფის მიერ „წესრიგის“ შენარჩუნებას.

55 იქვე, გაეროს ციხეებში ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო, პარა. 13.

56 გაეროს გენერალური ასამბლეა, სამართალდამცავი ორგანოების ქცევის კოდექსი, 5 თებერვალი 1980, A/ RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.refworld.org/docid/48abd572e.html [ბოლოს ნანახია 09.02.2017].

კრიმინალური სუბკულტურის გავლენით ხდება პატიმრების არაფორმალური დაყოფა. შედეგად, პატიმართა გარკვეული ნაწილი, რომლებიც იმყოფებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებენ არაფორმალურ მმართველობას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს პატიმართა შორის ძალადობას და გამოიხატება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს.

გამომდინარე იქიდან, რომ პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციები დაინტერესებული არიან შეინარჩუნონ წესრიგი, არსებობს ცდუნება, რომ გარკვეულწილად დაუშვან და მეტიც, ხელი შეუწყონ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის არსებობას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2015 წელს N17 დაწესებულებაში ერთ-ერთი პატიმრის მიმართ პრივილეგირებული პატიმრების მხრიდან განხორციელდა ძალადობა, რაც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოს მიერ დაკვალიფიცირდა წამებად. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ასევე სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი დაწესებულების დირექტორი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რაც გამოიხატა ღამის საათებში დაწესებულების ტერიტორიაზე პრივილეგირებული პატიმრებისთვის შეუზღუდავი გადაადგილების უფლების მიცემაში. სწორედ აღნიშნულმა პრივილეგირებულმა პატიმრებმა აწამეს მსხვერპლი ღამის საათებში.

აუცილებელია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გააცნობიეროს, თუ რა გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა და შეიმუშაოს ამ პრობლემის დაძლევის სტრატეგია. საჭიროა კომპლექსური მიდგომის ჩამოყალიბება, რაც ასევე უნდა მოიცავდეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არღვევენ სხვა პატიმრების უფლებებს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით, აუცილებელია მიზანმიმართული, კომპლექსური ღონისძიებების გატარება, მათ შორის, დინამიკური უსაფრთხოების კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება, დაუსჯელობასთან ბრძოლა, დაწესებულებებში რეაბილიტაციის სერვისების გაძლიერება, სათანადო პატიმრობის პირობების შექმნა, პატიმართა ცნობიერების ამაღლება, პატიმრების წახალისება და მათთვის სხვადასხვა ღირებულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობის მიცემა, რაც ერთობლიობაში შეამცირებს დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენას. ამასთან, აუცილებელია, რომ კრიმინალური სუბკულტურის დასაძლევად ღონისძიებების გატარება მოხდეს პატიმრების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის პირობებში, უნდა გამოირიცხოს ძალადობრივი და რეპრესიული მეთოდების გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა.

პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ და სისტემურ მიდგომას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი ორგანიზაციული ას-

პექტების[57] გათვალისწინება: სათანადო ნორმატიული ბაზა (რეგულაციები); ანგარიშვალდებულება; თანამშრომელთა ოპერაციული შესაძლებლობები და კომპეტენცია (თანამშრომელთა და პატიმართა რაოდენობის თანაფარდობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომელთა უნარ-ჩვევები და გამოცდილება, თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი, დაწესებულების დებულება და დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურა); დინამიკური უსაფრთხოების ელემენტები (თანამშრომელთა ურთიერთობა პატიმრებთან, დაკვირვება, ინფორმაციის შეგროვება და თითოეული პატიმრის პიროვნული თვისებების ცოდნა, კონფლიქტების მართვა, მედიაცია და ა.შ.); ინციდენტების და საგანგებო სიტუაციების მართვის წინასწარი გეგმა. აღნიშნული და სხვა რელევანტური საკითხები დეტალურად მიმოხილული იქნება ქვემოთ, შესაბამის ქვეთავებში.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- მიიღოს ყველა ზომა, რათა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მსგავსად, უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი სარეაბილიტაციო აქტივობების ხელმისაწვდომობა და კონტაქტი გარე სამყაროსთან

- მიიღოს ყველა ზომა, რათა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უსაფრთხოების სისტემა არ იყოს დაფუძნებული მხოლოდ სტატიკური უსაფრთოხების სისტემაზე და ხდებოდეს დინამიკური უსაფრთხოების კონცეფციის აქტიური განხორციელება

- მიიღოს ყველა ზომა, რათა განსაკუთრებული უსაფრთხოების რეჟიმის საკომპენსაციოდ პატიმრები უფრო მეტად იყვნენ ჩართულები სარეაბილიტაციო აქტივობებში

- მიიღოს ყველა ზომა, რათა მსჯავრდებულისთვის დაწესებული შეზღუდვა/აკრძალვა გამომდინარეობდეს არა იმ ფაქტიდან, რომ ეს მსჯავრდებული მოთავსებულია განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, არამედ შეზღუდვის/აკრძალვის დაწესება ხდებოდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული მსჯავრდებულისგან მომდინარე იმწუთიერი რისკის შეფასებაზე დაფუძნებული, სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით

- შევიდეს ცვლილებები განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებებში, რათა მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში მოთავსება ხდებოდეს მსჯავრდებულის რისკის ინდივიდუალური შეფასების შედეგად მიღებული, სათანა-

57 გაეროს გენერალური ასამბლეა, სამართალდამცავი ორგანოების ქცევის კოდექსი, 5 თებერვალი 1980, A/ RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.refworld.org/docid/48abd572e.html [ბოლოს ნანახია 09.02.2017].

დოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელიც გადაიხედება გონივრული ინტერვალით

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში მოთავსების კომპენსირება ხდებოდეს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა კონტაქტი გარე სამყაროსთან, სარეაბილიტაციო აქტივობებზე ხელმისაწვდომობა, ბიბლიოთეკითა და ტელე-რადიო საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა

- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დაძლევის მიზნით:

  - უზრუნველყოს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უნდა შეიცავდეს დაწესებულებაში არსებული კრიმინალური სუბკულტურის შესწავლის შედეგად შემუშავებულ სისტემურ და რეგულარულ ღონისძიებებს

  - არ დაუშვას დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობა

  - უზრუნველყოს თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების, კომპეტენციის და ოპერაციული შესაძლებლობების გაზრდა

  - დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში რეალიზების მიზნით უზრუნველყოს თანამშრომელთა და პატიმართა რაოდენობის ოპტიმალური თანაფარდობა

  - უზრუნველყოს თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გაძლიერება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა პატიმრებთან ურთიერთობა, კონფლიქტების მართვა, მედიაცია და მოქმედება ეთიკის კოდექსის შესაბამისად

  - უზრუნველყოს დაწესებულებებში სარეაბილიტაციო სერვისების გაძლიერება, პატიმრობის სათანადო პირობების შექმნა, პატიმართა განათლება/ცნობიერების ამაღლება, პატიმრების სამართლიანი წახალისება და მათი ჩართვა ყოველდღიურ, სხვადასხვა საინტერესო/ღირებულ აქტივობაში.

3.3.1. მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (პენიტენციური) დაწესებულებების ტიპები განსაზღვრულია „პატიმრობის კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით.[58] ამავე კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილით[59] განსაზღვრულია პატიმრის

58 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებია: დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება, ქალთა სპეციალური დაწესებულება.

59 სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებული, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შეიძლება გადაყვანილი იყოს იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მის მიერ დაწესებულების დებულების სისტემატური დარღვევის გამო, ავადმყოფობის

კონკრეტულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. ხოლო, მსჯავრდებულის რისკის სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანებით.

მითითებულ წესთან დაკავშირებით, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესში შესულიყო შესაბამისი ცვლილებები იმ მიზნით, რომ განსაზღვრულიყო პენიტენციური დაწესებულების ან პენიტენციური დეპარტამენტის ვალდებულება, მსჯავრდებულს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მისი საშიშროების რისკის შეფასების პროცესის დაწყების შესახებ. ამასთან, მსჯავრდებულს უფლება უნდა ჰქონდეს, მულტიდისციპლინურ გუნდს, მისი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, წარუდგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას. აღსანიშნავია, რომ მითითებული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

რეკომენდაცია

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები იმ მიზნით, რომ განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ან პენიტენციური დეპარტამენტის ვალდებულება, მსჯავრდებულს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მისი საშიშროების რისკის შეფასების პროცესის დაწყების შესახებ. ამასთან, მსჯავრდებულს უფლება უნდა ჰქონდეს, მულტიდისციპლინურ გუნდს, მისი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, წარუდგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს სასურველი გადაწყვეტილების მიღებას.

გამო აი/და რისკის ფაქტორის გათვალისწინებით, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, ლიკვიდაციის ან გადატვირთულობისას ამ კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას ან სხვა მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოების არსებობისას აი/და მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში. მსჯავრდებულის რისკების შეფასებას და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკების შეფასების გუნდი.

3.3.2. უსაფრთხოების ღონისძიებები, ინციდენტების და საგანგებო სიტუაციების მართვა

3.3.2.1. დეესკალაციის ოთახები

2015 წელს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული რეფორმის ფარგლებში, მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით, ყველა პენიტენციური დაწესებულებისთვის დამტკიცდა დებულებები. აღნიშნული დებულებების შესაბამისად, N2, N5, N8 და N18 პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებდა დეესკალაციის ოთახები, ხოლო N3, N6 და N7 დაწესებულებებში - უსაფრთხო ოთახები.

2016 წლის 9 აგვისტოს N3, N6 და N7 პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და უსაფრთხო ოთახში პატიმრების გადაყვანის პროცედურა შეიცვალა პატიმრების დეესკალაციის ოთახში გადაყვანის პროცედურით.[60]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პატიმრების რაოდენობა არის: N3 დაწესებულება - 116 პატიმარი; N6 დაწესებულება - 90 პატიმარი; N8 დაწესებულება - 145 პატიმარი.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს შედარებით შემცირებულია პატიმრების დეესკალაციის ოთახში მოთავსების ხანგრძლივობა, თუმცა დაფიქსირდა ერთეული შემთხვევები, როდესაც პატიმრები აღნიშნულ ოთახებში მოთავსებულები იყვნენ 20-დან 30-დღემდე ხანგრძლივობით, ხოლო ერთ შემთხვევაში, N3 დაწესებულებაში, პატიმარი დეესკალაციის ოთახში მოთავსებული იყო 36 დღით.

2014 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიშში წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) მიუთითებს, რომ დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების მაქსიმალური დრო (მათ მიერ მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული ვადა არის 4 დღე) არის ზედმეტად ხანგრძლივი, რაც უნდა შემცირდეს და განისაზღვროს რამდენიმე საათამდე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი[61]. ამასთან, კომიტეტი ხაზს უსვამს დეესკალაციის სტრატეგიის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ რეალური დეესკალაციის სტრატეგიის არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს პატიმრების მხრიდან საკუთარი პრობლემების მოგვარების ისეთი გზების არჩევა, როგორიც არის შიმშილობა და თვითდაზიანების მიყენება.[62]

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება შესაძლოა მხოლოდ იყოს იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება და დაუშვებელია პატიმრების მოთავსება დეესკალაციის ოთახში არსებულ პირობებში ხანგრძლივი ვადით, ვინაიდან აღნიშნული შესაძლოა

60 საანგარიშო პერიოდში დეესკალაციის ოთახები ფუნქციონირებდა მხოლოდ N3, N6 და N8 დაწესებულებებში.

61 იხილეთ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2014 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ CPT/Inf (2015) პარ. 94.

62 იგივე, პარ. 54.

გაუტოლდეს ადამიანის არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს სხვა ზომებს, მათ შორის, უნდა მოხდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) ჩართვა და პატიმრისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა.

როგორც 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში, ასევე 2016 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშებში, საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ დროდ განსაზღვრული ყოფილიყო 24 საათი.[63]

2016 წლის 9 აგვისტოს N3, N6 და N8 პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალური ვადა - 72 საათი, რასაც სახალხო დამცველი დადებითად აფასებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ დებულება შესაძლებლობას აძლევს დაწესებულების ადმინისტრაციას პატიმარი შეუზღუდავი რაოდენობით მოათავსოს დეესკალაციის ოთახში, რამაც შესაძლოა კვლავ გამოიწვიოს პატიმართა ხანგრძლივი იზოლირება.

ყველა ზემოაღნიშნული დაწესებულების დებულების თანახმად, დეესკალაციის ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, სათვალთვალო კამერით, დისტანციურად მართვადი, დაზიანებისადმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით.

ისევე, როგორც 2015 წელს, 2016 წელსაც პრობლემურია დეესკალაციის ოთახებში პატიმრების პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საკითხი. აღსანიშნავია რომ, N3, N6 და N8 პენიტენციური დაწესებულებების დეესკალაციის ოთახებში მეთვალყურეობის სისტემები იმგვარად არის დამონტაჟებული, რომ ოთახის ტუალეტის ნიჟარა მოქცეულია ვიდეოკამერების ხედვის არეალში, რაც დაუშვებელია და შესაძლოა გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

საანგარიშო პერიოდში N3, N6 და N8 დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს გაირკვა, რომ დეესკალაციის ოთახებში დაცული არ არის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, იატაკზე დევს ლეიბი, არ იღება ფანჯრები და, შესაბამისად, არ ხდება ბუნებრივი ვენტილაცია.

საგულისხმოა, რომ დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო და პირობები არ არის უსაფრთხო და არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დეესკალაციის ოთახების კედლების მოსაპირკეთებელი რბილი მასალა საქართველოს მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სამინისტრომ მოიძია აღნიშნული პროდუქციის სხვადასხვა ქვეყანაში მწარმოებელი კომპანიები და ამ

63 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის წლიური ანგარიში, გვ. 44, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf [ბოლოს ნანახია 02.03.2017].

ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ზემოხსენებული მასალის შესაძენად. საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ დეესკალაციის ოთახების სათანადოდ აღჭურვის მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარებას და იმედს იტოვებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული დეესკალაციის ოთახების სათანადოდ აღჭურვა დასრულდება მოკლე პერიოდში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახებში პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; ამ ოთახებში მყოფი პატიმრების ტანსაცმელი ინახება დაწესებულების თანამშრომლებთან და პატიმრებს საკუთარ ტანსაცმელზე წვდომა შეზღუდული აქვთ.

გარდა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა, როგორც პატიმრები განმარტავენ, დეესკალაციის ოთახებში მათ არ ეძლევათ მაღაზიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ N3 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული და შესაბამის დოკუმენტაციაში გადამოწმებული ინფორმაციის თანახმად, მიუხედავად ერთ-ერთი პატიმრის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა, პატიმარი არ გადაიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან სამედიცინო ნაწილში და მას სათანადო სიხშირით არ უწევდა დახმარებას სამედიცინო პერსონალი.

სახალხო დამცველის შეფასებით, დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას არ ხდება პატიმრის სომატური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება და, შესაბამისად, დეესკალაციის ოთახში მისი ხანგრძლივი იზოლირება შესაძლოა სუიციდის და თვითდაზიანების მაპროვოცირებელიც კი გახდეს. აღსანიშნავია, რომ N3, N6 და N8 დაწესებულებებში დაფიქსირდა დეესკალაციის ოთახში პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევები, რაც ეჭვქვეშ აყენებს პატიმრის მიერ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ამ ზომის გამოყენების ეფექტურობას. ასე მაგალითად, 2016 წლის იანვრის თვიდან მაისის თვის ჩათვლით, N3 დაწესებულების დეესკალაციის ოთახში თვითდაზიანება პატიმრებმა 9 შემთხვევაში მიიყენეს. შესაბამისად, ნათელია, რომ მხოლოდ დეესკალაციის ოთახში მოთავსება ვერ იქნება ეფექტური საშუალება პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების თავიდან ასაცილებლად და იქ არსებული პატიმრობის პირობები, იზოლირებასთან ერთად შესაძლოა პატიმრის მიერ თვითაგრესიის მაპროვოცირებელიც კი გახდეს.

აღსანიშნავია, რომ როგორც შემოწმების შედეგად გაირკვა, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების ადმინისტრაცია ჩათვლის, რომ არსებობს პატიმრის მიერ საკუთარი, სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანების რისკი, უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენება, მათ შორის დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება არის ერთადერთი ინტერვენცია. საგულისხმოა, რომ პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და არ ხდება ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერ-

თობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა და ჩარევა, ზემოხსენებული რისკების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით.

როგორც N3 და N6 პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტის შედეგად გაირკვა, პატიმრებს აქვთ განცდა, რომ დეესკალაციის ოთახებში მათი გადაყვანა ხდება დასჯის მიზნით, მათ მიერ დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში და არა მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. N3 დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ჯგუფმა გაარკვია, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების 51 შემთხვევიდან 22 შემთხვევაში, პატიმრის დისციპლინური დასჯა (სატელეფონო საუბრის უფლების, პაემნის უფლების, პირადი მიმოწერის უფლების შეზღუდვა) მოხდა დეესკალაციის ოთახში გადაყვანის პერიოდში. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დაუშვებელია დასჯის მიზნით უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება და ის უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზანს, დაწესებულებაში მყოფ პირთა უსაფრთხოების დაცვას.

იმ პირობებში, როდესაც დაწესებულებებში არ არის სათანადო სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური სერვისები და დღე-ღამის განმავლობაში პატიმრები საკანში ატარებენ 23 საათს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ხანგრძლივი ვადით პატიმრების დეესკალაციის ოთახში მოთავსება შესაძლოა გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას და ზრდის ამ პატიმრების მხრიდან საკუთარი თავისთვის ან სხვა პირებისთვის საფრთხის შექმნის რისკს.[64]

ასევე, აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, პროცედურა და სამართლებრივი გარანტიები გათვალისწინებული არ არის საკანონმდებლო დონეზე და რეგულირდება მხოლოდ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ვინაიდან ამ ოთახებში მოთავსება თავისი ბუნებით წარმოადგენს შემზღუდველ ღონისძიებას, მნიშვნელოვანია, რომ მისი რეგულირება მოხდეს საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული საკითხის კანონმდებლობის დონეზე დარეგულირების მიზნით, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, კანონით დარეგულირებულიყო დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების საფუძვლები, პროცედურა და მაქსიმალური გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი. ასევე განისაზღვროს ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირი, გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი და მისი გამოყენებისას პატიმრის სამართლებრივი დაცვის გარანტიები. აღსანიშნავია, რომ ხსენებული წინადადება არ შესრულებულა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

64 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში 2015 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში (პარ. 85) აღნიშნავს: „სპეციალური მომხსენებელი ინფორმირებულ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში პატიმრებმა შესაძლებელია რამდენიმე თვე გაატარონ იზოლირების პირობებში და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავი მოპყრობას და წამებასაც კი გაუტოლდეს. ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement) [ბოლოს ნანახია: 10.03.2017].

მინისტრს, უზრუნველეყო დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ვიდეოჩანაწერების მინიმუმ 1 თვის ვადით შენახვა, თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა და დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ჩანაწერები ინახება საერთო წესით, არანაკლებ 120 საათით.

ზემოთ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსება არის წესრიგის და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით პატიმრის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიება, რა დროსაც მომატებულია პატიმრის მიერ თვითდაზიანების ან მის მიმართ ძალის გამოყენების რისკი, რაც, თავის მხრივ, ზრდის ამ პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს. არსებული რეგულაციის თანახმად, დეესკალაციის ოთახებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით განხორციელებული ჩანაწერების დაარქივება ხდება კონკრეტული პირის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევა, სამართალდარღვევა, მათ შორის, სავარაუდო დანაშაულის ფაქტები, ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალება ან ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზემოაღნიშნული ფაქტები. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული მეთვალყურეობის ჩანაწერების დაარქივება არ უნდა ხდებოდეს კონკრეტული პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ, აღნიშნული ჩანაწერების დაარქივება უნდა მოხდეს, ყველა შემთხვევაში, ავტომატურად. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან, შესაძლოა, არსებული რეგულაციით, იმწუთიერად არ იკვეთებოდეს დაარქივების საფუძველი, თუმცა, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, პატიმარმა წარადგინოს საჩივარი და სადაოდ გახადოს დეესკალაციის ოთახში მისი უფლებების დარღვევის საკითხი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ მითითებული ჩანაწერები იქნება სამინისტროს თანამშრომელთა მიმართ ცრუ და დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან დაცვის გარანტია.

ამდენად, უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმის შესახებ, რომ დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მოთავსება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მკაფიო სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში და საკმარისი სამართლებრივი გარანტიების არსებობის პირობებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ ზომის გამოყენებით ადამიანის უფლებათა დარღვევა. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობაში კონკრეტულად გაიწერება, ვისი გადაწყვეტილებით შეიძლება მოთავსდეს პირი დეესკალაციის ოთახში, აღნიშნული ღონისძიების გამოყენების დასაბუთების სტანდარტი და მისი გამოყენების მაქსიმალური 24 საათიანი ვადა.

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- კანონით დარეგულირდეს დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების საფუძვლები, პროცედურა და მაქსიმალური გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი. ასევე განისაზღვროს ამ

ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირი, გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი და მისი გამოყენებისას პატიმრის სამართლებრივი დაცვის გარანტია

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რომლის თანახმად განსაზღვრული იქნება დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების საფუძვლები, პროცედურა და მაქსიმალური გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი; ასევე განისაზღვროს ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირი, გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი, მისი გამოყენებისას პატიმრის სამართლებრივი დაცვის გარანტიები და უზრუნველყოს ამ პაკეტის მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის
- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალური გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი
- ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების გზით უზრუნველყოს დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსებისას კანონმდებლობის განუხრელი დაცვა
- უზრუნველყოს 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, რომლის თანახმად, დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობის ჩანაწერები უნდა დაარქივდეს, ყველა შემთხვევაში, არანაკლებ 1 თვის ვადით
- უზრუნველყოს დეესკალაციის ოთახებში უსაფრთხო გარემოს შექმნა, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთება.

3.3.2.2. ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა

პატიმრების მიმართ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის საფუძველი განსაზღვრულია „პატიმრობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილით.[65] ხოლო, ვიზუალური ან/და ელექტრონული სა-

65 დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთ-

შუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით.

ხსენებული წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში არსებულ საერთო სარგებლობის საშხაპეებში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოებში და ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა." აღნიშნულ დათქმასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2014 წლის 19 დეკემბერს წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ იმ ადგილების ჩამონათვალს, სადაც არ შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა, დამატებოდა საკანში არსებული საპირფარეშოები, თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგების შესახებ ანგარიშებში ცალსახად აღნიშნავს, რომ ციხეებში მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების პროცესში პატიმრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცული უნდა იყოს საპირფარეშოებითა და საშხაპეებით სარგებლობის დროს.[66]

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად გაირკვა, რომ N6 პენიტენციურ დაწესებულებაში არ არის დაცული პატიმრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. კერძოდ, დაწესებულების უმეტეს საკანში დამონტაჟებულია ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა (ვიდეოკამერები), რომლის არეალშიც ექცევა საპირფარეშოს ტერიტორია და უზრუნველყოფილი არ არის პატიმრის პრივატულობა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.[67]

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებდა, რომ პატიმრებისთვის საკმარისი სამართლებრივი გა-

---

ვალყურეობა ხორციელდება აუდიო და ვიდეოსაშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა.

66 იხილეთ: http://www.cpt.coe.int/documents/hun/2010-16-inf-eng.pdf გვ. 19, პარ. 31, ასევე, http://www.cpt.coe.int/documents/ita/2013-32-inf-eng.pdf გვ. 30, პარ. 60 [ბოლოს ნანახია 12.03.2017].

67 წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი, 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 12.03.2017].

რანტიების მიცემის მიზნით, აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, ასევე, ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, თუ რატომ არ არის ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ისევე როგორც 2015 წელს, 2016 წლის განმავლობაშიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმების შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა, რაც დეტალურად მიმოხილულია საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში.[68]

გარდა ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებისა, მნიშვნელოვანია, პერიოდულად მოხდეს აღნიშნული გადაწყვეტილების გადახედვა. „ევროპული ციხის წესების“ 50.1 წესის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 50.4 წესის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომლებიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“ 50.5 წესის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

მისასალმებელია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება, პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესში, მეთვალყურეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის ვალდებულების განსაზღვრის თაობაზე,[69] თუმცა იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკაში გადაწყვეტილებას შაბლონური ხასიათი აქვს, აზრს კარგავს ფორმალურად ახალი, იმავე დასაბუთების ხარისხის გადაწყვეტილების გამოტანა.

ასევე, საგულისხმოა, რომ 2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, განესაზღვრა ვიდეომეთვალყუ-

68 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 46.

69 ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. ბრძანება გამოიცემა მითითებული საფუძვლების აღმოფხვრამდე, მაგრამ არაუმეტეს 3 თვის ვადით.

რეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა (არანაკლებ 10 დღისა). აღნიშნულთან დაკავშირებით, 2017 წლის 20 მარტს, ცვლილება შევიდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებულ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესში, რომლის თანახმად, ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად განისაზღვრა 120 საათი (5 დღე-ღამე), რასაც სახალხო დამცველი ცალსახად, წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი პრაქტიკა ცხადყოფს, აუცილებელია მითითებული ჩანაწერები ინახებოდეს არანაკლებ 10 დღის ვადით. სახალხო დამცველი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-8 მუხლი ფაქტიურად იმეორებს პატიმრობის კოდექსის შესაბამის მუხლს და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია უფლებამოსილია კოდექსის 54–ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირების[70] შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე. ხსენებულთან დაკავშირებით, 2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა პატიმრობის კოდექსში და ზემოაღნიშნულ წესში შესულიყო ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და დაუშვებელია რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი; თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

სახალხო დამცველი მოითხოვს, რომ სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციის ჯგუფის წევრებთან მიმართებით აღნიშნული დებულება უნდა შეიცვალოს როგორც ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესში, ასევე პატიმრობის შესახებ კოდექსში, ვინაიდან აღნიშნული დებულებები ცალსახად ეწინააღმდეგება საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.

70 საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრები, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები, საქართველოს სახალხო დამცველი, მინისტრი და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რომლის თანახმად განსაზღვრული იქნება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია; ეს პაკეტი წარადგინოს მთავრობასთან პარლამენტში ინიცირებისათვის

- შევიდეს ცვლილება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანებაში და გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია

- ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესში, იმ ადგილების ჩამონათვალს, სადაც არ შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა, დაემატოს საკანში არსებული საპირფარეშოები

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რომლის თანახმად განსაზღვრული იქნება, რომ საკანში არსებულ საპირფარეშოებში არ შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა; პაკეტი წარადგინოს მთავრობასთან პარლამენტში ინიცირებისათვის

- ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ მინისტრის ბრძანება ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მოიცავდეს ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც განაპირობა ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების აუცილებლობა და უალტერნატივობა

- მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება

- შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრუ-

ლი ვადა (არანაკლებ 10 დღისა) და უზრუნველყოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე.

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- პატიმრობის კოდექსში შევიდეს ცვლილება და გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია
- პატიმრობის კოდექსში შევიდეს ცვლილება და გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად, საკანში არსებულ საპირფარეშოებში არ შეიძლება მიმდინარეობდეს მეთვალყურეობა

3.3.2.3. უსაფრთხოების დაცვის მიზნით პატიმრების განცალკევებით მოთავსება

პატიმრების განცალკევებით მოთავსების საფუძველი განსაზღვრულია „პატიმრობის კოდექსის“ 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.[71] ხოლო, მითითებული ღონისძიების გამოყენების საფუძვლები და პროცედურები რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებათა დებულებების დამტკიცების შესახებ. ამ დებულებათა შესაბამისი მუხლებით განსაზღვრულია მსგავსი პროცედურა ყველა დაწესებულებისთვის.[72]

აღსანიშნავია, რომ განცალკევების ვადის გაგრძელების განსხვავებული პირობებია დადგენილი განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებებითა და სხვა დანარჩენი დაწესებულებების დებულებებით. კერძოდ, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დებულებების თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, პატიმრის სხვა პატიმრებისგან განცალკევებით მოთავსების ხანგრძლივობა დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გაიზარდოს გონივრული ვადით, იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რომლის საფუძველზეც მოხდა პატიმრის გან-

71 პატიმრის მიერ საკუთარი თავის, სხვისი და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, პენიტენციურ დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, პატიმარი შეიძლება სხვა პატიმრებისგან განაცალკეონ.

72 კერძოდ, დაწესებულების დირექტორი მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის გონივრული ვადით სხვა მსჯავრდებულებისგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე, ხოლო დაწესებულების დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მსჯავრდებული სხვა მსჯავრდებულებისგან განცალკევებით მოთავსდება საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, მაგრამ არაუმეტეს 24 საათისა. მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევების მოთავსების თაობაზე დაწესებულების დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

ცალკევება; ხოლო სხვა დანარჩენი დაწესებულებების დებულებების თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების ხანგრძლივობა, დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, შეიძლება გაიზარდოს კიდევ 30 დღით. თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, დაწესებულების დირექტორი დეპარტამენტის დირექტორის წინაშე შუამდგომლობს მსჯავრდებულის ან მისი უსაფრთხოებისათვის საშიში პირების პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სხვა დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ასეთი შუამდგომლობის აღსაძრავად აუცილებელი არ არის თავდაპირველად დადგენილი ვადის ამოწურვა.

მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებებში შესულიყო ცვლილება და განსაზღვრულიყო პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ პატიმრების განცალკევებით განთავსების პრაქტიკა აქტიურად გამოიყენება. კერძოდ, ზემოაღნიშნული პროცედურის დაცვით, 2016 წელს N3 დაწესებულებაში განცალკევებით მოთავსებული იყო 1 პატიმარი, N6 დაწესებულებაში - 108, N8 დაწესებულებაში - 115, N11 დაწესებულებაში - 1, N14 დაწესებულებაში - 46, N15 დაწესებულებაში - 38, N17 დაწესებულებაში - 151, N18 დაწესებულებაში - 6, N19 დაწესებულებაში - 6.

გარდა ამისა, ისევე, როგორც 2015 წელს, 2016 წლის განმავლობაშიც, სისტემურ ხასიათს ატარებდა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების განმარტოებით საკანში მოთავსება სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში, ზემოაღნიშნული პროცედურის დაცვის გარეშე. კერძოდ, N6, N7 და N9 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ცალკეული პატიმრები მათი ნების საწინააღმდეგოდ, წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ და ამჟამადაც იმყოფებიან სხვა პატიმრებისგან განცალკევებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებული პატიმრებიდან ზოგიერთს საერთოდ არ უსარგებლია ხანგრძლივი პაემნის უფლებით და ერთ-ერთ მათგანს, რომელიც 2005 წლიდან სხვა პატიმრებისგან განცალკევებით იმყოფება, სასჯელის სახედ განსაზღვრული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის მოხდამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და, პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე,

პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.[73] სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.[74]

ამავდროულად, სასამართლომ საქმეში ფრეთი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ[75] დაადგინა, რომ „უფლება მოიცავს პირის ფიზიკური და ფსიქიკური (სულიერი) მთლიანობის ელემენტებს. პირადი ცხოვრება შეიძლება მოიცავდეს ისეთ ასპექტებსაც, როგორიც საკუთარი თავის აღქმაა.“ სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ასევე ფარავს პიროვნების განვითარებისა და სხვა პირებსა თუ გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების უფლებას.[76]

ამასთან, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ „კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ მსჯავრდებულთ, რომლებიც იმყოფებიან განცალკევებით მოთავსებასთან მიახლოებულ პირობებში, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ამის მიზეზი (დისციპლინარული მიზეზი, მათი „საშიში“ თუ „რთული ქცევის“ შედეგი, სისხლის სამართლებრივი გამოძიების ინტერესები, მათი პირადი მოთხოვნა). პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ დაცული იყოს ბალანსი საქმის მოთხოვნებსა და განცალკევებით მოთავსების ტიპის რეჟიმის გამოყენებას შორის, რომელიც ისეთი ნაბიჯია, რასაც მოჰყვება ძალიან მძიმე შედეგები. მარტო განთავსება, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას; ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ზომა უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე“.[77] ასევე, 2015 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიშში, წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს პატიმრების იზოლირების პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ თვეების მანძილზე პირთა განცალკევებით მოთავსება შესაძლოა გაუტოლდეს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ზრდის პატიმრების მხრიდან საკუთარი ან სხვისი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საფრხის შექმნის რისკს.[78]

ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებით, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, პატიმრების განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვა მოხდეს სავალდებულო წესით, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და, შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით. აღსანიშნავია, რომ მითითებული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე შეიქმნას შესაბამისი სამართლე-

73 იხ. ვალაშინასი ლიტვის წინააღმდეგ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საქმე (Valašinas v. Lithuania), no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე, Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI.

74 იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II.

75 Pretty v UK (29 April 2002).

76 Burghartz, p. 37, § 47, and Friedl v. Austria, 31 January 1995, p. 20, § 45).

77 CPT-ს 1998 წლის ანგარიში ფინეთში ვიზიტის შედეგების შესახებ (CPC/Inf(96)28).

78 წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ A/HRC/31/57/Add.3, პარ. 85.

ბრივი გარანტიები იმისათვის, რომ განცალკევებით მოთავსებულ პატიმრებს დამატებით არ შეექმნათ იმგვარი პატიმრობის პირობები, რომელიც გააძლიერებს როგორც თავისუფლების აღკვეთით, ასევე იზოლირებით გამოწვეულ თანმდევ ტანჯვას.

ზემოაღნიშნული მსჯავრდებულების შემთხვევაში, გაურკვეველია, რა ვადით მოქმედებს პატიმრების მიმართ განცალკევებით მოთავსების ზომა და კონკრეტულად რა გარემოებების დადგენის შემდეგ აღარ იარსებებს მისი გამოყენების საჭიროება, ასევე, რატომ არის შეუძლებელი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ მითითებული მიზნის - მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მიღწევა კონკრეტული მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულებთან მოთავსების ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციებით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დაუყოვნებლივ უზრუნველეყო იმ პატიმრების მოთავსება სხვა პატიმრებთან ერთად, რომლებიც განცალკევებით არიან მოთავსებული მათი ნების საწინააღმდეგოდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურების დაცვის გარეშე. ასევე, შეექმნა შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები იმისათვის, რომ განცალკევებით მოთავსებულ პატიმრებს დამატებით არ შეექმნათ იმგვარი პატიმრობის პირობები, რომლებიც გააძლიერებს როგორც თავისუფლების აღკვეთით, ასევე იზოლირებით გამოწვეულ თანმდევ ტანჯვას. აღსანიშნავია, რომ მითითებული რეკომენდაციები არ შესრულებულა.

დაუშვებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიდგომის უგულებელყოფა, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, პერიოდულად გადასინჯოს მსჯავრდებულის უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული ღონისძიების საჭიროება და პროპორციულობა. ევროპული ციხის წესების 50.5-ე წესის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში“.

საქმეში „რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის იზოლაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას განუსაზღვრელი ვადით. უფრო მეტიც, გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მსჯავრდებულს შესაძლებლობა ჰქონდეს, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ გადასინჯოს გამოყენებული ღონისძიების სახე და საფუძვლები. ამავე საქმეში სასამართლომ დადგინა, კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მსჯავრდებულს არ მიეცა გამოყენებული ღონისძიების გასაჩივრების შესაძლებლობა.[79]

როგორც 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან, სათანადო დასაბუთების გარეშე და განუსაზღვრელი ვადით, პატიმრების განცალკევებით, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძვლით, მოთავსებისას ირღვევა როგორც ეროვნუ-

79 Ramirez Sancjez v. France, no. 59450/00 § 145, 152.

ლი კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო აქტებით დადგენილი სტანდარტები, რაც, ამავდროულად, ეჭვქვეშ აყენებს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეაბილიტაციის შესაძლებლობას და მეტიც, შესაძლოა ქმედება გაუტოლდეს წამებას ან არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმის შესახებ, რომ დაუშვებელია პირის განუსაზღვრელი ვადით იზოლირება, მით უფრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის დაწესებულებათა დებულებების დამტკიცების შესახებ ცალკეული ბრძანებებით დამტკიცებული საფუძვლისა და პროცედურების გარეშე. პატიმრების განუსაზღვრელი დროით იზოლირებით მოთავსებით ირღვევა მათი ფუნდამენტური უფლებები, რაც გარანტირებულია, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-8 და მე-13 მუხლებით.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა
- პატიმრების განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვა მოხდეს სავალდებულო წესით, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით
- შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები იმისათვის, რომ განცალკევებით მოთავსებულ პატიმრებს დამატებით არ შეექმნათ იმგვარი პატიმრობის პირობები, რომლებიც გააძლიერებს როგორც თავისუფლების აღკვეთით, ასევე იზოლირებით გამოწვეულ თანმდევ ტანჯვას
- ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების გზით უზრუნველყოს, რომ პატიმრების ნების საწინააღმდეგოდ, მათი იზოლირება განხორციელდეს მხოლოდ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული საფუძვლით და პროცედურების დაცვით
- დაუყოვნებლივ უზრუნველყოს იმ პატიმრების მოთავსება სხვა პატიმრებთან ერთად, რომლებიც განცალკევებით არიან მოთავსებულები მათი ნების საწინააღმდეგოდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურების დაცვის გარეშე

3.3.2.4. სპეციალური საშუალებების გამოყენება

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური საშუალებებიდან გამოყენებული იყო მხოლოდ ხელბორკილი, კერძოდ, N2 დაწესებულებაში დაფიქსირდა ხელბორკილის გამოყენების 53 შემთხვევა, N3 დაწესებულებაში - 82, N6 დაწესებულებაში - 61, N8 დაწესებულებაში - 16.

2015 წელთან შედარებით, 2016 წელს ხელბორკილები უფრო ნაკლები რაოდენობით იქნა გამოყენებული N3 და N8 დაწესებულებაში, ასევე 2016 წელს ხელბორკილი არ გამოყენებულა N15 და N17 დაწესებულებებში, ხოლო 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს უფრო მეტი რაოდენობით იქნა გამოყენებული N2 და N6 დაწესებულებებში.[80]

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა შემდეგი წინადადებებით მიმართა საქართველოს პარლამენტს:

- „პატიმრობის კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და დაემატოს ჩანაწერი, რომლის თანახმად, დაუშვებელი იქნება ცრემლსადენი გაზის დახურულ სივრცეში გამოყენება
- „პატიმრობის კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს არალეტალური იარაღის სახეები
- „პატიმრობის კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და დაემატოს ჩანაწერი, რომლის თანახმად, დაუშვებელი იქნება ხელბორკილის გამოყენებით პირის მყარ ზედაპირზე მიმაგრება

მითითებული რეკომენდაციები არ შესრულებულა. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ მითითებული რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვანია სპეციალური საშუალებების გამოყენებისას ადამიანის უფლებათა დაცვისა და სათანადო სამართლებრივი გარანტიების არსებობის უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულებების დებულებები უშვებდა დასაბუთების გარეშე, ხელბორკილების რუტინულ გამოყენებას, კერძოდ, დადგენილი იყო, რომ დღის განმავლობაში, მსჯავრდებულის საკნიდან გამოყვანა და დაწესებულებაში გადაადგილება დანიშნულების ადგილზე მიყვანამდე, დასაშვებია მხოლოდ ხელბორკილის გამოყენებით. სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, 2016 წლის დეკემბრის თვეში და 2017 წლის იანვრის თვეში, განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, შეიცვალა ზემოხსენებული ნორმა და განისაზღვრა, რომ ხელბორკილების გამოყენება დასაშვებია, თუ მსჯავრდებული თავისი ქმედებით წინააღმდეგობას უწევს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეს ან/და არ ემორჩილება მის კანონიერ მოთხოვნას, ასევე თუ საფრთხეს უქმნის საკუთარ ან/და სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აზიანებს

80 2015 წელს ხელბორკილი გამოყენებული იყო N2 - 15 შემთხვევაში, N3 დაწესებულებაში - 123, N6 დაწესებულებაში - 22, N8 დაწესებულებაში - 55, N15 დაწესებულებაში - 1, N17 დაწესებულებაში - 3.

ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება, ცდილობს გაქცევას, ან/და თუ არსებობს ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის გონივრული ეჭვი. მითითებულ ცვლილებას საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება და დადებითად აფასებს.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება და ამ პაკეტის მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის, რომლის თანახმად, განსაზღვრული იქნება:
  - არალეტალური იარაღის სახეები
  - ცრემლსადენი გაზის დახურულ სივრცეში გამოყენების დაუშვებლობა
  - ხელბორკილის გამოყენებით პირის მყარ ზედაპირზე მიმაგრების დაუშვებლობა

წინადადებები საქართველოს პარლამენტს

- „პატიმრობის კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და დაემატოს ჩანაწერი, რომლის თანახმად, დაუშვებელი იქნება ცრემლსადენი გაზის დახურულ სივრცეში გამოყენება
- „პატიმრობის კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს არალეტალური იარაღის სახეები
- „პატიმრობის კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და დაემატოს ჩანაწერი, რომლის თანახმად, დაუშვებელი იქნება ხელბორკილის გამოყენებით პირის მყარ ზედაპირზე მიმაგრება

3.3.2.5. შემოწმების პროცედურები

მანდელას წესების შესაბამისად, პატიმრებისა და საკნების ჩხრეკის მარეგულირებელი კანონები და დებულებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს ციხეებში უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით. ჩხრეკა უნდა ტარდებოდეს ჩხრეკის ობიექტის, ადამიანური ხელშეუვალი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაზომიერების, კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით.[81]

81 გაეროს გენერალური ასამბლეა, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 50, რეზოლუცია მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წლის 8 იანვარს, A/RES/70/175.

სხეულის შემოწმების ინვაზიური ბუნებიდან გამომდინარე, სრული შემოწმება შესაძლებელია იყოს დამთრგუნველი ან დამამცირებელი ყველა დაკავებულისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრის სხეულის სრული შემოწმება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია დაწესებულებაში, პატიმრებისა და გარშემომყოფთა უსაფრთოხებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად.[82]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სრული გაშიშვლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული ეჭვის საფუძველზე, შესაბამის გარემოში და განხორციელდეს ღირსების პატივისცემის პირობებში.[83]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* - აღნიშნა, რომ სრული შემოწმება, ზოგადად, წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმების გამოყენება იყოს კანონთან შესაბამისობაში, გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებელი ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[84]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, პატიმრობის კოდექსი[85] და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ითვალისწინებენ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირად შემოწმებას.[86] პენიტენციური დაწესებულებების დებულებები აკონკრეტებენ, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი შემოწმება შეიძლება იყოს არასრული და სრული. ბრალდებულის პირადი არასრული შემოწმება ტარდება, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტოდაქტილოსკოპთან, ექიმთან, გამომძიებელთან წარდგენამდე და წარდგენის შემდეგ; ახლო ნათესავებთან ან სხვა პირებთან შეხვედრამდე და მის შემდეგ; სხვა საკანში გადაყვანისას; ასევე, სხვა შემთხვევებში დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

პირადი არასრული შემოწმებისგან განსხვავებით, პენიტენციური დაწესებულების დებულებები, პატიმრის სრულ შემოწმებას ითვალისწინებს ბრალდებული/მსჯავრდებულის დაწესებულებაში პირველად შემოსახლებისა და მის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვებისა და დაბრუნების ყველა შემთხვევაში.[87] აგრეთვე, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის

82 წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

83 ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ბულგარეთის მთავარობისადმი ბულგარეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2014 წლის 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 იანვარს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{«fulltext»:[«squat»],»CPTSectionID»:[«p-bgr-20140324-en-23»]} [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

84 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wainwright v. the United Kingdom), პარ 42-43.

85 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 75 ნაწილი 4.

86 N5 დაწესებულების დებულება, 22(2).

87 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №149, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 29.

გადაწყვეტილებით, სრული შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა შემთხვევებშიც.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული დანაწესი, რომლის მიხედვითაც ბრალდებული/მსჯავრდებულის სრული შემოწმება უნდა განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირველად შემოსახლების, დაწესებულების დროებით დატოვებისა და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის ნორმას, რომელიც იძლევა სრული შემოწმების რუტინულად და დაუსაბუთებლად განხორცილების შესაძლებლობას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს სრული შემოწმების რუტინულად განხორციელების შესაძლებლობას და ის დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპების გათვალისწინებით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმება განხორციელდეს გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს ადამიანის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევა.

სახალხო დამცველმა, ერთ-ერთი საქმის შესწავლის შედეგად, რომელიც შეეხებოდა მსჯავრდებულ გ.ო.-ს მიმართ სასამართლოში გაყვანამდე სრული შემოწმების პროცედურის ჩატარებას, დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლებაში არააუცილებელ და არაპროპორციულ ჩარევას.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები 2016 წლის 9 სექტემბერს იმყოფებოდნენ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში, სადაც ისინი გაეცნენ მსჯავრდებული გ.ო.–ს მიმართ განხორციელებული ვიზუალური მეთვალყურეობის ამსახველ, მათ შორის, მის მიმართ განხორციელებული სრული პირადი ჩხრეკის, ჩანაწერს. ვიდეოჩანაწერის გაცნობის შედეგად შედგა შესაბამისი ოქმი.

ვიზუალური მეთვალყურეობის ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, რომ 2016 წლის 7 სექტემბერს განხორციელებული მსჯავრდებული გ.ო.-ს სრული პირადი ჩხრეკა მიმდინარეობს 12:16 საათიდან 12:24 საათამდე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სპეციალურ საკარანტინო ოთახში მსჯავრდებულის გარდა იმყოფება დაწესებულების არანაკლებ ექვსი თანამშრომელი.[88] გ.ო. წარმოადგენს მისი ტანსაცმლის ჯიბეებში არსებულ ნივთებს, ხოლო დაწესებულების თანამშრომლები დაწესებულების დებულების თანახმად, ახორციელებენ მისი ნივთების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოწმებას პირადად და მეტალო–დეტექტორის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ ოქმის თანახმად, 12:21:36 წუთზე მსჯავრდებული, დაწესებულების თანამშრომლის მოთხოვნისამებრ, მუხლებამდე წევს შარვალს და

88 საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთა მიერ შედგენილი ოქმის თანახმად, საკარანტინო ოთახში დამონტაჟებული კამერის ხედვის კუთხეში არ ექცევა ოთახის შესასვლელი, შესაბამისად, ოთახში შესაძლოა სხვა პირებიც ყოფილიყვნენ. იხ. დანართი, ოქმი, გვ. 2.

წევს ხელებს განზე, რის შემდეგაც დაწესებულების თანამშრომელი მეტალოდეტექტორით ახდენს წელიდან მუხლებამდე არის შემოწმებას. 12:21:51 წუთზე იგი ანიშნებს მსჯავრდებულს, რომ სხეულის მითითებული ნაწილი სრულად გაიშიშვლოს, რასაც მსჯავრდებული თანხმდება დაახლოებით ერთწუთიანი კამათის შემდგომ. აღსანიშნავია, რომ არა გ.ო პროტესტი, საკარანტინო ოთახიდან გასვლას დაწესებულების დანარჩენი თანამშრომლები არ აპირებდნენ.

მოცემულ შემთხვევაში, აშკარაა, რომ გ.ო.-ს მიმართ გაშიშვლების მოთხოვნა შეუძლებელია ყოფილიყო აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებიდან გამომდინარე. დაწესებულების თანამშრომელთა მოქმედებიდან არ ჩანს, რომ არსებობდა რაიმე სახის ვარაუდი მსჯავრდებულის მიერ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთის ქონის ან რაიმე სხვა სახის კანონდარღვევის ჩადენის შესახებ. მსჯავრდებულის გაშიშვლება მიზნად არ ისახავდა მითითებული არის უფრო კონკრეტულად შემოწმებას. როგორც დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, დაწესებულების თანამშრომელმა ჩაატარა აბსოლუტურად იგივე მოქმედება (მეტალოდეტექტორით ვერტიკალური მოქმედებები მსჯავრდებულის წელიდან მუხლებამდე სივრცეში) როგორც მსჯავრდებულის გაშიშვლებამდე, ისე – მისი გაშიშვლების შემდგომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ პატიმრის გაშიშვლების მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში არ ემსახურებოდა რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საკანში იმყოფებოდა ექვსი ადამიანი, ყოველგვარი ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე, პატიმრის ინტიმურ სფეროში ჩარევა შესაძლოა დამატებით წარმოადგენდეს დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რამდენიმე საქმის მიხედვით, პატიმრის სრული შემოწმება მიიჩნია არაადამიანურ მოპყრობად იქედან გამომდინარე, რომ სრული შემოწმების ჩატარება არ ეფუძნებოდა რეალური უსაფრთოხების დაცვის ინტერესებს და ჩატარების ფორმა იყო მიუღებელი.[89]

დაწესებულების უსაფრთოხების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ასევე გასათვალისწინებელია, რომ უსაფრთხოების სისტემა მოიცავს სხვა მრავალ ელემენტს. მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად შემოწმებასა და დაწესებულების ტერიტორიისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პერიოდულ და მოულოდნელ დათვალიერებას.[90] შესაბამისად, უსაფრთოხების უზრუნველყოფის მიზანი არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ სრული შემოწმების განხორციელებას. ამავდროულად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი იმყოფება პერსონალის კონტროლის ქვეშ, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრის კონტროლის მაღალი ხარისხი. მაგალითისათვის, ასეთ შემთხვევებს შეიძლება განეკუთვნებოდეს პატიმრის სასამართლოში ან საავადმყოფოში გადაყვანა.

89 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე ივანჩუკი პოლონეთის წინააღმდეგ (Iwanczuk v. Poland), 2011 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე შენევი საფრანგეთის წინააღმდეგ (Shennawy v. France), 2001 წლის 24 ივლისის საქმეზე ვალაშინა ლიტვის წინააღმდეგ (Valasina v. Lithuania).

90 პენიტენციური დაწესებულებების დებულებები.

სრული შემოწმების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია, რომ იგი განხორციელდეს ადამიანის პატივისა და ღირსების პატივისცემის პირობებში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების განხორციელებისას არ უნდა მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა.[91]

სრული შემოწმება უნდა განხორციელდეს ცალკე ოთახში, სხვა პატიმრებისა და პირებისგან მოშორებით. ოთახში ადეკვატურად უნდა იყოს დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.[92] მნიშვნელოვანია, რომ ყოველი შემოწმების წინ მოხდეს ადგილის დასუფთავება და ინსტრუმენტების სტერილიზება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სრული შემოწმების გარდა, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული სრული შემოწმება და შინაგანი შემოწმება და არ არის დადგენილი თითოეულის გამოყენების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დადგინდეს, თუ რომელი შემოწმების მეთოდია გამოსაყენებელი კონკრეტულ შემთხვევაში, რაც უფრო მეტად ზრდის ინვაზიური მეთოდის დაუსაბუთებლად გამოყენების შესაძლებლობას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით მოხდეს „გაშიშვლებით შემოწმებისა“ და „შინაგანი შემოწმების“ ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა და, თითოეულის შემთხვევაში, ცალ-ცალკე მკაფიო პროცედურების დადგენა.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა N5 ქალთა დაწესებულებაში სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა ჩანაცვლებულიყო ისეთი ალტერნატიული მეთოდით, როგორიცაა სკანირება.

აღნიშნული რეკომენდაცია ეფუძნებოდა 2015 წელს N5 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს, რომლის თანახმადაც ხდებოდა ქალ პატიმართა გაშიშვლება და ბუქნების გაკეთების მოთხოვნა. ქალი პატიმრები განმარტავდნენ, რომ აღნიშნული პროცედურები იყო დამამცირებელი და მორალურ ზიანს აყენებდა მათ. აგრეთვე, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროცედურები ტარდებოდა პატიმრის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, პატიმრები უარს აცხადებენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო პროცესზე გაყვანაზე.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია სკანერის, როგორც ქალი პატიმრების სრული შემოწმების ალტერნატიული მეთოდის, გამოყენებაზე რეკომენდაცია

91 ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავარობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის CPT), მიერ 2014 წლის 1-10 აპრილის ჩათვლით, პარა. 85, გამოქვეყნდა 2015 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{“fulltext”:[“squat”],”CPTSectionID”:[“p-cze-20140401-en-30”]} [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

92 წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

ეფუძნებოდა ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებს (ბანგკოკის წესები), რომლის მიხედვითაც სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა უნდა ჩაანაცვლოს ისეთმა შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, რათა თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.[93]

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს - N5 ქალთა დაწესებულებაში სკანერის აპარატების დამონტაჟებასა და N5 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას, რომლის შესაბამისად ბრალდებულ/მსჯავრდებულს უფლება აქვს პირადი სრული შემოწმება გაიაროს სკანერის გამოყენებით.

2016 წელს განხორცილებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ N5 ქალთა დაწესებულებებში, ყველა შემთხვევაში არ ხდებოდა სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის გამოყენება. კონკრეტულად კი, ქალთა დაწესებულებაში სკანერი გამოიყენებოდა სრულ შემოწმებასთან ერთად და არა როგორც სრული შემოწმების ალტერნატივა. აღნიშნული პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ბანკოკის წესებით დადგენილ სტანდარტებთან. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის, გამოყენების შემთხვევაში არ უნდა მოხდეს შემოწმების სხვა დამატებითი მეთოდების გამოყენება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წელს სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს პატიმრები უთითებდნენ სრული (გაშიშვლებით) შემოწმებისა და ბუქნების გაკეთების პრობლემაზე. პატიმრების განმარტებით, აღნიშნული პროცედურებს ისინი დამამცირებლად აღიქვამდნენ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, შეძენილია სკანერის აპარატები N2, N6, N8 და N17 დაწესებულებებისათვის, თუმცა როგორც ირკვევა, აღნიშნული აპარატები არ არის განკუთვნილი ბრალდებულების/მსჯავრდებულების შესამოწმებლად.[94]

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულების სრული შემოწმების ალტერნატივად სკანერის გამოყენება, რაც დაწესებულებების დებულებებით იქნება განსაზღვრული.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან სხვადასხვა შეხვედრებზე დაფიქსირებული პოზიციის საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც სამინისტროს წარმომადგენლები პატიმართა სრულ შემოწმებას უკავშირებენ დაზიანების დოკუმენტირებას, სახალხო დამცველს სურს აქვე გაუსვას ხაზი, რომ აღნიშნული შეხედულება არის მცდარი, რადგანაც სრული შემოწმება თავ-

93 გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესები (ბანგკოკის წესები) წესი 19, 20, 2010 წლის 6 ოქტომბერი, A/C.3/65/L.5.

94 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროს 2017 წლის 2 თებერვლის წერილი MOC 717 00104588 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/1748).

ისი არსითა და რეგულირებით წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ პროცედურას, რომელსაც კავშირი არ აქვს დაზიანების დოკუმენტირებასთან. თუ მსჯავრდებულის სრული შემოწმების მიზანია დაწესებულებაში უსაფრთოხების განყოფილების მოსამსახურეებთან ერთად აკრძალული საგნების, ნივთიერებებისა და კვების პროდუქტების ამოღება, დაზიანების დოკუმენტირების მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება ექიმის მიერ, კონფიდენციალურ გარემოსა და პაციენტის ინფორმირებული თანხმობის პირობებში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებებში არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების შემოწმებასთან დაკავშირებით. მონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, განსხვავებულად ტარდება ხანმოკლე და ხანგრძლივ პაემანზე შემოსულ პირთა შემოწმების პროცედურა. მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, ხანმოკლე პაემანზე შემოსული პირები მოწმდებიან ჩაცმულ მდგომარეობაში, ტანსაცმელზე გარედან ხელის შეხებითა და მეტალოდეტექტორის გადატარებით. ხანგრძლივი პაემნის შემთხვევაში ხდება პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების (საცვლის გარეშე) ცალ-ცალკე გაშიშვლება და დეტექტორით შემოწმება. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას N5 ქალთა დაწესებულებაში მოთავსებული რამდენიმე პატიმარი უკმაყოფილებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ პაემანზე მოსული მცირეწლოვანი ბავშვების შემოწმება ხდება გაშიშვლებით. ნელსონ მანდელას წესების შესაბამისად, სხეულის სრული შემოწმება მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული მნახველების შემთხვევაში და ის არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვების მიმართ.[95]

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების შემოწმება გულისხმობს პირის კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმებას. დებულებებში აგრეთვე მითითებულია, რომ დაწესებულებაში შემოსული პირის შემოწმება უნდა განხორციელდეს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში, როდესაც პირს, რომელიც საკონტროლო-გამშვებ პუნქტში გადის, განზრახული აქვს შეიტანოს დაწესებულებაში აკრძალული ნივთები, ნივთიერებები და აკრძალული საკვები პროდუქტები ან გაიტანოს დაწესებულებიდან არაკანონიერად შეძენილი მატერიალური ფასეულობები.

აღნიშნული რეგულაციების მიუხედავად, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების სრულ ან სკანერით შემოწმების ვალდებულებებს, დამკვიდრებული თვითნებური პრაქტიკის შესაბამისად, დაწესებულებაში მყოფ პატიმრებთან ხანგრძლივ და ხანმოკლე პაემანზე შესულ პირთა შესვლის უფლების მქონე პირების სრული შემოწმება ხორციელდება ნორმატული ბაზის სრული უგულებელყოფით.

დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების მიმართ სკანერის აპარატის მეშვეობით შემოწმებასა და მის ალტერნატივად სრული შემოწმების პრაქ-

95 მანდელას წესები, წესი 60(2).

ტიკის არსებობას კიდევ უფრო ამყარებს ის შემოწმების პროცედურა, რომლის მონაწილენი თავად გახდნენ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსის შესაბამისად სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დაწესებულებაში შესასვლელად არ საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას და მათზე დაწესებულებაში შეშვების განსხვავებული წესი მოქმედებს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დათანხმდნენ მათდამი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მოთხოვნილი შემოწმების პროცედურის გავლას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მხრიდან აღნიშნულ შემოწმებაზე დათანხმების მიზანს წარმოადგენდა დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების მიმართ დამკვიდრებული უკანონო და გაუმართლებელი შემოწმების პრაქტიკის დოკუმენტირება. ამ შემთხვევის საინტერესო გარემოებები მოცემულია ქვემოთ.

2017 წლის 26 იანვარს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს N5 დაწესებულებაში მოსთხოვეს სრული შემოწმება. მათ დაწესებულების დაცვის განყოფილების უფროსმა განუმარტა, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლისა და გამოსვლისას უნდა გაევლოთ შემოწმება სპეციალური სკანერის აპარატის მეშვეობით. უარის შემთხვევაში, მათ შესთავაზეს ალტერნატივა - სრული შემოწმების სახით. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად დაწესებულების დირექტორი, მისი მოადგილე და დაწესებულების იურისტი მიუთითებდა გაურკვეველ ბრძანებაზე, რომელიც დაწესებულების შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას იყო გამოკრული. აღნიშნულ დოკუმენტზე მითითებული იყო, რომ თუ დაწესებულების საკონტროლო გამშვებ პუნქტზე შემოსული პირი არ გაივლიდა სკანერით შემოწმებას, დაწესებულებაში შემოსვლა/გასვლის დროს უნდა გაევლო სრული შემოწმება.

როგორც შემდგომ გაირკვა, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო არა ბრძანება, არამედ ბრძანების პროექტი, რაც დღემდე არ არის დამტკიცებული. მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დაემორჩილნენ აღნიშნულ მოთხოვნას და გაიარეს შემოწმება სკანერის მეშვეობით. შუადღეს, N5 დაწესებულებიდან დროებით გამოსვლისას და შემდგომში უკან შესვლისას, სკანერით შემოწმებაზე უარის თქმის გამო, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს მოსთხოვეს გაევლოთ შემდეგი სახის შემოწმება: დაწესებულების შესასვლელთან არსებულ იზოლირებულ, სათვალთვალო კამერით აღჭურვილ ოთახში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მდედრობითი სქესის წევრებს გაახდევინეს ფეხსაცმლები, ასევე შეამოწმეს ტანსაცმელზე გარედან ხელის შეხებითა და მეტალოდეტექტორის გადატარებით, ამოატრიალებინეს ჯიბეები და სთხოვეს გამოეწიათ ბიუსტჰალტერები. ჯგუფის მამრობითი სქესის წევრებს კი მოსთხოვეს ფეხსაცმლის გახდა, ამოატრიალებინეს ჯიბეები და შეამოწმეს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს განუმარტეს, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების სტატუსიდან გამომდინარე დაუშვეს გამონაკლისი და, დაწესებულებაში შემსვლელი პირებისათვის სკანერით შემოწმების ალტერნატივად გამოიყენება სრული შემოწმება, რაც ტანსაცმლის გახდას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დაწესებულებაში შემსვლელი პირების მიმართ უგულებელყოფილია პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით განსაზღვრული ნორმები. კონკრეტულად კი, სახალხო დამცველის უკიდურეს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებთან ხანგრძლივ და ხანმოკლე პაემანზე შემსვლელი პირების კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმება ხდება რუტინულად და არა დასაბუთებული ვარაუდიდან გამომდინარე. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში შემსვლელ პირებს უკანონოდ სთხოვენ ნაწილობრივ (გაშიშვლებით) შემოწმების გავლას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მიმართა წერილით, რომლითაც მოითხოვდა დაფიქსირებულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამის რეაგირებას.[96] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაგზავნილი წერილის საპასუხოდ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა სამართლებრივი რეგულაციების დახვეწისა და შემუშავების მიზნით, რათა მომავალში მსგავსი ფაქტები თავიდან იქნეს აცილებული.[97]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის იდეა ეფუძნება ამ მექანიზმის წევრების დაკავების, თავისუფლების აღკვეთისა და სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში დაუბრკოლებელ შესვლასა და ასეთ ადგილებში მოულოდნელი (წინასწარ შეტყობინების გარეშე) მონიტორინგის ჩატარებას, რაც, თავის მხრივ, ემსახურება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას. როგორც წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი, ასევე „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზანი და სულისკვეთება ცხადყოფს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და ფუნქციების ეფექტურად განსახორციელებლად აუცილებელია სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაშვება დახურული ტიპის დაწესებულებებში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

ამ მხრივ, „პატიმრობის კოდექსი“ (მუხ. 60(1)-„ზ“) სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო რეგულაციებთან, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დაწესებულებაში შესასვლელად არ საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას და მათზე დაწესებულებაში შეშვების განსხვავებული წესი მოქმედებს.

შესაბამისად, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს, თავისი მანდატიდან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში შესასვლელად არ მოეთხოვება რაიმე შემოწმების გავლა, მით უმეტეს, არ ეკისრება სკანერით შემოწმების ან სრული შემოწმების გავლის ვალდებულება. თუმცა, დამკვიდრებული პრაქტიკით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები

96 სახალხო დამცველის მიერ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისათვის 2017 წლის 13 მარტს გაგზავნილი წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/3330).

97 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროს 2017 წლის 16 მარტის წერილი MOC 917 00201654 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/3330).

გამოხატავდნენ კეთილ ნებას და მაინც გადიოდნენ შემოწმებას მეტალოდეტექტორის მეშვეობით, რისი ვალდებულებაც მათ არ ჰქონდათ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესახებ, რათა თავიდან აიცილონ როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა, ასევე რიგითი მოქალაქეების უფლებების არაგონივრული შეზღუდვა.

სახალხო დამცველს მნიშნელოვანად მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დაწესებულებაში შემსვლელი პირების შემოწმების პროცედურების მონიტორინგს. აღნიშნული მნიშნელოვანია, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოირიცხოს თანამშრომლების თვითნებობა და დაწესებულებაში შემსვლელი პირების შემოწმება განხორციელდეს არსებული ნორმატიული ბაზისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

რეკომენდაცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- უზრუნველყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების მარეგულირებელი, მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს გადასინჯვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის, უსაფრთხოების/წესრიგის დაცვის მიზნისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსის მისაღწევად
- ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების მოთხოვნა განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით, ამავდროულად, სრული შემოწმების მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებელია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესთავაზონ სკანირება, როგორც შემოწმების ალტერნატიული მეთოდი, რაც დაწესებულებების დებულებებით იქნება განსაზღვრული
- მიიღოს ყველა ზომა, რათა პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით მოხდეს „გაშიშვლებით შემოწმებისა“ და „შინაგანი შემოწმების“ ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა და თითოეულის გამოყენების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურების დადგენა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სრული შემოწმების განხორციელებისას არ მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა; აღმოიფხვრას ე.წ „ბუქნების გაკეთების“ პრაქტიკა

- მიიღოს ყველა ზომა, რათა N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში აღმოიფხვრას პატიმართან შესახვედრად შემსვლელი მცირეწლოვანი ბავშვების სრული შემოწმების პრაქტიკა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სკანირების, როგორც ალტერნატული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, არ მოხდეს დამატებით შემოწმების სხვა მეთოდების გამოყენება
- უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის მიერ დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების შესვლის პროცედურების მონიტორინგი, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოირიცხოს თანამშრომლების თვითნებობა და დაწესებულებაში შემსვლელი პირების შემოწმება განხორციელდეს არსებული ნორმატიული ბაზისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის მიერ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის შემოწმების პროცედურების მონიტორინგი, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოირიცხოს თანამშრომლების თვითნებობა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შემოწმება განხორციელდეს არსებული ნორმატიული ბაზისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს, თავისი მანდატიდან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში შესასვლელად არ მოეთხოვება კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმება, მითუმეტეს, არ ეკისრება სკანერით შემოწმებისა და სრული შემოწმების გავლის ვალდებულება.

3.4. პერსონალი – სამუშაო პირობები, სწავლება და ანგარიშვალდებულება

მანდელას წესების შესაბამისად, ციხის მართვის ორგანოები უნდა იღწვოდნენ ციხის ყველა კატეგორიის პერსონალის ყურადღებით შერჩევისთვის, რადგან ციხის კარგი მართვა დამოკიდებულია ამ თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობასა და პირად თვისებებზე.[98]

პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებულები არიან ადმინისტრაციული, სოციალური უზრუნველყოფის, უსაფრთხოების, სამართლებრივი რეჟიმისა და სპეციალური აღრიცხვის განყოფილების თანამშრომლები. ამავე დროს, დაწესებულებაში ფუნქციონირებს საექიმო-სამედიცინო პუნქტი, რომელიც საქმიანობას ეწევიან სამინისტროს სამოქალაქო სამსახურის საჯარო მოსამსახურეები და მოწვეული სპეციალისტები.[99]

98 მანდელას წესები, წესი 74 (1).
99 იხ. პენიტენციური დაწესებულებების დებულებები.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებების ადმინისტრაციულ და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების მოსამსახურეები არიან საჯარო მოსამსახურეები და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი. დაწესებულებების უსაფრთხოების, სამართლებრივი რეჟიმისა და სპეციალური აღრიცხვის განყოფილების მოსამსახურეები არიან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრები და რიგითები.

იქედან გამომდინარე, რომ პენიტენციური დაწესებულებები წლების განმავლობაში წარმოადგენდნენ გასამხედროებული სისტემის ნაწილს, რომლის მართვაც დაფუძნებული იყო დასჯისა და მკაცრი რეჟიმის კონცეფციაზე, საზოგადოებაში წლების განმავლობაში დამკვიდრდა აზრი, რომლის მიხედვითაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობა არ იყო პრესტიჟული.

სახალხო დამცველი წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს სამოქალაქო სამსახურისა და პენიტენციური სამსახურის გაყოფას. არსებული ვითარების ფონზე, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რათა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მიმართოს ახალი კადრების მოზიდვის აქტიურ პოლიტიკას. აღნიშნული უნდა გულისხმობდეს, საზოგადოების აქტიურ ინფორმირებას პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმების შესაძლებლობებისა და ციხეებში არსებულ სამუშაო პირობებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საზოგადოების აქტიური ინფორმირება ციხეებში არსებული სამუშაო პირობების შესახებ ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ციხისადმი ინტერესის გაღვივებასა და სამუშაოდ პოტენციური ახალი კადრების მოზიდვას.

ახალი პროფესიონალი კადრების მოზიდვისა და დასაქმების პარალელურად, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებში შეინარჩუნონ კვალიფიციური კადრები. ამისათვის აუცილებელია, რომ დაწესებულების პერსონალის ანაზღაურება და სამუშაო პირობები იყოს ხელსაყრელი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რთული და შრომატევადი სამუშაოს კომპენსირება.[100]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი სამედიცინო დაზღვევით. რთულია დაწესებულებებში მომუშავე მორიგე ექიმებისა და ექთნების სამუშაო პირობები, რომლებსაც დატვირთული გრაფიკით უწევთ მორიგეობა ღამის ცვლის განმავლობაში. დაბალი ანაზღაურების პირობებში უწევთ მუშაობა სანიტრებს, რომლებიც უვლიან მძიმე ავადმყოფებს და ასრულებენ რთულ სამუშაოს.

მძიმე სამუშაო პირობები აქვთ დაწესებულებებში მომუშავე ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებს. დაწესებულებების ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებზე არსებული მაღალი მოთხოვნისა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები დამატებითი ადამიანური რესურსების მოსაძიებლად.[101]

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებების დიდი ნაწილი მდებარეობს ქალაქგარეთ, დაწესებულებების პერსონალისათვის არ არის უზრუნველყოფილი დაწე-

100 მანდელას წესები, წესი 74 (3).
101 დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში - „დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები".

სებულებამდე ტრანსპორტირება. დაწესებულებებში თანამშრომლებისათვის არ არის უზრუნველყოფილი სათანადო კვება. შესაბამისად, მათ ძირითადად მშრალი საკვების საკუთარი ხარჯით შეძენა უწევთ დაწესებულების მაღაზიაში.

სტრესულ და დაძაბულ გარემოში მუშაობის მიუხედავად, დაწესებულებების თანამშრომლებთან არ მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული გადაწვის თავიდან ასაცილებლად. თანამშრომლებს არ უტარდებათ სტრესის მართვის ტრენინგები.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მიხედვით, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სასწავლო მასალები და ინფორმაცია, რომლებიც ეხება წამების აკრძალვას, სრულად იქნეს შეტანილი სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის, სამოქალაქო ან სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და სხვა პირთა მომზადების პროგრამებში.“ ეს გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, შეიმუშავოს ისეთი პროგრამა, რომელსაც ექნება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიზნობრივი მეთოდოლოგია.

„მანდელას წესების“ 75-ე წესის თანახმად, „ციხის ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტანდარტის განათლება და უნდა მიეცეს შესაძლებლობა და საშუალება, პროფესიონალურად განახორციელოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები. მოვალეობის შესრულების დაწყებამდე, ციხის ნებისმიერმა თანამშრომელმა უნდა გაიაროს მის ზოგად და კონკრეტულ მოვალეობებზე მორგებული სწავლება, რომელიც ეფუძნება პენოლოგიური მეცნიერების თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს. ციხეში მუშაობის საშუალება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც, სწავლების ბოლოს, წარმატებით გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ ტესტირებას. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს შიდა სასწავლო კურსები, რათა შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს პერსონალის პროფესიული შესაძლებლობები მოვალეობის შესრულების დაწყების შემდეგ და მათი კარიერის განმავლობაში.“

76.1-ე წესის თანახმად, „სწავლება, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს: შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობა, რეგულაციები და პოლიტიკა, მოქმედი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები, დებულებები, რომლებიც გამოიყენება ციხეში მუშაობისა და პატიმრებთან ურთიერთობის სახელმძღვანელოდ; ციხის პერსონალის უფლებები და მოვალეობები დაკისრებული მოვალეობების შესრულების პროცესში, მათ შორის ნებისმიერი პატიმრის ღირსების პატივისცემა და ზოგიერთი ქმედების აკრძალვა, მაგალითად, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის; უშიშროება და უსაფრთხოება, მათ შორის, დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია, ძალისა და შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, ასევე ძალადობრივი დამნაშავეების მართვა პრევენციული და განმუხტვის ისეთი ტექნიკის საშუალებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია; პირველადი დახმარება, პატიმრის ფსიქო-სოციალური საჭიროებები და ციხის შესაბამი-

სი დინამიკა, ისევე, როგორც სოციალური ზრუნვა და დახმარება, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ადრეული დიაგნოსტიკა.“

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა სამართლებრივი რეჟიმის 1205-მა, უსაფრთხოების 236-მა, სწრაფი რეაგირების 15-მა და სპეციალური აღრიცხვის 76-მა თანამშრომელმა.[102]

სახალხო დამცველი მიესალმება, პენიტენციური დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის, უსაფრთხოების, სწრაფი რეაგირების ძალებისა და სპეციალური აღრიცხვის სამსახურის თანამშრომელთა სავალდებულო გადამზადების სასერტიფიკაციო პროგრამის განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2017 წლის 20 იანვარს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის გაგზავნილი N 03-4/910 წერილით, გამოთხოვილი იყო ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგების შესახებ. ამასთან, აღნიშნული წერილით გამოთხოვილი იყო სასწავლო პროგრამების დეტალური სილაბუსის ასლები. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ 2017 წლის 23 თებერვალს გამოგზავნილი MOC 617 00143412 წერილისა და დანართის სახით გამოგზავნილი პროგრამების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროგრამების მეთოდოლოგია არის ზოგადი ხასიათის და საჭიროებს შემდგომ დახვეწას. პროგრამის სილაბუსი არ იძლევა ინფორმაციას თითოეული სესიის დროს დასაფარი კონკრეტული თემატიკისა და სესიის დროს გამოსაყენებელი სწავლების ფორმატის შესახებ. მაგალითად, თითოეული ჩასატარებელი სესიის ქვეშ კონკრეტული თემატიკის გარეშე ჩამოწერილია მხოლოდ საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამის დასაწყისში ზოგადად საუბარია სწავლების მეთოდოლოგიაზე, არცერთი სესიის გრაფაში არ არის მითითებული კონკრეტული სესიის ჩატარების მეთოდოლოგია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რთულია იმის გარკვევა, თუ რა სახის მეთოდოლოგიაზეა დაფუძნებული სწავლება. არცერთი სესიის გრაფაში არ არის მითითებული ინფორმაცია სწავლების ფორმატთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი, არის თუ არა თითოეული სესია ლექციის ფორმატის ან ინტერაქტიული ხასიათის. ითვალისწინებს თუ არა ესა თუ ის სესია ჯგუფურ მუშაობას, პრეზენტაციებსა და საქმეების ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში მიღებული ცოდნის შესამოწმებლად გათვალისწინებულია გამოცდა, სასწავლო პროგრამაში არ არის მითითებული, თუ რა ფორმატის გამოცდით ხდება ცოდნის შემოწმება.

სასწავლო პროგრამაში არსად არ ჩანს, ითვალისწინებს თუ არა თითოეული სესია უკუკავშირს. კონკრეტულად, ხდება თუ არა მსმენელების მიერ გავლილი სესიის შეფასება და მათი დამატებითი საჭიროებების გამოვლენა. ამავე დროს, მნიშნელოვანია, რომ ტრენერების მხრიდანაც მოხდეს სესიის შეფასება,

102 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის 23 თებერვლის წერილი MOC 617 00143412 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/910).

თუ რამდენად კმაყოფილნი არიან სწავლების შედეგით და რა დამატებითი რესურსების ქონაა საჭირო იმისათვის, რომ მომავალში მოხდეს პროგრამის გაუმჯობესება.

სახალხო დამცველი მიესალმება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით პენიტენციური დაწესებულებების ექიმებისათვის გამართულ ტრენინგს, რომელიც შეეხებოდა დაზიანებების ახლად დამტკიცებული ფორმის შესაბამისად დოკუმენტირებას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონიტორინგისას გამოკითხული ექიმები დადებითად აფასებდნენ ჩატარებულ ტრენინგს, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ მათ კვლავაც აქვთ არაერთი კითხვა დოკუმენტირების პროცედურასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სამინისტრომ გააგრძელოს ამ მიმართულებით ექიმების რეგულარული გადამზადება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო დეპარტამენტმა უზრუნველყოს აქტიური კომუნიკაცია დაწესებულების ექიმებთან, რათა დამატებით კითხვებზე დროულად გაეცეთ პასუხები. ამავე დროს აუცილებელია, რომ ექიმებისათვის ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი სახელმძღვანელო მასალა.

სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებების საკითხების შეტანასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებების სწავლებისათვის დათმობილი დრო ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ ათვისებასა და გააზრებას. კონკრეტულად კი, პროგრამებში ადამიანის უფლებების სწავლებისათვის დათმობილი 3 საათი მიმართულია უფრო საკითხების ზოგადად გასაცნობად, ვიდრე მათ გასააზრებლად პრინციპების დონეზე.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პენიტენციური სამართლებრივი რეჟიმის სამსახურის თანამშრომლებისათვის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია მონიტორინგის განმახორციელებელი ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმების, პროფესიული ეთიკის, დინამიკური და სტატიკური უსაფრთხოების შესახებ სესიები. მიუხედავად ამისა, უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული თემატიკის სესიები არ არის გათვალისწინებული უსაფრთოხების სამსახურის თანამშრომლებისათვის.

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სასერტიფიკაციო სასწავლო პროგრამებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ძალადობრივი დამნაშავეების მართვა პრევენციული და განმუხტვის ისეთი ტექნიკის საშუალებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში დაწესებულების თანამშრომლებმა დამატებით გაიარეს ტრენინგები ისეთ საკითხებში, როგორიცაა „სუიციდის პრევენცია, დანაშაულის გაცნობიერება ზრდასრულთათვის“, „პირველადი მომზადების სასწავლო კურსი სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამსახურეებისათვის“, „არას-

რულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“, „პოზიტიური აზროვნება“, „მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვა“, „საარჩევნო პროცესების ორგანიზება (TOT)“, „საარჩევნო პროცესების ორგანიზება პენიტენციურ დაწესებულებებში“, „პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელება“, „ზრდასრულების სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლი (SAAP)“, „თავშესაფრის მაძიებელთან, ლტოლვილებთან, მოქალაქეობის არმქონე და იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობა პენიტენციურ დაწესებულებებში“.

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული ტრენინგების ჩატარებას, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ტრენინგის თემატიკაში მაქსიმალურად იყოს შეტანილი ისეთი საკითხები, როგორიცაა პერსონალის უფლებები და მოვალეობები დაკისრებული მოვალეობების შესრულების პროცესში, მათ შორის ნებისმიერი პატიმრის ღირსების პატივისცემა და ზოგიერთი ქმედების აკრძალვა, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა. მათ შორის, დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია, ძალისა და შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, ასევე წინააღმდეგობის გამწევი პირების მართვა პრევენციული და განმუხტვის ისეთი ტექნიკის საშუალებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია, პატიმრის ფსიქო-სოციალური საჭიროებები და ციხის შესაბამისი დინამიკა, ისევე, როგორც სოციალური ზრუნვა და დახმარება, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ადრეული დიაგნოსტიკა.

სახალხო დამცველის მიერ, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ტრენინგის შედეგების ეფექტურობისა და მდგრადობის შეფასების, ასევე მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების სუპერვიზიის ეფექტური მექანიზმის შემუშავებას.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლების პრაქტიკაში გამოყენების შემოწმებას აწარმოებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველო. სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროს გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველოს მიერ სწავლების პრაქტიკაში გამოყენების შემოწმებას. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ თითოეული სასწავლო პროგრამისა და ტრენინგის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შემოწმებასა და შეფასებას. მათ შორის, სხვადასხვა პრაქტიკული სიტუაციების იმიტაციისა და როლურ თამაშებზე დაკვირვების შედეგად თანამშრომელთა შეფასების გზით.

პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სათანადო ანგარიშვალდებულების არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველ-

საყოფად. ამისათვის უნდა არსებობდეს იმგვარი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც შესაძლებელს გახდის შიდა და გარე მონიტორინგის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებზე და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით, პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციის და თითოეული თანამშრომლის მიერ ფუნქციების შესრულებისა და დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების შესაძლებლობის შეფასებას. ამგვარი ჩარჩოს შექმნა გაზრდის დაწესებულების გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და სანდოობას.[103]

„სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის პრინციპები, წესი და უფლებამოსილება, მოსამსახურის სტატუსი, მისი უწყვეტი პროფესიული მომზადების სისტემა, სამართლებრივი, უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის გარანტიები. ამასთან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებით, წახალისების წესით და ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების (შემდგომში – მოსამსახურეთა) დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების საფუძვლები, დისციპლინური სახდელებისა და წახალისების სახეები, მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესი, ასევე, მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტები და წესები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას, სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული არ არის ფუნქციების შესრულების შეფასების სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, შეექმნა იმგვარი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა შიდა და გარე მონიტორინგის წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებსა და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით, როგორც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის, ასევე თითოეული თანამშრომლის მიერ ფუნქციების შესრულების და დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების შესაძლებლობის შეფასებას, თუმცა ხსენებული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულების და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად შეემუშავებინა აუცილებელი მკაფიო სამუშაო აღწერილობები, სტანდარტული

103 გაეროს ციხის ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო, გვ.13, 2003 წელი.

საოპერაციო პროცედურა და ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო წესები. 2015 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მზადდებოდა პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტები, სადაც კონკრეტულად უნდა გაწერილიყო მოსამსახურეთა თითოეული პოზიციისთვის უფლება-მოვალეობები, თუმცა დღემდე აღნიშნული აღწერილობები მინისტრს არ დაუმტკიცებია.

უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტების ერთობლიობის არარსებობისა და თანამშრომელთა არასათანადო კვალიფიკაციის პირობებში, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს უჭირთ სწორი გადაწყვეტილების დროულად მიღება, რაც ზრდის ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის რისკებს.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა ინდივიდუალური ანგარიშვალდებულების საკითხს, უშუალო ზედამხედველთან ანგარიშვალდებულების გარდა, თანამშრომლის მიერ ჩადენილ შესაძლო გადაცდომას შეისწავლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია. სახალხო დამცველის აპარატმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია, 2016 წელს პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების და დაკისრებული სახდელების შესახებ, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს არ მიუღია.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინიტრს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა განხორციელდეს ახალი კადრების მოზიდვის აქტიური პოლიტიკა, აღნიშნულის მისაღწევად, მოხდეს საზოგადოების აქტიური ინფორმირება პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმების შესაძლებლობებისა და არსებული სამუშაო პირობების შესახებ
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულების პერსონალის ანაზღაურება და სამუშაო პირობები იყოს ხელსაყრელი და უზრუნველყოფილ იქნეს რთული და შრომატევადი სამუშაოს შესაბამისი კომპენსირება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულების პერსონალი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო კვებით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულების პერსონალისათვის უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულებამდე ტრანსპორტირება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებების თანამშრომლებთან მიმდინარეობდეს მუშაობა პროფესიული გადაწვისა და სტრესის მართვის საკითხებზე

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროგრამების მეთოდოლოგიის ფარგლებში, თითოეული სესიის განსაზღვრისას, მითითებული იყოს ინფორმაცია კონკრეტული თემატიკისა და სესიის დროს გამოსაყენებელი სწავლების ფორმატის შესახებ

- მიიღოს ყველა ზომა, რათა თითოეული სესია მაქსიმალურად იყოს დაფუძნებული ინტერაქტიული სწავლების მეთოდებზე, მათ შორის, აქტიურად იქნეს გამოყენებული ჯგუფური მუშაობის ფორმატი, პრეზენტაციები და საქმეების ანალიზი

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროგრამაში განისაზღვროს გამოცდის სახე და ფორმატი

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროგრამები ითვალისწინებდეს სათანადო უკუკავშირს მსმენელების მხრიდან, კონკრეტულად, სასწავლო პროგრამის ფარგლებში შეფასდეს მსმენელების მხრიდან გავლილი სესიადა გამოვლინდეს დამატებითი საჭიროებები

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროგრამები ითვალისწინებდეს უკუკავშირს ტრენერების მხრიდან, კონკრეტულად, მნიშნელოვანია, რომ ტრენერების მხრიდან შეფასდეს სესია, თუ რამდენად კმაყოფილები არიან სწავლების შედეგით და რა დამატებითი რესურსების ქონაა საჭირო იმისათვის, რომ მომავალში მოხდეს პროგრამის გაუმჯობესება

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროგრამებში უფრო მეტი დრო დაეთმოს ადამიანის უფლებების სწავლებას იმისათვის, რომ დაწესებულებების თანამშრომლებისათვის შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხების თეორიული და პრაქტიკული ათვისება და გააზრება

- მიიღოს ყველა ზომა, რომ სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ძალადობრივი დამნაშავეების მართვა პრევენციული და განმუხტვის ისეთი საშუალებებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია

- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებების პერსონალისთვის ჩატარდეს ტრენინგები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა პერსონალის უფლებები და მოვალეობები დაკისრებული მოვალეობების შესრულების პროცესში, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა, დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია, ძალისა და შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, ძალადობრივი დამნაშავეების მართვა პრევენციული და განმუხტვის ისეთი ტექნიკის საშუალებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია, პატიმრის ფსიქო-სოციალური საჭიროებები და ციხის შესაბამისი დინამიკა, ისევე, როგორც სოციალური ზრუნვა და დახმარება, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ადრეული დიაგნოსტიკა

- მიიღოს ყველა ზომა, რათა თითოეული სასწავლო პროგრამისა და ტრენინგის ფარგლებში შემუშავდეს მეთოდოლოგია, რომლითაც განხორციელდება კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შემოწმება და შეფასება, მათ შორის, სხვადასხვა პრაქტიკული სიტუაციების იმიტაციისა და როლურ თამაშებზე დაკვირვების შედეგად თანამშრომელთა შეფასების გზით

- შეიქმნას იმგვარი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც შესაძლებელს გახდის ორგანოების მიერ შიდა და გარე მონიტორინგის წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებსა და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით, როგორც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის, ასევე თითოეული თანამშრომლის მიერ ფუნქციების შესრულების და დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების შესაძლებლობის შეფასებას

- უზრუნველყოს პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულების და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მკაფიო სამუშაო აღწერილობების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურებისა და ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო წესების შემუშავება.

3.5. პატიმრობის პირობები

3.5.1. ფიზიკური გარემო, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით, რიგ პენიტენციურ დაწესებულებებში საგრძნობლად არის გაუმჯობესებული ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას საჭიროებს. სახელმწიფო ვალდებულია, არსებული სირთულეების მიუხედავად, დროულად აღმოფხვრას ნაკლოვანებები და შექმნას პატიმრობის სათანადო პირობები.

ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა ასპექტები მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული, ეფექტიანი და თანაბარი წვდომა ციხის ცხოვრებაზე.[104]

3.5.2. საცხოვრებელი ფართი

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ

104 ნელსონ მანდელას წესები, წესი 5.2.

უნდა იყოს 4 მ^2 ნაკლები.[105] ხოლო ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 მ^2–ზე ნაკლები.[106]

2016 წლის განმავლობაში განხორციელებული ვიზიტების დროს N2, N7, N8, N12, N14, N15 და N17 დაწესებულებებში ყველა პატიმარი არ იყო უზრუნველყოფილი 4 მ^2 საცხოვრებელი ფართით. ასე მაგალითად, N7 დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრები ცხოვრობენ 2 საკანში (თითო საკანში 2 პატიმარი). ერთი საკნის ფართობი დაახლოებით 5 მ^2-ია, ხოლო მეორესი 7,5 მ^2.

N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გარკვეული[107] ნაწილი ცხოვრობს 2 ადგილიან საკნებში, რომელთა ფართი დაახლოებით 7.38 მ^2–ია (საპირფარეშო იზოლირებული 1.36 მ^2). საკანი სიგრძეში 4.74 მ-ია, ხოლო სიგანეში 1.55 მ, რაც ზემოთ მითითებული ნორმის[108] დარღვევაა. დაწესებულებაში სულ ასეთი 14 საკანია.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, 2014 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, საქართველოს მთავრობას პენიტენციური დაწესებულებების მრავალადგილიან საკნებში მოთავსებული თითოეული პატიმრის 4 მ^2 პირადი ფართით უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა.[109] თითოეული პატიმრის 4 მ^2 ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველი ასევე საუბრობს თავის საპარლამენტო ანგარიშებში.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა N2, N3, N7, N8, N12, N15 და N17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმრის 4 მ^2 ფართით უზრუნველსაყოფად. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული რეკომენდაცია მხოლოდ N3 დაწესებულების შემთხვევაში შესრულდა. N3 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[110] 2016 წლის განმავლობაში პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე საკნები გადაკეთდა 1 ან 2 ადგილიან საკნებად, ისინი გათავისუფლდა ზედმეტი ინვენტარისგან. შესაბამისად, დღეს არსებული მდგომარეობით, N3 დაწესებულებაში ყველა პატიმარი უზრუნველყოფილია 4 მ^2 საცხოვრებელი ფართით. რაც შეეხება N2, N7, N8, N12, N15 და N17 დაწესებულებებს, აქ პრობლემა არ მოგვარებულა. გარდა ამისა, N2 და N8 დაწესებულებებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები რიგ შემთხვევებში ერთად არიან განთავსებული, რაც პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევაა.

N2 დაწესებულებაში სამარტოო საკნების ფართობი, გარდა D კორპუსში არსებული სამარტოო საკნებისა, 4,5-5,5 მ^2–ია. აღნიშნულ საკნებში არის სივიწროვე,

105 მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი.

106 მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი.

107 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით 20 პატიმარი.

108 წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), გვერდი 8, პარ. 43. ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf [ბოლოს ნანახია 13.02.2017].

109 2014 წლის 1-11 დეკემბერი საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში, CPT/Inf (2015) 42 18, პარ. 48.

110 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 18 იანვრის MOC 717 00043478 წერილის თანახმად.

რაც წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტის სტანდარტის დარღვევაა.[111]

N14 და N17 დაწესებულებებში პატიმრების გარკვეული ნაწილი ცხოვრობს ე.წ. ბარაკის[112] ტიპის საცხოვრებელში. N14 დაწესებულებაში სამი ორსართულიანი კორპუსია, სადაც პატიმრებს 26, 59 და 70 ადგილიან საერთო საცხოვრებელ საკნებში უწევთ ცხოვრება. რაც შეეხება N17 დაწესებულებას, აქ 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24, 26, 30, 32 და 34[113] ადგილიანი საკნებია. მრავალადგილიანი საკნები ბარაკის ტიპისაა. N17 დაწესებულებაში 20 და მეტ ადგილიან საკნებში თითო პატიმრისთვის განსაზღვრული ფართი დაახლოებით 2.5 მ^2-მდე მერყეობს, თუმცა არც 20-ზე ნაკლებ ადგილიან საკნებშია უკეთესი მდგომარეობა.

ბარაკის ტიპის საცხოვრებლებში არ არის უზრუნველყოფილი პრივატული გარემო, მწეველი და არამწეველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობენ, რთულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება; გარდა ამისა, ასეთი ტიპის საცხოვრებელი უსაფრთოხების დაცვის თვალსაზრისითაც დამატებით, მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოშობს.

„პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე–6 პუნქტი გვთავაზობს ცვლილებას მე–15 მუხლის მეორე ნაწილში, რომლის მიხედვითაც, ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4მ^2 ნაკლები. ნორმის მოქმედი რედაქცია ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ერთ მსჯავრდებულზე ამავე ოდენობის საცხოვრებელი ფართობის ნორმას ადგენს. ასევე საგულისხმოა, რომ ცვლილებები არ ეხება პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულზე გამოყოფილ საცხოვრებელ ფართობს, რომელიც კოდექსის თანახმად, არ უნდა იყოს 3 მ^2 ნაკლები.[114] საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ პირობებში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება ეწინააღმდეგება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტებს.

კერძოდ, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მკაცრად განსაზღვრავს ერთ პატიმარზე საცხოვრებელი ფართობის მინიმალურ სტანდარტს. ამ სტანდარტის მიხედვით, მინიმალური საცხოვრებელი ფართობი (საპირფარეშოს გამოკლებით), რომელიც პატიმარს ერთკაციან საკანში უნდა ჰქონდეს, 6მ^2–ია.

111 „პოლიციის დაწესებულებაში საკნის (ან დაკავებულის/პატიმრის განთავსების ნებისმიერი სხვა ტიპის ადგილის) ფართობის განსაზღვრა რთული საკითხია. ასეთი შეფასებისას ბევრი ფაქტორია მხედველობაში მისაღები. კომიტეტის აზრით, ამ სფეროში აუცილებელია მკაცრი სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა. ამჟამად, პოლიციის დაწესებულებაში ისეთი საკნების შეფასებისას, რომელიც განკუთვნილია ერთ ადამიანზე, რომელიც იქ რჩება რამდენიმე საათზე მეტ ხანს, მოქმედებს შემდეგი სტანდარტი (რომელიც მიიჩნევა უფრო სასურველად, ვიდრე მინიმალურ სტანდარტად): 7 კვადრატული მეტრი - საკნის ფართობი, 2 მეტრი ან მეტი დაშორება კედლებს შორის, 2.5 მ საკნის იატაკიდან ჭერამდე.“

112 ბარაკის ტიპის საცხოვრებელში დიდი ფართის საკანში ერთად ათეულობით პატიმარია მოთავსებული, რის გამოც აღნიშნულ საცხოვრებლებში შეუძლებელია პატიმრებისთვის პრივატული სივრცის დაცვა.

113 N17 დაწესებულებაში 34 ადგილიანი საერთო საცხოვრებლის ფართი დაახლოებით 77 მ^2-ია.

114 იხ. პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი.

რაც შეეხება ორ და მეტ კაციან საკანს, აქ მინიმალური საცხოვრებელი ფართობის ნორმა თითო პატიმარზე 4 მ²–ია (საპირფარეშოს გამოკლებით). აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ხელი შეუწყოს უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, რომლის მიხედვითაც სასურველია, რომ ერთკაციანი საკნის საცხოვრებელი ფართობი იყოს მინიმუმ 8-9 მ², ხოლო ყოველ მომდევნო პატიმარზე მინიმალურ 6 მ² საცხოვრებელ ფართს დაემატოს 4 მ².[115]

საქართველოს სახალხო დამცველი, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის განკუთვნილი საცხოვრებლის ფართობის ნორმა ერთკაციან საკანში არ უნდა იყოს 6 მ² ნაკლები, ხოლო ყოველ მომდევნო პატიმარზე დამატებით მინიმუმ 4 მ².

3.5.3. ფიზიკური გარემო

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ჰაერის კუბურ მოცულობას, მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას.[116]

ყველა დაწესებულებაში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: (ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე და უნდა უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; (ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე.[117]

N3 დაწესებულებაში საკნებს საკმაოდ მაღლა მოთავსებული მცირე ზომის ფანჯრები აქვს; კედელი კი დაახლოებით ნახევარი მეტრი სისქისაა. შესაბამისად, მზის სხივი საკანში სათანადოდ ვერ აღწევს. საცხოვრებელ საკნებში არ არის საკმარისი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. დეესკალაციის და სამარტოო საკნებში არსებული ფანჯრები არ იღება. შესაბამისად, აღნიშნულ საკნებში მყოფი პატიმრებისთვის ბუნებრივი ვენტილაცია ხელმისაწვდომი არ არის.

N7 დაწესებულებაში არსებულ საკნებს აქვს რამდენიმე ფენა გისოსით დაფარული მცირე ზომის ფანჯრები (75X43 სმ), რის გამოც ჰაერი და მზის სხივი ფანჯრიდან საკნებში ფაქტობრივად ვერ აღწევს. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საცხოვრებელი საკნების ხელოვნურ განიავებას[118]. საკნებში არასაკმარისი ბუნებრივი განათებაა.

115 იხ. European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment, "Living space per prisoner in prison establishments", Strasbourg, 15 December 2015, პარ. 9-18; ხელმისაწვდომია <http://www.cpt.coe.int/en/working-documents/cpt-inf-2015-44-eng.pdf> [ბოლოს ნანახია: 22. 02. 2017].

116 წესი 13.

117 წესი 14.

118 განსაკუთრებით პრობლემურია დაწესებულების პირველ სართულზე არსებული საკნები.

N6 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებულ საპირფარეშოებში ხელოვნური ვენტილაცია არაა დამონტაჟებული, ხოლო საკნებში არსებული ვენტილაცია არასაკმარისია. საკნებში უჰაერობა და ცუდი სუნია. მეორე საცხოვრებელი კორპუსის საერთო საშხაპეები მხოლოდ ბუნებრივად, ფანჯრების საშუალებით ნიავდება. ხანმოკლე პაემნების კაბინებში არ არის ბუნებრივი ვენტილაცია (ფანჯრები ბოქლომით არის ჩაკეტილი).

N5 და N8 დაწესებულებების საცხოვრებელ და მოსაცდელ (საკარანტინე) საკნებში, საგამოძიებო ოთახებსა და N15 დაწესებულების ადვოკატებთან შეხვედრის ოთახებში არასაკმარისად ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ანალოგიური პრობლემებია N2 დაწესებულების საცხოვრებელ, მოსაცდელ, სამარტოო საკნებსა და საშხაპეებში. N8 დაწესებულების სამარტოო საკნებში ხელოვნური ვენტილაცია საერთოდ არაა დამონტაჟებული.

N2[119], N8 და N17 დაწესებულების ზოგიერთ საკნებში შეინიშნება სინესტე. N8 დაწესებულების მოსაცდელი საკნები ნაწილობრივ მიწის საფარს ქვეშაა მოქცეული, რის გამოც საკნებში განათება და ვენტილაცია არასაკმარისია; დეესკალაციის ოთახებში არ იღება ფანჯრები. შესაბამისად, ბუნებრივი ვენტილაცია პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. დაწესებულების საშხაპეებში როზეტებისა და შუქის ჩამრთველების შიგთავსები გამოცლილია და აღნიშნული გაყვანილობები უსაფრთხოების წესების დარღვევითაა გაკეთებული. ხელოვნური განათება არადამაკმაყოფილებელია. საშხაპეებში არ არის სკამები და საკიდები პირადი ნივთების (ტანისამოსის, პირსახოცების და სხვა) მოსათავსებლად.

N9 და N15 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემა არ ფუნქციონირებს, N17 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემა ასევე ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო განიავებას. ამავე დაწესებულების დახურული ტიპის კორპუსის საკნებში არ არის ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო ბუნებრივი და ხელოვნური განათება არასაკმარისია.

N15 დაწესებულების ცენტრალური გათბობის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო გათბობას. N2, N3, N5, N6, N8, N14 და N15 დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში ბეტონის იატაკია, რაც შეიძლება ცუდად აისახოს პატიმართა ჯანმრთელობაზე.

N12 დაწესებულების ძირითად საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ყველა საკანში მოსაწესრიგებელია ელექტროგაყვანილობის ქსელები, ვინაიდან დაცული არ არის უსაფრთხოების ნორმები.

2015 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, N2, N3, N6, N8, N9, 12, N15 და N17 დაწესებულებებში არსებულ საცხოვრებელ საკნებში უზრუნველეყო სათანადო ვენტილაცია; N5 და N8 დაწესებულებების საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟებულიყო ცენტრალური სავენტილაციო სისტემა; N2, N5, N6,

119 სინესტე განსაკუთრებით შეინიშნებოდა დაწესებულებაში საცხოვრებელი კორპუსების პირველ-მეორე სართულზე არსებულ საკნებში.

N12, N14, N15 და N17 დაწესებულებების სამარტოო, საკარანტინე, საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში უზრუნველეყო სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია; N9 და N15 დაწესებულებების საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში უზრუნველეყო სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია. მითითებული რეკომენდაციები არ შესრულებულა.

3.5.4. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი უნდა შეესაბამებოდეს მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და უნდა უზრუნველყოფდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.[120]

N2, N8, N15[121], N17 დაწესებულებების როგორც საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და საკარანტინე საკნებსა და საშხაპეებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

N2 დაწესებულებაში საკნების უმრავლესობაში სინესტეა. ზოგიერთ საცხოვრებელ საკანში (C კორპუსის პირველ სართულზე) არსებულ ტუმბოებს აქვს კოროზია. პატიმრები იძულებულნი არიან ტანისამოსი, პირადი ნივთები და ჭურჭელი ასეთ პირობებში შეინახონ.

N2 და N8 დაწესებულებების ზოგიერთ საკანში მწერებია. N3 დაწესებულების სამარტოო, N5 (საპატიმრო განყოფილების), N7, N12, N14 (დახურული ტიპის კორპუსი) დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

N12 დაწესებულების საცხოვრებელი საკნები მოძველებულია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. N15 დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსის დერეფნებსა და კიბეებზე არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დერეფნებსა და კიბეებზე სიგარეტის კოლოფები, ნამწვავები და სხვა ნარჩენებია მიმოფანტული.

2015 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, N8 დაწესებულებაში არსებულ დეესკალაციის ოთახებში უზრუნველეყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, ასევე მიეღო ყველა საჭირო ზომა N15 დაწესებულებაში საცხოვრებელი კორპუსის დერეფნებსა და კიბეებზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად. აღნიშნული რეკომენდაციებიდან მხოლოდ N8 დაწესებულების დეესკალაციის ოთახებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რეკომენდაცია შესრულდა.

120 პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი.

121 N15 დაწესებულებაში სამარტოო და საკარანტინე საკნებში სანიტარული კვანძების იზოლირების რეკომენდაცია 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც იყო, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია, როგორც ჩანს არ შესრულდა.

N6 დაწესებულების ზოგიერთი საკნის საპირფარეშოში არსებულ ნიჟარებში გროვდება წყალი, საპირფარეშოებში არ არის წყლის ჩამრეცხი ავზები. N5 დაწესებულების საპატიმრო განყოფილების ზოგიერთი საკნის საპირფარეშოებში კანალიზაცია გაუმართავია და გროვდება წყალი. N2 და N5 დაწესებულებების საშხაპეებში ტრაპებთან გუბდება წყალი. N8 დაწესებულების საშხაპეებში ზოგიერთ შხაპს არ აქვს წყლის მოსაშვები/ჩამკეტი მექანიზმი.

2015 წელს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა N3 დაწესებულებაში არსებული წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად, თუმცა რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა. აღნიშნულ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს წყალი კვლავ გრაფიკით მიეწოდებათ.

3.5.5. სანიტარული კვანძის პრივატულობა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანებით დამტკიცებული, პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,

„ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში არსებულ საერთო სარგებლობის საშხაპეებში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოებში და ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

აღნიშნულ დათქმასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2014 წლის 19 დეკემბერს, წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ იმ ადგილების ჩამონათვალს, სადაც არ შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა, დამატებოდა საკანში არსებული საპირფარეშოები, თუმცა, მითითებული წინადადება მინისტრს არ გაუზიარებია. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგების შესახებ ანგარიშებში ცალსახად აღნიშნავს, რომ ციხეებში მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების პროცესში პატიმრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცული უნდა იყოს საპირფარეშოებითა და საშხაპეებით სარგებლობისას.[122]

ამავე კომიტეტის სტანდარტების თანახმად, ჰუმანური გარემოს არსებითი შემადგენელი ნაწილია სათანადო პირობებში საპირფარეშოზე იოლი ხელმისაწვდომობა და ჰიგიენის სათანადო სტანდარტების დაცვა.[123]

122 იხილეთ: http://www.cpt.coe.int/documents/hun/2010-16-inf-eng.pdf იხილეთ გვ. 19, პარ. 31, ასევე, http://www.cpt.coe.int/documents/ita/2013-32-inf-eng.pdf გვ. 30, პარ. 60 [ბოლოს ნანახია 20.01.2017].

123 გვ. 25, პარ. 49.

სანიტარული მოწყობილობები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ თითოეულმა პატიმარმა შეძლოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროებისამებრ, სისუფთავესა და დამაკმაყოფილებელ პირობებში.[124] როგორც წესი, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, არანაკლებ თვეში ერთხელ კი, საპარიკმახერო მომსახურებით. ადმინისტრაციას ეკრძალება მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს თმის სრულად გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.[125]

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ N3 დაწესებულების სამარტოო და უსაფრთხო[126], N6 დაწესებულების უსაფრთხო და N8 დაწესებულების დეესკალაციის ოთახებში სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. საკნებში დამონტაჟებულია ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა (ვიდეოკამერები), რომლის არეალშიც ექცევა საპირფარეშოს სივრცე და უზრუნველყოფილი არ არის პრივატულობა. ანალოგიური მდგომარეობაა N15 დაწესებულების დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში, სადაც განლაგებულია საკარანტინო და სამარტოო საკნები.

N7 დაწესებულებაში არსებულ საკნებში საპირფარეშოები მცირე ზომისაა, არ არსებობს ვენტილაციის სისტემა და არც ჩამრეცხი ავზებია დამონტაჟებული. მართალია, საპირფარეშო იზოლირებულია საკნის დანარჩენი ფართისგან, მაგრამ საპირფარეშოს კარის ზედა ნაწილში დარჩენილი ღია სივრციდან, ვენტილაციის სისტემის არარსებობის პირობებში, არასასიამოვნო სუნი საკანში აღწევს. საპირფარეშოს ფართობი მერყეობს 0,4 (0,63X0,69) $მ^2$–დან 0,5 (0,62X0,78) $მ^2$–მდე. პატიმრები აცხადებენ, რომ ზოგიერთ მათგანს, მისი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ტუალეტში არსებული სივიწროვის გამო არ შეუძლია ნორმალურ პირობებში დაიკმაყოფილოს ბუნებრივი მოთხოვნილებები. ხშირად პატიმრებს უწევთ საპირფარეშოს კარის გაღება და ბუნებრივი მოთხოვნილებების ამგვარ დამამცირებელ მდგომარეობაში დაკმაყოფილება. აქვე აღსანიშნავია, რომ საპირფარეშოს კარების პირდაპირ განლაგებულია საწოლები და განმარტოება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ანალოგიურად, N6 დაწესებულებაში, მართალია, საპირფარეშო იზოლირებულია საკნის დანარჩენი ფართისგან, მაგრამ საპირფარეშოს კარის ზედა ნაწილში დარჩენილი ღია სივრციდან, არასასიამოვნო სუნი საკანში აღწევს. დაწესებულებაში ყველა უსაფრთხო საკანსა და საშიშროების მაღალი რისკის პატიმრების საკნებში დამონტაჟებულია ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა (ვიდეოკამერები), რომლის არეალშიც ექცევა საპირფარეშოს სივრცე და უზრუნველყოფილი არ არის პრივატულობა.

3.5.6. პატიმრის პირადი ჰიგიენა/ტანსაცმელი/თეთრეული

ევროპული ციხის წესების თანახმად, პატიმრებმა სუფთად და მოწესრიგებულად უნდა იქონიონ ტანსაცმელი და საძინებელი, ასევე პირად ჰიგიენას

124 ნელსონ მანდელას წესები, წესი 15.
125 პატიმრობის კოდექსის 21-ე მუხლის მეორე ნაწილი.
126 ამჟამად დეესკალაციის ოთახები.

მიაქციონ ყურადღება.[127] ამისათვის ციხის ადმინისტრაციამ ისინი უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ტუალეტისა და ჰიგიენური საშუალებებით.[128] ქალთა სანიტარული პირადი ჰიგიენის დასაცავად სპეციალური უზრუნველყოფა უნდა მოხდეს (ტანსაცმელი და ქვეშაგები).[129] პატიმრები, რომელთაც არა აქვთ სათანადო ან საკუთარი ტანსაცმელი, უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ კლიმატის შესაბამისი ტანსაცმლით.[130] ამგვარი ტანსაცმელი არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ან ღირსების შემლახავი.[131] ტანსაცმელი კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს შენარჩუნებული და საჭიროებისამებრ შეიცვალოს.[132]

პატიმრობის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს არა აქვს პირადი ტანსაცმელი, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით, რომელიც თავისი ფორმით არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

N2 დაწესებულებაში გამოკითხულ პატიმართა განმარტებით, დაწესებულება არ უზრუნველყოფს პატიმრებს სეზონის შესაფერისი ტანსაცმლით და მათ სხვა პატიმრები (ძირითადად თანამესაკნეები) ეხმარებიან. N5 დაწესებულებაში მყოფი უცხოელი პატიმარების გადმოცემით, დაწესებულებაში შესახლებისას მათ გამოსაცვლელი ტანსაცმელი არ ქონდათ. დაწესებულების მხრიდან მათი სეზონის შესაფერისი ტანისამოსით უზრუნველყოფა შესახლებისას არ მომხდარა. პატიმრების განმარტებით, მათ ტანსაცმლით სხვა პატიმარები დაეხმარნენ.

N2, N6 და N18 დაწესებულებებში მყოფი პატიმრების გადმოცემით, პირადი ჰიგიენის ნივთებს მათ მხოლოდ დაწესებულებაში შესახლების დროს აძლევენ, ხოლო შემდგომ მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში. რიგ შემთხვევებში, დაწესებულების თანამშრომლები უმარტავენ, რომ მარაგში აღარ აქვთ ჰიგიენის ნივთები. მაგალითად, N2 დაწესებულებაში მოთხოვნის შემთხვევაში საკანს მხოლოდ ერთ ან ორ საპონს აძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ საკანში ორზე მეტი პატიმარია. N8 დაწესებულებაში, დეესკალაციის ოთახებში მყოფ პირებს არ ეძლევათ პირადი ჰიგიენის ნივთები (კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, ასევე თეთრეული, პირსახოცი და ბალიში).

N2 დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ დაწესებულებაში ქალ პატიმრებს აქვთ პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის პრობლემა, კერძოდ, ქალ პატიმრებს არ ურიგდებათ ჰიგიენური საფენები. მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ტანის და სახის მოვლის საშუალებები. N5 დაწესებულების საპატიმრო განყოფილების,[133]"A", "B", "C" , "D" კორპუსებში, საცხოვრებელ საკნებში არ მოდის ცხელი წყალი.

127 წესი 19.5.
128 წესი 19.6.
129 წესი 19.7.
130 წესი 20.1.
131 წესი 20.2.
132 წესი 20.3.
133 აღნიშნულ განყოფილებაში ცხოვრობენ საკარანტინე რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულები; მსჯავრდებულები, რომლებსაც დახურული ტიპის დაწესებულებაში აქვთ სასჯელის მოხდა განსაზღვრული; სამარტოო საკანში/საკნის ტიპის სადგომში მოთავსებული პატიმრები; უვადო პატიმრები; მსჯავრდებულები, რომლებიც საკუთარი სურვილით გადმოვიდნენ დაწესებულების პატიმრობის განყოფილებაში.

3.5.7. სუფთა ჰაერზე ყოფნის/გასეირნების უფლება

ევროპული ციხის წესების თანახმად, ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას.[134] ავდრის პირობებში პატიმრებს ვარჯიშის ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ.[135] პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით).[136]

N2 დაწესებულებაში სასეირნო ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია; ეზოში დგას ხის გრძელი სკამები და ურნები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. N2, N6, N8, N9, N5[137] და N17 [138]დაწესებულებების სასეირნო ეზოებში არსებული მდგომარეობა არ იძლევა სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობას. სასეირნო ეზოები არ არის აღჭურვილი სავარჯიშო ინვენტარით. N3 დაწესებულების სასეირნო ეზოში მხოლოდ 1 ტურნიკია დამონტაჟებული. პატიმართა ფიზიკური აქტივობების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სასეირნო ეზოების სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვა.

N14 დაწესებულებაში[139] არსებული საფეხბურთო მოედანი მოუწყობელია. კერძოდ, ასფალტზე არ არის დაგებული ხელოვნური მინდვრის საფარი. გარდა ამისა, არ არის საფეხბურთო კარები. ასევე დაზიანებულია კალათბურთის ფარები.

N7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასეირნო ეზოების მდებარეობისა და მოწყობის გამო. სასეირნო ეზოები მცირე ზომისაა და ისეთ ადგილზეა მოწყობილი, სადაც ჰაერი ფაქტობრივად არ მოძრაობს. სასეირნოდ გამოყოფილი სივრცე შეადგენს 13 კვადრატულ მეტრს (4,2X3,1). ასეთი სასეირნო სივრცე დაწესებულებაში სულ ოთხია. სასეირნო სივრცე შემოსაზღვრულია დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლის კედლებით და გადახურულია გისოსებითა და მეტალის ბადით. აღნიშნულის გამო და დამატებით იმის გათვალისწინებითაც, რომ ის შენობებს შორის არის მოქცეული, მზის სხივები და სუფთა ჰაერი სათანადოდ ვერ აღწევს.

N3 და N8 დაწესებულებებში სასეირნო ეზოების მოწყობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველს 2015 წლის ანგარიშშიც ჰქონდა რეკომენდაცია, რომელიც არ შესრულებულა.

N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრებს აწუხებთ ტკივილი წელის არეში (რასაც „ნარის სიმპტომს“ უწოდებენ), რაც განპირობებულია უმოძრაობით და მცირე ფართის საწოლზე[140] ერთ პოზაში წოლით; ასევე აქვთ კუჭ-ნაწლავის დაავადებები, გა-

134 წესი 27.1.
135 წესი 27.2.
136 პირველი ნაწილი, „ზ“ პუნქტი.
137 საპატიმრო განყოფილება.
138 დახურული ტიპის კორპუსი.
139 მე-6 კორპუსის ეზოში.
140 საწოლის ფართი 63x189 სმ.

მოწვეული უმოძრაობით, კვების და ძილის რეჟიმის დარღვევით; ხშირია თავის ტკივილები, რასაც სამედიცინო პერსონალი საკანში უჰაერობას/ჟანგბადის ნაკლებობას უკავშირებს; პერსონალი ასევე აცხადებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრებს აღენიშნებათ გამონაყარი, რომელსაც მედიკამენტურად ვერ მკურნალობენ და ვარაუდობენ, რომ ეს გამონაყარი განპირობებულია საკანში არსებული პირობებითა და უჰაერობით. ვინაიდან დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფი პატიმრები რეალურად 1 საათზე მეტი ხნით არ იმყოფებიან სუფთა ჰაერზე[141], ხოლო საკანში ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის პრობლემებია, მნიშვნელოვანია პატიმრებს, ერთი მხრივ, მიეცეთ საშუალება შეძლებისდაგვარად მეტი დრო გაატარონ სუფთა ჰაერზე და მეორე მხრივ, საკნებში უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია.

2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დაწესებულებაში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებიდან გამომდინარე, გაეუქმებინა N7 დაწესებულება. მართალია, 2016 წლის განმავლობაში აღნიშნულ დაწესებულებაში საგრძნობლად შემცირდა პატიმართა რაოდენობა, თუმცა დაწესებულება ისევ განაგრძობს ფუნქციონირებას. შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაცია N7 დაწესებულების დახურვის შესახებ უცვლელია. მიუხედავად დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურული და მძიმე საყოფაცხოვრებო პრობლემებისა, დაწესებულების დირექტორისგან მიღებული წერილობითი პასუხის თანახმად[142], 2016 წელს რაიმე სახის სარემონტო სამუშაოები N7 დაწესებულებაში არ ჩატარებულა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, უმოკლეს ვადებში იგეგმება N7 დაწესებულების დახურვა.

3.5.8. ინფრასტრუქტურა

პენიტენციური დეპარტამენტის N7, N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში არ არის ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს. N7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გარდა, ზემოთ ჩამოთვლილ დანარჩენ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისთვის, პერიოდულად გადაჰყავთ სხვა დაწესებულებებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია მითითებულ დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

პენიტენციურ დაწესებულებებში[143] საგამოძიებო და შეხვედრების ოთახებში პატიმრებს გარდა საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებისა, ხვდებიან ად-

141 პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს: ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით).

142 2017 წლის 18 იანვრის MOC 2 1700041592 წერილი.

143 N8 დაწესებულებაში 1 ოთახია გამოყოფილი წითელი ჯვრის წარმომადგენლებისთვის, სადაც მიყურადების გარეშე შეიძლება პატიმართან შეხვედრა. აღნიშნული ოთახით სახალხო დამცველის წარმომადგენლებიც სარგებლობენ.

ვოკატები, სასულიერო პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის წარმომადგენლები. აღნიშნულ პირებთან საუბრის კონფიდენციალურობა კანონმდებლობითაა გარანტირებული. ამ ოთახებში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. პატიმართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ოთახებში არსებული სათვალთვალო კამერების საშუალებით მიმდინარეობს მათი საუბრის აუდიო და ვიდეო ჩაწერა, რაც უარყოფითად მოქმედებს პატიმართა გახსნილობაზე და საუბრის დროს გარკვეულწილად ზღუდავს მათ.

2013, 2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ყველა დაწესებულებაში გამოყოფილიყო ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნებოდა საშუალება, შეხვედროდა პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე. აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

2015 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველეყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და პირობების გაუმჯობესება. „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით“, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ დეტალური ინფორმაცია წარმოადგინა 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. კერძოდ:

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა N3, N2, N5, N6, N8, N9, N12, N14, N16, N17 და N19 პენიტენციურ დაწესებულებებში. მიმდინარეობს ლაითურის მშენებარე პენიტენციური დაწესებულების ძირითადი სარეჟიმო შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მოიცავს გისოსების, კარ-ფანჯრების და ფასადის მოწყობას.

N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დასრულდა პირველ სართულზე განთავსებული საკნების სარემონტო სამუშაოები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საწოლებს, რომლებიც გადაკეთდა ერთსართულიანებად, რაც შემდგომში მოხსნის საკნებში გადატვირთულობის პრობლემას.

N2 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა დაწესებულების საკნები, საშხაპე ოთახები, ხანმოკლე პაემნების ოთახები; დაწესებულებაში მოეწყო დეესკალაციის 4 ოთახი; D სარეჟიმო შენობის საევაკუაციო კიბეს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები; დაწესებულების გარშემო მოეწყო დამატებითი დამცავი უსაფრთხოების ბარიერი, ე.წ. „ბუფერული“ ზონა; გარემონტდა სამედიცინო დანიშნულების ოთახები, მოეწყო ახალი სტომატოლოგიური კაბინეტები, რენტგენის ოთახი, სასტერილიზაციო და ა.შ; დაწესებულებაში განთავსებული საბადრაგო სამსახურისათვის მოეწყო ახალი, კაპიტალურად გარემონტებული ოთახები.

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ექსპლუატაციაში შევიდა ხანგრძლივი პაემნების ახლად აშენებული შენობა; კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საშხაპე ოთახები, საკნები, სამედიცინო დანიშნულების ოთახები, ადმინისტრაციული შენობა და ა.შ; მოეწყო ფიტნესის ოთახები.

N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო თანამედროვე საკნები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებისთვის, საშხაპე ოთახები, ასევე აღიჭურვა თანამედროვე ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით.

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო პურის საცხობის შენობა; სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა დაწესებულების სამედიცინო ოთახები, მოეწყო სტომატოლოგიური კაბინეტები, რენტგენის ოთახი, სასტერილიზაციო და ა.შ.; უახლოეს მომავალში დაიწყება ხანგრძლივი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

N9 პენიტენციურ დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საშხაპე და სამედიცინო ოთახები, მოეწყო სტომატოლოგიური კაბინეტი და სასტერილიზაციო ოთახი, ასევე გარემონტდა დაწესებულების აფთიაქი; სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ამანათების ოთახსაც, დაწესებულების შესასვლელში მოეწყო პირადი შემოწმებისთვის განკუთვნილი ოთახები.

N12 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი შენობა, სადაც მოეწყო საშხაპე ოთახები, სასადილო ოთახი.

N14 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორია აღიჭურვა თანამედროვე ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემებით და მოეწყო ელექტრონული მეთვალყურეობის ახალი ოთახები; დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების სამშენებლო სამუშაოები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის აღჭურვისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები; კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო პუნქტი; დასრულდა დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე პურის საცხობის სამშენებლო სამუშაოები; სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ადმინისტრაციულ შენობაში, მათ შორის, გარემონტდა გარე დაცვის სამსახურის ოთახები.

N16 პენიტენციურ დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე პურის საცხობის შენობას, რომელიც უკვე ფუნქციონირებს; სტანდარტების შესაბამისად მოეწყო დაწესებულების სამედიცინო ოთახები; დასრულდა ეზოს ტერიტორიაზე ღია სატრენაჟორო ფარდულის სამშენებლო სამუშაოები; სასადილოს შენობაში მოეწყო კულინარიის შემსწავლელი კურსებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა; გარემონტდა დაწესებულების საშხაპე ოთახები.

N17 პენიტენციურ დაწესებულებაში მომზადდა სასადილო-სამზარეულო შენობის საპროექტო დოკუმენტაცია; მიმდინარეობს სასადილო-სამზარეულო შენობის კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოები; გარემონტდა დაწესებულების სამედიცინო ოთახები; დაწესებულების გარე დამცავ ზღუდეზე

მოეწყო დამატებითი უსაფრთხოების დამცავი ბარიერები; დაწესებულების გარშემო მოეწყო უსაფრთხოების დამცავი ბარიერი, ე.წ „ბუფერული ზონა“.

N19 პენიტენციურ დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ოთახები;

მიმდინარეობს ლაითურის მშენებარე პენიტენციური დაწესებულების ძირითადი სარეჟიმო შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მოიცავს გისოსების, კარ-ფანჯრების და ფასადის მოწყობას.

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, რიგ პენიტენციურ დაწესებულებებში შედარებით გაუმჯობესებულია ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- გაუქმდეს N7 დაწესებულება
- N2, N7, N8, N12, N14, N15 და N17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყოს 4 m^2 საცხოვრებელი ფართით
- უზრუნველყოს N2 და N8 დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულების იზოლირება მსჯავრდებულებისაგან, როგორც მინიმუმ, ერთმანეთისაგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართით
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N14 და N17 დაწესებულებებში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლების გასაუქმებლად
- N2, N6, N5 და N8 დაწესებულებების საცხოვრებელ, მოსაცდელ საკნებში, N2 და N8 დაწესებულებების მოსაცდელ, სამარტოო საკნებსა და საშხაპეებში, N8 დაწესებულების საგამოძიებო და N15 დაწესებულების ადვოკატებთან შეხვედრის ოთახებში დამონტაჟდეს სათანადო ხელოვნური ვენტილაცია
- უზრუნველყოს N9 და N15 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების, N6 დაწესებულების საშხაპეებისა და ხანმოკლე პაემნების კაბინების ხელოვნური ვენტილაცია
- უზრუნველყოს N8 დაწესებულების დეესკალაციის, ხოლო N17 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების სათანადო ბუნებრივი ვენტილაცია

- უზრუნველყოს N15 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების სათანადო გათბობა
- უზრუნველყოს პენიტენციური დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში ბეტონის იატაკის შეცვლა, სხვა, ჯანმრთელობისათვის უვნებელი საშუალებით
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N2, N8, N15 და N17 დაწესებულებების როგორც საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და მოსაცდელ საკნებში, ასევე საშხაპეებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დასაცავად
- უზრუნველყოს N3 დაწესებულების სამარტოო, N5[144] N7, N12, N14[145] დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა
- უზრუნველყოს N12 დაწესებულებაში მოძველებული საცხოვრებელი საკნების გარემონტება
- უზრუნველყოს N15 დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსში არსებულ დერეფნებსა და კიბეებზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა
- უზრუნველყოს N2 დაწესებულების საცხოვრებელი საკნები ტუმბოებით
- N15 დაწესებულების დახურული ტიპის საკნებში, N3 დაწესებულების სამარტოო და უსაფრთხო[146], N6 დაწესებულების საცხოვრებელ, უსაფრთხო და N8 დაწესებულების დეესკალაციის ოთახებში სანიტარული კვანძი იმგვარად მოეწყოს, რომ არ მოხვდეს კამერის ხედვის არეალში, ასევე მოხდეს მათი იზოლირება, პრივატულობის დასაცავად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N2 და N5 დაწესებულებებში კანალიზაციის სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად
- უზრუნველყოს N8 დაწესებულების საშხაპეებში წყლის მოსაშვები/ჩამკეტი მექანიზმების შეკეთება, ასევე N8 დაწესებულების საშხაპეებსა და N12 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში როზეტებისა და შუქის ჩამრთველების უსაფრთხოების წესების დაცვით დამონტაჟება
- უზრუნველყოს N8 დაწესებულების საშხაპეების სათანადო ხელოვნური განათება
- უზრუნველყოს N8 დაწესებულების საშხაპეები სკამებითა და საკიდებით
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N2 და N5 დაწესებულებებში პატიმართა სეზონის შესაფერისი ტანისამოსით უზრუნველსაყოფად

144 საპატიმრო განყოფილება.
145 დახურული ტიპის კორპუსი.
146 ამჟამად დეესკალაციის ოთახები.

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N2, N6, N8 და N18 დაწესებულებებში პატიმართა პირადი ჰიგიენის ნივთებით მოსამარაგებლად
- უზრუნველყოს N2 დაწესებულებაში მყოფი ქალები საჭირო ჰიგიენური საშუალებებით
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N5 დაწესებულებაში მყოფი ქალების საკნებში ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად
- N2, N3, N6, N8, N9, N5[147] და N17[148] დაწესებულების სასეირნო ეზოები აღიჭურვოს სავარჯიშო ინვენტარით
- N14 დაწესებულების სპორტული მოედნები აღიჭურვოს სათანადოდ (ხელოვნური მინდვრის საფარი, კარები, კალათბურთის ფარი)
- N8 დაწესებულებაში მოეწყოს დამატებითი სასეირნო ეზოები, რათა ყველა მსჯავრდებულმა შეძლოს გასეირნების უფლებით სარგებლობა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N3 დაწესებულებაში არსებული წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად
- N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში შეიქმნას ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა
- პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში გამოიყოს ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება, შეხვდეს პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე.

3.5.9. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, იმ პატიმრებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული სუფთა ჰაერზე, გააჩნიათ მინიმუმ ერთი საათით მაინც ეზოში სათანადო ფიზიკური ვარჯიშის უფლება, თუ ამას ამინდი უწყობს ხელს.[149] პატიმრობის კოდექსის[150] თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით).[151] როგორც წესი, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები, დღის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდებიან მათი საცხოვრებელი კორპუსების სასეირნო ეზოებში, ხოლო დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს აქვთ უფლება, დღეში არანაკლებ 1 საათისა, ისარგებლონ გასეირნების უფლებით.

საყურადღებოა, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები 23 საათს ატარებენ საკნებში და მათი გასეირნება 1 საათით საკნის მსგავს სასეირნო ეზოებში, სადაც არ არის სავარჯიშო ინვენტარი, შეიძლება

147 საპატიმრო განყოფილების.
148 დახურული ტიპის კორპუსის.
149 წესი 23.1.
150 მუხლი 14
151 პუნქტი 1 („ზ“).

მძიმედ აისახოს მათს ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, აუცილებელია, დაწესებულებაში შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის სათანადო პირობები და, ამასთანავე, გაიზარდოს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა. სასეირნო ეზოების არასათანადო მოწყობის გამო, რიგ შემთხვევებში პატიმრები უარს აცხადებენ სუფთა ჰაერზე გასვლის უფლებით სარგებლობაზე. აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველი 2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებშიც საუბრობდა, თუმცა ეს პრობლემა პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ რჩება.

აღსანიშნავია, რომ N8 დაწესებულებაში სულ 560 საცხოვრებელი საკანია[152] და, აქედან, 25 საკანში სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრები ცხოვრობენ, რომლებიც სასეირნო ეზოებით არ სარგებლობენ.[153] დაწესებულებაში 90 სასეირნო ეზოა. პატიმართა სასეირნო ეზოებში გაყვანა საკნების მიხედვით ხდება. დაწესებულების დღის განრიგის თანახმად, პატიმართა გასეირნება იწყება დილის 9 საათიდან და გრძელდება 12 საათამდე. აღნიშნული განრიგის შესაბამისად, 3 საათში მხოლოდ 270 საკანში მყოფი პატიმარი მოახერხებს გასეირნების უფლებით სარგებლობას,[154] ხოლო დანარჩენ საკნებში მყოფი პატიმრები ვერ ისარგებლებენ ამ უფლებით.

N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გადმოცემით, ისინი ხშირად არ სარგებლობენ გასეირნების უფლებით, ვინაიდან, მათ სასეირნოდ გასვლას დილის 7 ან 8 საათზე სთავაზობენ. გარდა ამისა, რადგან შაბათობით N8 დაწესებულებიდან მსჯავრდებულები სხვა დაწესებულებებში გადაჰყავთ, პატიმრები გასეირნების უფლებით ვერც ამ დღეს სარგებლობენ. პატიმართა უარი გასეირნების უფლებით სარგებლობაზე დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებში არსებულ ჟურნალებში აღირიცხება, სადაც უარი მხოლოდ საკნების მიხედვით არის მითითებული. ჟურნალში არ არის აღნიშნული, თუ რა დროს სთავაზობენ პატიმარს გასეირნებას (მითითებულია მხოლოდ თარიღი). დამკვიდრებული პრაქტიკის[155] თანახმად, საკანში და სასეირნო ეზოში პატიმარი მარტო არ უნდა დარჩეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული პატიმრის გასეირნება მისი თანამესაკნეების ნება–სურვილზეა დამოკიდებული, რაც, სახალხო დამცველის შეფასებით, დაუშვებელია. პირს, რომელიც გასეირნების სურვილს გამოთქვამს, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიეცეს სასეირნოდ გასვლის შესაძლებლობა.

პატიმრებს დილის 7, 8 საათზე სთავაზობენ გასეირნებას N6 დაწესებულებაშიც, რის გამოც, ამ დაწესებულებაში მყოფი პატიმრების განცხადებით, ისინი თავს იკავებენ გასეირნების უფლებით სარგებლობისგან. N18 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გადმოცემით, ისინი სასეირნო ეზოებში კვირაში ორჯერ გაჰყავთ, ისიც მხოლოდ 15 წუთით.

2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციის თანახმად, N8 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს უნდა მისცემოდათ საშუალე-

152 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით N8 დაწესებულებაში 2 324 პატიმარი იყო და მხოლოდ 16 საკანი იყო ცარიელი.

153 სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულები დღის მანძილზე თავისუფლად გადაადგილდებიან დაწესებულების ტერიტორიაზე, შესაბამისად, სასეირნო ეზოებით სარგებლობას არ საჭიროებენ.

154 ამ დროში, რომ არც ჩავთვალოთ პატიმართა საკნიდან გამოყვანისა და სასეირნო ეზოში აყვანის დრო.

155 დაწესებულების თანამშრომელთა განცხადებით, ეს პრაქტიკა სუიციდის პრევენციას ემსახურება.

ბა, დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს ესარგებლათ სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით. თუმცა სუფთა ჰაერზე დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს გასეირნების უფლებით სარგებლობისას პრობლემები საანგარიშო წლის მანძილზე არა მხოლოდ N8, არამედ N6 და N18 დაწესებულებებშიც დაფიქსირდა.

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ თუ სხვა სახის ღონისძიებებში. ეს ყოველივე აუცილებელია, რათა მსჯავრდებული, სასჯელის მოხდის შემდგომ, საზოგადოებას დაუბრუნდეს, როგორც სრულფასოვანი ადამიანი.

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოოდ, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე, რომ მათ შეძლონ კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა.[156]

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.[157] ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.[158] განათლების სისტემატიური პროგრამები უნარ-ჩვევების ტრენინგების ჩათვლით, პატიმართა საერთო განათლების გაღრმავებისა და პატიმრების წახალისებისათვის დანაშაულის გარეშე ცხოვრების თაობაზე უნდა იყოს რეჟიმების ძირითადი ნაწილი.[159]

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული[160] 2016 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად,[161] სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი დაინერგა და ამჟამადაც მოქმედებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის. 2015 წელს ეს მიდგომა დაინერგა N5 და N16 დაწესებულებებში, ხოლო 2016 წელს პროგრამის პილოტირება განხორციელდა N6, N12 და N17 დაწესებულებებში. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი 2017 წლის 31 დეკემბრამდე ყველა დაწესებულებას მოიცავს, რაც მისასალმებელია.

156 წესი 4.1.
157 ნელსონ მანდელას წესები, წესი 105.
158 ევროპული ციხის წესები, წესი 28.1.
159 ევროპული ციხის წესები, წესი 106.1.
160 ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე http://www.moc.gov.ge/ka/saqmianoba/angarishebi
161 ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე http://www.moc.gov.ge/images/catalog/items/zzzz.pdf, გვ. 32.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა გულისხმობს მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, რომლის მიზანია დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასება, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ინდივიდისთვის საჭირო ჯანსაღი გარემოს შექმნა და შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა. სასჯელის მოხდის პარალელურად, დგინდება და ფასდება რეაბილიტაციის კუთხით მსჯავრდებულთა საჭიროებები და, ამის საფუძველზე, თითოეული მსჯავრდებულისთვის განისაზღვრება ფსიქოსოციალური, სარეაბილიტაციო პროგრამების ინდივიდუალური ნუსხა. პროგრამის შედეგები აისახება მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტაზე.[162]

2016 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა და ამ ეტაპზეც ტარდება სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიება. წლის მანძილზე პატიმრებს საშუალება მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, დაუფლებოდნენ ზოგად/პროფესიულ განათლებას და შეესწავლათ სხვადასხვა ხელობა. ამ კუთხით ყველაზე კარგი მაგალითია N5 დაწესებულება.

N5 დაწესებულებაში განხორციელებული აქტივობები	მონაწილეთა რაოდენობა
ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები	
ატლანტისი	16
გათავისუფლებისთვის მზადება	11
ოჯახურ სირთულეებთან გამკლავება	6
კოგნიტური და სოციალური უნარები	18
ტრენინგი სტრესის შესახებ	6
სპორტული/კულტურული ღონისძიებები	
შეჯიბრი საზრიანობასა და შემოქმედებითობაში	100
ღონისძიება „ქალი მომავლის იმედით“	150
პანტომიმის თეატრი	12
სპექტაკლი „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“	100
სპექტაკლი „ვიდრე უფლისწული თავს მოიკლავს“	100
თეატრალური წარმოდგენა „მოდით მნახეთ, მე აქ ვსახლობ, მზე აქ შემიჩერებია“	33
მონაწილეობა გადაცემაში „ცოდნა ფულია“	2
მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“	100

162 ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე http://www.moc.gov.ge/images/catalog/items/zzzz.pdf, გვ. 32.

„გადაწერე ვეფხისტყაოსანი“	3
პოეზიის საღამო	50
ლიტერატურული კონკურსი	4
მუსიკალური კონცერტები	150
მხატვრული ფილმების ჩვენება	80
პროფესიული, სახელობო კურსები/ტრენინგები	
გიდის (ტურიზმი) სატრენინგო პროგრამა	11
სასტუმროს პერსონალის მომზადება	9
სასტუმროს საქმის მწარმოებელი	10
ტუროპერატორის კურსი	9
ლექცია თემაზე „საუბრები თარგმანზე“	40
ლექცია-სემინარი რელიგიურ და თეოლოგიურ თემებზე	90
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები	176
ტრენინგი ადამიანებით ვაჭრობის წინააღდეგ ბრძოლის (ტრეფიკინგის) შესახებ	36
ტრენინგი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ	7
კერვა	12
სტილისტი	28
თექა	13
მასაჟის შემსწავლელი კურსი	18
ქართული ენის შემსწავლელი კურსი	24
ინგლისურის ენის შემსწავლელი კურსი	28
გერმანული ენის შემსწავლელი კურსი	17
კომპიუტერული გრაფიკა	4
კომპიუტერული საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსი	10

გარდა ცხრილში მითითებული აქტივობებისა, N5 დაწესებულებაში ასევე მოეწყო მხატვრული ფილმების ჩვენება და ჩატარდა კონცერტები.

N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები 2016 წლის მანძილზე ჩართულები იყვნენ ზოგადი განათლების მიღების პროცესში. აღნიშნულ დაწესებულებაში ჩატარებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

სარეაბილიტაციო აქტივობის დასახელება	პერიოდი	მონაწ-ილეები
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია		
გათავისუფლებისთვის მზადება	იანვარი-მარტი, მაისი-ივლისი	18
არტთერაპია	იანვარი-მარტი, აპრილი-მაისი	15
სტრესის მენეჯმენტი	თებერვალი	4
ბრაზის მართვა	აპრილი	4
მუსიკათერაპია	აპრილი-ოქტომბერი	17
სასარგებლო უნარების განვითარება	აპრილი-ოქტომბერი	6
კულტურული ღონისძიებები		
მხიარული ვიქტორინა	1.11.2016	6
რა? სად? როდის?	2.1.2016	9
	2.10.2016	10
	4.23.2016	11
	5.30.2016	11
	8.24.2016	8
	11.29.2016	9
კინოვიქტორინა + რა? სად? როდის?	8.31.2016	8
ინტელექტუალური თამაში „ეტალონი“	3.16.2016	9
	6.22.2016	5
	9.12.2016	7
	10.3.2016	11
	12.7.2016	11
	12.8.2016	11
საახალწლო ვიქტორინა	12.30.2016	11
მკითხველთა კლუბი	კვირაში 1-ჯერ	-
სპექტაკლი „ვიდრე უფლისწული თავს მოი-კლავს“	6.15.2016	11
პოეზიის საღამო, შეხვედრა პოეტებთან	11.4.2016	13
პრეზენტაცია თემაზე „ქართველი იუნკერები“	2.25.2016	9
ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	6.1.2016	11
დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	4.25.2016	4
პრეზენტაცია თემაზე „26 მაისი დამოუკიდე-ბლობის აღდგენის დღე“		2

სპორტული აქტივობები		
შაშის წრე	კვირაში 1-ხელ	16
ჭადრაკის წრე	კვირაში 1-ხელ	22
ფიტნეს ვარჯიშები	5.4.16-20.12.16 კვირაში 3-ჯერ	15
ფეხბურთის წრე	10.5.16-24.12.16 კვირაში 2-ჯერ	13
მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი	3.30.2016	8
	4.6.2016	8
	8.18.2016	8
	8.22.2016	8
	11.25.2016	8
შაშის ტურნირი	4.14.2016	7
	9.2.2016	5
ამხანაგური მატჩი ფეხბურთში	12.1.2016	9

გარდა ცხრილში მოცემული მონაცემებისა, წლის მანძილზე არასრულწ-ლოვნებს საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ ცნობილ ადამიანებს და ენახათ არაერთი მხატვრულ/შემეცნებითი ფილმი.

პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულე-ბებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ.

პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუ-ფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩატარე-ბული სარეაბილიტაციო აქტივობები	აქტივობებში ჩართულ პატიმარ-თა რაოდენობა დაწესებულე-ბების მიხედვით			
	N2		N8	
	სრულწ-ლოვანი	არას-რულწ-ლოვანი	სრულწ-ლოვანი	არას-რულწ-ლოვანი
სპორტული ღონისძიებები				
შაშის ტურნირი	8	-	-	-
მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი	-	-	8	-
მკლავჭიდის ტურნირი	-	-	18	8
შაშის ტურნირი	-	-	26	8
ძალოსნობის ტურნირი სიმძიმეების აწევაში	-	-	14	-
სახელობო/პროფესიული კურსები				
ხეზე კვეთა	8	-	-	-
ქარგვა	7	-	-	-

მინანქარი	4	-	-	-
ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	12	-	22	-
ქართული ენის შემსწავლელი კურსი	11	-	14	-
კომპიუტერული გრაფიკის კურსი	13	-	7	-
კომპიუტერული საოფისე პროგრამები	-	-	19	-
მართვის მოწმობის თეორიული კურსი	19	-	26	-
ოჯახური მცირე სასტუმროს მენეჯმენტი	6	-	-	-
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გაცნობა	-	3	-	-
საქართველოს ისტორიის გაცნობა	-	6	-	-
მსოფლიოს შვიდი საოცრება	-	4	-	-
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები	-	-	40	-
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია				
ატლანტისი	6	-	-	-
არტთერაპია	-	8	-	5
ჯანსაღი ცხოვრების წესი	-	5	-	-
კოგნიტური და სოციალური უნარები	-	4	-	-
პენიტენციური სტრესის მართვის მოდული	-	1	-	-
ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული	-	3	8	-
ბიბლიოთერაპია	-	-	-	11
რა? სად? როდის?	-	-	12	-

გარდა ცხრილში მითითებული მონაცემებისა, პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრა, პოეზიის საღამო და ლიტერატურული კონკურსები.

N9 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წლის მანძილზე მხოლოდ უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლა იყო შესაძლებელი.

N2, N8 და N11 დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნები ჩართულები იყვნენ ზოგადი განათლების მიღების პროცესში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ N2 დაწესებულებაში მყოფი ქალი პატიმრები არ იყვნენ ჩართულები რაიმე სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებაში.

N2 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო პროგრამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგი მუშაობს არტთერაპიით. არ არის დანერგილი ანტისოციალური ქცევის პრევენციის პროგრამა. არასრულწ-

ლოვნებს უჩვენებენ ფილმებს, რომლებიც თემატურად არაა შერჩეული, ფილმზე დისკუსია, მისი განხილვა არ იმართება, რაც ირიბად იმუშავებდა ბენეფიციარების მორალურ განვითარებაზე, დანაშაულის მიმართ დამოკიდებულების შეცვლაზე, მათ პიროვნულ ზრდაზე, თვითშეფასების ამაღლებაზე, სოციალურ ადაპტაცია-კომპეტენციის გაუმჯობესებაზე. ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, N2, N8 და N9 დაწესებულებებში 2016 წელს განხორციელებული აქტივობები საჭიროებს დახვეწას.

რაც შეეხება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განხორციელებულ აქტივობებს, N7 დაწესებულებაში 2016 წელს მხოლოდ 2 პატიმარი იყო სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართული. ერთ შემთხვევაში პატიმრის ნამუშევრის გამოფენა მოეწყო, ხოლო მეორე შემთხვევაში პატიმარმა მის მიერ დაწერილი ლექსით მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ კონკურსში. N6 დაწესებულებაში წლის მანძილზე მოქმედებდა სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც 7 პატიმარი იყო ჩართული. გარდა ამისა, ჩატარდა შაშის ტურნირი, რომელშიც 12 მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება N3 დაწესებულებას, 2016 წელს სულ 8 სარეაბილიტაციო აქტივობა ჩატარდა, მათ შორის, შემდეგი კურსები: სასტუმრო საქმის მწარმოებელი, გიდი (ტურიზმი), ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, კომპიუტერული გრაფიკა, ვებსპეციალისტი, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, მართვის მოწმობის თეორიული და ვებდიზაინი. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 4-მა მსჯავრდებულმა.[163]

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უმნიშვნელოვანესია მრავალმხრივი და პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამები. როგორც ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, ამ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების ჩართულობა სარეაბილიტაციო აქტივობებში არის ძალიან დაბალი, რაც დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ გარემოს და უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე; სარეაბილიტაციო პროგრამების გარეშე ვერ მიიღწევა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის და დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნები.

აუცილებელია დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს, სულ მცირე, საკანში მაინც მიეცეთ შესაძლებლობა, დაკავდნენ მათთვის საინტერესო თავშესაქცევი, სახელოვნებო, შრომითი, შემეცნებითი და სხვა აქტივობით. ასევე მნიშვნელოვანია, თუნდაც დაწესებულების შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში, ხელი შეეწყოს ინდივიდუალურ სპორტულ აქტივობებს. მაგალითად, თხოვნის შემთხვევაში, დამატებით მოხდეს პატიმრის გაყვანა სასეირნო ეზოში, სადაც ის შეძლებს ვარჯიშს ინდივიდუალურად. ამ მიზნით, უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია სასეირნო ეზოში ელემენტარული სპორტული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

163 2017 წლის 18 იანვარს N3 დაწესებულებიდან გამოგზავნილი MOC 7 1700043478 პასუხი.

როგორც გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ N18 და N19 დაწესებულებები წარმოადგენენ სამკურნალო დაწესებულებებს, იქ არსებულ ცალკეულ განყოფილებებში პატიმრები თავსდებიან ხანგრძლივი დროით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ დაწესებულებებში გარკვეული აქტივობების დანერგვა. სახალხო დამცველმა 2015 წლის ანგარიშში აღინიშნა, რომ მართალია, ორივე დაწესებულებამ გადადგა ნაბიჯები სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვისკენ, აუცილებელია პატიმრებს შესთავაზონ რაც შეიძლება მეტი და მრავალფეროვანი პროგრამა. 2016 წელს N18 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს დაწესებულების სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მიერ ჩაუტარდათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსი „სუიციდის დაძლევის სტრატეგიები, ემოციასთან და სტრესთან გამკლავების უნარების განვითარება“ (13 ბენეფიციართან); ჩატარდა არტთერაპიის კურსი (ჯგუფში 4 მსჯავრდებული) და მოეწყო ფილმის ჩვენება. ხოლო N19 დაწესებულებაში პატიმრებს მიეცათ საშუალება შეესწავლათ ხატწერა და ხეზე კვეთა (3 მსჯავრდებული), ასევე ჩაუტარდათ არტთერაპიის კურსი (16 მსჯავრდებული).

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩატარებული სარეაბილიტაციო აქტივობები	აქტივობებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით			
	N12	N14	N15	N17
სახელობო/პროფესიული კურსები				
გალობის შემსწავლელი კურსები	13	-	-	-
მედავითნეობის შემსწავლელი კურსი	13	-	-	-
ქართული ენის შემსწავლელი კურსი	-	-	-	14
ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	74	-	13	26
გერმანული ენის შემსწავლელი კურსი	20	-	-	19
კომპიუტერული გრაფიკა	14	-	20	18
პროგრამა „Access“	-	-	10	19
კომპიუტერული საოფისე პროგრამების შესწავლა	8	-	-	6
ვებდიზაინის შემსწავლელი კურსი	-	-	12	17
გიდი (ტურიზმი)	24	-	-	-
სასტუმრო საქმის მწარმოებელი	7	-	-	14
მცირე ბიზნესის მწარმოებელი	41	-	6	15
ლექცია „საუბრები თარგმანზე“	18	-	-	-
თანასწორთა განათლება და აივ ინფექცია/ შიდსი	30	-	-	-
ლექცია/სემინარი რელიგიურ და თეოლოგიურ თემებთან დაკავშირებით	89	-	-	55

ტრენინგი თემაზე ბრალდებულთა და მსჯავრ-დებულთა უფლებების შესახებ	-	-	-	49
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	16	-	5	8
მართვის მოწმობა (თეორიული კურსი)	22	-	14	44
ხეზე კვეთა	-	-	-	33
ხატწერა	-	-	-	7
ტურ-ოპერატორი	7	-	4	-
ელექტრიკოსი	-	8	-	-
მეფილე	-	9	-	-
კალატოზი	-	8	-	-
დურგალი	-	3	-	-
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია				
გათავისუფლებისთვის მომზადება	23	-	-	10
პენიტენციური სტრესი	-	-	-	13
ბრაზის მართვა	10	-	-	-
რა? სად? როდის?	12	-	-	-
პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთო-ბებში	16	-	-	-
პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება	-	-	-	8
ბიბლიოთერაპია	9	-	-	8
კოგნიტური და სოციალური უნარების პროგრამა COSO	26	-	-	-
ტრავმა და მისი მოვლა	12	-	-	-
თეატრალური დასი	-	-	-	15
არტთერაპია	-	-	-	11

გარდა ცხრილში მოცემული აქტივობებისა, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში შედგა შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან,[164] მოეწყო პოეზიის საღამო,[165] კონცერტები,[166] მხატვრული ფილმის ჩვენებები,[167] ღონისძიება „გადაწერე ვეფხისტყაოსანი,“[168] წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება,[169] ჭადრაკის ტურნირი,[170] ფეხბურთის მატჩი,[171] მსოფლიო რეკორდის დამ-

164 N12, N17 დაწესებულებებში.
165 N15 დაწესებულებაში.
166 N12 დაწესებულებაში.
167 N12, N14, N15, N17 დაწესებულებებში.
168 N12 დაწესებულებაში.
169 N14 დაწესებულებაში.
170 N14 დაწესებულებაში.
171 N17 დაწესებულებაში.

ყარება სიმძიმის აზიდვაში,[172] მსჯავრდებულთა ნამუშევრების გამოფენა,[173] სასულიერო პირების შეხვედრა მუსლიმ მსჯავრდებულებთან.[174]

როგორც ცხრილში მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ N14 და N15 დაწესებულებებში 2016 წელს განხორციელებული, სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირეა, ასევე არსებულ აქტივობებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია, შესაბამისად, აღნიშნულ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესი არადამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება N16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, 2016 წელს აღნიშნულ დაწესებულებებში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის, შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთსა და ფრენბურთში, ჭადრაკში და კალათბურთში. მსჯავრდებულებს ჰქონდათ საშუალება შეხვედროდნენ ცნობილ ადამიანებს, ენახათ არაერთი მხატვრული ფილმი; შეესწავლათ ხეზე კვეთის, გიტარაზე დაკვრის, თიხაზე მუშაობის, კულინარიის, მღებავის, კომპიუტერის, მცირე ბიზნესისა და სასტუმროს საქმის მწარმოებლის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდამჭერი სპეციალისტის პროფესიები; ასევე, ესწავლათ ქართული, ინგლისური და გერმანული ენები. გარდა ზემოაღნიშნულისა, მსჯავრდებულები ჩართულები იყვნენ სხვადასხვა სახის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში, მათ შორის: განთავისუფლებისთვის მზადება, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება, ადამიანის განვითარება სოციალურ გარემოში, ბრაზისა და სტრესის მართვა, ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები, ნაბიჯი ცვლილებებისკენ (დანაშაულის გაცნობიერება) და სხვა.

სამწუხაროდ, პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ უცხოელ პატიმრებს, ენის ბარიერის გამო, უჭირთ კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან, მათ შორის, სოციალურ მუშაკებთან, რის გამოც, ფაქტიურად, ვერ ახერხებენ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ჩართვას. მართალია, დაწესებულებები უცხოელ პატიმრებს რიგ შემთხვევებში სთავაზობენ ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კურსები რეგულარულად არ ტარდება. მაგალითად, N2 დაწესებულებაში წლის მანძილზე განხორციელებული ვიზიტების შედეგად აღმოჩნდა, რომ უცხოელი პატიმრები საერთოდ არ იყვნენ ინფორმირებული სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლების შესახებ.

2015 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა ყველა დაწესებულებაში მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად; მაქსიმალურად შეწყობოდა ხელი დაწესებულებების სოციალურ განყოფილებებს, დაეგეგმათ და პატიმრების სათანადო მონაწილეობით ჩაეტარებინათ სხვადასხვა ღონისძიება; ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებული ყოფილიყო პატიმართა ინტერესის სფეროები, ასევე, სხვადასხვა აქტივობაში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უფრო ხშირად გამოყენებულიყო წახალისების ფორმები. სამწუხაროდ,

172 N17 დაწესებულებაში.
173 N17 დაწესებულებაში.
174 N17 დაწესებულებაში.

აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. 2016 წლის მანძილზე განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციური დაწესებულებების სოციალურ განყოფილებებში პერსონალის რაოდენობა კვლავ არასაკმარისია.

დაწესებულება	პატიმართა საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე	სოციალურ მუშაკთა რაოდენობა	ფსიქოლოგთა რაოდენობა	განყოფილების უფროსი	სოციალური სამსახურის შემადგენლობა
N2	1 218	6	2	1	9[175]
N3	101	3	1	1	5
N5	266	7	2	1	11[176]
N6	209	10	3	1	14
N7	29	1	1	1	3
N8	2 370	20	6	1	26
N9	39	1	1	1	3
N11	16	5	2	1	8[177]
N12	280	3	1	1	5
N14	1 152	11	1	1	13[178]
N15	1 706	13	1	1	15
N17	1 922	11	2	1	14
N18	103	3	1	1	5
N19	101	4	1	1	6

როგორც ცხრილში არსებული მონაცემებიდან ჩანს, N2 დაწესებულებაში 1218 და N17 დაწესებულებაში 1922 პატიმართან მხოლოდ 2 ფსიქოლოგს უწევს მუშაობა; N14 დაწესებულებაში 1152 და N15 დაწესებულებაში 1706 მსჯავრდებულთან მხოლოდ 1 ფსიქოლოგი მუშაობს. N8 დაწესებულებაში 2370 პატიმართან 6 ფსიქოლოგი მუშაობს, სადაც ერთ ფსიქოლოგს დაახლოებით 400 პატიმართან უწევს მუშაობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პატიმრებთან ინდივიდუალური შეხვედრებისა, ფსიქოლოგები სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების

175 ცხრილში მოცემულია 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემები, სოციალური სამსახურის შემადგენლობა იცვლებოდა წლის მანძილზე.

176 სოციალური სამსახურის შემადგენლობაში ასევე შედის 1 ბიბლიოთეკარიც.

177 გარდა ცხრილში არსებულისა, სოციალური სამსახურის 2 თანამშრომელი (ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი) დეკრეტული შვებულებით სარგებლობდნენ.

178 N14 დაწესებულებაში 1 სოციალური მუშაკის ვაკანსიაა.

პროცედურის ფარგლებში ამზადებენ მსჯავრდებულის დახასიათებას, მონაწილეობენ სარეაბილიტაციო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე ჩართულები არიან სუიციდის პრევენციის პროგრამაში და ამ პროგრამის ფარგლებშიც უწევთ შესაბამისი ფსიქოლოგიური დასკვნების მომზადება. ზოგიერთი ფსიქოლოგი დანანებით აღნიშნავს, რომ მათ არ აქვთ ფსიქოთერაპიული მუშაობის ჩატარების რესურსი.

რაც შეეხება სოციალური განყოფილების თანამშრომლებს, მართალია, სოციალურ განყოფილებებში მათი რიცხვი ფსიქოლოგების რაოდენობას აღემატება, მაგრამ, როგორც მონიტორინგი აჩვენებს, მათაც მძიმე სამუშაო პირობები აქვთ. პატიმრებში სოციალურ მუშაკზე მაღალი მოთხოვნაა. ამასთან, პატიმრების ნაწილი აცხადებს, რომ სოციალური მუშაკები სათანადოდ ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია როგორც ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

პენიტენციურ დაწესებულებებში მომუშავე ფსიქოლოგებს არ აქვთ სათანადო სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულთან მშვიდ, თერაპიულ გარემოში მუშაობა. ასეთი პრობლემა მწვავედ დგას N2 და N3 დაწესებულებაში. N2 დაწესებულების ფსიქოლოგს მუშაობა უწევს სოციალურ განყოფილებაში, ბიბლიოთეკასა და ადავოკატებთან შეხვედრის ოთახში.

რიგ დაწესებულებაში ფსიქოლოგებს არა აქვთ ჟურნალი, სადაც დაფიქსირებული იქნება მომართვიანობა, ასევე ერთჯერადი ფსიქოდიაგნოსტიკური კონსულტაციების რაოდენობა. ფსიქოლოგების განმარტებით, ისინი ცდილობენ ფსიქოკორექციულ მუშაობას პატიმარებთან, მაგრამ სათანადოდ არ წარმოებს დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება შესაბამისი სესიების რაოდენობა, სამუშაო ინსტრუმენტები და არის თუ არა მუშაობის შედეგად პოზიტიური დინამიკა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პასუხის თანახმად, სარეაბილიტაციო პროგრამების დაგეგმვის მიზნით, 2016 წლის პირველ კვარტალში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა სოციალური აქტივობების საჭიროებების კვლევა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1193 მსჯავრდებულმა. საჭიროებათა ანალიზის შედეგად კი დაიგეგმა 2016 წლის პირველი სასწავლო ეტაპი. გამოკითხვის მეორე ეტაპი ჩატარდა სექტემბრის თვეში, მასში მონაწილეობა მიიღო 894-მა მსჯავრდებულმა, რაც, თავის მხრივ, გახდება შემდგომი სასწავლო ეტაპის დაგეგმვის საფუძველი. 2016 წლის საერთო მონაცემებით, პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 1325 მსჯავრდებულმა.[179]

179 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოსაზრებები „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს პენიტენციურ დაწესებულებებში სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს საკმაოდ მწირი სახით იყო სარეაბილიტაციო აქტივობები წარმოდგენილი N3, N6, N7, N8, N9, N14, N18 და N19 დაწესებულებებში, ხოლო N2, N8 და N15 დაწესებულებებში არსებული სარეაბილიტაციო აქტივობები არ იყო მრავალფეროვანი და მასში პატიმართა ჩართულობა არადამაკმაყოფილებელია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტში შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც განთავსებულია გათავისუფლებისათვის მომზადების ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება ექნება ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ საკანონდმებლო ცვლილებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის 61-ე პუნქტით შემოთავაზებულია ცვლილება 88–ე მუხლში, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში, ეზღუდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სწავლის პროცესის ხელშეწყობა პრიორიტეტული უნდა იყოს პენიტენციურ სისტემაში; შესაბამისად, თუ მსჯავრდებული ჩართულია სასწავლო პროცესში, მას ეს უფლება არ უნდა შეეზღუდოს დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში.

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკა, რომელიც დააკმაყოფილებს ყოველი კატეგორიის პატიმრის მოთხოვნას. ის უნდა იყოს ადეკვატურად მომარაგებული, როგორც მხატვრული, ისე სპეციალური ლიტერატურით.[180] პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ლექციების ან სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ.[181]

აღსანიშნავია, რომ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. მხოლოდ N7 დაწესებულებაში არ არის ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ფართი, თუმცა დაწესებულებას აქვს წიგნების გარკვეული მარაგი. რიგ დაწესებულებებში პრობლემებია უცხოენოვანი წიგნების მარაგის არსებობასთან დაკავშირებით. მაგალითად, N3 დაწესებულებაში მხოლოდ რუსული და თურქულენოვანი წიგნებია; N9, N12, N14 დაწესებულებებში ინგლისური და რუსულენოვანი; N7 და N19 დაწესებულებებში რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი; N16 და N18 დაწესებულებებში ინგლისურ, რუსულ და გერმანულენოვანი წიგნებია; N2 დაწესებულებაში ინგლისურ, რუსულ, თურქულ და გერმანულენოვანი წიგნები, ხოლო N6 დაწესებულებაში არის ინგლისურ, რუსულ და აზერბაიჯანულენოვანი წიგნები.

180 წესი 64.
181 იხ. იქვე, წესი 63.

სამწუხაროდ, N7, N9 და N14 დაწესებულებების მომარაგება ჟურნალ-გაზეთებით არ ხდება, ხოლო N3 დაწესებულების ბიბლიოთეკაში მხოლოდ ჟურნალ „ბათუმელების“ მარაგია. ჟურნალ-გაზეთები დაწესებულებაში არ შედის.

სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ერთ-ერთ პოზიტიურ მოვლენად შეფასდა პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლის თანახმადაც[182], ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვითა და კონტროლით ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას, ჰქონდეს ამისთვის საჭირო ინვენტარი და პენიტენციური დაწესებულების ხელშეწყობით შეძლოს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაცია.

ზემოაღნიშნული ცვლილებების დახმარებით, 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ინდივიდუალური საქმიანობით დაკავებულ პატიმრებს მიეცათ მათი ნამუშევრების (ჯვრები, მინანქრისა და თექის ნაწარმი და სხვა) რეალიზაციის შესაძლებლობა. ნამუშევრების იყიდება ონლაინმაღაზიის[183] მეშვეობით, ხოლო რეალიზაციით მიღებული თანხა პირდაპირ ირიცხება ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საბანკო ანგარიშზე.

გარდა პატიმრობის კოდექსში არსებული ჩანაწერისა, 2016 წლის 4 ივლისს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N85-ე ბრძანებით დამტკიცდა „პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის გარეთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმების, ანაზღაურებისა და შესაბამის სამუშაოთა ჩამონათვალის განსაზღვრის“ წესი. მითითებული ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებაში, ან დაწესებულების გარეთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, პირობები, პროცედურები (მათ შორის, სამუშაოზე ჩარიცხვა/ამორიცხვა), ანაზღაურების წესი, ასევე იმ სამუშაოთა ჩამონათვალი, მათ შორის, დაწესებულების მცირე სარემონტო სამუშაოები და ამ სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების წესი, რომლებზეც შესაძლებელია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დასაქმება.

2016 წელს პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს უწევდათ ისეთი სამუშაოების შესრულება, როგორიცაა ამანათის მიტანა, საკვების პატიმრებისთვის დარიგება, ტაძრის მსახურება, რეცხვა, დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული მაღაზიიდან საკვები პროდუქტებისა და დამატებითი მოხმარების საგნების მიწოდება, დალაგება-დასუფთავება და ბიბლიოთეკაში მუშაობა. დასაქმებულ მსჯავრდებულებს შესრულებული სამუშაოსთვის ეძლეოდათ ანაზღაურება ხელფასის სახით, რომლის ოდენობა განისაზღვრება მათი პოზიციის შესაბამისად.

182 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14 (1)(„ე“ ქვეპუნქტი).

183 მსჯავრდებულთა ნამუშევრების რეალიზაცია მიმდინარეობს შემდეგ ელ. მისამართზე https://online.moc.gov.ge/

სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულთა ანაზღაურება	დარიცხული ხელფასი	ხელზე ასაღები თანხა
მომსახურე ჯგუფის უფროსი	250	200
მომსახურე ჯგუფის უფროსის მოადგილე	225	180
მომსახურე პერსონალი	200	160

2015 და 2016 წლებში პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებულ[184] მსჯავრ-დებულთა შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ.

დაწესე-ბულებებში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა	N2	N3	N5	N6	N7	N8	N9	N12	N14	N15	N17	N19	სულ
2015 წელი	101	21	37	26	4	247	7	32	92	60	219	27	**873**
2016 წელი	81	7	36	30	4	109	4	26	100	66	92	28	**583**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2015 წელს პენიტ ენციურ დაწესებულებებ-ში საშუალოდ 10 333 პატიმარი იხდიდა სასჯელს, ხოლო 2016 წელს 9 601, 2015 წლის მანძილზე პაატიმართა ამ რაოდენობიდან 8.4 % იყო დასაქმებული, ხოლო 2016 წელს - 6.1 %. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით, 28.1 %-ით შემცირდა დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სამეურნეო სამსახურ-ში ჩარიცხვა რეგულირდება „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შეს-ახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მს-ჯავრდებულის ჩარიცხვა მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე ფორმ-დება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.[185] დაწესებულების დირექტო-რის ბრძანება მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვის შესახებ არ შეიცავს ისეთ მონაცემს, როგორიცაა შესასრულებელი სამუშაოს სახე. აღნიშნული კი შრომის კოდექსის მე-6 მუხლშია[186] გაწერილი და შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს. შესასრულებე-ლი სამუშაოს სახის განუსაზღვრელობა მუშა მსჯავრდებულებს დაწესებულე-ბაში ისეთი სამუშაოს შესრულების საფრთხის წინაშე აყენებს, რაც მათთვის დასაქმებამდე უცნობი იყო.

184 სხვა პენიტენციური დაწესებულებებისგან განსხვავებით, N11 (არასრულწლოვანთა) და N18 (სამკურ-ნალო) დაწესებულებებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, არცერთი პატიმარი არ დასაქმებულა.

185 „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157-ე ბრძანება, დანართი 1, მუხლი 2, პუნქტი 4.

186 მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

2015 წელს, საპარლამენტო ანგარიშში, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განსაზღვრულიყო, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა. თუმცა, 2016 წლის განმავლობაში, დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, მათი სურვილის მიუხედავად, კვლავ უწევს შაბათ-კვირას, სადღესასწაულო დღეებში და საჭიროების შემთხვევებში, ღამის საათებში მუშაობა. შესაბამისად, აუცილებელია, მსჯავრდებულებს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში გაეწეროთ, კონკრეტულად რა საქმის შესასრულებლად ხდება მათი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკითა და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაოს მითითებით. აღნიშნული ჟურნალის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დადგინდეს, თუ რამდენ საათს მუშაობს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული თითოეული მსჯავრდებული, ასრულებენ თუ არა ისინი ზეგანაკვეთურ სამუშაოს და როგორ ანაზღაურდება ზეგანაკვეთური მუშაობა.

2016 წლის მანძილზე პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს დადგინდა, რომ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა ნაწილს ყოველდღიურად უწევთ მძიმე ტვირთის ტარება. ასე მაგალითად, N2 დაწესებულებაში დღეში სამჯერ საკვებით სავსე ქვაბების მე-4 სართულზე ატანა.

რეკომენდაცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა

- N6, N8 და N18 დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა დღის განმავლობაში ისარგებლონ სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით; ამ მიზნით, მიზანშეწონილია დღის განრიგის გადახედვა პატიმართა საჭიროებების გათვალისწინებით

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში უფრო მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას, დაგეგმოს და პატიმრების სათანადო მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიება. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია პატიმარ-

თა ინტერესის სფეროები, ამასთან, სხვადასხვა აქტივობაში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უფრო ხშირადაა გამოსაყენებელი წახალისების ფორმები

- ყველა მსჯავრდებულს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სარეაბილიტაციო აქტივობებში; ამასთან, გათვალისწინებულ იქნას მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებები
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების სათანადო რაოდენობით დასაქმებისთვის
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N2 და N3 დაწესებულებების ფსიქოლოგებისთვის სამუშაო ოთახების მოსაწყობად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N2 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული ქალების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩასართავად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა უცხოელ პატიმართა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩასართავად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დასანერგად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა პენიტენციურ დაწესებულებებში ბიბლიოთეკების საჭირო რაოდენობის, ახალი და სხვადასხვა ენოვანი წიგნებითა და ჟურნალ–გაზეთებით მოსამარაგებლად
- სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განისაზღვროს, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა
- შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო; ასევე განხილულ იქნეს ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საკითხი
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრებისთვის სათანადო, უსაფრთხო სამუშაო პირობების შესაქმნელად

3.6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სას-

ჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების რეკომენდაციით მიმართა. ეს შესაძლებელს გახდიდა პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში მათ ერთგვაროვან გამოყენებას. აღნიშნულ რეკომენდაციას საფუძვლად დაედო დისციპლინური სახდელების შეფარდების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც სახალხო დამცველის აზრით, დაუსაბუთებლად ზრდიდა პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელ პირთა თვითნებობის რისკს. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

დაწესებულება	პატიმართა საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე		სამარტოო საკანში მოთავსება		სხვა სახდელები		სულ	
	2015 წელი	2016 წელი	2015 წელი	2016 წელი	2015 წელი	2016 წელი	2015 წელი	2016 წელი
N2	1 487	1 218	143	240	153	377	296	577
N3	161	101	85	15	219	909	304	924
N5	292	266	1	3	66	31	67	34
N6	123	209	16	14	46	466	62	480
N7	70	29	0	0	255	46	255	46
N8	2 578	2 370	556	391	1 616	1 717	2 172	2 108
N9	44	39	0	0	3	2	3	2
N11	37	16	0	0	0	0	0	0
N12	270	280	6	14	13	18	19	32
N14	1 234	1 152	134	57	2	3	136	60
N15	1 804	1 706	114	114	287	206	401	320
N16	51	89	3	3	10	16	13	19
N17	1 949	1 922	126	60	65	43	191	103
N18	104	103	0	0	125	78	125	78
N19	129	101	17	9	9	6	26	15
სულ	10 333	9 601	1 201	920	2 869	3 918	4 070	4 838

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველეყო დისციპლინური სახდელების, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება. თუმცა, ცხრილში ასახული მონაცემები ცხადყოფს, რომ 2016 წელს საშუალოდ

16%-ით გაიზარდა დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა პენიტენციურ დაწესებულებებში, ხოლო სამარტოო საკნებში მოთავსების შემთხვევები 23%-ით შემცირდა.

საგანგაშოდ არის გაზრდილი დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი N3 დაწესებულებაში. კერძოდ, თუ 2015 წელს ერთ პატიმარზე საშუალოდ 2 დისციპლინური სახდელი მოდიოდა, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა ერთ პატიმარზე საშუალოდ 9 შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელი საგანგაშოდ გაიზარდა ასევე N6 დაწესებულებაში, სადაც, თუ 2015 წელს დისციპლინური სახდელი საშუალოდ ყოველ მეორე პატიმარზე მოდიოდა, 2016 წელს საშუალოდ ერთ პატიმარზე უკვე 2 დისციპლინური სახდელი მოდის. 2015 წელთან შედარებით, დისციპლინური სახდელების რაოდენობა 2,5-ჯერ გაიზარდა N2 დაწესებულებაში. გარდა ამისა, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს N2 დაწესებულებაში 40,4 %-ით გაიზარდა სამარტოო საკნებში პატიმართა მოთავსების შემთხვევები.

დადებითად უნდა შეფასდეს 2016 წელს N5, N7, N8, N14, N15, N17, N18 და N19 დაწესებულებებში დისციპლინური სახდელების დაკისრების, ხოლო N3, N8, N14, N17 და N19 დაწესებულებებში სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევების შემცირება 2015 წელთან შედარებით. N11 დაწესებულებაში წლის განმავლობაში არცერთი არასრულწლოვანი არ დასჯილა დისციპლინური წესით, ხოლო N9 დაწესებულებაში მხოლოდ 2 პატიმარს დაეკისრა დისციპლინური სახდელი.

2016 წლის განმავლობაში პენიტენციური დეპარტამენტის N7 და N9 დაწესებულებებში სამარტოო საკანი არ ფუნქციონირებდა და შესაბამისად, დისციპლინური სახით სამარტოო საკანში მოთავსება არცერთ პატიმარს არ დაკისრებია. სამარტოო საკანი, დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამარტოო საკანში მოთავსებულს ეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი და კვების პროდუქტების შეძენა. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია, „გაატაროს ზომები, რომ პატიმრის დისციპლინურ საკანში მოთავსება არ აკარგვინებდეს მას ოჯახთან ურთიერთობის საშუალებას. ოჯახთან კონტაქტის ნებისმიერი აკრძალვა, როგორც სასჯელის ფორმა, უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარ კონტაქტებს დანაშაული უკავშირდება“.[187] აღნიშნულთან დაკავშირებით, 2012 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს პატიმრობის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა, ხოლო 2013, 2014 და 2015 წელს საპარლამენტო ანგარიშებში საგანგებოდ მიუთითა ამ მუხლის შეცვლის აუცილებლობაზე. თუმცა, პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლში ცვლილება ამ დრომდე არ ასახულა.

187 წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენება 2010 წლის 5-15 თებერვალს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 115. იხ. ბმული: <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010 27-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 20.02.2017].

პენიტენციური დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების თანახმად, N14 დაწესებულების დირექტორი პატიმართა მიმართ დისციპლინური ღონისძიების სახედ თითქმის ყველა შემთხვევაში სამარტოო საკანში მოთავსებას იყენებს. მითითებული დაწესებულებიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2016 წელს დაწესებულებაში სულ 60 დისციპლინური სახდელი იყო გამოყენებული, აქედან 57 შემთხვევაში პატიმრები სამარტოო საკნებში მოთავსდნენ, ხოლო დანარჩენ 3 შემთხვევაში საყვედური მიიღეს. ანალოგიურად, 2015 წელს, ამავე დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების 136 შემთხვევიდან 134 შემთხვევაში პატიმრებს დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსება განესაზღვრათ.

მართალია, წინა წელთან შედარებით საგრძნობლად იკლო N14 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების დაკისრების შემთხვევებმა, თუმცა დაწესებულების დირექტორის განკარგულებები კვლავ ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსის მოთხოვნებს,[188] რომლის თანახმადაც, სამარტოო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება. ეს პრობლემა აღნიშნული იყო სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც, თუმცა, დაწესებულებაში ვითარება არც 2016 წელს შეცვლილა.

დისციპლინური სასჯელის დაკისრებამდე ციხის ადმინისტრაციამ უნდა გათვალოს, ხომ არ იმოქმედა პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობამ ან განვითარების დარღვევამ მის ქცევასა და დანაშაულებრივ ქმედებაზე ან ქმედებაზე, რომელიც საფუძვლად დაედო დისციპლინურ სახდელს. დაუშვებელია, ციხის ადმინისტრაციამ სასჯელი დაუწესოს პატიმარს რაიმე ქმედებისთვის, თუ ეს ქმედება მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ან პირის მენტალური შეზღუდვის პირდაპირი შედეგია.[189] სამარტოო საკნის გამოყენების შესახებ 2007 წლის სტამბოლის განცხადების[190] შესაბამისად, სამარტოო საკანში მოთავსება სრულად უნდა აიკრძალოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებისთვის. დაუშვებელია შეზღუდული ფსიქიკური ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება, როდესაც შესაძლებელია მსგავსი ზომის გამოყენებამ დაამძიმოს მისი მდგომარეობა.[191]

2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, არ დაეშვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების სამარტოო საკანში მოთავსება, თუმცა 2016 წლის განმავლობაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების ფაქტები გამოვლინდა პენიტენციური დეპარტამენტის N2, N6 და N8[192] დაწესებულებებში.

188 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 88(1).
189 ნელსონ მანდელას წესები. წესი 39.3.
190 International Psychological Trauma Symposium (2007), The Istambul Statement on the use and effects of solitary confinement.
191 ნელსონ მანდელას წესები. წესი 45.2.
192 N8 დაწესებულებაში სამარტოო საკნებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების მოთავსების 7 შემთხვევა გამოვლინდა.

მაგალითად, N2 დაწესებულებაში წლის განმავლობაში სამარტოო საკანში მოთავსების 240 შემთხვევიდან 29 შემთხვევაში, სამარტოო საკანში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრები მოათავსეს. პატიმარი პ.ფ., რომლის დიაგნოზი შერეული და სხვა პიროვნული აშლილობაა (F61), წლის განმავლობაში 7–ჯერ მოათავსეს სამარტოო საკანში 5, 7, 10 და 14 დღით; პატიმარი მ.ო., ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციის, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის (F06) დიაგნოზით, მითითებულ პერიოდში 6-ჯერ მოათავსეს სამარტოო საკანში, ერთ შემთხვევაში 10 დღით, ორჯერ 5 დღით და სამჯერ 14 დღის ვადით; დ.ა., კოკაინის მიღების შედეგად გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის, რეზიდუალური და მოგვიანებულ ასაკში განვითარებული ფსიქოზური აშლილობის (F 14.7) დიაგნოზით, ორჯერ იქნა მოთავსებული სამარტოო საკანში.

N6 დაწესებულებაში წლის განმავლობაში სამარტოო საკანში მოთავსების 14 შემთხვევიდან 4 შემთხვევაში სამარტოო საკანში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრები მოათავსეს დიაგნოზებით: პიროვნების ემოციურად არასტაბილური აშლილობა (F 60.3) და სხვადასხვა სახის ნივთიერების ერთდროული მოხმარებით და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი (F 19), ხანგრძლივი ბოდვითი აშლილობანი (F 22).

N3 და N6 დაწესებულებებში წლის განმავლობაში გამოკითხულ პატიმართა განცხადებით, დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ პროვოცირებას დისციპლინური სახდელების დაკისრების ან დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიზნით.

როგორც N3 დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად გაირკვა, პატიმრებს აქვთ განცდა, რომ დეესკალაციის საკნებში ისინი არა მათი ან სხვისი უსაფრთხოების დაცვის, არამედ დასჯის მიზნით გადაჰყავთ, მათ მიერ დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში. დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ჯგუფმა გაარკვია, რომ 2016 წლის პირველი 5 თვის მანძილზე, დეესკალაციის ოთახში მოთავსების 51 შემთხვევიდან 22 შემთხვევაში, პატიმრის დისციპლინური დასჯა მოხდა დეესკალაციის ოთახში გადაყვანის პერიოდში ან 1 დღის ინტერვალით.[193] ზემოთ მოცემული 22 შემთხვევიდან 11 შემთხვევაში პატიმრებს ჰქონდათ სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობები. მათ შორის, ერთ შემთხვევაში, ხანგრძლივი ბოდვითი აშლილობები (F22), ორგანული პიროვნული აშლილობანი (F07.0), ასევე ორ შემთხვევაში - არაორგანული ბუნების ძილის დარღვევები (F51) და შვიდ შემთხვევაში პიროვნების ემოციურად არასტაბილური აშლილობა (F60.3). შესაბამისად, მათი ქცევის გამომწვევი შეიძლებოდა ყოფილიყო ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო დისციპლინურ სახდელს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ნაცვლად იმისა, რომ ზემოთ მითითებული 11 პირისთვის მიეწოდებინათ სათანადო ფსიქიატრიული მომსახურება, ისინი დეესკალაციის ოთახში მოათავსეს და დამატებით დააკისრეს

193 დეესკალაციის ოთახში მოთავსებამდე 1 დღით ადრე და დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის მეორე დღეს.

დისციპლინური სახდელი. მეტიც, აღნიშნული პირები დეესკალაციის ოთახში ყოფნის პერიოდში ფსიქიატრს არ მოუნახულებია. ფსიქიატრის კონსულტაცია მათ, რიგ შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში მოხვედრამდე, ან აღნიშნული ოთახიდან გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე დღეში ჩაუტარდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო პირობები არ არის უსაფრთხო[194] და მოწყობილი იმგვარად[195], რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი, რასაც ადასტურებს აღნიშნულ ოთახებში ყოფნის პერიოდში პატიმართა მიერ მიყენებული თვითდაზიანებების შემთხვევები.

ანალოგიური მდგომარეობაა N6 დაწესებულებაშიც, სადაც წლის განმავლობაში დეესკალაციის ოთახში მოთავსების 173 შემთხვევიდან 90 შემთხვევაში პატიმრის დისციპლინური დასჯა მოხდა დეესკალაციის ოთახში გადაყვანის პერიოდში ან 1 დღის[196] ინტერვალით. მეტიც, ამ 90 შემთხვევიდან 7 შემთხვევაში პატიმრები დეესკალაციის ოთახიდან პირდაპირ სამარტოო საკნებში გადაიყვანეს დისციპლინური დასჯის მიზნით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება დასჯის მიზნით, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზანს – დაწესებულებაში მყოფ პირთა უსაფრთხოების დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

ევროპული ციხის წესების თანახმად, სასჯელი არ შეიძლება მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[197] პატიმრობის კოდექსის თანახმად, დაუშვებელია სატელეფონო საუბრის, პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნისა და კუთვნილი ხანმოკლე პაემნის უფლებების ერთდროულად შეზღუდვა.[198] სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში მითითებულია, რომ 2015 წელს N7 დაწესებულებაში პატიმართა დისციპლინური დასჯის მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ 19 შემთხვევაში ამავე დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს სრულად ჰქონდათ შეზღუდული გარე სამყაროსთან კონტაქტი,[199] აქედან 2 მსჯავრდებულს – ორჯერ. ერთ შემთხვევაში, მსჯავრდებულ კ.დ.-ს გარე სამყაროსთან კონტაქტი, ჯამში, 91 დღის განმავლობაში ჰქონდა შეზღუდული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 19 ივნისს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ N7 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა, რათა N7 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის გამოყენებას არ მოჰყოლოდა ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვა. ანალოგიური რეკომენდაცია იყო მითითებული 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც.

194 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დეესკალაციის ოთახების კედლების მოსაპირკეთებელი რბილი მასალა საქართველოს მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი.

195 დეესკალაციის ოთახებში იატაკი და კედლები არ არის რბილი მასალისგან მოპირკეთებული.

196 დეესკალაციის ოთახში მოთავსებამდე 1 დღით ადრე და დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის მეორე დღეს.

197 წესი 60.4.

198 მუხლი 82, (5).

199 ხანმოკლე პაემნის უფლება, სატელეფონო საუბრის უფლება, პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლება.

სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ N7 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დაწესებულების დირექტორს და ადმინისტრაციული განყოფილების იურისტს დაეკისრათ დისციპლინური სახდელი - პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის მე-5 ნაწილით, აგრეთვე, ამავე კოდექსის 66^5 მუხლის მე-2 ნაწილით, 66^5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 82-ე მუხლის მე-4 ნაწილით და ამავე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. ამასთან, ზემოაღნიშნული დარღვევების გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი, მე-3 და მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის შესაბამისად, N7 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ 10 მსჯავრდებულის მიმართ გამოცემული 14 განკარგულება - დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი.[200]

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებულ სამსახურეობრივ შემოწმებას და იმედს იტოვებს, რომ მსგავსი სახის შემოწმებები რეგულარულად ჩატარდება პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის განმავლობაში N7 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენებით გარე სამყაროსთან კონტაქტის სრულად შეზღუდვის შემთხვევები არ გამოვლენილა, რაც დადებითი აღნიშვნის ღირსია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და დისციპლინური სახდელების სახეებიდან ამოღებულ იქნეს გარე სამყაროსთან კონტაქტის აკრძალვის ყველა სახე, როგორიცაა სატელეფონო საუბრის შეზღუდვა,[201] პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა,[202] კუთვნილი ხანმოკლე პაემანის აკრძალვა.[203]

გარე სამყაროსთან კონტაქტის აკრძალვასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველს შენიშვნები ჰქონდა „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან[204] დაკავშირებით. კერძოდ, სახალხო დამცველის მოსაზრებით, პრობლემურია პროექტის მე-9(ა) და მე-10(გ) პუნქტები, რომლის მიხედვითაც, დისციპლინურ სახდელდადებულ ან ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულს არ ეძლევა ვიდეოპაემნითა და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. აღნიშნული ცვლილებით პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულებს ვიდეოპაემანი და ხანგრძლივი პაემანი შეეზღუდებათ დისციპლინური სახდელის მოხდიდან

200 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოსაზრებები „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

201 პატიმრობის კოდექსი, 82-ე მუხლი, პუნქტი1 („თ“).

202 იხ. იქვე პუნქტი 1 („ი“).

203 იხ. იქვე პუნქტი 1 („მ“).

204 იხ. საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, ავტორი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, 02. 02. 2017, ხელმისაწვდომია :< http://info.parliament.ge/#law-drafting/13389> [ბოლოს ნანახია: 23.02.2017].

6 თვის განმავლობაში, ხოლო სამარტოო საკანში გადაყვანის შემთხვევაში - 1 წლის განმავლობაში, რადგან დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადად ითვლება სახდელის მოხდიდან 6 თვის პერიოდი, ხოლო სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში - 1 წლიანი პერიოდი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის მიერ ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნება მაქსიმალურად უნდა იყოს წახალისებული და უზრუნველყოფილი. შესაბამისად, გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობა სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იყოს მიჩნეული. ამავე პოზიციას იზიარებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი.[205] ხოლო წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი შეშფოთებულია იმ გარემოებით, რომ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა შესაძლებელია შეიზღუდოს დისციპლინური სახდელის გამოყენებისას.[206]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ხანგრძლივი პაემნის უფლება მსჯავრდებულს არ ეზღუდება, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ის თან სდევს დისციპლინურ სამართალდარღვევას და ფაქტობრივად, წარმოადგენს დამატებით სასჯელს იმ დარღვევისათვის, რისთვისაც პირს უკვე დაეკისრა კონკრეტული დისციპლინური სახდელი.

პენიტენციურ სისტემაში დამკვიდრებული ამ პრაქტიკის შეცვლის მიზნით სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წინადადებით მიმართა, რომლის მიხედვითაც „პატიმრობის კოდექსიდან“ ამოღებული იქნებოდა ის დებულება, რომელიც დისციპლინურ სახდელდადებულ მსჯავრდებულებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკრძალავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობას. მისასალმებელია, რომ საკომიტეტო განხილვების პერიოდში სახალხო დამცველის წინადადება გაზიარებულ იქნა როგორც კანონპროექტის ავტორების (სასჯელაღსრულების სამინისტრო), ასევე პარლამენტის მიერ. წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის პერიოდში, პირველი მოსმენით მიღებული „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებათა პაკეტის ტექსტში უკვე ასახულია აღნიშნული ცვლილება, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ეს ცვლილება ასევე მიღებულ იქნება შემდგომ მოსმენებზეც და საბოლოოდ შევა ძალაში.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის სტანდარტებში ხაზს უსვამს, რომ პატიმარს წერილობით უნდა ეცნობოს იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო მის წინააღმდეგ გამოყენებული სახდელის ზომას; მას ასევე უნდა მიეცეს თავისი აზრის გამოხატვისა და მის წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიების სათანადო უწყებაში გასაჩივრების შესაძლებლობა.[207]

---

205 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 25, პუნქტი 51, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია 22.02.2017].

206 წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ A/HRC/31/57/Add.3, პარ. 97.

207 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 27-28, პუნქტი 55, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 20.02.2017].

როგორც წესი, პრაქტიკაში დისციპლინური სამართალწარმოება ზეპირი მოსმენის გარეშე იმართება, ხოლო განკარგულება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გამყარებულია მხოლოდ დაწესებულების თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებითა და პატაკებით. პატიმრები დისციპლინურ სამართალწარმოებაში პრაქტიკულად არ მონაწილეობენ, რაც დისციპლინური სახდელის უკანონოდ დაკისრების მაღალ რისკს წარმოშობს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრები ჯეროვნად იყვნენ ინფორმირებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურისა და უფლებების შესახებ; მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი თავის დასაცავად; ჰყავდეთ ადვოკატი; მისცენ ახსნა-განმარტება; წარმოადგინონ მოწმეები და მტკიცებულებები (მათ შორის, მოითხოვონ სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღება და შესწავლა); ასევე, დაუსვან კითხვები დაწესებულების იმ თანამშრომლებს, რომელთა პატაკის საფუძველზეც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს სასამართლოს მიერ მის მიმართ დაწესებული სანქციის გადახედვა[208].

2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმართ სულ გამოყენებულ იქნა 4 838 დისციპლინური სახდელი, აქედან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ 43 განკარგულება[209] გასაჩივრდა სასამართლოში. 2015 წელს სასამართლოში პატიმრებმა 38 განკარგულება[210] გაასაჩივრეს.

პატიმართა მხრიდან დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ განკარგულებების გასაჩივრების ზემოთ მოცემული 43 შემთხვევიდან: 7 შემთხვევაში სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, 4 შემთხვევაში - სრულად. 9 შემთხვევაში პატიმართა სარჩელები არ დაკმაყოფილდა, 7 შემთხვევაში სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა, 2 შემთხვევაში პატიმრებს უარი ეთქვათ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ხარვეზის შეუვსებლობის გამო, 4 შემთხვევაში საქმისწარმოება შეწყდა, 3 შემთხვევაში საქმეზე დამდგარი შედეგი უცნობია, ხოლო 7 სარჩელის განხილვა კვლავაც მიმდინარეობს სასამართლოში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მართალია, წინა წელთან შედარებით, დისციპლინური სახდელების პატიმართა მხრიდან გასაჩივრების პრაქტიკა ოდნავ გაიზარდა, მაგრამ პატიმრები დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განკარგულებას კვლავ იშვიათად ასაჩივრებენ. ეს შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული, მათ შორის, საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით, დისციპლინურ სამართალწარმოებაში პატიმართა ჩაურთველობით, იურიდიული დახმარების საჭიროებით, სასამართლო ბაჟით და რაც მთავარია, უიმედობით. ასეთი მდგომარეობა კი ზრდის დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან თვითნებობის რისკს.

208 წესი 41.4.

209 N2 დაწესებულებაში 7, N3 დაწესებულებაში 8, N5 დაწესებულებაში 2 , N6 დაწესებულებაში 22, N7 დაწესებულებაში 2, N9 დაწესებულებაში - 1, ხოლო N16 დაწესებულებაში 1 განკარგულება გასაჩივრდა.

210 N2, N3, N5, N7 და N9 დაწესებულებებში.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის აზრით, პატიმრების შესაძლებლობა, მოუსმინონ რადიოსა და უყურონ ტელევიზორს, არ უნდა ჩაითვალოს პრივილეგიად და ყველა პატიმრის უფლება უნდა იყოს.[211] პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს, გარდა სამარტოო საკანში მოთავსებული ბრალდებულისა/მსჯავრდებულისა, შეიძლება მიეცეს სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით, რადიოტრანსლაციის მოსმენისა და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება. ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს, ადმინისტრაციის თანხმობით, ამ ტიპის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისათვის გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეს პირადი რადიომიმღები და ტელევიზორი, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდე. მან აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინოს თავისი ხარჯით ან მიიღოს ამანათის სახით.“

პატიმრობის კოდექსის 63–ე,[212] 66-ე[213] და 66[4]-ე[214] მუხლების თანახმად, მსჯავრდებულთა წახალისების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით სარგებლობა. რაც ასევე გაწერილია 2015 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე დამტკიცებულ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ტელევიზორითა და რადიომიმღებით სარგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე. ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს ტელევიზორითა და რადიომიმღებით ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე სარგებლობის უფლება და დაწესებულების დირექტორს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, წინასწარ მკაფიოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უნდა შეეძლოს აღნიშნული უფლების გარკვეული ვადით შეზღუდვა.

გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც საკანში პატიმრებს მხოლოდ ერთი ტელევიზორი ან რადიომიმღები აქვთ, დისციპლინური სახდელის სახით ტელევიზორის/რადიომიმღების ჩამორთმევამ შესაძლოა კოლექტიური დასჯის ფორმა მიიღოს, თუ დისციპლინურ სახდელდადებული პირის თანამესაკნეებს გარკვეული ხანი არ მიეცემათ შესაძლებლობა, შეიძინონ და იქონიონ ტელევიზორი/რადიომიმღები. ამ სახდელის გამოყენება[215] შესაძლოა განსაკუთრებით მძიმედ აისახოს განცალკევებული (საკანში მარტო მოთავსებული) პატიმრების კეთილდღეობაზე. დახურულ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო, სპორტული და კულტურული აქტივობების სიმწირის პირობებში, ტელევიზორი/რადიომიმღები პატიმრებისათვის ერთ-ერთ ძირითად თავშესაქცევს და ამავდროულად, ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს წამოადგენს. დადებითად უნდა აღინ-

211 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:<http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 20 იანვარი].

212 „ე“ ქვეპუქტი.

213 „ვ“ ქვეპუნქტი.

214 „ე“ ქვეპუნქტი.

215 პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით.

იშნოს, რომ 2016 წელს ტელევიზორის/რადიომიმღების ჩამორთმევის მხოლოდ 2 ფაქტი გამოვლინდა N2 დაწესებულებაში.

აღნიშნულ საკითხზე 2015 წელს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა, ტელევიზორისა და რადიომიმღების ქონის, როგორც უფლების და არა როგორც პრივილეგიის, საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის მიზნით, შესულიყო ცვლილება პატიმრობის კოდექსის შესაბამის მუხლებში (63-ე მუხლის „ე“ პუნქტი, 66-ე მუხლის „ვ“ პუნქტი და 66 მუხლის „ე“ პუნქტი) და ტელევიზორის/რადიომიმღების ქონა, როგორც წახალისების ფორმა, წახალისების სახეებიდან ამოღებულიყო. ამასთანავე, შესულიყო ცვლილება ამავე კოდექსის 82-ე მუხლში და განსაზღვრულიყო, რომ დაუშვებელია დისციპლინური სანქციის სახით ტელევიზორის/რადიომიმღების აკრძალვა. სამწუხაროდ, აღნიშნული ცვლილებები პატიმრობის კოდექსის შესაბამის მუხლებში არ ასახულა.

2015 წელს ადმინისტრაციული პატიმრობა გამოყენებულ იქნა მხოლოდ N7 დაწესებულებაში 3 პატიმრის მიმართ (თითოეულის მიმართ რამდენჯერმე). 8 შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობა განისაზღვრა 1 დღის ვადით, ხოლო 1 შემთხვევაში - 3 დღით. ადმინისტრაციული პატიმრობის საფუძველი ყველა შემთხვევაში ელექტრონული და ვიზუალური მეთვალყურეობის თვალზე საგნის აფარება იყო. რაც შეეხება 2016 წელს, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა არც ერთ პატიმარს არ დაკისრებია.

„პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის 64–ე პუნქტით შემოთავაზებულია ცვლილება 90–ე მუხლში, რომლის მიხედვითაც მცირდება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა (შემოთავაზებულ კანონპროექტში გამოყენებულია ტერმინი *დისციპლინური პატიმრობა*). სახალხო დამცველი მიესალმება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის შემცირებას. ამ საკითხზე სახალხო დამცველი ვრცლად საუბრობდა თავის 2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში.[216]

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის პოზიციით, დისციპლინური პატიმრობა, როგორც პენიტენციური დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის არაეფექტიანი მეთოდი, საერთოდ უნდა გაუქმდეს. აღნიშნული სტანდარტი დაამკვიდრა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *„ეზე და კონორსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“*.[217]

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აზრით, თუ დისციპლინური პატიმრობა, როგორც სასჯელის ზომა, დარჩება „პატიმრობის კოდექსში“, აუცილებელია

216 იხ. სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვერდი 81, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf [ბოლოს ნანახია: 22.02.2017]; სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვერდი 83, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf [ბოლოს ნანახია: 22.02.2017].

217 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „ეზე და კონორსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Ezeh and Connors v. UK), პარ. 88 (განაცხადი N. 39665/98 and 40086/98, ECtHR 2003). აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ მთავრობის არგუმენტი, თითქოს „დამატებითი დღეების“ დაკისრების გაუქმება შეარყევდა ციხის დისციპლინასა და რეჟიმს, არადამაჯერებელად მიიჩნია. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რატომ არ შეიძლებოდა სხვა სანქციებს, რომლებიც მყისიერად გამოიყენება, ჰქონოდა იგივე ეფექტი, რაც „დამატებითი დღეების“ (იგივე, რაც ადმინისტრაციული პატიმრობა) დაკისრებას ციხის დისციპლინური სისტემის შენარჩუნებისათვის.

პირს, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სამართალწარმოება, მიეცეს ყველა ის პროცედურული გარანტია, რითაც ის სისხლის სამართლის პროცესში ისარგებლებდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის, სისხლის სამართლის ბრალდების საქმეა.[218] შესაბამისად, პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სამართალწარმოება ადმინისტრაციული (დისციპლინური) პატიმრობის შეფარდების შესახებ, სარგებლობს კონვენციის მე-6(3) მუხლით დადგენილი მინიმალური გარანტიებით. სხვა უფლებათა შორის, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.

„პატიმრობის კოდექსის" 90-ე მუხლის, როგორც მოქმედი რედაქციით, ასევე შემოთავაზებული ცვლილებებით დადგენილი ვადები (მაქსიმუმ 72 საათი) არაა საკმარისი იმისათვის, რომ მსჯავრდებული დაუკავშირდეს ადვოკატს, შეიმუშაოს დაცვის სტრატეგია, მოიპოვოს მტკიცებულებები და მოამზადოს საკუთარი პოზიცია სასამართლოსთვის წარსადგენად.

შესაბამისად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული (დისციპლინური) პატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა, უნდა გაუქმდეს. ხოლო თუ სასჯელის ეს ზომა კვლავ დარჩება, მაშინ მისი ხანგრძლივობა მაქსიმუმ 15 დღემდე უნდა შემცირდეს და მსჯავრდებულს უნდა მიეცეს უფლება, სრულად ისარგებლოს სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებული პროცედურული გარანტიებით.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, ადმინისტრაცია უფლებამოსილია, მის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა. გადაწყვეტილებას პატიმრის წახალისების შესახებ იღებს დაწესებულების დირექტორი. წახალისების სახით შესაძლებელია პატიმარს გამოეცხადოს მადლობა, დაემატოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემანი, მოეხსნას საყვედური ან სხვა დისციპლინური სახდელი და ა.შ.

პატიმრობის კოდექსის თანახმად, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულის გამოსწორების ხარისხის შეფასებისას და მის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენებისას.[219]

პენიტენციურ დაწესებულებაში 2015 და 2016 წელს პატიმართა წახალისების შესახებ სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

218 იხ. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, „ქემფბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (Campbell and Fell v. UK).

219 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 117, ნაწილი 2.

პენიტენციური დაწესებულებები	2015 წელს წახალისების შემთხვევები	2016 წელს წახალისების შემთხვევები	2015 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისების შემთხვევები	2016 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისების შემთხვევები
N2	270	95	17	0
N3	47	7	10	0
N5	147	51	26	33
N6	127	99	12	3
N7	0	5	0	0
N8	359	243	0	0
N9	6	8	0	0
N11	42	24	31	16
N12	33	33	0	0
N14	184	59	0	0
N15	579	463	11	32
N16	52	38	0	11
N17	462	292	0	0
N18	8	19	0	0
N19	8	24	0	0
სულ	**2 324**	**1460**	**107**	**95**

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2016 წელს 37,2 %-ით შემცირდა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა წახალისების შემთხვევები.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საპასუხო განმარტებით, 2016 წლის საერთო მონაცემებით, პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 1325-მა მსჯავრდებულმა,[220] აქედან 105 შემთხვევაში პატიმრები სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისდნენ. გამოდის, რომ 1325 მსჯავრდებულიდან მხოლოდ 8 % წახალისდა სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ამასთან, გაუგებარია, რატომ არ გამოიყენეს წახალისების სახეები სხვა შემთხვევებში.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს N3, N7, N9, N11 და N19 დაწესებულებებში წახალისების ფორმების უფრო ხშირად გამოყენების რეკომენდაციით მიმართა. თუმცა, N3 დაწესებულებაში 2016 წელს წახალისების შემთხვევები კიდევ უფრო შემცირდა. წახალისების მაჩვენებელი გაიზარდა N7, N9, N18 და N19 დაწესე-

220 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოსაზრებები „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ბულებებში, N12 დაწესებულებაში იგივე მაჩვენებელი დარჩა, რაც შეეხება სხვა დაწესებულებებს, წახალისების შემთხვევებმა წინა წელთან შედარებით 2016 წელს იკლო, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პატიმართა ხშირი წახალისება შეასუსტებს პენიტენციურ დაწესებულებებში ციხის სუბკულტურის გავლენას და ხელს შეუწყობს პატიმართა რესოციალიზაციას, ამიტომაც აუცილებელია, რომ პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში გაძლიერდეს პატიმართა წახალისება, მათ შორის, გაიზარდოს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო პატიმართა წახალისების შემთხვევები.

რეკომენდაცია

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- შემუშავდეს დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმრები ჯეროვნად იყვნენ ინფორმირებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურისა და უფლებების შესახებ; ამასთან, მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება ჰყავდეთ ადვოკატი, მისცენ ახსნა-განმარტება, წარმოადგინონ მოწმეები და მტკიცებულებები (მათ შორის, მოითხოვონ სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღება და შესწავლა), ასევე დაუსვან კითხვები დაწესებულების იმ თანამშრომლებს, რომელთა პატაკის საფუძველზეც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება
- დისციპლინური სახდელი გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება
- სამარტოო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოიყენებოდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრები სამარტოო საკანში არ მოათავსონ
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დისციპლინური სახდელის გამოყენებისას სრულად არ აიკრძალოს ოჯახთან კონტაქტი
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ პატიმრებთან დეესკალაციის შესაბამისი სტრატეგიით იმუშაოს მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა და ამ პატიმრებს დეესკალაციის ოთახში ყოფნის პერიოდში არ დაეკისროთ დისციპლინური სახდელი

- დეესკალაციის ოთახების პატიმართა დასჯის მიზნით (როგორც დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების ალტერნატივად) გამოყენების პრევენციისთვის გენერალურმა ინსპექციამ, სისტემური მონიტორინგის ფარგლებში, შეისწავლოს დეესკალაციის ოთახების გამოყენების პრაქტიკა

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რომლის თანახმად, დისციპლინურ სახდელდადებულ პატიმრებს არ შეეზღუდებათ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება; ცვლილებათა პროექტის მთავრობისთვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისთვის

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული (დისციპლინური) პატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა, სრულად გაუქმდება, ხოლო თუკი სასჯელის ეს ზომა კვლავ იმოქმედებს, მაშინ მისი ხანგრძლივობა მაქსიმუმ 15 დღემდე შემცირდება; ცვლილებათა პროექტის მთავრობისთვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისთვის

- უზრუნველყოს წახალისების ფორმების ხშირად გამოყენება პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უფრო ხშირად გამოიყენებოდეს მსჯავრდებულთა მიმართ წახალისების ფორმები სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობისთვის

- გენერალურმა ინსპექციამ, დისციპლინური სახდელების თვითნებურად, უკანონოდ დაკისრების, სახდელების არაპროპორციულად გამოყენებისა და გარე სამყაროსთან კონტაქტის სრულად შეზღუდვის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, სისტემური მონიტორინგის ფარგლებში, რეგულარულად ჩაატაროს შემოწმება პენიტენციურ დაწესებულებებში

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რომლის თანახმად, კოდექსიდან ამოღებული იქნება სატელეფონო საუბრის და პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა, ასევე კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა, როგორც დისციპლინური სახდელის სახე; ცვლილებათა პაკეტის მთავრობისთვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რომლის თანახმად, სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს არ აეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა; ცვლილებათა პროექტის მთავრობისთვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც, ტელევიზორისა და რადიომიმღების ქონა იქნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლება და ამ უფლებით სარგებლობა არ იქნება დამოკიდებული დირექტორის თანხმობაზე; ცვლილებათა პროექტის მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც გაუქმდება ტელევიზორისა და რადიომიმღების აკრძალვა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა; ცვლილებათა პროექტის მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“, რომლის მიხედვითაც გაუქმდება სატელეფონო საუბრის და პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა, ასევე კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა, როგორც დისციპლინური სახდელის სახე

- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“, რომლის მიხედვითაც სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს არ აეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი და კვების პროდუქტების შეძენა

- შევიდეს ცვლილება „პატიმრობის კოდექსში“, რომლის მიხედვითაც, ტელევიზორისა და რადიომიმღების ქონა იქნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლება და ამ უფლებით სარგებლობა არ იქნება დამოკიდებული დირექტორის თანხმობაზე

- შევიდეს ცვლილება „პატიმრობის კოდექსში“, რომლის მიხედვითაც გაუქმდება ტელევიზორისა და რადიომიმღების აკრძალვა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა

- შევიდეს ცვლილება „პატიმრობის კოდექსში“, რომლის მიხედვითაც დისციპლინურ სახდელდადებულ პატიმრებს არ შეეზღუდებათ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება

- შევიდეს ცვლილება „პატიმრობის კოდექსში“, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული (დისციპლინური) პატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა, სრულად გაუქმდება, ხოლო თუკი სასჯელის ეს ზომა კვლავ იმოქმედებს, მაშინ მისი ხანგრძლივობა მაქსიმუმ 15 დღემდე შემცირდება.

3.7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფლებააღკვეთილი თითოეული პირისთვის, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას, რომლის ნებისმიერი სახით შეზღუდვაც სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს უნდა ეფუძნებოდეს.[221]

ევროპული ციხის წესების 24.1 პუნქტის თანახმად, პატიმრებს ნება უნდა დაერთოთ, რაც შეიძლება ხშირად ჰქონდეთ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან. ამავე წესების 24.5 პუნქტის შესაბამისად, ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით.

პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გარდა ამავე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა, მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, მსჯავრდებული დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მის მიერ დაწესებულების დებულების სისტემატური დარღვევის გამო, ავადმყოფობის გამო ან/და რისკის ფაქტორის გათვალისწინებით, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, ლიკვიდაციისას ან გადატვირთულობისას, ან ამ კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, ან სხვა მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოების არსებობისას ან/და მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის წევრებთან პაემნის უფლების განხორციელებაზე უარყოფითად მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, ხანმოკლე პაემნის ოთახებში მინის ბარიერის არსებობა, პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ასევე, ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემა. ამასთან, მსჯავრდებულს არ ეძლევა ხანგრძლივი პაემნითა და ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება, თუ მას დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა.

221 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37.

3.7.1. ხანმოკლე პაემანი

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2014 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში[222] უთითებს, რომ ყველა მსჯავრდებულისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოჯახთან ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის სასჯელს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.[223] დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი[224]. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.[225] ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი პაემანი.[226] დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს 1 თვის განმავლობაში შეიძლება ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.[227] განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.[228]

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრებისთვის პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული ხანმოკლე პაემნების რაოდენობა უკიდურესად შეზღუდულია. თვის განმავლობაში ერთი ხანმოკლე პაემანი ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულსა და ოჯახს შორის მყარი კავშირის შენარჩუნებას, ამიტომ მნიშვნელოვანია, „პატიმრობის კოდექსში“ შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დახურული ტიპის, ასევე განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის გაიზარდოს ხანმოკლე პაემნის რაოდენობა. ამ თემასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ანგარიშის წარდგენის დროისთვის არ შესრულებულა.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-7 ნაწილის მოქმედი რედაქციის თანახმად, ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს ადმინისტრაციის წარმო-

222 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, CPT/Inf (2015) ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf [ბოლოს ნანახია: 22.02.2017].

223 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

224 პატიმრობის კოდექსის მე-60^2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

225 პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

226 პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

227 პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

228 პატიმრობის კოდექსის 66^3-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

მადგენლის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობაში ხანმოკლე პაემანი დგება შუშით გადატიხრულ ოთახში. ასეთ შემთხვევებში პატიმარი ოჯახის წევრებთან ყველანაირი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას მოკლებულია. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, ისეთი, როგორიცაა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მცირეწლოვან შვილთან შეხვედრა და ა.შ., ოჯახის წევრებთან უშუალო ფორმის ხანმოკლე პაემანი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ნებართვით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია ფიზიკური გამყოფი ბარიერები, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს აღიარებული ნორმა. გარდა ამისა, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც იზღუდება ფიზიკური ურთიერთობა, უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და იმ მიზნის მიღწევის პროპორციული, რისთვისაც მსგავსი შეზღუდვა წესდება. გარდა ამისა, ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას. სხვა შემთხვევაში, მსგავსი ჩარევა პატიმართა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, გაუმართლებელი იქნება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიმართავს რეკომენდაციით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა, სამწუხაროდ, რეკომენდაცია არ სრულდება.

პენიტენციურ დაწესებულებებში ხანმოკლე პაემანი არ დგება შაბათ-კვირას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები N15 დაწესებულების მონიტორინგის ფარგლებში ესაუბრნენ პენიტენციური დაწესებულების საზოგადოებრივ მისაღებში მყოფი მსჯავრდებულების მშობლებსა და მეუღლეებს. მათი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნით სარგებლობა შესაძლებელი იყოს დასვენების დღეებშიც, რადგანაც ხშირად უწევთ სამუშაო დღეების გაცდენა, რის გამოც პრობლემები ექმნებათ დამსაქმებელთან[229].

ბრალდებული 2016 წლის 1 იანვრიდან 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით სარგებლობს,[230] რაც ცალსახად პოზიტიური ცვლილებაა და დადებითად აისახება როგორც ბრალდებულთა კავშირის შენარჩუნებაზე ოჯახის წევრებთან, ისე სტრესის შემცირებაზე. ბრალდებულს აღნიშნული უფლება შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. გამოძიებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პატიმრობის დაწესებულების თანამშრომელს, რომელიც ვიზუალურად აკვირდება ბრალდებულის ხანმოკლე პაემანს, შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მისი მსვლელობა.

229 2016 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში სულ განხორციელდა 38897, ხოლო 2015 წელს - 40897 ხანმოკლე პაემანი. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით, პატიმრების საერთო რაოდენობის შემცირებასთან ერთად, შემცირდა ხანმოკლე პაემნით სარგებლობის მაჩვენებელიც.

230 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 77.

3.7.2. ხანგრძლივი პაემანი

პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვას ემსახურება მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, რაც ხელს უწყობს პატიმრის ოჯახთან ახლო ურთიერთობის შენარჩუნებას, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახთან და საზოგადოებასთან რეინტეგრაციის პროცესს.

დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 6 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 3 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი[231]. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი[232]. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი[233].

ხანგრძლივი პაემნისთვის ინფრასტრუქტურა არ არის პენიტენციური დეპარტამენტის N7, N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს, N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები ხანგრძლივი პაემნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებაში სარგებლობდნენ. რაც შეეხება N7 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, ისინი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისთვის, სხვა დაწესებულებაში არ გადაჰყავთ.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებში რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველეყო ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პასუხის თანახმად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, საჭირო ღონისძიებები ტარდება, რაც მისასალმებელია. თუმცა მნიშვნელოვანია, სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა დროულად დასრულდეს. ამასთან, აღნიშული პრობლემა კვლავ რჩება დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებსა[234] და სამკურნალო დაწესებულებებში[235].

ოჯახთან კონტაქტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ პატიმრებისა და მისი ოჯახის წევრების ვიზიტი არ წარმოადგენს პრივი-

231 პატიმრობის კოდექსის მე-60[2] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.
232 პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ პუნქტი.
233 პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.
234 პენიტენციური დეპარტამენტის N7, N8, N9 დაწესებულებები.
235 N18 და N19 დაწესებულებები.

ლეგიას. მანდელას წესების 43-ე წესის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული პერიოდით და იმ შემთხვევაში, თუ ამას მკაცრად მოითხოვს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების ინტერესები.

პატიმრობის კოდექსის მე-17[2] მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს. პატიმრობის კოდექსის დათქმა, რომელიც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს უკრძალავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას, წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის პირდაპირ შეზღუდვას, რომელიც არ იძლევა ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინების შესაძლებლობას.

საქმეში, „ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ“, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის რეჟიმი, რომელიც ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი ხანმოკლე პაემნის უფლებას აწესებდა, არღვევდა პატიმრის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. სასამართლომ საგანგებოდ მიუთითა, რომ პატიმრები, ზოგადად, განაგრძობენ კონვენციით გარანტირებული ყველა ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობას - გარდა თავისუფლების უფლებისა. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ კონვენციით აღიარებული უფლებების შეზღუდვისას, აუცილებელია საფუძვლიანი კავშირი იყოს შემზღუდველი ზომების გამოყენებასა და ინდივიდის ქცევას შორის.

წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შემდგომ ანგარიშში აღინიშნა, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა, როგორც დასჯის ფორმა, მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც დანაშაული უკავშირდება ასეთ კონტაქტებს და მხოლოდ უმოკლესი დროით (უფრო დღეების, ვიდრე კვირის ან თვის განმავლობაში).[236] პატიმრობის კოდექსში არსებულ აკრძალვას დამატებითი სასჯელის ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე უსაფრთხოების ზომისა. შესაბამისად, აუცილებელია პატიმრობის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და აღნიშნული პრინციპების სრულფასოვანი ასახვა.

როგორც ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, სასჯელაღსრულების სამინისტრო იზიარებს აღნიშნულ პოზიციას და იგეგმება „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანა, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისთვის გათვალისწინებული იქნება წელიწადში ერთი ხანგრძლივი პაემანი და დამატებით ერთი პაემანი წახალისების მიზნით.[237][2] სახალხო დამცველი მიესალმება ამ ინიციატივას და აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოცემული ინფორმაცია გაჟღერდა საქართველოს პარლამენტში „პატიმრობის კოდექსის“ ცვლილებათა პაკეტის განხილვისას, მაგრამ წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის პერიოდისათვის კანონპროექტის

236 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, პარ. 119, CPT/Inf (2015) ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806961f8 [ბოლოს ნანახია: 24.03.2017] .

237 http://www.moc.gov.ge/ka/pressamsakhuri/akhali-ambebi/article/22394-kakha-kakhishvili-msjavrdebulebi-ojakhthan-kavshirs-sheinarchuneben [ნანახია: 28.03.2017]

ტექსტში შესაბამისი ცვლილება არ ასახულა. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ეს ინიციატივა აისახება „პატიმრობის კოდექსის“ ცვლილებათა პაკეტის ფარგლებში და საბოლოოდ საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები ხანგრძლივი პაემნით სარგებლობას შეძლებენ.

ხანგრძლივი პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში, პატიმარს ერთი წლის განმავლობაში არ ეძლევა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. პატიმრობის კოდექსის მე-17[2] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა. სახალხო დამცველის აზრით, აშკარად სახეზეა ზემოაღნიშნული პუნქტის არასწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან ამ პუნქტში საუბარია შემთხვევაზე, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი (დისციპლინური სახდელის ვადა გასული არ არის). შესაბამისად, ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც გასულია დისციპლინური სახდელის ვადა, თუნდაც მსჯავრდებული სახდელდადებულად ითვლებოდეს.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის მიერ ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნება არ წარმოადგენს პრივილეგიას, შესაბამისად, გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობა სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იყოს მიჩნეული. ამავე პოზიციას იზიარებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი.[238] ხოლო წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი შეშფოთებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს დისციპლინური სახდელის გამოყენებისას.[239]

არსებული პრაქტიკა მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კონტაქტის არათანაზომიერი შეზღუდვაა, რადგან ნებისმიერი დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულს ეკისრება დისციპლინური სახდელი, ეს ავტომატურად გულისხმობს მისთვის ვიდეოპაემნისა და ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვასაც 6 თვიდან 1 წლამდე ვადით (დისციპლინური სახდელის მიხედვით). აღნიშნული შეზღუდვა არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმურ მიზანს და ფაქტობრივად, განიხილება, როგორც დამატებითი სასჯელი.

აღნიშნულ პრობლემაზე სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც უთითებდა.[240] შესაბამისად, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გარე სამყაროსთან კონტაქტის რაიმე სახით შეზღუდვა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ან ამ ზომის თანმდევი შედეგი, არ უნდა გამოიყენებოდეს.

238 წპკ სტანდარტები, გვ.25, მუხ. 51.
239 გაეროს სპეციალური მომხსენებლის ვიზიტის ანგარიში, 6 ნოემბერი 2015, პარ. 97.
240 სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვერდი 81, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

„პატიმრობის კოდექსში“ ინიცირებული ცვლილებების მე-9(ა) და მე-10(გ) მუხლების მიხედვითაც ზემოთ აღწერილი მდგომარეობა არსებითად არ იცვლება და დისციპლინურ სახდელდადებულ ან ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულს არ ეძლევა ვიდეოპაემნითა და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. აღნიშნული ცვლილებით პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულებს ვიდეოპაემანი და ხანგრძლივი პაემანი შეეზღუდებათ დისციპლინური სახდელის მოხდიდან 6 თვის განმავლობაში, ხოლო სამარტოო საკანში გადაყვანის შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში, რადგან დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადად ითვლება სახდელის მოხდიდან 6 თვის პერიოდი, ხოლო სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში - 1 წლიანი პერიოდი.

პენიტენციურ სისტემაში დამკვიდრებული ამ პრაქტიკის შეცვლის მიზნით სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წინადადებით მიმართა, რომლის მიხედვითაც „პატიმრობის კოდექსიდან“ ამოღებული იქნებოდა ის დებულება, რომელიც დისციპლინურ სახდელდადებულ მსჯავრდებულებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკრძალავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობას. მისასალმებელია, რომ საკომიტეტო განხილვების პერიოდში სახალხო დამცველის წინადადება გაზიარებულ იქნა როგორც კანონპროექტის ავტორების (სასჯელაღსრულების სამინისტრო) ასევე პარლამენტის მიერ. წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის პერიოდში, პირველი მოსმენით მიღებული „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებათა პაკეტის ტექსტში უკვე ასახულია აღნიშნული ცვლილება, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ეს ცვლილება ასევე მიღებულ იქნება შემდგომ მოსმენებზეც და საბოლოოდ შევა ძალაში.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან იმ სტუმრების გათავისუფლებას, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში[241]. თუმცა, ამის მიუხედავად, ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა პატიმრების ნაწილს აბრკოლებს ისარგებლოს მათთვის კანონით მინიჭებული ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შემცირების შესაბამისად, ხანმოკლე პაემნების მსგავსად, 2016 წელს 2015 წელთან შედარებით შემცირებულია ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მაჩვენებელი.[242] აღსანიშნავია, რომ N2 დაწესებულებაში 2015 წელს განხორციელდა 963 ხანგრძლივი პაემანი, 2016 წელს კი მხოლოდ 548. დისციპლინური სახდელების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ N2 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსება გამოყენებული იქნა 240 შემთხვევაში. შესაბამისად, სახდელდადებულ მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ საშუალება ესარგებლათ ხანგრძლივი პაემნით.

241 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 ივლისი N132 ბრძანება, მე-4 პუნქტი.
242 2015 წელს განხორციელდა 5959 პაემანი, ხოლო 2016 წელს - 5731.

3.7.3. ვიდეოპაემანი

ვიდეოპაემნის[243] როლი მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით, მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისით არა მხოლოდ მსჯავრდებულის ოჯახის წევრები, არამედ მეგობრები და ახლობლებიც სარგებლობენ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის №55 ბრძანების მეორე პუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია ათი კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. მსჯავრდებულთან ერთჯერადი ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. დადებითად უნდა აღინიშნოს პატიმრობის კოდექსში 2016 წლის 27 აპრილს შესული ცვლილება, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებული ვიდეოპაემნით სარგებლობს საფასურის გადაუხდელად.[244]

აღსანიშნავია, რომ ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მხოლოდ 5 პენიტენციურ დაწესებულებაშია (N5, N11, N15, N16 და N17 დაწესებულებებში). 2016 წელს სულ 369 ვიდეოპაემანი განხორციელდა.

2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[245] N5, N8, N11, N14, N15, N16, N17 პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლებელია ვიდეოპაემნის განხორციელება. დადებითად უნდა აღინიშნოს N8 და N14 დაწესებულებებში ვიდეოპაემნისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. სახალხო დამცველი მიესალმება სამინისტროს ძალისხმევას და მიაჩნია, რომ ვიდეოპაემნისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

3.7.4. სატელეფონო საუბრები

სატელეფონო საუბრების უფლება მსჯავრდებულის/ბრალდებულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს და ხელს უწყობს პატიმრის მიერ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით.

---

243 პატიმრობის კოდექსის მუხლი 17^1 .

244 პატიმრობის კოდექსის 17^1 მუხლის მე-4 ნაწილი.

245 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის გაგზავნილი მოსაზრებები „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი.[246] ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა.[247] დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ 1 თვის განმავლობაში, საკუთარი ხარჯით ჰქონდეთ 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.[248]

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 1 სატელეფონო საუბარი - არაუმეტეს 10 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – 1 სატელეფონო საუბარი – არაუმეტეს 10 წუთისა.[249] სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების დროს პატიმრები, რომელთაც განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ თვეში მხოლოდ ერთი 10-წუთიანი სატელეფონო ზარის უფლების გამო. იმ პირობებში, როდესაც მაღალი რისკის მსჯავრდებულებს არ ეძლევათ ხანგრძლივი პაემნის უფლება, ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი ხანმოკლე პაემნით და ერთი სატელეფონო ზარით სარგებლობის უფლება ვერ უზრუნველყოფს მათ მიერ ოჯახთან სათანადო ურთიერთობის შენარჩუნებას. ამდენად, მნიშვნელოვანია პატიმრობის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ამ კატეგორიის პატიმრებისთვის ერთი თვის განმავლობაში გათვალისწინებული სატელეფონო ზარების რაოდენობის გაზრდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან 2017 წლის 20 თებერვალს მიღებული MOC31700081256 პასუხის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებს ორი, ე.წ. „ძველი“ და „ახალი“ სატელეფონო კომპანია, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებებში ეტაპობრივად მიმდინარეობს ე.წ. „ძველი“ კომპანიის ტელეფონების გათიშვა.

„ძველი“ ტელეფონებით ზარების განხორციელების დროს პატიმრებს პრობლემები ექმნებათ სასაუბრო ლიმიტთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება. შესაბამისად, ის იძულებულია შეიძინოს ახალი ბარათი, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. სატელეფონო ბარათი ასევე იბლოკება, თუ პატიმარი ბარათით განხორციელებული სატელეფონო ზარების

246 პატიმრობის კოდექსის მე-60^2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
247 პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
248 პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.
249 პატიმრობის კოდექსის 66^3 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

ფარგლებში ვერ მოახერხებს საუბარს (სატელეფონო კავშირის გაწყვეტის, არასწორი ნომრის აკრეფის ან სხვა მიზეზების გამო).

რაც შეეხება „ახალი“ ტელეფონებით დარეკვას, პატიმართა განცხადებით, დახურული ტიპის დაწესებულებაში, ერთი თვის განმავლობაში დარეკვის უფლება ჰქონდათ მხოლოდ დაწესებულების ადმინისტრაციისთვის მიწოდებულ ხუთ სატელეფონო ნომერზე, ხოლო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში – ათ სატელეფონო ნომერზე. ნომრების შეცვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი თვის გასვლის შემდეგ და შეზღუდული იყო დარეკვა იმ აბონენტებთან, რომელთა ნომრებიც მსჯავრდებულებს მითითებული არ ჰქონდათ. ასევე, იმ ნომერზე, რომელიც არ იყო იმ პირზე რეგისტრირებული, ვისაც ურეკავდნენ. მსჯავრდებულთა განმარტებით, შეზღუდვები ვრცელდებოდა ასევე საჯარო დაწესებულებებთან დაკავშირებაზეც, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველთან, ასევე, ადვოკატთან ზარის განხორციელებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა 2016 წლის 19 აგვისტოს N11-2/9578 წერილით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს. სამინისტროდან 2016 წლის 25 აგვისტოს MOC01600728661 მიღებული პასუხის თანახმად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ კონკურსის გზით შეარჩია ახალი სატელეფონო კომპანია, რომელიც ვალდებულია აღმოფხვრას სატელეფონო მომსახურების პროცესში აქამდე გამოვლენილი ყველა ხარვეზი და პატიმრებს შესთავაზოს ხარისხიანი მომსახურება. ამ მიზნით კომპანია მუშაობს სატესტო რეჟიმში და შესაბამისი ხარისხის უზრუნველსაყოფად ესაჭიროება წინასწარ განსაზღვრული ნომრების მითითება, რაც დროებითი ღონისძიებაა და შეწყდება სატესტო რეჟიმის დასრულებისთანავე. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ კომპანია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სატელეფონო მომსახურების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რეალურად ქმნის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას, რაც ხელს უშლის პატიმრის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზების შესაძლებლობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა 2017 წლის 24 იანვარს N03-1/1084 წერილით განმეორებით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს. 2017 წლის 20 თებერვალს მიღებული MOC3170008156 პასუხის თანახმად, ე.წ. „ახალმა“ კომპანიამ სატესტო რეჟიმში მუშაობა დაასრულა და ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ისარგებლონ როგორც „ძველი“, ასევე „ახალი“ კომპანიის მომსახურებით.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, გარდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებისა, პატიმრებს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის ნომრების მითითება აღარ უწევთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგების დროს N5, N8 და N11 დაწესებულებებიდან რამდენჯერმე სცადეს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე (1481) დარეკვა, თუმცა უშედეგოდ. აქვე აღსანიშნავია, რომ პატიმრებს საშუალება არ აქვთ სახალხო დამცველის აპარატისა და ინსპექტირების სხვა ორგანოების ცხელ ხაზზე დარეკონ ღამის საათებში.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი[250] მიუთითებს, რომ ინსპექტირებისა და საჩივრების განხილვის ეფექტიანი პროცესი არის თავისუფლების აღკვე-

250 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, სტანდარტები, პარ. 54, გვ. 27.

თის დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტური გარანტია. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სისტემის ფარგლებში, ისე მის გარეთ, მათ შორის - სათანადო უწყებებთან კონფიდენციალურად დაკავშირების შესაძლებლობა.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს არ შეუძლიათ დარეკონ სახალხო დამცველის აპარატში. საქართველოს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სამარტოო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა". სპეციალური პრევენციული ჯგუფის პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტის დროს პატიმრები სატელეფონო საუბრის შეზღუდვის, სახალხო დამცველის აპარატსა და ინსპექტირების სხვა ორგანოებზე გავრცელებაზეც საუბრობდნენ. სახალხო დამცველთან ხელმისაწვდომობა არის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია, განსაკუთრებით კი, სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრებისათვის, რომელთა სრული სოციალური იზოლაციის პირობებში ყოფნა არასათანადო მოპყრობის დიდ რისკს შეიცავს. პატიმრობის კოდექსის 98-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს". ამავე კანონის 82-ე მუხლის თანახმად კი, დისციპლინური გადაცდომისთვის პირადი კორესპონდენციის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს სახალხო დამცველი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დათქმა არ არის სატელეფონო ზართან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომელიც სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს მისცემს სახალხო დამცველთან ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობას.

დეესკალაციის ოთახში მოთავსება არ არის ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული რომელიმე უფლების ავტომატურად შეზღუდვის საფუძველი,[251] თუმცა პრაქტიკაში დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ პატიმარს გარე სამყაროსთან კონტაქტი სრულად ეზღუდება. მაგალითად, N8 დაწესებულებაში ვიზიტისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს პატიმრებმა განაცხადეს, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემთხვევაში მათ არ შეუძლიათ კორესპონდენციის გაგზავნა, ასევე ტელეფონით და პაემნით სარგებლობა. ამასთან, N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის[252] დროს დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ჯგუფმა გაარკვია, რომ უსაფრთხო ოთახში მოთავსების შემთხვევების 44%-ში პატიმარი დისციპლინურად დაისაჯა (სატელეფონო საუბრის უფლების, პაემნის უფლების, პირადი მიმოწერის უფლების შეზღუდვა) უსაფრთხო ოთახში გადაყვანის პერიოდში. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დაუშვებელია დასჯის მიზნით უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება, ვინაიდან ის უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ

251 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N119, N116, N117 ბრძანების მე-17 მუხლის მე-4 ნაწილი.

252 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტი.

კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზანს – დაწესებულებაში მყოფ პირთა უსაფრთხოების დაცვას. ამასთან, დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ პატიმართან აქტიურად უნდა მუშაობდეს მულტიდისციპლინური ჯგუფი დეესკალაციის შესაბამისი სტრატეგიით.

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პატიმართა მიერ სატელეფონო ზარების განხორციელების დროს განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის ტელეფონის აპარატების სიმცირე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრებმა განაცხადეს, რომ მსჯავრდებულებს რიგში დგომა უწევთ და ხშირად პატიმართა ნაწილი ვერ ახერხებს დროულად ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით. რაც შეეხება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, აქ ტელეფონის აპარატები განთავსებულია დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში და შეუძლებელია საუბრის კონფიდენციალობის დაცვა.

3.7.5. მიმოწერა

2016 წელს პენიტენციური დაწესებულებებიდან სულ 19 821 პირადი ხასიათის კორესპონდენცია გაიგზავნა.

პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები ამ კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-4 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას, რაც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, კორესპონდენციის შინაარსის გაუცნობლად. უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს.

„პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის მე–7 პუნქტი გვთავაზობს ცვლილებას მე–16 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვითაც იკრძალება პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა. საქართველოს სახალხო დამცველს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მსგავსი შინაარსის ბლანკეტური შეზღუდვა. ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის ამ სახის კომუნიკაცია შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების არსებობისას, რაც დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ არის მითითებული, თუ რამ გამოიწვია მსგავსი შემზ-

ღუდველი ნორმის მიღების აუცილებლობა. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული ბლანკეტური შეზღუდვა არაპროპორციულია იმ მიზანთან, რომლის მიღწევასაც ცდილობს კანონპროექტის ავტორი.

3.7.6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის აზრით, პატიმრების შესაძლებლობა, მოუსმინონ რადიოსა და უყურონ ტელევიზორს, არ უნდა ჩაითვალოს პრივილეგიად და უნდა იყოს ყველა პატიმრის უფლება.[253]

ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პრესის გაცნობისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, ხდება რადიო და ტელეტრანსლაცია.[254]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარე სამყაროსთან კავშირის შენარჩუნებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია პატიმარს ჰქონდეს ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების გარეთ, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე. პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრები აღნიშნავენ, რომ მათთვის ხელმიუწვდომელია ზოგიერთი რეიტინგული ქართული არხი. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება მათთვის გასაგებ ენაზე მოუსმინონ ტელეგადაცემებს.

რაც შეეხება პრესას, დაწესებულებებიდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ N7, N9, N12 და N14 დაწესებულებები საერთოდ არ მარაგდება ჟურნალ-გაზეთებით. დაწესებულებებში უმეტესად ხელმისაწვდომია საეკლესიო ჟურნალები, N3 დაწესებულებაში კი მხოლოდ გაზეთი „ბათუმელები“ შედიოდა, თუმცა აღნიშნული გაზეთი აღარ გამოდის. აქვე აღსანიშნავია, რომ N8, N11, N17, N18 და N19 დაწესებულებებში პატიმრებისთვის ხელმისაწვდომია გაზეთები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. N6 დაწესებულებაში ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი, ხოლო N5 დაწესებულებაში თურქულენოვანი გაზეთი. აუცილებელია, რომ დაწესებულებებში არსებული ჟურნალ-გაზეთები იყოს მრავალფეროვანი, ამასთან იყოს სხვადასხვა ენაზე, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში გაეცნოს მათ.

253 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:<http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 20 იანვარი].

254 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 1.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს:

- პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის უზრუნველსაყოფად, გაითვალისწინონ პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი
- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნები მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- მოამზადოს და საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში", რომელიც გაზრდის დახურულ და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის ხანმოკლე პაემნის რაოდენობას
- მოამზადოს და საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში", რომელიც დაარეგულირებს განსაკუთრებული რისკის პატიმრების მიერ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის საკითხს
- მოამზადოს და საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში", რომელიც დაარეგულირებს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობის გაზრდის საკითხს
- მოამზადოს და საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში", რომელიც გაზრდის დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის სატელეფონო ზარების რაოდენობას
- მოამზადოს და საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში", რომელიც უზრუნველყოფს სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრების მიერ სახალხო დამცველის აპარატსა და ინსპექტირების სხვა ორგანოებში დარეკვის უფლებით სარგებლობას
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულმა პატიმრებმა საჭიროების შემთხვევაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, დაუბრკოლებლად შეძლონ სახალხო დამცველის აპარატისა და ინსპექტირების სხვა ორგანოების ცხელ ხაზზე დარეკვა

- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში იყოს დაცული პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრით სრულყოფილად სარგებლობის უფლება
- დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში ტელეფონების აპარატები განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შეეძლება დაწესებულების თანამშრომლის მოსმენის გარეშე ისაუბროს ტელეფონით
- ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაემატოს ტელეფონის აპარატები, რათა ყველა პატიმარმა ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით
- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყოს ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულებებში სრულად ხელმისაწვდომი იყოს მოთხოვნადი და რეიტინგული ქართული არხები
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, ტელეარხების შერჩევისას სხვადასხვა ენობრივი ჯგუფების ინტერესების გასათვალისწინებლად.

3.8. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

წამების აკრძალვა აბსოლუტურია, ყოველგვარი გამონაკლისისა და გადახვევის შესაძლებლობების გარეშე. თუმცა აღნიშნული უფლების რეალიზება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება იმ პირებისთვის, რომლებიც მოწყვლადი მდგომარეობის გამო ყველაზე მეტად შეიძლება გახდნენ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფი და მიუკერძოებელი განხილვის უფლების გარანტირების გარეშე.

საქართველოს სახალხო დამცველი თავის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც მიუთითებდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი უზრუნველყოფს პატიმართა უფლებების პატივისცემას და წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. შესაბამისად, სახალხო დამცველმა 2015 წელს რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა უზრუნველეყო პატიმართა სათანადო ინფორმირებულობა, როგორც ზოგადად პატიმართა უფლებების, ასევე კონკრეტულად მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ.

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად გადადგმულ ნაბიჯებს. კონკრეტულად კი, დადებითად უნდა აღინიშნოს 2016 წლის განმავლობაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებებისა და საჩივრების, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირე-

ბით სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ტრენინგების ჩატარება.[255] მისასალმებელია დაწესებულებების სხვადასხვა ტერიტორიაზე პატიმართა უფლებების შესახებ ინფორმაციის გამოკვრისა და რამდენიმე დაწესებულებაში ბროშურების დარიგების კუთხით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება. მათ შორის, დადებითად უნდა აღინიშნოს უცხოენოვანი პატიმრებისათვის სპეციალური ბროშურების მომზადება, სადაც მოცემულია ინფორმაცია პატიმართა უფლებების შესახებ.

მიუხედავად ამისა, დაწესებულებებში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი პრობლემები პატიმართა სათანადო ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, რომელთა აღმოფხვრის გარეშეც რეკომენდაცია ვერ ჩაითვლება შესრულებულად.

კონკრეტულად კი, უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების ხელმისაწვდომობა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი არ არის. პატიმრებისთვის უფლებების გაცნობის არსებული პრაქტიკა კი ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადო ინფორმირებულობას, როგორც ზოგადად პატიმართა უფლებების, ასევე, კონკრეტულად მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მიღების დროს არსებული სტრესის ფონზე ძნელად წარმოსადგენია, რომ პატიმარმა მოახდინოს კონცენტრირება უფლებებისა და მოვალეობების ნუსხაზე და დაიმახსოვროს მიწოდებული ინფორმაცია. შესაბამისად, არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაწესებულებაში შემოსვლისას ერთჯერადად მიეწოდება ინფორმაცია მისი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, უფრო ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს უფლებების შესახებ პატიმრის სათანადო ინფორმირებას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმარს პატიმრობის შემდგომ ეტაპზე რეგულარულად მიუწვდებოდეს ხელი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაციაზე.

სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, გაიზარდოს სოციალური მუშაკის როლი პატიმრის უფლებების განმარტებასა და სათანადო ინფორმირებასთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი, სოციალურმა მუშაკმა პირის დაწესებულებაში მიღების შემდგომ უახლოეს რამდენიმე დღეში დეტალურად აუხსნას პატიმარს მისი უფლებები და მოვალეობები; ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის შესახებ; განუმარტოს სოციალური მუშაკის კომპეტენცია და გადასცეს ყველა საჭირო, ძირითადი დოკუმენტი. სათანადო პერიოდულობით ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოს პატიმრებთან მათი უფლებებისა და მოვალეობების, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის თემატიკაზე.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს პატიმართა მიერ მოთხოვნა/საჩივრის წარდგენის

255 N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193); N16 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 17 იანვრის წერილი MOC 317 00037804 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/210); N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის წერილი MOC 617 00046221 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/273).

უფლების სრულყოფის რეკომენდაციით მიმართა; აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახალხო დამცველი რეკომენდაციას უწევდა სამინისტროს, გაზრდილიყო სოციალური მუშაკის როლი მოთხოვნის/საჩივრის ფორმულირებისა და შესაბამისი ადრესატის შერჩევის პროცესში; ქართული ენის არმცოდნე პატიმრებისათვის უზრუნველყოფილიყო თარჯიმნის მომსახურება, ასევე სხვადასხვა ენაზე შემუშავებულიყო და პატიმრებს გადასცემოდათ ბროშურა, რომელშიც დეტალურად, მარტივად გასაგებ ენაზე ახსნილი იქნებოდა მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ პატიმრებს უჭირთ საჩივრის ფორმულირება და შესაბამისი ადრესატების განსაზღვრა. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც პატიმრებს არ შეუძლიათ გამართულად წერა-კითხვა ქართულად. არსებული პრაქტიკით, ასეთ შემთხვევებში პატიმრები დახმარებისთვის სხვა პატიმარს მიმართავენ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, გასაძლიერებელია სოციალური სამსახურების როლი პატიმართა მხრიდან მოთხოვნა/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით. სოციალურმა სამსახურებმა პატიმრებს კვალიფიციური დახმარება უნდა შესთავაზოს. ქართული ენის არმცოდნე პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით, ასევე სხვადასხვა ენაზე უნდა შემუშავდეს და პატიმრებს გადაეცეთ ბროშურა, რომელშიც დეტალურად, მარტივად გასაგებ ენაზე ახსნილი იქნება მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა პატიმრებისათვის საკნებში ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა საჭირო საკანონმდებლო აქტი, აგრეთვე ინფორმაცია პატიმრის უფლებებისა და მოვალეობების და მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურების შესახებ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. კონკრეტულად კი, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში კვლავ არის ნორმატიული შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს/მსჯავრდებულს არა აქვს შესაძლებლობა საკანში შეინახოს ნებისმიერი, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტები (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა (ერთ ეგზემპლარად)), რომელთა გვერდების რაოდენობა აღემატება 100 ფურცელს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს, პატიმრების გარკვეული ნაწილი პრეტენზიას აცხადებდა, რომ დაწესებულებებში არსებობს ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის პრობლემა.[256]

256 მითითებული საკითხის შემოწმების მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო/ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის კუთხით დაწესებულებებში მართლაც არსებობს პრობლემები. ასე, მაგალითად, 2017 წლის 12-13 იანვარს განხორციელებული ვიზიტის მომენტისთვის, N6 დაწესებულების ბიბლიოთეკაში ინახებოდა N6 დაწესებულების დებულების 4 ეგზემპლარი, ამავე დებულებაში 2016 წლის 27 დეკემბერს შესული

რიგ შემთხვევებში, პატიმრები კონკრეტული ნორმატიული აქტის მიწოდების თხოვნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართავენ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებებში არსებობდეს ნორმატიული აქტების ავტომატურად განახლებადი ბაზა, ამასთან, პატიმრებს, საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიუწვდებოდეთ ნორმატიული აქტების განახლებულ, კოდიფიცირებულ ვერსიაზე და მოხდეს პატიმრის მიერ ნორმატიული აქტის მიღება-ჩაბარების ფაქტის დოკუმენტირება.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმარს ყველა შემთხვევაში დროულად მიეღო მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაციის ნომერი. სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. კონკრეტულად კი, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ საჩივრების შემტან პატიმართა უმრავლესობას ეცნობა საჩივრის რეგისტრაციის ნომერი. თუმცა დახურულ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების ნაწილი აღნიშნავდა, რომ ღია წერილის გაგზავნის შემთხვევაში მათ არ მიუღიათ წერილის რეგისტრაციის ნომერი. აღნიშნულ შემთხვევებში რთულია იმის დადგენა, თუ რა ბედი ეწია წერილს, დარეგისტრირდა თუ არა იგი და გაიგზავნა თუ არა შესაბამისი ადრესატისათვის. აგრეთვე, მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ N3 დაწესებულებაში პატიმარს რეგისტრაციის ნომერს აწვდიან მხოლოდ განცხადებით მიმართვის და მოთხოვნის შემთხვევაში, რაც დაუშვებელია. N3 დაწესებულების დებულებაში მითითებულია, რომ მოთხოვნა რეგისტრირდება დაწესებულების ადმინისტრაციულ განყოფილებაში, ხოლო რეგისტრაციის ნომერი გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს.[257] დებულებაში არსად არ არის მითითებული პატიმრის მხრიდან რეგისტრაციის ნომრის მისაღებად ცალკე განცხადებით მიმართვის საჭიროება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს პატიმრების გარკვეული ნაწილი წუხდა, რომ სოციალური მუშაკისათვის წერილის გადაცემის მიუხედავად, მათ დღემდე არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა ბედი ეწია აღნიშნულ წერილს. პატიმრების განცხადებით, მათ არ აქვთ შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც ისინი დაამტკიცებდნენ წერილის სოციალური მუშაკისათვის გადაცემის ფაქტს.

რადგან პატიმრის მხრიდან სოციალური მუშაკისათვის ღია წერილის გადაცემის ფაქტი არ ფიქსირდება რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტით, რომელიც აგრეთვე ხელმისაწვდომი იქნებოდა პატიმრისთვის, რთულია იმის დადგენა,

ცვლილების 10 ეგზემპლარი, 10 პატიმრობის კოდექსი (განუახლებელი), საქართველოს კონსტიტუცია (2016 წლის მდგომარეობით) – 4 ცალი, დახურული ტიპის დაწესებულების დებულების 1 ეგზემპლარი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანების ერთი ეგზემპლარი, სისხლის სამართლის კოდექსი (2005) – 1 ცალი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2006 - ძალადაკარგული) - 1 ცალი; 2017 წლის 17 თებერვლის მდგომარეობით, N11 დაწესებულების ბიბლიოთეკაში ინახებოდა პატიმრობის კოდექსის მხოლოდ ერთი, ძველი ვერსია.

257 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №109, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, 63-ე მუხლის მესამე ნაწილი.

გადასცა თუ არა პატიმარმა წერილი სოციალურ მუშაკს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ისეთ ადგილას და იმგვარად (მაგალითად, ბიბლიოთეკაში), რომ კონვერტის მიღება არ ყოფილიყო სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებზე დამოკიდებული და არ მომხდარიყო კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირება. ამასთან, პატიმრებს ჰქონოდათ საკანში გარკვეული რაოდენობის კონვერტის ქონის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. კონკრეტულად კი, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წელს განხორციელებული ვიზიტების დროს დადგინდა, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში კონფიდენციალური წერილის გაგზავნა ისევ პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ, დახურულ დაწესებულებებში შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება ისე, რომ არ მოხდეს პატიმრის იდენტიფიცირება. კონვერტის მისაღებად პატიმარი სოციალურ განყოფილებას მიმართავს.

განხორციელებული ვიზიტების დროს დადგინდა, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში პატიმრებს არ აქვთ საშუალება, კონფიდენციალურად დაწერონ საჩივარი იმ შემთხვევებში, როდესაც მათ წერილის დაწერაში სოციალური სამსახურის თანამშრომლისგან დახმარება სჭირდებათ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოციალური სამსახურის თანამშრომლები არ შედიან საკანში და პატიმრებს ესაუბრებიან საკნის კარზე არსებული სარკმელიდან. საკანში შესვლის შემთხვევაში კი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თან ახლავთ უსაფრთხოების/სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელი. აღნიშნული არღვევს საჩივრის შინაარსის კონფიდენციალურობას და აჩენს უნდობლობას დაწესებულების სოციალური სამსახურის მიმართ.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, 2016 წელს დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის ისევ პრობლემას წარმოადგენდა საჩივრის ყუთით სარგებლობის შეუძლებლობა თანხმლები პირის (უსაფრთხოების ან რეჟიმის თანამშრომლის) მეთვალყურეობის გარეშე. ასევე, რიგ დაწესებულებებში, საჩივრების ყუთი სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ხვდება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგის დროს გამოკითხული პატიმრების ნაწილი აღნიშნავდა, რომ კონფიდენციალური საჩივრების გაგზავნის შემდეგ საჩივრის ყუთთან არ გამოუკრავთ გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომერი და შესაბამისი კონვერტის კოდი.[258] დახურულ დაწესებულებებში ისევ გრძელდება პრაქტიკა, როდესაც პატიმრებს სარეგისტრაციო ნომრის შესახებ ინფორმაციას პირდაპირ საკნებში აწვდიან, რითაც შესაძლებელი ხდება კონფიდენციალური საჩივრის ავტორის იდენტიფიცირება.

დახურული ტიპის დაწესებულებებში კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება იდენტიფიცირების გარეშე არ ხდება. კონფიდენციალურობის აშკარა დარღვევას წარმოადგენს კონვერტის მოთხოვნისას სოციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ კონვერტის ნომრის და პატიმრის სახელისა და გვარის ჩანიშვნა.

სახალხო დამცველი მიესალმება გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის რაოდენობის გაზრდას 2015 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარება უფრო ეფექტიანია, რადგანაც მისი მოულოდნელობის ეფექტიდან გამომდინარე, იძლევა უფრო მეტი პრობლემური საკითხის გამოვლენის შესაძლებლობას. გეგმიური მონიტორინგის დროს დაწესებულების თანამშრომელს უფრო მეტი დრო რჩება იმისათვის, რომ ჩადენილი სამართალდარღვევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაფაროს.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ამ დროისათვის არ გამოუქვეყნებია ანგარიში 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული ანგარიშის შეფასება მისი გამოქვეყნების შემდეგ მოხდება.

სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში გასცა რეკომენდაცია, რომლითაც მოითხოვდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრის/განცხადების განხილვის გონივრული ვადის განსაზღვრას პატიმრობის კოდექსით. აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასევე მოითხოვა ცვლილებები პატიმრობის კოდექსში, რომლითაც განისაზღვრებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადა. აღნიშნული რეკომენდაციაც დღემდე შეუსრულებელია.

258 პენიტენციური დაწესებულებების დებულებების მიხედვით საჩივრის გადაგზავნიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა საჩივრების ყუთთან გამოიკვრება გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომერი და შესაბამისი კონვერტის კოდი.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმრებს ხელზე გადაეცეთ მათი უფლებების, მათ შორის, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია. ამ მიზნით მოხდეს პატიმრებისათვის სპეციალური ბროშურების დარიგება

- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებაში მიღების შემდგომ, უახლოეს რამდენიმე დღეში, სოციალურმა მუშაკმა დეტალურად აუხსნას პატიმარს მისი უფლებები და მოვალეობები. ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის შესახებ; განუმარტოს სოციალური მუშაკის კომპეტენცია და გადასცეს ყველა საჭირო, ძირითადი დოკუმენტი; სათანადო პერიოდულობით ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოს პატიმრებთან მათი უფლებებისა და მოვალეობების, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის თემატიკაზე

- მიიღოს ყველა ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ყველა უცხოელი პატიმრისათვის ხელმისაწვდომი იყოს ბროშურა, რომელშიც დეტალურად, გასაგებ ენაზე იქნება ახსნილი მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმრებმა სრულყოფილად შეძლონ მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზება; აღნიშნული მიზნის მისაღწევად რეკომენდებულია გაიზარდოს სოციალური მუშაკის როლი მოთხოვნის/საჩივრის ფორმულირებისა და შესაბამისი ადრესატის შერჩევის პროცესში, ქართული ენის არმცოდნე პატიმრები უზრუნველყოფილი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომ დაწესებულებებში არსებობდეს ნორმატიული აქტების ავტომატურად განახლებადი ბაზა; ყველა პატიმრისთვის საკანში ხელმისაწვდომი იყოს პატიმრობის კოდექსის, დაწესებულების დებულების და სხვა ნორმატიული აქტების განახლებული, კოდიფიცირებული ვერსია; ამავდროულად, მოხდეს პატიმრის მიერ ნორმატიული აქტის მიღება-ჩაბარების ფაქტის დოკუმენტირება

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმარს ყველა შემთხვევაში, დროულად მიეწოდოს მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაციის ნომერი

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი

და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა კონფიდენციალური საჩივრების გაგზავნის შემდგომ, ყველა შემთხვევაში, რეგისტრაციის ნომრები გამოიკრას საჩივრის ყუთთან;
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა საჩივრის ყუთები განთავსდეს პატიმრებისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში, სადაც არ მიმდინარეობს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი, და შესაბამისად, მცირეა მომჩივანი პატიმრის იდენტიფიცირების შესაძლებლობა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ისეთ ადგილას და იმგვარად (მაგალითად, ბიბლიოთეკაში), რომ კონვერტის მიღება არ იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებზე დამოკიდებული და გამორიცხავდეს კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირებას. ამასთან, პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სოციალური სამსახურის თანამშრომელი პატიმარს კონფიდენციალური საჩივრის შედგენაში უსაფრთოხების დაცვის თანამშრომლის დაუსწრებლად ეხმარებოდეს;
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს აეკრძალოთ კონფიდენციალური კონვერტის გადაცემისას კონვერტის ნომრისა და პატიმრის მონაცემების ჩანიშვნა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აიკრძალოს კონფიდენციალურ საჩივრებზე მიღებული პასუხის ადრესატი პატიმრებისათვის გადაცემამდე გახსნის პრაქტიკა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დახურული კონვერტებით მიღებული პასუხები პატიმრებს გადაეცეთ კონფიდენციალურად, ისე, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლებს არ ჰქონდეთ მათი წაკითხვის შესაძლებლობა
- უზრუნველყოს პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრის/განცხადების განხილვის გონივრული ვადის განსაზღვრის საკითხს, და ასევე, უზრუნველყოს მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის
- უზრუნველყოს პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს სასჯელაღსრულებისა

და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადის განსაზღვრის საკითხს, და ასევე, უზრუნველყოს მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრის/განცხადების განხილვის გონივრული ვადა
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადა.

3.9. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება[259] და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს და ადეკვატურ სანიტარულ პირობებს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას და საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო და გარემო პირობებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გენდერულ თანასწორობას.

ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას, არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე, წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე, დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე, მედიკამენტებზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ჯანდაცვის ძირითად მომსახურებაზე (თანაბრად და დროულად), ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი.[260]

ჯანმრთელობის უფლების რეალიზებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრევენციულ ჯანდაცვას, რომელიც გულისხმობს ჯანმრთელობის ხელშეწყობას და ზოგადი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას; კვების, სანიტარული პირობების, გონებრივი და ფიზიკური აქტივობის, ცხოვრებაში მიზნობრივი პრევენციული ღონისძიებების გატარებას კონკრეტული პათოლოგიების კუთხით, როგორიცაა ინფექციური დაავადებები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, წამალზე დამოკიდებულება და ძალადობა.

259 Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf [last visit on 17.03.2017].

260 General comment N° 14 (2000) on the right to health, adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობას და არსებულ გამოწვევებს. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკითხნენ პატიმრები და პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალი, ასევე შემოწმდა პენიტენციურ დაწესებულებებში საექიმო-სამედიცინო პუნქტში არსებული მდგომარეობა. აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით ატარებს კვლევას „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ დაწესებულებებში", რის შესახებაც მომზადდება და გამოქვეყნდება სპეციალური ანგარიში.

3.9.1. საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის დაფინანსება, ორგანიზაციული ასპექტები და განხორციელებული რეფორმები

2016 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს გამოეყო სამედიცინო რეგულირების სამმართველო და გადავიდა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დაქვემდებარებაში, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო, რომლის ფუნქციებიც გაწერილია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულებაში[261] და ძალაში შევიდა 2016 წლის 26 დეკემბრიდან.

დადებითად უნდა აღინიშნოს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო რეგულირების სამმართველოს მუშაობა, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებში ამოწმებდა კვებას, სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, საექიმო-სამედიცინო პუნქტებს, მათ შორის, რენტგენის აპარატის, ნარჩენების მენეჯმენტის და სამედიცინო და საარქივო დოკუმენტაციის წარმოების პროცესებს.

დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცება, სადაც ნათლადაა გაწერილი როგორც დეპარტამენტის სტრუქტურული, ასევე ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები.[262] ამასთან, მისასალმებელია სტამბოლის პროტოკოლის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცება.[263] ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოე-

261 დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით.

262 დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 6 მაისის N2255 ბრძანებით.

263 დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით.

ბის უზრუნველყოფის შეფასების, ხარისხის მართვის სისტემის განსაზღვრა.[264]

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის საკასო ხარჯმა მთლიანად შეადგინა - 2 178 441 ლარი, რაც 2015 წელთან შედარებით შემცირებულია 1 854 193 ლარით. რაც შეეხება სამედიცინო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის“ პროგრამული კოდიდან სამედიცინო დეპარტამენტის ადმინისტრაციული ხარჯები (მედპერსონალის ხელფასები, ოფისის ხარჯები და ა.შ.) გადატანილია სამინისტროს სხვა ადმინისტრაციული ხარჯების პროგრამულ კოდში, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოწოდებული არ ყოფილა.

3.9.2. პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო ინფრასტრუქტურა

პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურებას ეწევა 37 პირველადი ჯანდაცვის გუნდი და 2 სამკურნალო დაწესებულება. 2016 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენს საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სამედიცინო მომსახურების ყოფილ საკნებში მიწოდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მიწოდებული მომსახურების ხარისხზე. ექიმის კაბინეტებში კვლავ გაუმართავია ვენტილაცია, კედლებისა და იატაკის საფარი იმგვარადაა მოწყობილი, რომ შეუძლებელია სველი წესით დამუშავება და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სათანადოდ დაცვა.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველეყო პენიტენციურ დაწესებულებებში საექიმო-სამედიცინო პუნქტების ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა, მათ შორის, ამ პუნქტების სათანადო აღჭურვა და სამედიცინო აღჭურვილობის კონტროლი, სავენტილაციო სისტემის მოწესრიგება და ანტისტატიკური ლინოლეუმის დაგება. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[265] ყველა დაწესებულებისთვის შეიკრიბა იმ ინვენტარისა და აპარატურის ჩამონათვალი, რომელიც გამოსული იყო მწყობრიდან, საჭიროებდა შეკეთებას ან/და ახლის შეძენას, რის საფუძველზეც შეიძინეს ინვენტარი/აპარატურა და საექიმო-სამედიცინო პუნქტების აღჭურვა ხორციელდება ეტაპობრივად. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგების დროს დადგინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ვერ ხერხდება უკვე შეძენილი ინვენტარის დაწესებულებაში მოთავსება, რადგან დაწესებულებაში არ არის შესაბამისი ფართი. აქვე აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს N18 დაწესებულებაში[266] არსებული სისხლის ბიოქიმიური ანალიზატორი გამოსული იყო

264 დამტკიცებულია 2016 წლის 6 მაისს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N2361 ბრძანებით.

265 სამედიცინო დეპარტამენტიდან 2017 წლის 6 მარტის MOC01700166123 პასუხი.

266 2017 წლის 17-18 იანვარი.

მწყობრიდან, აღნიშნულის გამო, ანალიზის ჩასატარებლად აღებული მასალის გატანა ხდებოდა სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, რაც დამატებით დროსთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული.

2015 წელს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, საექიმო-სამედიცინო პუნქტების ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის რეკომენდაციითაც მიმართა. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, გარემონტდა N2, N5, N6, N7, N8, N14, N16, N17, N18 და N19 დაწესებულებების სტომატოლოგიური კაბინეტები და აღიჭურვა სტანდარტის შესაბამისად. ყველა სხვა დანარჩენ დაწესებულებაში კი მიმდინარეობს სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ეტაპობრივად ხდება მათი ახალი აპარატურით აღჭურვა. მისასალმებელია აღნიშნული ცვლილებები, თუმცა მნიშვნელოვანია სრულად გარემონტდეს სამედიცინო პუნქტები. აქვე აღსანიშნავია, რომ N11 დაწესებულების სტომატოლოგიურ კაბინეტში არ არის ონკანი, რომ იქვე გაირეცხოს გამოყენებული იარაღები. გამდინარე წყლის საჭიროებისათვის იყენებენ სამედიცინო პერსონალის საპირფარეშოს ონკანს. [267]

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N5 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას[268] შემოწმდა დაწესებულებაში რენტგენოლოგიური საქმიანობისთვის გამოყოფილი ორი ოთახი და დადგინდა, რომ გადასაღებ ოთახში დამონტაჟებულია ნიჟარა, თუმცა, უზრუნველყოფილი არაა ცხელი წყლით. კედლები არაა დაფარული ე.წ. ბარიტით, ამასთან, ზედაპირი ხორკლიანია და შეუძლებელია სველი წესით დამუშავება. ფირების გასამჟღავნებელში არაა კონტეინერი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ნარჩენი სითხის გატანა ნარჩენების გამტანი კომპანიის მიერ. სამუშაო პროცესში კი არ ხდება რადიაციული დაცვის სათანადო საშუალებების გამოყენება. ამასთან, რენტგენოლოგი/რენტგენოლაბორანტი რენტგენოლოგიური გამოკვლევის შემდეგ, არ ახდენს პაციენტის ინდივიდუალური ეფექტური დოზის რეგისტრაციას არც პაციენტის ამბულატორიულ ბარათში არსებულ დოზური დატვირთვის აღრიცხვის ფურცელში, და არც რენტგენოლოგიური გამოკვლევის აღრიცხვის ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ჟურნალი არ არსებობს არცერთ პენიტენციურ დაწესებულებაში.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ განხორციელებული ვიზიტებისას დადგინდა, რომ N7, N11 და N12 დაწესებულებებში არ არის რენტგენის ოთახი. N7 დაწესებულებაში რენტგენის გადაღება წარმოებს მცირე ზომის სამანიპულაციოში, ხოლო ფირების დამუშავება და გაშრობა ხორციელდება ასევე მცირე ზომის სტომატოლოგიურ კაბინეტში. N11 დაწესებულებაში რენტგენოლოგიური გამოკვლევის ჩატარება ხდება არასრულწლოვნების კომპიუტერებით სარგებლობისთვის გამოყოფილ ფართსა და შიდსის ოთახებს შორის მდებარე დერეფანში. N12 დაწესებულებაში რენტგენის გადაღება ხდება პირველადი ჯანდაცვის ოთახში, ფირები კი მე-19 დაწესებულებაში მიაქვთ

267 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის N309/ნ ბრძანებით დამტკიცებული სტომატოლოგიური პროფილის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისათვის სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ, მუხლი 8.

268 2016 წლის 20 ოქტომბერი.

გასამჟღავნებლად. აღნიშნულ დაწესებულებებში რენტგენის გადასაღებად გამოყოფილი ადგილი ვერ აკმაყოფილებს რენტგენოლოგიური მომსახურების ოთახისადმი წაყენებულ ვერცერთ მოთხოვნას,[269] კერძოდ, არ არის სათანადო ფართი, ოთახში არ არის ნიჟარა შესაბამისი ცივი და ცხელი წყლის გაყვანილობით, ოთახში არ არის გამოყოფილი ფართი ფირების დამუშავებისთვის. არ ხორციელდება პერსონალისა და პაციენტების დასხივების კონტროლი ინდივიდუალური დოზიმეტრით, სამუშაო პროცესში არ ხდება რადიაციული დაცვის ინდივიდუალური და გადასატანი საშუალებების გამოყენება. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა უნდა მოგვარდეს დროულად და ყველა დაწესებულებაში მოეწყოს რენტგენის კაბინეტი.

დადებითად უნდა აღინიშნოს 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების შესანახი ოთახების მოწყობის საკითხი. თუმცა გარკვეული პრობლემები ამ მიმართულებითაც იკვეთება. ასე მაგალითად, N3 დაწესებულებაში სამედიცინო ნარჩენები განთავსებული იყო დაწესებულების სამედიცინო ნაწილის საპირფარეშოში, სადაც იყო აუტანელი სუნი. N11 დაწესებულებაში არ არის სპეციალურად გამოყოფილი ოთახი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერების შესანახად და იგი მოთავსებულია სამედიცინო პერსონალის საპირფარეშოში. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამედიცინო ნარჩენების ოთახი არ არის გამოყოფილი N7 და N12 დაწესებულებებშიც. აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებებიდან სამედიცინო ნარჩენების გატანა დაწესებულებებიდან კვირაში ერთხელ ხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში საექიმო-სამედიცინო პუნქტების ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა, მათ შორის, ამ პუნქტების სათანადო აღჭურვითა და სამედიცინო აღჭურვილობის კონტროლით, სავენტილაციო სისტემის მოწესრიგებით და ანტისტატიკური ლინოლეუმის დაგებით

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა დაწესებულებაში მოეწყოს შესაბამისად აღჭურვილი რენტგენოლოგიური ოთახი, რომელიც აღჭურვილი იქნება როგორც პერსონალის, ისე პაციენტების დასხივების კონტროლის ინდივიდუალური დოზიმეტრით, ასევე აღჭურვილი იქნება ფირების გასამჟღავნებლად საჭირო ყველა მასალით/ინვენტარით

- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში გამოიყოს ნარჩენების ოთახი, რომელიც აღჭურვილი იქნება დიდი ზომის ურნით, ხელსაბანი ნიჟარით, წყალგაყვანილობით, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმით

269 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №317 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.

3.9.3. მედიკამენტების ხელმისაწვდომობა

მედიკამენტების დროული მიწოდება წარმატებული მკურნალობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები. მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ შეძენილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალების საკუთარი სახსრებით შეძენის უფლება.[270]

ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს წამლების სამარაგო, ყველა დაწესებულებაში არის წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი[271]. წამლების სამარაგოს ყოველთვიურად მედიკამენტებით ამარაგებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტი. იმ შემთხვევაში, თუ მედიკამენტი არ არის პენიტენციური ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხაში, შესყიდვა ხდება მთავარი ექიმის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით.[272] წამლების სამარაგოდან მედიკამენტების გატანა ხორციელდება დანიშნულების საფუძველზე.

პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის ბაზისური მედიკამენტების ნუსხით[273] განისაზღვრა იმ მედიკამენტების ჩამონათვალი, რომელთა საკუთარი ხარჯებით მიწოდების ვალდებულებას იღებს სამინისტრო. მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო ხარჯებისთვის 2016 წელს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დაიხარჯა 2 210 020 ლარი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით, მედიკამენტებისთვის გაწეული ხარჯი შემცირებულია 165 214 ლარით.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიში სახალხო დამცველი მიუთითებდა დანიშნული მედიკამენტების ჩანაცვლების პრობლემაზე. ასევე დაწესებულებებში მედიკამენტების ნაკლებობაზე, მათ შორის გაციების საწინააღმდეგო მედიკამენტების არარსებობაზე.[274] აღნიშნული პრობლემა რჩება 2016 წელსაც.

აღსანიშნავია, რომ ნოემბრის თვეში პენიტენციური დაწესებულებების მიერ ხდება მედიკამენტების 3 თვის მარაგის შეკვეთა, რადგან ტენდერთან დაკავშირებული საკითხების გამო წლის ბოლოს იქმნება მედიკამენტებით მომარაგების პრობლემა. N3 დაწესებულებაში ვიზიტის[275] დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს პაციენტებისთვის დანიშნული

270 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 24.

271 ფარმაცევტი/პროვიზორი/უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი.

272 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2547 განკარგულების შესაბამისად.

273 დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის N31 ბრძანებით.

274 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 91, იხილეთ ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

275 2017 წლის 2-4 თებერვალი.

მედიკამენტების მარაგი და შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენ-ტებით მომარაგება ზოგადად დამაკმაყოფილებელია. თუმცა იყო გარკვეული ხარვეზებიც. აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი დასახელების მე-დიკამენტის მარაგი იწურებოდა, ექიმის მიერ ხდებოდა დანიშნულების მოხსნა ან დანიშნული მედიკამენტის შეცვლა იმ მედიკამენტით, რომელიც ხელმისაწ-ვდომი იყო დაწესებულებაში.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ 2016 წელს N2, N5 და N7 დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს შემოწმდა მედიკამენტების ნაშთებსა და ხარჯვას შორის ბალანსი. შემოწმების შედეგებ-მა აჩვენა, რომ რამდენიმე შემთხვევაში დოკუმენტაციაში არ იყო დაფიქსირე-ბული მედიკამენტის ხარჯვის ფაქტი, ასე მაგალითად, N2 დაწესებულებაში მედდის მიერ მედიკამენტების ხარჯვის ჟურნალში არ იყო გატარებული 30 აბი პალინის ხარჯვა.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N5 დაწესე-ბულებაში განხორციელებული ვიზიტისას,[276] დაწესებულების აფთიაქში წამ-ლის შესანახ თაროებზე ვადიან მედიკამენტებთან ერთად განთავსებული იყო ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტი-ულტრაკაინი 1.7მლ. N100, რომელ-საც ვადა გასული ჰქონდა 06.2016წ., ასევე დიგოქსინი 0.25მგ. N40 – 3 კოლოფი, რომელსაც ვადა გასდიოდა 11.2016 წ. აღნიშნულის თაობაზე წამლის სამარაგოს პასუხისმგებელ პირს ინფორმაცია არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ვადაგასულ მედიკამენტებს შორის იყო ისეთი მედიკამენტები (მოდიტენ დეპო N5, პლეტოზი 50მგ, ტრენტალი 5მლ, სიმბიკორტის აეროზოლი 60 დოზიანი), რომლებიც, სხვა პენიტენციური დაწესებულების აფთიაქისთვის ინფორმაციის დროულად მი-წოდების შემთხვევაში, დიდი ალბათობით გახარჯული იქნებოდა. წამლის სა-მარაგოს პასუხისმგებელმა პირმა ვერ წარმოადგინა ვერცერთი წერილობითი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც დადასტურდებოდა ჭარბი და მოკლევა-დიანი მედიკამენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სხვა დაწესებულების აფთიაქისთვის ან ექიმ-კონსულტანტებისთვის. დადებითად უნდა აღინიშნოს პენიტენციურ დაწესებულებებს შორის ჭარბი მედიკამენტების თაობაზე ინ-ფორმაციის გაცვლის პრაქტიკა. წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი ყოველთვიურად აწვდის სხვა დაწესებულებებს ჭარბი მედიკამენტების სიას და მოთხოვნის შემთხვევაში მედიკამენტს აწვდის იმ დაწესებულებას, რომელსაც ესაჭიროება.

2015 წელს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულები-სა და პრობაციის მინისტრს, შესაბამისი ზომები მიეღოთ, რათა პატიმრე-ბისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო დანიშნული მედიკამენტები, ამასთან, ექიმებს, საჭიროების შემთხვევაში, ბრენდული დასახელების მედიკამენტების შეუფერხებლად დანიშვნის შესაძლებლობა ჰქონოდათ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან 2016 წლის 25 ნოემბერის პასუხის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტების მიერ პაციენტებისათვის მედიკამენტის დანიშვნა ხდება პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის შესაბამისად, რომელშიც სამ-

276 2016 წლის 20 ოქტომბერი.

კურნალო საშუალებები წარმოდგენილია დაავადებების სამკურნალო აქტიური ნივთიერებების სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც გენერიკული დასახელების, ისე სხვა დასახელებით წარმოდგენილი მედიკამენტების ძირითადი აქტიური ნივთიერება არის ერთი და იმავე შემადგენლობის, პრეპარატების გამოყენების ჩვენება და მოქმედება იდენტურია, განსხვავება არის მხოლოდ მწარმოებელ ქვეყანასა და პრეპარატის დასახელებაში. ექიმ-სპეციალისტები არ არიან შეზღუდულნი პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის ფარგლებში მედიკამენტის დანიშვნით, საჭიროებების და კომპეტენციის გათვალისწინებით ისინი ნიშნავენ ისეთ მედიკამენტსაც, რომელიც არ შედის პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხაში, ასეთ შემთხვევაში მთავარი ექიმი გზავნის ინდივიდუალურ მოთხოვნას სამედიცინო დეპარტამენტში, რის საფუძველზეც, მედიკამენტის შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით.[277] მსჯავრდებულს, მიწოდებული მედიკამენტის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეუძლია ექიმის დანიშნულების შესაბამისად, საკუთარი ხარჯით შეიძინოს ანალოგიური თვისების მქონე მედიკამენტი, მათ შორის, ბრენდული დასახელებით.

როგორც პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგმა აჩვენა, სამედიცინო პერსონალი პატიმრებს უმეტესად იმ გენერიკ მედიკამენტებს უნიშნავს, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულებაში სახელმწიფოს ხარჯზე. მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ექიმთან შეთანხმებით, შესაბამისი დანიშნულების საფუძველზე, შეიძინონ თავდაპირველად დანიშნული გენერიკ მედიკამენტის შესაბამისი ბრენდული სახელწოდების მედიკამენტი დაწესებულების აფთიაქში ან, აფთიაქის არარსებობის შემთხვევაში, მიიღონ ოჯახის წევრებისაგან. აღსანიშნავია, რომ N8 და N15 დაწესებულებებში ფუნქციონირებს აფთიაქი, სადაც პატიმრებს საკუთარი ხარჯით შეუძლიათ შეიძინონ მედიკამენტები. რაც შეეხება მედიკამენტის ამანათით მიღების საკითხს, სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებებში მედიკამენტების შეგზავნის მარეგულირებელი წესის შემუშავება განხილვის პროცესშია.

რეკომენდაცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა პატიმრებს შეუფერხებლად მიუწვდებოდეთ ხელი დანიშნულ მედიკამენტებზე, ამასთან, ექიმები დანიშნულების გაცემისას არ შეიზღუდონ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული მედიკამენტებით და პატიმრის მოთხოვნის შემთხვევაში, ექიმთან შეთანხმებით, პატიმრის ხარჯზე, დაუბრკოლებლად იყოს ხელმისაწვდომი ბრენდული სახელწოდების მედიკამენტები. დაწესებულებებში აფთიაქების არარსებობის პირობებში მკაფიოდ განისაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებებში მედიკამენტების ამანათით შეგზავნის მარეგულირებელი წესი

277 საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 10[1]

- მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ისე მოხდეს მედიკამენტების მიწოდების ორგანიზება, რომ აღმოიფხვრას პენიტენციური დაწესებულებების მედიკამენტებით მომარაგებასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განვლილ პერიოდში მედიკამენტების ხარჯვის მონაცემების ანალიზს და შედეგები გათვალისწინებულ იქნას როგორც მედიკამენტების ერთიანი შესყიდვის დროს, ასევე კონკრეტული დაწესებულების მომარაგებისას

3.9.4. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და ხარისხი

3.9.4.1. ექიმისა და დამხმარე პერსონალის ხელმისაწვდომობა

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯამრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.[278] გაეროს მე-14 ზოგად კომენტარში ჯანმრთელობის დაცვის უფლება განსაზღვრულია ოთხი კომპონენტით: სამედიცინო მომსახურების რაოდენობრივი უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მისაღები სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო მომსახურების ხარისხი.[279]

აღნიშნული პრინციპები თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე, მათ შორის პატიმრობაში მყოფ პირებზეც. პატიმრობაში მყოფი პირები ჩვეულებისამებრ ინარჩუნებენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ უფლებებს. სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემამ პატიმრებისათვის უნდა უზრუნველყოს ისეთივე სტანდარტის მკურნალობა, როგორითაც სარგებლობენ დაწესებულების გარეთ მყოფი პირები.[280]

პირის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე, სახელმწიფო ვალდებულია გამოიჩინოს მზრუნველობა პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და უზრუნველყოს როგორც პირის შესაბამის გარემოპირობებში მოთავსება, ასევე გაუწიოს შესაბამისი ინდივიდუალური მკურნალობა.[281] ციხის ევროპული წესების შესაბამისად, საპატიმრო სასჯელის აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებში, რომლებიც არ ხე-

278 გაეროს გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 10 დეკემბერი.

279 გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR),ზოგადი კომენტარი N14, უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს მიღწევად სტანდარტზე, (პაქტის 12 მუხლი) 2000 წლის 11 აგვისტო.

280 ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 63, პუნქტი 38, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ვებგვერდზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

281 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გზამკვლევი ციხის ჯანდაცვის ძირითად ასპექტებთან დაკავშრებით, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0009/99018/E90174.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

ლყოფს ადამიანის ღირსებას და მათ ამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.[282]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით,[283] კონვენციის მესამე მუხლი (წამების აკრძალვა) სახელმწიფოს აკისრებს თავისუფლებააღკვეთილი პირების ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, მათ შორის ასეთი პირებისათვის საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის გზით. დაკავებულ პირთათვის ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.[284]

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, პენიტენციურ სისტემაში 9 334 ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა, დასაქმებული სამედიცინო პერსონალი შედგებოდა 190 ექიმისა (აქედან 15 მთავარი ექიმი) და 265 ექთნისგან. აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით, სამედიცინო პერსონალის საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.[285]

პენიტენციურ სისტემაში ექიმებისა და ექთნების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	დაწესებულება	ექიმი	ექთანი	წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი
1.	N2 დაწესებულება	11	16	1
2.	N3 დაწესებულება	6	5	1
3.	N5 დაწესებულება	7	9	1
4.	N6 დაწესებულება	7	11	1
5.	N7 დაწესებულება	4	4	1
6.	N8 დაწესებულება	28	44	1
7.	N9 დაწესებულება	4	9	1
8.	N11 დაწესებულება	3	4	1
9.	N12 დაწესებულება	3	6	1
10.	N14 დაწესებულება	10	11	1
11.	N15 დაწესებულება	10	18	1
12.	N16 დაწესებულება	2	5	1
13.	N17 დაწესებულება	10	19	1

282 ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006) წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ევროპული ციხის წესები), პრეამბულა, 2006 წლის 11 იანვარი.

283 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის განჩინება საქმეზე დუბეკა ალბანეთის წინააღმდეგ (Dubeku v. Albania), პარ. 41.

284 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia), პარ. 47-49.

285 2015 წელს პენიტენციურ დაწესებულებებს ემსახურებოდა 191 ექიმი (მათ შორის 15 მთავარი ექიმი) და 261 ექთანი.

2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში შტატით გათვალისწინებული ექიმებისა და ექთნების რაოდენობისა და პატიმრების რაოდენობის თანაფარდობა დაწესებულებების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

N	დაწესებულება	პატიმრებისა[286] და ექიმების რაოდენობის თანაფარდობა	პატიმრებისა და ექთნების რაოდენობის თანაფარდობა
1	N2 დაწესებულება	106	73
2	N3 დაწესებულება	7	7
3	N5 დაწესებულება	35	27
4	N6 დაწესებულება	30	19
5	N7 დაწესებულება	4	4
6	N8 დაწესებულება	80	51
7	N9 დაწესებულება	10	4
8	N11 დაწესებულება	4	3
9	N12 დაწესებულება	95	47
10	N14 დაწესებულება	119	108
11	N15 დაწესებულება	174	98
12	N16 დაწესებულება	48	19
13	N17 დაწესებულება	189	99

მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ N2, N14, N15 და N17 დაწესებულებებში პატიმრების რაოდენობის ექიმებისა და ექთნების რაოდენობასთან თანაფარდობა მაღალია. აღსანიშნავია, რომ თანაფარდობის გამოთვლის დროს არაა გათვალისწინებული ექიმებისა და ექთნების მორიგეობის გრაფიკი.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის თანახმად, როგორც წესი, ერთ ექიმზე არ უნდა მოდიოდეს 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი.[287] 2014 და 2015 წლებში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ექიმებისა და ექთნების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად,[288] წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის[289] საფუძველზე, ექიმის და პატიმრის თანაფარდობა პატარა დაწესებულებებში საშუალოდ 50-დან 150-მდე მერყეობს, დიდ დაწესებულებებში კი - 300-დან 500-მდე. სახალხო დამცველი არ იზიარებს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს პოზიციას და მიაჩნია, რომ ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექიმე-

286 ცხრილში მოცემული თანაფარდობა გამოთვლილია დაწესებულებებში 2016 წლის დეკემბრისთვის მოთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების რაოდენობის მიხედვით.

287 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/grc/2008-03-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 22.03. 2017].

288 სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული 2016 წლის 25 ნოემბრის MOC31600966804.

289 1 ოჯახის ექიმი უნდა ემსახურებოდეს არაუმეტეს 500 მსჯავრდებულს/ბრალდებულს.

ბისა და ექთნების საკმარისი რაოდენობა, რათა ყველა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა დროულად მიიღოს სათანადო სამედიცინო მომსახურება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი[290] მიუთითებს, რომ ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პატიმრებისთვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად. სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრები უთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობაზე. პატიმრების განმარტებით, ხშირად, პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის ლოდინი უწევთ. ამასთან, პატიმრები აღნიშნავენ, რომ დანიშნულების გაცემის შემდეგ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით სამედიცინო პერსონალი აღარ ინტერესდება.

გ.ჩ.-ს საქმე

N6 დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულ გ.ჩ.-ს გადმოცემით, 2016 წლის 2 ივლისს N6 იგი მოათავსეს დეესკალაციის ოთახში. მისი თქმით, იგი არაერთხელ მოუთავსებიათ ამავე დაწესებულების დეესკალაციის ოთახში.[291] პატიმარი აღნიშნავს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში დეესკალაციის ოთახში ჩაყვანამდე, ისევე, როგორც ამ უკანასკნელში ყოფნისას, ითხოვდა ექიმს და სოციალურ მუშაკს, თუმცა უშედეგოდ. დეესკალაციის ოთახიდან დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ გახდა შეუძლოდ და გონება დაკარგა. სამედიცინო პერსონალის მიერ გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემდეგ პაციენტი გონს მოვიდა და დაწესებულების სამედიცინო პერსონალს განუმარტა, რომ აწუხებდა უჰაერობა და ტკივილი გულ–მკერდის არეში.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ მსჯავრდებულის ბარათის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2016 წლის 8 აგვისტოს მსჯავრდებული მოინახულა პირველადი ჯანდაცვის პუნქტის ექიმმა, რა დროსაც ზუსტი დიაგნოზი არ იქნა დასმული, სიმპტომურად გაუკეთდა Sol. Ketzi 1.0 ml, Sol. Drotaverini 2.0, დაიგეგმა გულ-მკერდის რენტგენოგრაფია და სისხლის საერთო ანალიზი. 2016 წლის 9 აგვისტოს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, პაციენტი კვლავ უჩიოდა ტკივილს გულის არეში და უჰაერობას. ქირურგის მიერ დიაგნოზი დასმული არ ყოფილა, მიეცა კარდიოლოგისა და თერაპევტის კონსულტაციების ჩატარების რეკომენდაცია.

2016 წლის 11 აგვისტოს მსჯავრდებული გეგმიური წესით გადაიყვანეს პენიტენციური დეპარტამენტის N18 სამკურნალო დაწესებულებაში თეთრი ხაზის

290 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარ. 34, გვ. 61.

291 აღნიშნულ ოთახში არის სენსორული იზოლაცია, არაა საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია. იატაკზე დაგებულია ბეტონი და კაუჩუკის თხელი ფენა, არის სინესტე. საერთო ფართი არ არის გამოყოფილი საპირფარეშოსგან და ნიჟარა თითქმის შუა ოთახშია დამონტაჟებული. ამას გარდა, ოთახი აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, რომლის მეშვეობითაც ფიქსირდება ნიჟარა და მის ახლოს მდებარე პერიმეტრი. მსჯავრდებულის საკანში გაფუჭებულია ონკანი და წყალი მოედინება მუდმივად. პატიმარს არ მიეწოდა ლეიბი, პლედი, ტუალეტის ქაღალდი, კბილის პასტა, ჯაგრისი, საპონი და სხვა პირველადი მოხმარების ნივთები.

თიაქარის ოპერაციული მკურნალობის ჩატარების მიზნით.[292] ამავე დაწესებულებაში მსჯავრდებულს ჩაუტარდა წინაოპერაციული გამოკვლევები, რა დროსაც დაუდგინდა მარცხენამხრივი სპონტანური პნევმოთორაქსი[293] J93.0 და ფილტვების ბულოზური ემფიზემა[294] (ორმხრივი) J43.9. შესაბამისად, მსჯავრდებულს აღარ ჩაუტარდა თიაქრის გეგმიური ოპერაციული მკურნალობა და სასწრაფო წესით გადაყვანილი იქნა აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, სადაც ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა: მარცხენა პლევრის ღრუს დრენირება. ოპერაციული მკურნალობის შემდეგ მოთავსდა ზოგად ქირურგიულ განყოფილებაში, საიდანაც გაეწერა 2016 წლის 14 აგვისტოს.

აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის 2016 წლის 14 აგვისტოს გაცემული ფორმა NIV-100-ით ირკვევა, რომ მსჯავრდებულს მიეცა შემდეგი სამკურნალო შრომითი რეკომენდაციები, კერძოდ, ფიზიკური დატვირთვისაგან თავის შეკავება ერთი თვე და რენტგენოლოგიური კონტროლი შვიდი დღის შემდეგ. მსჯავრდებულს 2016 წლის 26 აგვისტოს გ.ჩ.-სთვის ჩატარებული რენტგენოგრაფიის დასკვნის საფუძველზე პლევრის ღრუს პათოლოგიური ცვლილებები არ გამოვლინდა. მსჯავრდებულის თქმით, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ყოფნის დროს ექიმმა გასაუბრებისას აუხსნა, რომ ფილტვებში არსებულმა კისტამ დაუზიანა ფილტვი, რომელიც შეიკუმშა, ხოლო გარსი გაივსო სითხით. ამასთანავე უთხრა, რომ ჯანმრთელობის ასეთი ფორმით დამძიმების ერთ–ერთი მიზეზი შესაძლოა დეესკალაციის ოთახში მოთავსებაც გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ კვლავ მოათავსეს დეესკალაციის ოთახში.

ზემოთ მითითებულ ფაქტებზე, სახალხო დამცველის აპარატმა 2016 წლის 2 ნოემბერს წერილობით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. 2016 წლის 7 დეკემბრის MOC41600999557 პასუხის თანახმად, შესწავლილი იქნა N6 დაწესებულების დეესკალაციის ოთახის ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ გენერალური ინსპექციიდან მიღებულ პასუხში არ არის საუბარი იმ ძირითად პრობლემებსა და სავარაუდო დარღვევებზე, რაც გამოიკვეთა მსჯავრდებულ გ.ჩ.-ს საქმეში და ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ დეესკალაციის ოთახში არსებული საპირფარეშოს პრობლემაზე.

---

292 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის 2016 წლის 5 სექტემბრის N81600753850 წერილი.

293 პლევრის ღრუში უარყოფითი წნევის დაკარგვა, რასაც ახლავს ფილტვის ნაწილობრივი ან ტოტალური კოლაფსი. პლევრის ღრუში ჰაერის ხელახალი შეღწევა იწვევს დაჭიმული (ვენტილური) პნევმოთორაქსის წარმოქმნას, რომელიც განაპირობებს ფილტვის მასიურ კოლაფსსა და შუასაყარის ორგანოების გადაწევას. დამახასიათებელი სიმპტომია უეცარი ინტენსიური ტკივილი გულმკერდის ღრუში, რომელიც ვითარდება სრულიად ჯანმრთელ ფონზე; გამოხატულია ჰაერის უკმარისობა, ციანოზი, ტაქიკარდია. შესაძლებელია არტერიული წნევის დაქვეითება, პერკუსიით – კოლოფისებრი ხმიანობა, სუნთქვითი ხმიანობა შესუსტებული ან გამქრალია. იხ. ბმული http://www.medgeo.net/2009/07/12/spontaneous_pneumothorax/ [ბოლოს ნანახია 23.03.2017].

294 წარმოადგენს ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების ერთ – ერთ ყველაზე ხშირ ფორმას. ხასიათდება დისტალური ტერმინალური ბრონქიოლების ჰაეროვანი სივრცეების პათოლოგიური გაფართოებითა და ალვეოლური კედლების დესტრუქციული ცვლილებებით. იხ.ბმული https://www.medgeo.net/2009/06/22/emphysema/ [ბოლოს ნანახია 23.03.2017].

სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის გარდა პრობლემურია დამხმარე პერსონალის საკითხიც. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N18 დაწესებულებაში[295] განხორციელებული ვიზიტის დროს, ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში მყოფი პაციენტები უკმაყოფილებას გამოხატავენ დაწესებულების სანიტრების მომსახურებასთან დაკავშირებით. მათი გადმოცემით, მამაკაცი სანიტრები მხოლოდ კვირაში ორჯერ მორიგეობენ, დანარჩენ დღეებში კი ქალი სანიტრები არიან.[296] ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში მყოფი პაციენტების თქმით, მათივე სქესის სანიტრების დახმარებას ამჯობინებ ისეთ პროცედურებში, რომლებიც გაშიშვლებასთან არის დაკავშირებული. ამას გარდა, ქალი სანიტრები მათ ფიზიკურად ვერ ეხმარებიან საწოლიდან წამოდგომასა და დამხმარე საშუალება - ეტლში გადაჯდომაში. ერთ-ერთი პატიმრის გადმოცემით, მას უკვე 2 თვეა დაბანის შესაძლებლობა არ ჰქონია, ხოლო კიდევ ერთი მსჯავრდებულის განცხადებით, 2 წელზე მეტია თავის მოწესრიგება სველი ხელსახოცებით უწევს. ამასთან, იგი თერაპიული მასაჟის გაკეთებაზე სწორედ იმის გამო ამბობს უარს, რომ დამოუკიდებლად ვერ მოახერხებს სპეციალურ, მასაჟის მაგიდაზე დაწოლას.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ საიტზე არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წლის განმავლობაში ექიმ-კონსულტანტებმა ჩაატარეს 40 646 კონსულტაცია. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა გაზრდილია[297]. მიუხედავად ამისა, 2016 წელს მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა მიერ პატიმართა კონსულტაციის საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ რიგ დაწესებულებებში ექიმ-კონსულტანტთა ვიზიტების რეგულარობა და სიხშირე საკმარისი არ არის. ამასთან ექიმ-სპეციალისტების ვიზიტებთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება წლის დასაწყისში მანამ, სანამ სამედიცინო დეპარტამენტსა და ექიმ-სპეციალისტებს შორის გაფორმდება ხელშეკრულებები. აღნიშნულის გამო გვიანდება სამედიცინო მომსახურების მიღება.

2016 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენს კონსულტაციების დროულად ჩატარების საკითხი. პატიმრებს, რიგ შემთხვევებში, რამდენიმე თვე უწევთ ექიმ-კონსულტანტთან შესახვედრად ლოდინი. უნდა ითქვას, რომ პაციენტის კონსულტაციაზე ჩაწერის შემთხვევები უმეტესად მხოლოდ კონსულტაციების აღრიცხვის ჟურნალშია მითითებული, აღნიშნულზე პაციენტის სამედიცინო ბარათში ჩანაწერი არ ფიქსირდება. დაწესებულებებში, სადაც რამდენიმე პირველადი ჯანდაცვის პუნქტია (პჯდ), პრობლემას წარმოადგენს ჯანდაცვის ექიმებს შორის კომუნიკაცია, კერძოდ, როდესაც პატიმარი ერთი პჯდ-დან მეორე პჯდ-ს აღრიცხვაზე გადადის, არ ხდება ინფორმაციის მიწოდება, თუ რომელ ექიმ-სპეციალისტთან იყო ჩაწერილი. აღნიშნულის გამო პატიმარი დროულად ვერ იღებს საჭირო კონსულტაციას, მნიშვნელოვანია პატიმრის ექიმ-კონსულტანტთან ჩაწერასთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია დაფიქსირდეს მის სამედიცინო ბარათში.

295 2017 წლის 17-18 იანვარი.

296 სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, N18 დაწესებულებაში 4 სანიტარია.

297 2015 წელს ექიმ-კონსულტანტებს ჩატარებული ჰქონდათ 37 445 კონსულტაცია.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს, დამტკიცებულიყო ერთიანი, სპეციალური ფორმა, სადაც მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი, სამედიცინო კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი (ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება), რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა. ასევე მიეღო ყველა საჭირო ზომა, რომ დაწესებულების სამედიცინო პერსონალს აღნიშნული ფორმა სრულყოფილად შეევსო. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის აგვისტოდან ყველა პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილს მიეწოდა სპეციალური ჟურნალები, სადაც უნდა მიეთითოს პატიმრის კონსულტანტთან ჩაწერის და კონსულტაციის ჩატარების შესახებ მონაცემები. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე დაწესებულებაში აღნიშნული ჟურნალების გრაფები შევსებულია სათანადოდ, თუმცა რიგ დაწესებულებებში მხოლოდ კონსულტაციის ჩატარების თარიღის მითითება ხდება, ასე მაგალითად N3 და N5 დაწესებულებებში მითითებულია მხოლოდ კონსულტაციის ჩატარების თარიღი.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს სტომატოლოგიური მომსახურების მიღების საკითხი. პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე ექიმ-სტომატოლოგს არ ჰყავს ასისტენტი. ამასთან, კვლავ პრობლემებია N2 და N8 დაწესებულებებში, კერძოდ, N2 დაწესებულებაში პატიმრებს სტომატოლოგიურ მომსახურებას უწევს 1 სტომატოლოგი, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს ძლიერი ტკივილი აქვს, უწევს რიგში ჩადგომა, რაც შეიძლება 1 კვირა ან მეტი გაგრძელდეს. N8 დაწესებულებაში კი სტომატოლოგთან კონსულტაციაზე პაციენტებს წერენ მორიგე ოფიცრები, რომელთაც არ გააჩნიათ სამედიცინო განათლება და კვალიფიკაცია. გარკვეული შეფერხებით მიმდინარეობს ორთოპედიული მომსახურება. აღსანიშნავია, რომ კლინიკასთან, რომელიც ამზადებს პროთეზს, ხელშეკრულების გაფორმება ხდება წელიწადში რამდენჯერმე. ხელშეკრულების გაფორმებამდე კი დროში იწელება პროთეზის დამზადება.

3.9.4.2. სამედიცინო რეფერალი

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[298] პენიტენციური დაწესებულების პირველადი ჯანდაცვის რგოლი თავად განსაზღვრავს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების საჭიროებას და ითხოვს პაციენტის გადამისამართებას, რეგისტრირება ხდება პროგრამულად; რეგისტრაციის მომენტიდან სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი ამუშავებს მოთხოვნას, რომლის საფუძველზეც, საკმარისი დასაბუთებისა და ეროვნულ (და საჭიროებისას საერთაშორისო) გაიდლაინებთან შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მოთხოვნის დადასტურება და ენიჭება რიგითი ნომერი.

დადასტურების მომენტიდან, რიგითი ნომრის მიხედვით ხდება შეთანხმება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთან და ხორციელდება პაციენტის რე-

298 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის 2017 წლის 6 მარის MOC01700166123 პასუხი.

ფერალი. მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, უარი აღირიცხება სისტემაში და პირველადი ჯანდაცვის რგოლს ეცნობება უარის მიზეზები. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში სამედიცინო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირდა 4605 მოთხოვნა. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ, განხილვის შემდეგ, უარყოფილი იყო 600 შემთხვევა. 2015 წელთან შედარებით, დაახლოებით ორჯერ არის შემცირებული ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირების შემთხვევები, შესაბამისად, შემცირებულია უარყოფილი შემთხვევების რაოდენობაც.[299]

ელექტრონული რიგით სარგებლობენ მხოლოდ გეგმური პაციენტები. გადაუდებელი შემთხვევები მოლოდინის რეჟიმს არ ექვემდებარება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ელექტრონული რიგი გამიჯნულია და დამოუკიდებლად რეგულირდება. დამოუკიდებლად რეგულირდება სტაციონარული და ამბულატორიული რეფერალიც.

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს პატიმრებს სამედიცინო მომსახურებას უწევდა სამოქალაქო სექტორის 59 კონტრაქტორი დაწესებულება. ამასთან, პატიმრებს ემსახურებოდა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი (N19 დაწესებულება) და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (N18 დაწესებულება). გეგმური რეფერალის განხორციელებაზე შემაფერხებლად მოქმედებს პატიმართა მხრიდან თვითდაზიანების, შიმშილობისა და მკურნალობის თვითნებურად შეწყვეტის ფაქტები. მასზე ასევე გავლენას ახდენს სამოქალაქო საავადმყოფოების გამტარიანობა.

2016 წელს სულ 5861 რეფერალი განხორციელდა. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით მომატებულია გეგმიური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიზნით გაყვანის შემთხვევათა რაოდენობა, 2015 წელს გაიყვანეს - 3804 პაციენტი,[300] 2016 წელს კი - 4903 პაციენტი.[301] თუმცა, შემცირებულია გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიზნით გაყვანის რაოდენობა, 2015 წელს გეგმიური სტაციონარული მომსახურებისთვის გაყვანილი იყო 1131 პატიმარი,[302] 2016 წელს კი - 956.[303] რაც შეეხება გადაუდებელ შემთხვევებს, 2016 წელს გაყვანილი იყო 1474 პაციენტი გადაუდებელი სტაციონარული/ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. 2015 წელთან (1349 შემთხვევა) შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მომატებულია 8%-ით.

---

299 2015 წელს ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირდა 9016 მოთხოვნა, უარყოფილი იყო 589 შემთხვევა.

300 2015 წელს გეგმიური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიზნით, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში - 2783, N18 დაწესებულებაში კი 1021 პატიმარი გადაიყვანეს.

301 2015 წელს გეგმიური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიზანი N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში 1150, N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტში 721, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში კი 3034 მსჯავრდებული გადაიყვანეს.

302 2015 წელს გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურებისთვის N18 დაწესებულებაში გაყვანილი იქნა 733 პაციენტი, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში კი - 398.

303 2016 წელს გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით N18 დაწესებულებაში განხორციელდა 499, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში - 320, ხოლო N19 დაწესებულებაში 137 რეფერალი.

სამედიცინო დეპარტამენტი რიგითობას განსაზღვრავს ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით, სამედიცინო ჩვენების, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების შესაბამისად.[304] რიგითი ნომრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებები და რიგითობა დამოკიდებულია არა კლინიკურ ფაქტორებზე, არამედ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სამედიცინო მომსახურების მომლოდინე პაციენტთა რაოდენობა და სამედიცინო დაწესებულების გამტარიანობა. 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სამედიცინო რეფერალის სისტემის შემდგომი დახვეწის მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესთავაზა, რომ ელექტრონული რიგის დიფერენციაცია მომხდარიყო დაავადებების მწვავე და ქრონიკული ხასიათის, დაავადების მიმდინარეობის დინამიკის, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მათი ზეგავლენისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სამწუხაროდ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს.

სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოთხოვნების დამუშავება ხდება „პირველმა მომმართა, პირველმა მიიღო“ პრინციპით, შემთხვევის სირთულის და მისი კვალიფიციურად დამუშავებისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც მომსახურების მომლოდინე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, კლინიკური სურათი თანდათან უარესდება, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის საჭიროება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი დაავადება სწრაფად ვითარდება, ხოლო სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარება შეიძლება დაგვიანებული იყოს. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციას (გეგმური, გადაუდებელი) 2015 წელს დაემატა სასწრაფო დაყოვნებული სამედიცინო ინტერვენცია, თუმცა იგი არ არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით განმტკიცებული. მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის N31 ბრძანებას დაემატოს სასწრაფო დაყოვნებული სამედიცინო ინტერვენციის სტანდარტი. ასევე შევიდეს ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში „საერთო პროფილის საავადმყოფოში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის შესახებ“ და დაემატოს ჩანაწერი სასწრაფო დაყოვნებული სამედიცინო ინტერვენციის შესახებ.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პენიტენციური დეპარტამენტის პენიტენციური დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგების დროს შეისწავლა სამედიცინო რეფერალის დროულობის საკითხი. 2016 წლის მეორე ნახევრიდან, ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურების პრობლემა აღარ არის. მიუხედავად ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ბრალ-

304 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებით დამტკიცებული „საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესი“ მუხლი 1, პუნ. 5.

დებულები/მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში გვიანდება სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათი გაყვანა, ამასთან, არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენ ხანში მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას. ამას გარდა, არიან პატიმრები, რომლებიც სამედიცინო მომსახურების მიღებას ელოდებიან 2014, 2015 წლიდან.

- პატიმარ პ.მ.-ს 2015 წლის 15 მაისს ჩაუტარდა ოტოლარინგოლოგის კონსულტაცია და დაუდგინდა, რომ საჭიროებს ცხვირის ძგიდის რეზექციას. აღნიშნულზე სამედიცინო ცნობა მომზადდა 2015 წლის 16 ივნისს, რაც 2015 წლის 18 ივნისს გაიგზავნა სამედიცინო დეპარტამენტში დასადასტურებლად. სამედიცინო დეპარტამენტმა 2015 წლის 7 ოქტომბერს დაადასტურა ზემოაღნიშნული. 2016 წლის 7 მარტს პატიმარს დამატებით ჩაუტარდა კარდიოლოგის კონსულტაცია და მიეცა ოპერაციული მკურნალობის რეკომენდაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულს -2017 წლის 23 თებერვლისთვის (სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროისთვის) აღნიშნული ოპერაცია ჩატარებული არ ჰქონდა.

- პატიმარ დ.თ.-ს 2015 წლის 23 ივნისს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, დიაგნოზი - პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქარი. აღნიშნულზე ექიმის მიერ სამედიცინო ცნობა იმავე დღეს მომზადდა და ამავე წლის 24 ივლისს გაიგზავნა სამედიცინო დეპარტამენტში. თავის მხრივ, სამედიცინო დეპარტამენტმა 2015 წლის 26 ოქტომბერს დაადასტურა მოთხოვნა. მსჯავრდებულს 2017 წლის 23 თებერვლისთვის აღნიშნული ოპერაცია ჩატარებული არ ჰქონდა.

- პატიმარ ზ.პ.-ს 2015 წლის 3 სექტემბერს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, დიაგნოზი - ქრონიკული აპენდიციტი. აღნიშნულზე ცნობა ამავე წლის 7 სექტემბერს შედგა, რაც 14 სექტემბერს გაიგზავნა სამედიცინო დეპარტამენტში. თავის მხრივ, სამედიცინო დეპარტამენტმა 2015 წლის 14 დეკემბერს დაადასტურა მოთხოვნა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 23 თებერვლისთვის აღნიშნული ოპერაცია ჩატარებული არ ჰქონდა.

- პატიმარ გ.ბ.-ს 2015 წლის 29 ნოემბერს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, დიაგნოზი - მარჯვენამხრივი საზარდულის თიაქარი. აღნიშნულზე სამედიცინო ცნობა ამავე წლის 30 ნოემბერს შედგა, რაც 2015 წლის 1 დეკემბერს გაეგზავნა სამედიცინო დეპარტამენტს, რომელმაც, თავის მხრივ, იმავე წლის 14 დეკემბერს დაადასტურა. აქვე უნდა აღინიშნოს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროისთვის, 2017 წლის 23 თებერვალს, აღნიშნული ოპერაცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩატარებული.

- პატიმარ ნ.ც.-ს 2015 წლის 18 დეკემბერს ქირურგის მიერ მიეცა ჭიპის თიაქრის ოპერაციული მკურნალობის რეკომენდაცია. ექიმის მიერ სამედიცინო ცნობის შევსება და პროგრამაში ატვირთვა მოხდა ამავე დღეს, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურდა 2016 წლის 19 აპრილს, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2017 წლის 26 იანვარს განხორციელებული ვიზიტის დროისთვის პაციენტს აღნიშნული ოპერაცია ჩატარებული არ ჰქონდა.

- მსჯავრდებულ მ.ს.-ს 2015 წლის 16 მაისს ჩაუტარდა ანგიოლოგის კონსულტაცია, რა დროსაც მიეცა დუპლექსკანირების-ფლებექტომიის ჩატარების რეკომენდაცია. ექიმის მიერ სამედიცინო ცნობა შეივსო 2015 წლის 18 მაისს და პროგრამაში აიტვირთა ამავე წლის 19 მაისს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დადასტურება მოხდა 2015 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2017 წლის 26 იანვარს განხორციელებული ვიზიტის დროისთვის, პაციენტს აღნიშნული ოპერაცია ჩატარებული არ ჰქონდა.

2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა სამედიცინო რეფერალის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს, პატიმრის გადაყვანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორთან კონსულტაციის შემდგომ, ხოლო წესი, რომლის თანახმადაც სამედიცინო მომსახურების მიღება არასამედიცინო პერსონალის, დაწესებულების დირექტორის და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებაზეა დამოკიდებული, გაუქმებულიყო. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია სამინისტრომ არ გაიზიარა.

2014 და 2015 წლებში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, რათა განხორციელებულიყო ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში და განსაზღვრულიყო, რომ სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პატიმრის არასრული გამოკვლევის ან დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში) დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში, ეს პატიმარი გადაეყვანათ რიგგარეშე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ იზიარებს აღნიშნულ პოზიციას, ამასთან, მათი პასუხის თანახმად, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პატიმრის არასრული გამოკვლევის ან დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში) დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში, პატიმრის გადაყვანა ხორციელდება პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმის ჩანაწერის/რეკომენდაციის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშედ/ სასწრაფო დაყოვნებადი წესით.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ტ1“ პუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გულისხმობს სამედიცინო დახმარებას, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება. „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 19 ივნისის N01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო ინტერვენციების კლასიფიკაცია მოიცავს 4 სახის ინტერვენციას. კერძოდ,

გადაუდებელი (კრიტიკული) ინტერვენცია წარმოადგენს სიცოცხლის, ორგანოს ან კიდურის გადასარჩენად მიმართულ ინტერვენციას ერთდროული რეანიმაციით და, ჩვეულებრივ, ჩარევა იწყება გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე წუთში. სასწრაფო-დაუყოვნებელი ინტერვენცია გულისხმობს მწვავედ დაწყებული ან/და კლინიკურად გაუარესებული, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროს განხორციელებულ ინტერვენციას. ეს მდგომარეობა დაკავშირებულია სიცოცხლის, ორგანოს ან კიდურის დაკარგვის საფრთხესთან, ხოლო ინტერვენცია მოიცავს მოტეხილობის ფიქსაციას, ტკივილის და სხვა მძიმე სიმპტომების მართვას. ჩვეულებრივ, ინტერვენციის გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული არაუგვიანეს 24 საათისა, მას შემდგომ, რაც პირველი რიგის შემანარჩუნებელი მკურნალობა დასრულებულია. სასწრაფო დაყოვნებული ინტერვენცია არის ადრეული ინტერვენცია პაციენტის სტაბილური მდგომარეობის პირობებში, როდესაც პაციენტის სიცოცხლეს, რომელიმე ორგანოს ან კიდურს გადაუდებელი საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ინტერვენცია დასაგეგმია რამდენიმე დღეში (2-5 დღე). გეგმიური ინტერვენცია იგეგმება პაციენტისთვის, ექიმისთვის და სამედიცინო დაწესებულებისთვის მოსახერხებელ დროს. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი ელექტრონულ ბაზის სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციას (გეგმური, გადაუდებელი) დაემატა სასწრაფო-დაყოვნებული ინტერვენცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გათვალისწინებული სასწრაფო-დაუყოვნებელი ინტერვენცია.

3.9.4.3. სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტობა და ხარისხი

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში[305] სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა, რათა გაძლიერებულიყო სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სტანდარტების პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში იმპლემენტაციის კონტროლის მექანიზმი, დანერგილიყო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ეფექტური სისტემა, პენიტენციური ჯანდაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგებს, მომხდარიყო შესყიდვების პროცესის ეფექტური მართვა და ხარჯთეფექტიანობის ანალიზი.

სახალხო დამცველი მიესალმება სამინისტროს მხრიდან სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სტანდარტების პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში იმპლემენტაციის თავლსაზრისით გადადგმულ ნაბიჯებს. კერძოდ, სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, შემუშავდა და მინისტრის მიერ დამტკიცდა სამედიცინო მომსახურების სტანდარტი. დაინერგა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემების სახელმწიფოში არსებული ერთიანი ფორმებით წარდგენა. ამასთან, სამედიცინო დეპარტამენტის პასუხიდან ირკვევა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ 2015 წლის 30 დეკემბერის N8467 ბრძანებით დამტკიცდა პენიტენციურ სისტემაში სტატისტიკუ-

305 დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 100-103.

რი წარმოების წესები, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების, წარდგენის ვადები და მისი განმახორციელებელი სამსახურების განსაზღვრა.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, პრობლემები კვლავ არსებობს სამედიცინო ნარჩენების სათანადო უტილიზაციასთან, დეზინფექციისა და სტერილიზაციის პროცესის კონტროლთან, გამოკვლევებისა და სამანიპულაციო ოთახების სათანადო სავენტილაციო სისტემით აღჭურვასთან, ასევე სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში მოქმედი სამედიცინო ინტერვენციის სახეების სრულად დანერგვასთან დაკავშირებით.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, რათა ურთიერთთანამშრომლობის გზით შემუშავებულიყო პენიტენციური ჯანდაცვის ეროვნული ჯანდაცვის სისტემაში სრული ინტეგრაციის გეგმა. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ პენიტენციური ჯანდაცვის ეროვნული ჯანდაცვის სისტემაში სრული ინტეგრაციის გეგმის შემუშავებაში იგულისხმება პენიტენციური ჯანდაცვის მართვის, საბოლოო ჯამში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გადასაცემად განსახორციელებელი აქტივობების დროში გაწერილი გეგმის შედგენა. სამწუხაროდ, ამ კუთხით ნაბიჯები არ გადადგმულა.

სახალხო დამცველი ასევე მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, პენიტენციური ჯანდაცვის ორგანიზების სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში მოქმედი ძირითადი, საბაზისო სტანდარტების დანერგვა, რათა თანდათანობით უზრუნველყოფილ იქნას პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ეკვივალენტურობა.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოს ექიმებისა და ექთნების საკმარისი რაოდენობა
- დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ექიმ-კონსულტანტების ვიზიტი სათანადო პერიოდულობით
- დროული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელ ელექტრონულ ბაზაში რიგითობის განსაზღვრისას გაითვალისწინონ დაავადების ხასიათი და მიმდინარეობის დინამიკა. აღნიშნული აისახოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში

- განხორციელდეს ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში, რომლის საფუძველზეც მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი, გადაყვანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორთან კონსულტაციის შემდგომ, მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში, „საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა გაყვანის წესის“ შესახებ განხორციელდეს ცვლილება და განისაზღვროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ პაციენტის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისთვის ექიმის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვის გონივრული ვადა, რათა გაუმართლებლად არ მოხდეს სამედიცინო მომსახურების გაუმართლებელი დაყოვნება

- განხორციელდეს ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში და განისაზღვროს, რომ სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პატიმრის არასრული გამოკვლევის ან, დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში), დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში, ეს პატიმარი ურიგოდ გადაიყვანონ

- N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში უზრუნველყონ დამხმარე პერსონალის (სანიტრების) სათანადო რაოდენობა, რათა პაციენტებმა მიიღონ სათანადო მომსახურება

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სამინისტროს მხრიდან განხორციელდეს სამედიცინო შესყიდვების პროცესის ეფექტური მართვა, ხარჯთეფექტიანობის ანალიზი და პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ხარისხის შეფასება წინასწარ განსაზღვრული, ვალიდური ინდიკატორების საშუალებით

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის ეროვნული ჯანდაცვის სისტემაში სრული ინტეგრაციის გეგმა

3.9.4.4. ექიმის დამოუკიდებლობა და კომპეტენცია, კონფიდენციალურობა და პატიმრის ინფორმირება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N(98)7 რეკომენდაციის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე ექიმები ვალდებულები არიან პატიმრებს იმავე სტანდარტის სამედიცინო მომსახურება გაუწიონ, როგორსაც ისინი უწევენ პაციენტებს თემში. ექიმის ნებისმიერი კლინიკური გადაწყვეტილება და შეფასება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სამედიცინო ჩვენებას. ჯანდაცვის პერსონალი, საკუთარი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ფარგლებში, უნდა მოქმედებდეს სრული დამოუკიდებლობის პირობებში.[306] ექიმი არ უნდა მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს პატიმრის ჯანმრთელობის დაცვა.[307]

2016 წელს კვლავ პრობლემად რჩება ექიმის დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხები. პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სამედიცინო პერსონალი არ ექვემდებარებოდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს. ამასთან, პენიტენციური ჯანდაცვის ორგანიზების არსებულ პირობებშიც მნიშვნელოვანია მუშაობა, რათა ამაღლდეს ექიმების პროფესიული დამოუკიდებლობის და კომპეტენციის ხარისხი. აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული სწავლება და სხვადასხვა ტრენინგის მოდულის გაძლიერება, ასევე შესამუშავებელია ტრენინგების შედეგების მდგრადობის შეფასებისა და სუპერვიზიის ეფექტური მექანიზმი.

პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული ეთიკის პრინციპების განუხრელი დაცვის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად უნდა გადაიხედოს პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო. პროფესიული ეთიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის თანახმად, ექიმი არ უნდა მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს პატიმრის ჯანმრთელობის დაცვა.[308]

2016 წელს კვლავ პრობლემად რჩება სამედიცინო პერსონალის გარკვეული დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციაზე, რაც არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და აფერხებს სამედიცინო მომსახურების პროცესს.

სამედიცინო პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობის კუთხით, გრძელვადიან პერსპექტივაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვასთან ინტეგრაცია. მოკლევადიან პერსპექტივა-

306 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(98) 7, მინისტრთა კომიტეტის მიმართვა მონაწილე ქვეყნებისათვის ციხეებში სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციული და ეთიკური ასპექტების შესახებ (სტრასბურგი 1998, 20 აპრილი), პარ. 19-20.

307 გაეროს საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის პრინციპები (1982), მე-3 პრინციპი, ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/documents/ga/res/37/a37r194.htm [ბოლოს ნანახია 18.03.2017].

308 გაეროს საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის პრინციპები (1982), მე-3 პრინციპი ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/documents/ga/res/37/a37r194.htm [ბოლოს ნანახია 18.02.2017].

ში კი, მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის მიერ ეთიკური პრინციპების დაცვაზე მკაცრი სუპერვიზიის განხორციელება და დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება.

კვლავ პრობლემად რჩება პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც პატიმარი ექიმთან კონსულტაციის თაობაზე მიმართავს დაწესებულების არასამედიცინო პერსონალს, ექიმი კი ხშირ შემთხვევაში პაციენტს სინჯავს და კონსულტაციას უწევს საკანში. ეს პროცედურა ეწინააღმდეგება სამედიცინო კონფიდენციალურობის პრინციპს, რადგან პაციენტის ჩივილის თაობაზე ცნობილი ხდება პენიტენციური დაწესებულების არასამედიცინო პერსონალისა და სხვა პატიმრებისათვის.[309] გარდა გადაუდებელი სიტუაციებისა, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება და კონსულტაცია უნდა ჩატარდეს განმარტოებით და კონფიდენციალურობის დაცვით, ექიმის კაბინეტში.[310] ამასთან, სამედიცინო მანიპულაციები არ ტარდება კონფიდენციალურ გარემოში, ასე მაგალითად, N2 დაწესებულებაში პატიმართა გადმოცემით, ინექციის გაკეთება, სისხლის აღება და სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციები, როგორც წესი, საცხოვრებელ სართულზე არსებულ სამორიგეო ოთახებში ხდება, მორიგე თანამშრომლების თანდასწრებით, რაც არღვევს სამედიცინო მომსახურეობის კონფიდენციალურობას.

კონფიდენციალურობის პრინციპს ეწინააღმდეგება ასევე პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი,[311] რომლის თანახმადაც დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო შემოწმების თაობაზე ცნობა შემდგომ მის პირად (არასამედიცინო) საქმეში ინახება.

პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემად რჩება სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, პატიმართა სამედიცინო ბარათების ერთიანობა დარღვეულია, რაც ქმნის სამედიცინო ჩანაწერების დაკარგვის საფრთხეს. N3 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის გ. გურამის-ძე გ.-ს, დაბადებული 1985 წელს, სამედიცინო ბარათში აღმოჩნდა ჩაკრული სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც ეკუთვნის სხვა პიროვნებას - 1954 წელს დაბადებულ იმავე სახელისა და გვარის მქონე გ. ღვთისოს-ძე გ.-ს. გარდა ამისა, ჩანაწერებში, რიგ შემთხვევებში, არ არის მითითებული, თუ რომელმა ექიმ-კონსულტანტმა გაუწია პატიმარს კონსულტაცია, არ არის აღნიშნული კონსულტაციის თარიღი და არ ჩანს დიაგნოზი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ივლისის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო ჩანაწერების შენახვის წესის“ შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებაში წარმოება დამთავრებული ყველა დოკუმენტური მასალა შენახული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო არქივში.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N5 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას[312] შემოწმდა სამედიცინო არქივისათვის

309 პუნქტი 51, ამონარიდი წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი ანგარიშიდან (CPT/Inf (93)12).
310 იქვე, პუნქტი 35.
311 იქვე, პუნქტები 50-51.
312 2016 წლის 20 ოქტომბერი.

განკუთვნილი ოთახი და აღმოჩნდა, რომ ოთახში არაა დაცული არქივისადმი წაყენებული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი - ტემპერატურული რეჟიმი, ტენიანობა, არ არის ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N7 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას[313] აღმოჩნდა, რომ დაწესებულებაში არ არის გამოყოფილი სამედიცინო არქივის ოთახი. ძველი, ე.წ. დაარქივებული დოკუმენტაცია დაწყობილი აქვთ საექიმო-სამედიცინო პუნქტში მდებარე ორ პატარა, ღია თაროზე. გარდა იმისა, რომ ოთახში დაცული არაა არქივისადმი წაყენებული პირობები, დოკუმენტაცია არაა დაარქივებული სათანადო ფორმით, არაა დალაგებული ანბანისა და წლების მიხედვით, არაა ჩალაგებული -საქაღალდეებში. არქივისთვის გამოყოფილი ოთახი არაა არც N11[314] და N12 დაწესებულებებშიც. N11 დაწესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაცია ინახება აფთიაქში. დოკუმენტაცია განთავსებულია ხის თაროებზე წლებისა და ანბანის მიხედვით, ჩალაგებულია საქაღალდეებში, ხოლო N12 დაწესებულებაში, ამავე დაწესებულების მთავარი ექიმის თქმით, სამედიცინო ბარათები ინახება მსჯავრდებულთა პირად საქმეებში.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობისა და კომპეტენტურობის ხელშეწყობა სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული სწავლებისა და სხვადასხვა ტრენინგის მოდულის გაძლიერების, ტრენინგების შედეგების მდგრადობის შეფასებისა და სუპერვიზიის მექანიზმის შემუშავების გზით
- უზრუნველყოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მხრიდან სამედიცინო პერსონალის მიერ ეთიკური პრინციპების დაცვაზე მკაცრი სუპერვიზიის განხორციელება და დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება
- მაქსიმალურად უზრუნველყოს პატიმრებისა და ექიმების უშუალო კონტაქტი არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, მათ შორის, დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში გამოძახების ღილაკის დამონტაჟებისა და სამედიცინო პერსონალის მიერ საკნების ყოველდღიური შემოვლის ვალდებულების დაწესების გზით
- მიიღოს საჭირო ზომები, რათა გარდა გადაუდებელი, საგამონაკლისო შემთხვევებისა, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება და კონსულტაცია ჩატარდეს განმარტოებით და კონფიდენციალურობის დაცვით ექიმის კაბინეტში

313 03.10.2016.

314 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N11 დაწესებულებაში შემოწმება ჩატარდა 08.11.2016 წელს.

- გაატაროს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს პაციენტების ჩართულობა სამედიცინო მომსახურების პროცესში გასაწევი სამედიცინო მომსახურების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდების გზით, ასევე უზრუნველყოს პატიმრებისათვის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ შორის პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სამედიცინო დოკუმენტაცია ინახებოდეს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით

- უზრუნველყოს პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილში საკანონმდებლო ცვლილების შემუშავება, რომლითაც ამოღებული იქნება დებულება, რომლის თანახმადაც დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო შემოწმების თაობაზე ცნობა მის პირად (არასამედიცინო) საქმეში ინახება. ამასთან, უზრუნველყოს ამ პაკეტის მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილში და ამოღებულ იქნას დებულება, რომლის თანახმადაც დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო შემოწმების თაობაზე ცნობა მის პირად (არასამედიცინო) საქმეში ინახება. აღნიშნული ცნობა ყველა შემთხვევაში პატიმრის სამედიცინო ბარათში უნდა ინახებოდეს.

3.9.5. ფსიქიკური ჯანმრთელობა, წამალდამოკიდებულება

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა პენიტენციური ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პატიმართა რაოდენობამ 2015 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ მოიმატა. ამ მაჩვენებელმა 2015 წლის დეკემბრისთვის 1 031 შეადგინა, 2016 წლის დეკემბრისთვის კი -1079.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს ფსიქიატრთან კონსულტაციაზე პატიმართა ჩაწერა. რიგ შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალი, პატიმრების მოთხოვნის მიუხედავად, არ წერს მათ ფსიქიატრთან, რადგან მიაჩნიათ, რომ სიმულირებენ. ამის გამო, პატიმარები ხშირად ვერ იღებენ სათანადო ფსიქიატრიულ მომსახურებას.

ფსიქიატრის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობის გაღრ-

მავება, რათა გაუმჯობესდეს ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა გამოვლენის მაჩვენებელი და დროულად გაეწიოთ მათ ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება. აქვე მნიშვნელოვანია, რომ მწვავე ფსიქოზის მქონე პაციენტებმა ფსიქიატრიული დახმარება მიიღონ არა პენიტენციურ, არამედ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, 2016 წელს ფსიქიატრების მიერ 10 682 კონსულტაცია ჩატარდა.[315] 2016 წლის დეკემბრისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული იყო 1154 ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმარი (F00-F99). 2016 წელს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება მიიღო 45 პატიმარმა, ხოლო იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობისთვის სტაციონარში მოათავსეს 58 პატიმარი.

მნიშვნელოვანია პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პატიმრის დაწესებულებაში შესახლებისას, პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებებში აუტოაგრესიისკენ, სუიციდისკენ მიდრეკილი და წამალდამოკიდებული პატიმრები უნდა წარმოადგენდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგის განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს. ამავდროულად, აუცილებელია იმ პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, რომლებიც სისტემატურად ავლენენ ანტისოციალურ ქცევას და არსებობს ეჭვი, რომ ასეთი ქცევა სწორედ მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით შეიძლება იყოს განპირობებული.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველი მიუთითებდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირების ეფექტური მექანიზმის შექმნის მნიშვნელობაზე, რათა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიმართ თვითდაზიანების, რეჟიმის მოთხოვნების დარღვევის და სხვა დისციპლინური დარღვევების დროს გამოყენებულიყო არა დისციპლინური სანქცია, არამედ აღმოჩენილი ყოფილიყო დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება. ამასთან, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი და სხვა ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტების მიმართ მიდგომა თერაპიული უნდა იყოს და არა სადამსჯელო.

პატიმართა შორის ფსიქიკური პრობლემების პრევალენტობა დიდწილად არის განპირობებული პენიტენციურ სისტემაში წამალდამოკიდებულებასა და ფსიქოაქტიური საშულებების ჭარბ მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემებით. 2016 წელს მეტადონით დეტოკსიკაციის პროგრამაში ჩართული იყო 351 პაციენტი, 2015 წელს კი - 313.

2014 და 2015 წლებში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი, შემანარჩუნებელი მკურნალობის დანერგვის რეკომენდაციით მიმართა, მაგრამ ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა. სამინისტროსგან მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებით შემანარჩუნებელი მკურნალობა

315 N18 დაწესებულების მონაცემები არ არის გათვალისწინებული.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2016-2017 წლების სახელმწიფოს სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია, მათ შორის, პენიტენციური სისტემისთვის, თუმცა მოცემული პასუხიდან არ ჩანს, რა პროცესები მიმდინარეობს და რა ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით.

სახალხო დამცველი მიესალმება N2 და N5 დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამის „ატლანტისის" ამოქმედებას, რომელიც წარმოადგენს ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის თერაპიულ მოდელს. აღსანიშნავია, რომ სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისის" ინფრასტრუქტურა მოწყობილია N6 დაწესებულებაშიც, თუმცა არ ფუნქციონირებს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, ასევე წამალდამოკიდებული პატიმრების საჭიროებებზე მორგებული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში.

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროცესში მთავარია პიროვნების ინტერესების დაცვა, მისი ღირსების პატივისცემა და მაქსიმალურად შესაძლებელ ჰუმანურ გარემოში მზრუნველობა. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად,[316] პირის განთავსება სამართოო საკანში გახანგრძლივებული დროით შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დასკვნის თანახმად, ხანგრძლივი ვადით სამარტოო საკანში მოთავსება შესაძლოა გაუტოლდეს წამებას და იგი არ უნდა იყოს გამოყენებული არასრულწლოვნებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების მიმართ.[317] 2007 წლის სტამბოლის განცხადების შესაბამისად,[318] სამარტოო საკნის გამოყენება სრულად უნდა აიკრძალოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრებისათვის.

2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, სათანადო ზომები გაეტარებინა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, 2016 წელს კვლავ იყო შემთხვევები, როდესაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს სამარტოო საკანში ათავსებდნენ.[319]

როგორც N3 დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, 2016 წლის პირველი 5 თვის მანძილზე, დეესკალაციის ოთახში მოთავსების 51 შემთხვევიდან 22 შემთხვევაში, პატიმრის დისციპლინური დასჯა მოხდა დეესკალაციის ოთახში გადაყვანის პერიოდში ან 1 დღის ინტერვალით.[320] ზემოთ მოცემული 22 შემთხვევიდან 11 შემთხვევაში პატიმრებს ჰქონდათ

316 CCPR, General Comment 20/44, April 3, 1992.

317 UN Subcommittee on Prevention of Torture (2010), report on the visit of the subcommittee on prevention of torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment to the republic of Paraguay (par 184).

318 International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement.

319 დეტალურად იხილეთ ქვეთავში „რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება".

320 დეესკალაციის ოთახში მოთავსებამდე 1 დღით ადრე და დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის მეორე დღეს.

სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობები. მათ შორის, 1 შემთხვევაში ხანგრძლივი ბოდვითი აშლილობები (F22), ორგანული პიროვნული აშლილობა (F07.0), 2 შემთხვევაში - არაორგანული ბუნების ძილის დარღვევები (F51) და 7 შემთხვევაში- პიროვნების ემოციურად არასტაბილური აშლილობა (F60.3). შესაბამისად, მათი ქცევა შესაძლებელი იყო გამოეწვია მათსავე ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო დაკისრებულ დისციპლინურ სახდელს.

ზემოთ მითითებული 11 პირი დეესკალაციის ოთახში ყოფნის პერიოდში არ უნახავს ფსიქიატრს. ფსიქიატრის კონსულტაცია მათ რიგ შემთხვევაში დეესკალაციის ოთახში მოხვედრამდე ან აღნიშნული ოთახიდან გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე დღეში ჩაუტარდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო პირობები არ არის უსაფრთხო[321] და არ არის მოწყობილი იმგვარად[322], რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი, რასაც ადასტურებს აღნიშნულ ოთახებში ყოფნის პერიოდში პატიმართა მიერ მიყენებული თვითდაზიანებების შემთხვევები.

აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება, სამომავლოდ ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსების თავიდან ასაცილებლად, ასეთი მსჯავრდებულის დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით უზრუნველსაყოფად. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების განვითარება.

3.9.6. გარდაცვალების შემთხვევები, სუიციდი

2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში გარდაიცვალა 17 პატიმარი. სამწუხაროდ, პენიტენციურ სისტემაში გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობამ მოიმატა[323]. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გარდაცვალების მიზეზები იყო მიოკარდოუმის ინფარქტი, სუიციდი, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა (იშემიური ტიპის), თრომბოემბოლია, საყლაპავის უცხო სხეული და საყლაპავის პერფორაცია, სეპტიური შოკი. წინა წლების მსგავსად, პატიმრების უმეტესობა გარდაიცვალა გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით. მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებათა სკრინინგს და ადრეულ გამოვლენას, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევა.

2016 წელს სუიციდის პრევენციის პროგრამა ამოქმედდა პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში. ამასთან, დადებითად უნდა აღინიშ-

321 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დეესკალაციის ოთახების კედლების მოსაპირკეთებელი რბილი მასალა საქართველოს მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი.

322 დეესკალაციის ოთახებში იატაკი და კედლები არ არის რბილი მასალისგან მოპირკეთებული.

323 2015 წელს პენიტენციურ სისტემაში გარდაიცვალა 12 პატიმარი.

ნოს, სუიციდის პრევენციის პროგრამის[324] ნორმატიულ დონეზე განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდის მცდელობათა რაოდენობა 2015 წელთან შედარებით არ შეცვლილა.[325] რაც შეეხება დასრულებულ სუიციდს, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა მოიმატა. 2015 წელს სუიციდის მცდელობის მხოლოდ 2 შემთხვევა იყო, 2016 წელს კი 5. მეტიც, მათგან 2 შემთხვევაში პატიმარი სუიციდის განხორციელების დროისთვის ჩართული იყო სუიციდის პრევენციის პროგრამაში.

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის მულტიდისციპლინური დახმარების საჭიროების განსაზღვრასა და სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების ფსიქოლოგი ან ექიმი-ფსიქიატრი. ფსიქოლოგი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მულტიდისციპლინური დახმარების საჭიროების განსაზღვრასა და პროგრამაში ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ავსებს დანართი №5-ით გათვალისწინებულ ფორმას.[326] მას შემდეგ, რაც პატიმარი ჩაერთვება სუიციდის პრევენციის პროგრამაში, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, მულტიდისციპლინური გუნდის წევრები ხვდებიან მას. 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით, სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული იყო 15 პატიმარი.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების დოკუმენტაცია. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართულ პატიმრებთან მუშაობა მიმდინარეობს ემოციური ვენტილაციისთვის, სტრესთან გამკლავების მექანიზმისა და ღირებულებების შეცვლაზე, რაც, თავისთავად, დადებითია, თუმცა დოკუმენტაციის შესწავლის დროს დადგინდა, რომ, რიგ შემთხვევებში, პროგრამაში ჩართულ პატიმრებს პრობლემები აქვთ ოჯახთან და ახლობლებთან ურთიერთობის კუთხით, კერძოდ, არ აქვთ ოჯახის წევრებთან სათანადო რაოდენობის კონტაქტი ან დაძაბული ურთიერთობა აქვთ მათთან. აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ასე მაგალითად, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ნახა სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული ერთ-ერთი მსჯავრდებულის დოკუმენტაცია, სადაც ნათლად ჩანს, რომ მსჯავრდებული განსაკუთრებულად განიცდის ოჯახის წევრებთან კავშირის სიმცირეს. მულტიშეფასების ოქმში პატიმრის განთავსებისა და მეთვალყურეობის შესახებ მითითებულია, რომ მსჯავრდებული მოთავსებული უნდა იყოს მხარდამჭერი თანამესაკნეების გარემოცვაში, სადაც თავს იგრძნობს კომფორტულად. თუმცა დოკუმენტაციიდან არ ჩანს, რა ნაბიჯები გადაიდგა სოციალური სამსახურის მიერ, რათა პატიმარს მიეღო დამატებითი ხანმოკლე ან ხანგრძლივი პაემანი ან მიეცათ სატელეფონო საუბარის უფლება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მხარდამჭერი საუბრებით სუიციდის პრევენციის პროგრამის მიზანი მიღწეული ვერ იქნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს სუიციდის პრევენციის პროგრამის მუშაობის ეფექტურობა, რათა მოხდეს ხარვეზების გამოვლენა და ამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

324 დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანებით.

325 2015 წელს 142 მცდელობა, 2016 წელს 141.

326 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანებით დამტკიცებული „სუიციდის პრევენციის პროგრამა“, მუხლი 10.

საყურადღებოა მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს გარდაცვალების შემთხვევა. მსჯავრდებულმა 2016 წლის 15 აგვისტოს სავარაუდოდ განახორციელა სუიციდი. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა აღნიშნული საქმე. მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს საქმის შესწავლის დროს დადგინდა, რომ მსჯავრდებულ ნ.ბ–ს, პენიტენციური დეპარტამენტის N17 დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, არ გაეწია სათანადო სამედიცინო მომსახურება – მისი სამედიცინო ბარათის წარმოება არ ხდებოდა სათანადოდ; არ მოხდა სუიციდის რისკის, ფსიქიკური და ნარკოლოგიური სტატუსის სრული შეფასება; მიეწოდებოდა ფსიქოტროპული ნივთიერებები საჭიროების გარეშე, მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე. ჩაუტარდა ჩანაცვლების მხოლოდ მოკლევადიანი კურსი, უშედეგოდ.

მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2016 წლის 19 სექტემბერს N15-11/11031 წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რადგან N17 დაწესებულებაში არსებული სამედიცინო და სხვა ტიპის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად იკვეთებოდა, რომ ამავე დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342–ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენას. მთავარი პროკურატურიდან 2016 წლის 11 ოქტომბერს მიღებული N13/65056 პასუხის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N073150816002 საქმეზე, მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე სისხლის სამართლის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამასთან, აღნიშნულ საქმეზე გრძელდებოდა ყველა გარემოების სრულყოფილი შესწავლა და, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გამოძიება გაგრძელდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 342[1] მუხლის კვალიფიკაციით, რომლის სუბიექტებსაც ამავე მუხლის შენიშვნის თანახმად, წარმოადგენენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლები, ვინაიდან ისინი ითვლებიან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირებად, მათ მიერ სამსახურში/დაწესებულებაში დადგენილი წესის არაჯეროვანი შესრულება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება. [327]

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებულ საქმეში არის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც შესაძლოა მიანიშნებდნენ დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მხრიდან შესაძლო სამსახურებრივ გულგრილობას. შესაბამისად, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ მოცემულ ფაქტზე გამოძიების წარმოება ვერ უზრუნველყოფს საქმის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და ეფექტურ გამოძიებას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, საგამოძიებო დეპარტამენტი არ არის ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმრის გარდაცვალების ყველა შემთხვევაში, სადაც ადგილი აქვს სავარაუდო სუიციდის ფაქტს და, ამასთან, კონკრეტუ-

327 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“, მუხლი 8.

ლი გარემოებები მიანიშნებენ დაწესებულების თანამშრომლების ან სამედიცინო პერსონალის მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, გამოძიება აუცილებლად უნდა აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- უზრუნველყოს პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის სკრინინგი და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებს მიეწოდოთ დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება
- უზრუნველყოს მწვავე ფსიქოზის მქონე პაციენტების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და დაინერგოს ადეკვატური ამბულატორიული სერვისები
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა თავიდან იყოს აცილებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსება
- დაინერგოს ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობა
- შეფასდეს სუიციდის პრევენციის პროგრამის მუშაობის ეფექტურობა, რათა მოხდეს ხარვეზების გამოვლენა და, ამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, განხორციელდეს პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები
- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, ასევე წამალდამოკიდებული პატიმრების საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებში

წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს

- უზრუნველყოს სუიციდის ყველა შემთხვევის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება

3.9.7. განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადებების მართვა და პრევენცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული მონაცემების შესაბამისად, 2016 წელს ტუბერკულოზზე სკრინინგი ჩატარდა 57658 შემთხვევაში (2015 წელს 58208). გამოვლინდა ტუბერკულოზით დაავადების 45 ახალი და 45 განმეორებითი შემთხვევა.

2016 წელის დეკემბრის თვის მონაცემებით, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული იყო 41 პატიმარი (2015 წელს - 38 პატიმარი). გამოვლინდა შეწყვეტილი მკურნალობის 9 შემთხვევა (2015 წელს - 16 შემთხვევა). ამავე წელს 8 პაციენტმა განაგრძო შეწყვეტილი მკურნალობა. დადებითად უნდა შეფასდეს 2015 წელს თანმხლები დაავადების გამოკვლევის/მკურნალობის მიზნით 156 პაციენტის რეფერირება სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, 2015 წელთან შედარებით ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. [328]

2015 წელს სახალხო დამცველმა საპარლამენტო ანგარიშში N19 დაწესებულებაში არსებული ინფექციის კონტროლის ღონისძიებებისა და თანმხლები დაავადებების მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, 2016 წლიდან N19 დაწესებულება ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრიდან უწყვეტად მარაგდება რესპირატორებით (ყველასთვის) და ერთჯერადი სტერილური ხელთათმანით (მხოლოდ იმ პაციენტთან შეხებაში მყოფი თანამშრომლებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან ახალი მედიკამენტებით მკურნალობის კურსში). რაც შეეხება ერთჯერად ნიღბებს და ერთჯერად ხელთათმანებს, აღნიშნულით დაწესებულება მარაგდება სამინისტროს მიერ.

2015 წელს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პატიმარი მოთავსებულიყო ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის დეკემბრის თვეში პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის კურსში ჩართული 65 პატიმრიდან 57 განთავსებული იყო N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში, დანარჩენი პაციენტები კი უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, განთავსებულები იყვნენ სხვადასხვა დაწესებულებაში. სადაც, სამედიცინო დეპარტამენტის ინფორმაციით, მათ სამკურნალოდ შექმნილია შესაბამისი პირობები და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა ანტიტუბერკულოზური მკურნალობა ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის გაიდლაინის შესაბამისად, სათანადო პროფილის ექიმ-სპეციალისტთა მეთვალყურეობის ქვეშ. სამწუხაროა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია სრულად არ არის შესრულებული.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს „B“ და „C“ ჰეპატიტებზე სკრინინგი ჩაუტარდა 6618 პატიმარს (2015 წელს - 5500). დადებითად უნდა აღინიშნოს ჰეპატიტებზე სკრინინგის მაჩვენებელის მომატება. მისასალმებელია, „C“ ვირუსული ჰეპატიტის მკურნალობის კურსში ჩართულ პატიმართა რაოდენობის ზრდა. 2015 წლის განმავლობაში მკურნალობა ჩაუტარდა მხოლოდ 308 მსჯავრდებულს, 2016 წლის განმავლობაში კი 970 პატიმარს.

328 აღნიშნული ციფრი შეადგენდა 152-ს.

სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, რათა შესაბამისი სამედიცინო ჩვენების არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ანტივირუსული მკურნალობა, ხოლო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მიმართა რეკომენდაციით, რათა უზრუნველეყო პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული, შესაბამისი მკურნალობის საჭიროების მქონე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მკურნალობა სოფოსბუვირით. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ, დღეის მდგომარეობით, პროგრამის მოსარგებლეები არიან პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებულები/მსჯავრდებულები, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად.[329]

2016 წელს გაზრდილია აივინფექცია/შიდსზე გამოკვლეული პატიმრების რაოდენობა. 2016 წელს აივ ინფექცია/შიდსზე გამოიკვლიეს 7809 პატიმარი, 2015 წელს კი - 5 500 პატიმარი. რაც შეეხება აივინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსულ მკურნალობაში ჩართულ პაციენტებს, 2016 წლის დეკემბრისთვის ჩართული იყო 68 პაციენტი. იმავე წელს ახლად ჩართული იქნა 15 პატიმარი.

პენიტენციურ სისტემაში კვლავ პრობლემურია ინფექციის კონტროლის მოთხოვნების ზედმიწევნით სრულად დაცვა. კანონმდებლობის შესაბამისად, ცივი ჯაჭვის უზრუნველყოფა, მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალების დეზინფექცია და სტერილიზაცია.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N5 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას,[330] დათვალიერდა დაწესებულებაში გამოყოფილი და ახალი გარემონტებული ცენტრალური სასტერილიზაციო, სადაც სტერილდება როგორც ქირურგიულ-სამანიპულაციო, ისე სტომატოლოგიური კაბინეტის იარაღი. გამოყოფილია დეზინფექცია-სტერილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა, დეზინფექცია-სტერილიზაციის პროცესი მიმდინარეობს გარკვეული ხარვეზებით, რომელთა აღმოფხვრა საჭიროა და აუცილებელია აღნიშნული პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. არ ჰყავთ კადრი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი ინფექციის კონტროლის საკითხებზე; ოთახში, სადაც ტარდება პროცედურა, არ იყო ხელის გასამშრალებელი ქაღალდი; არ იყო გამოყოფილი შესაბამისი ფართი იარაღების წინასასტერილიზაციო დამუშავებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, აღჭურვილი უნდა იყოს დიდი სარეცხი თასით, მაგიდით, თაროებით და ა.შ. ამ ეტაპისთვის, არ ხორციელდება იარაღების დაყოფა კრიტიკულ, ნახევრად კრიტიკულ და არაკრიტიკულ კატეგორიებად; სასტერილიზაციო აღჭურვილია იარაღების შესაფუთი აპარატით.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N7 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას[331] აღმოჩნდა, რომ არ ფუნქციონირებს ცალკე გამოყოფილი სასტერილიზაციო. სტერილიზაციის პროცესი ხორციელ-

329 საქართველოს მთავარობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილება „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
330 2016 წლის 20 ოქტომბერი.
331 03.10.2016.

დება სტომატოლოგიურ კაბინეტში მდებარე ე.წ. მშრალ-ჰაეროვან სტერილიზატორში. ამ ეტაპზე სტომატოლოგიურ კაბინეტში დეზინფექცია-სტერილიზაციის პროცესი მიმდინარეობს გარკვეული ხარვეზებით, რომელთა აღმოფხვრა საჭირო და აუცილებელია აღნიშნული პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის: არ ჰყავთ კადრი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი ინფექციის კონტროლის საკითხებზე; ამ ეტაპზე სტომატოლოგიური კაბინეტის შესაბამისი ინვენტარი სტერილდება სტომატოლოგიურ კაბინეტშივე ე.წ. მშრალ-ჰაეროვან სასტერილიზაციოში; ოთახში, სადაც ტარდება პროცედურა, არ იყო ხელის გასამშრალებელი ქაღალდი; არ არის გამოყოფილი შესაბამისი ფართი იარაღების წინასასტერილიზაციო დამუშავებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, აღჭურვილი უნდა იყოს დიდი სარეცხი თასით, მაგიდით, თაროებით და ა.შ. არ ხორციელდება იარაღების დაყოფა კრიტიკულ, ნახევრად კრიტიკულ და არაკრიტიკულ კატეგორიებად; სტერილიზაციამდე არ გამოიყენება ე.წ. იარაღების დაპაკეტება; გაკრული არაა ინსტრუქცია სადეზინფექციო ხსნარების გამოყენების შესახებ. სტომატოლოგის თქმით, არ აქვთ ე.წ. სტერილიზაციის ინდიკატორები, შესაბამისად, სტერილიზაციის პროცესი ხორციელდება ინდიკატორებით კონტროლის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების საწყობში არის ახლად შესყიდული ავტოკლავი, ფართის არარსებობის გამო ვერ იყენებენ მას.

N11 დაწესებულებაში[332] არ არის ცენტრალური სასტერილიზაციო, ინსტრუმენტების სტერილიზაციას ახორციელებს სტომატოლოგი. დაწესებულებას არ ჰყავს კადრი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი ინფექციის კონტროლის საკითხებზე. ოთახში, სადაც ტარდება პროცედურა, არ არის ხელის გასამშრალებელი ქაღალდი. არ არის გამოყოფილი შესაბამისი ფართი იარაღების წინასასტერილიზაციო დამუშავებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, აღჭურვილი უნდა იყოს დიდი სარეცხი თასით, მაგიდით, თაროებით და ა.შ. ოთახში, სადაც ტარდება პროცედურა, არ არის ხელის დასაბანი ნიჟარა; საპროცედურო ოთახში არ არის ინსტრუქცია არსებული სადეზინფექციო ხსნარების დამზადება/გამოყენების შესახებ; სტომატოლოგიურ კაბინეტში შეტანილია იარაღების დაპაკატების აპარატი, რომელსაც ფართის სიმცირის გამო ვერ იყენებენ. არ ხორციელდება კედლების სველი წესით დამუშავება.

ცალკე გამოყოფილი სასტერილიზაციო არ ფუნქციონირებს ასევე N12 დაწესებულებაშიც. სტერილიზაციის პროცესი ხორციელდება სტომატოლოგიურ კაბინეტში მდებარე ე.წ. მშრალ-ჰაეროვან სტერილიზატორში. სტომატოლოგს გავლილი აქვს უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა - „სტომატოლოგიურ მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების კონტროლი“. ხარვეზებით მიმდინარეობს დეზინფექცია-სტერილიზაციის პროცესი N15 დაწესებულებაში[333] არსებულ სტომატოლოგიურ კაბინეტშიც. აუცილებელია, რომ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყოს სასტერილიზაციო ოთახი სტანდარტების შესაბამისად.

332 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N11 დაწესებულებაში შემოწმება ჩატარდა 08.11.2016 წელს.

333 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ N15 დაწესებულებაში შემოწმება ჩატარდა 2016 წლის 28 ივლისსა და 9 აგვისტოს.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პატიმარი, ტუბერკულოზის შემთხვევათა სათანადო მართვის მიზნით, მოთავსდეს ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში
- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოს ინფექციის კონტროლის მოთხოვნების სრული დაცვა
- უზრუნველყოს პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის პატიმრებისათვის ხელმისაწვდომობა.

3.9.8. კვება და სასმელი წყალი

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა პატიმარი ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და სასარგებლო საკვებით.[334] პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა კვების ნორმები განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.[335] ამავე ბრძანებით დამტკიცებულია პატიმართა განსაკუთრებული (დიეტური) კვების საჭიროებები.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტების დროს შემოწმდა პენიტენციური დაწესებულებების სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადები. ამ კუთხით დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას, პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრების უმეტესობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული საკვების ხარისხსა და გემოზე, ამასთან მიუთითებდნენ საკვების სიმცირეზე.

სურსათის ეროვნული სააგენტო სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლს ახორციელებს. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით: ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება.[336] სახალხო დამცველის აპარატმა პენიტენციურ დაწესებულებებში სასადილოების ინსპექტირებასთან დაკავშირებით N03-1/4437 და N03-3/10205 წერილებით მიმართა სურსათის ეროვნულ სააგენტოს. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან 2016 წლის 10 ივნისის N09/363 პასუხის თანახმად 2016 წლის 17 თებერვალს შემოწმება ჩატარდა პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში, თუმცა შემოწმების შედეგები უცნობია. 2016 წლის 23 სექტემბერს მიღებული N09/7238 პასუხის თანახმად კი 2016 წლის 13 სექტემბერს შემოწმება

334 მანდელას წესები, წესი 22(1). ევროპული ციხის წესები, წესი 22.1-22.6.

335 დამტკიცებულია 2015 წლის 13 აგვისტოს №88-№01-34/6 ბრძანებით.

336 საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის N2-3 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულება“.

ჩატარდა პენიტენციური დეპარტამენტის N9 დაწესებულებაში, სადაც შემოწმების შედეგად დარღვევა არ გამოვლენილა.

სურსათის ეროვნულ სააგენტოს პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტის განხორციელებისთვის ესაჭიროება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ნებართვა. შესაბამისად, დაწესებულებაში ვიზიტი ხორციელდება სამინისტროს წინასწარი ინფორმირების საფუძველზე. სწორედ ამიტომ, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასადილოს თანამშრომლები შემოწმების დღეს ამზადებენ უკეთესი ხარისხის საკვებს, ვიდრე შემოწმებამდე ან შემოწმების შემდეგ. ასეთი ალბათობა კი, სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმების პრაქტიკას, თუმცა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი სახის შემოწმება უნდა განხორციელდეს მოულოდნელად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, ხოლო შემოწმების შედეგები კი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

პატიმრებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა ჰიგიენის, წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით შეიძინონ ან სხვაგვარად მიიღონ საქონელი, საკვების და სასმელის ჩათვლით, პირადი გამოყენებისთვის, იმ ფასებში, რომლებიც ბევრად არ აღემატება თავისუფალ საზოგადოებაში არსებულ ფასებს.[337] ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს მაღაზია, სადაც პატიმარს შეუძლია შეიძინოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების ჰიგიენის საშუალებები. პატიმართა გადმოცემით, მათ არ აქვთ იმ პროდუქციის ჩამონათვალი (ფასებით), რაც დაწესებულების მაღაზიაშია. ამასთან, ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმცირისა და მაღალი ფასების გამო. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მაღაზიებს არ აქვთ იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომელსაც მიაწვდიან პატიმრებს. გარდა ამისა, პენიტენციური დაწესებულების მაღაზიაში არსებული ფასები შეადარა დაწესებულების გარეთ არსებული მაღაზიის ფასებს და შედარებამ აჩვენა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მაღაზიაში ფასები დაახლოებით 10-20%-ით მაღალია. აქვე გასათვალისწინებელია პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრების ოჯახების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით, ამანათის სახით მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები. .[338] პენიტენციური დაწესებულებების დებულებების თანახმად კი, ამანათის სახით პატიმარმა შესაძლებელია მიიღოს ყველა სახეობის ხილი, კენკროვანი ხილის, ყურძნის, ნესვის და საზამთროს გარდა, ერთად, არაუმეტეს, 5 კილოგრამისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებებში ამანათის სახით, ძირითადად, ვაშლი, ბანანი და მსხალი შედის. იმ ფონზე, როდესაც დაწესებულების ძირითად მენიუში ხილი მხოლოდ კომპოტის სახით არის წარმოდგენილი, ამანათით მხ-

337 ევროპული ციხის წესები, მუხ. 31.5.
338 მუხლი 23 (6).

ოლოდ 5 კილოგრამი ხილის მიღება არასაკმარისია. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ისეთი პატიმრებისთვის, რომელთა ოჯახებიც არ ცხოვრობენ ახლოს, ან არა აქვთ შესაძლებლობა ხშირად მიაწოდონ ხილი პატიმარს.

ევროპული ციხის წესების თანახმად, პატიმრებისათვის სუფთა სასმელი წყალი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი.[339] უწყვეტი წყალმომარაგების პრობლემა კვლავ გადაუჭრელია N3 დაწესებულებაში, სადაც პატიმრებს წყალი გრაფიკით მიეწოდებათ. მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასმელი წყლის უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. N17 დაწესებულებაში პატიმრებს 24 საათიანი რეჟიმით მიეწოდებათ სასმელი წყალი, ხოლო შეფერხების შემთხვევაში დაწესებულებას გააჩნია 60 ტონიანი რეზერვუარი და წყალი დამხმარე ავზის საშუალებით გრაფიკით მიეწოდებათ, თუმცა პატიმრები აღნიშნავენ, რომ სასმელ წყალს პერიოდულად აქვს სპეციფიკური გემო. დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით, წყლის მიწოდება ხდება შპს „რუსთავის წყლის“ მიერ და მისი ხარისხი ადგილზე არ მოწმდება. მნიშვნელოვანია, რომ რეგულარულად მოხდეს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში სასადილოების შემოწმების პარალელურად სასმელი წყლის ხარისხიც უნდა შემოწმდეს.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და გაიზარდოს ამანათის სახით მიღებული ხილის საერთო რაოდენობა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა მაღაზიის სათანადო მომარაგების უზრუნველსაყოფად. ამასთან უზრუნველყოს, რომ მაღაზიაში პროდუქცია იყიდებოდეს პატიმრებისათვის ხელმისაწვდომ ფასად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი იყოს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის ჩამონათვალი - ფასების მითითებით
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N3 პენიტენციურ დაწესებულებაში წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად
- უზრუნველყოს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში შესვლის ნებართვის გაცემა გონივრული ვადით (მაგალითად, 6 თვით), რათა სააგენტოს წარმომადგენლებს შეეძლოთ პენიტენციურ დაწესებულებებში შემოწმების ჩატარება წინასწარი შეტყობინების გარეშე

339 წესი 22.5.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს

- რეგულარულად, წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელდეს პენიტენციური დაწესებულებების სასადილოებისა და წყლის ხარისხის შემოწმება, ხოლო შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

3.10. განსაკუთრებული კატეგორიები

3.10.1. არასრულწლოვანი პატიმრები

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მომსახურება, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული, უნდა აკმაყოფილებდეს მისი ჯანმრთელობის დაცვისა და ღირსების პატივისცემის მოთხოვნებს.[340] პეკინის წესების კომენტარში მითითებულია, რომ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნის მოთავსების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ღია ტიპის დაწესებულებას დახურული ტიპის დაწესებულებასთან შედარებით. ამასთან, თითოეული დაწესებულება უნდა იყოს გამოსასწორებელი ან საგანმანათლებლო ხასიათის და არა ციხის ტიპის.[341]

მსჯავრდებული, რომელსაც დაწესებულებაში მოთავსების მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, თავსდება N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.[342] არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები ასევე თავსებიდან პენიტენციური დეპარტამენტის N2 და N8 დაწესებულებებში.

მიუხედავად იმისა, რომ N2 და N8 დაწესებულებებში არასრულწლოვანი პატიმრები იზოლირებულ საცხოვრებელ კორპუსში არიან განთავსებულები, მათ მაინც აქვთ სრულწლოვან პატიმრებთან ინტერაქციის საშუალება. მაგალითად, როდესაც ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა ადვოკატთან ან კანონიერ წარმომადგენელთან შესახვედრად. ამასთან, სამეურნეო ნაწილში დასაქმებული სრულწლოვანი მსჯავრდებულები არიგებენ საკვებს თითოეულ საკანში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებენ რეჟიმის თანამშრომლის ზედამხედველობით.

არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში დასაშვებია პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანების საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მისი ან სხვა არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისათვის.[343] 2016 წელს N11 დაწესებულებიდან სულ გადაიყვანეს 9 მსჯავრდებული, აქედან 6 მსჯავრდებული

340 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 79(1).

341 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ, წესი 19, იხ. ბმული http://www.un.org/documents/ga/res/40/a40r033.htm [ბოლოს ნანახია 15.03.2017].

342 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 68, პირველი ნაწილი.

343 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 89.

დაწესებულებიდან გადაიყვანეს მას შემდეგ, რაც შეუსრულდათ 18 წელი, ხოლო 3 მსჯავრდებული უსაფრთხოების მიზნით გადაიყვანეს N2 და N8 დაწესებულებებში. აღსანიშნავია, რომ არც-ერთ მსჯავრდებულს, რომელიც გადაიყვანეს სხვა დაწესებულებაში სრულწლოვანების მიღწევის გამო, 12 კლასი დასრულებული არ ჰქონდა.

ამავდროულად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 90-ე მუხლის მე-3 ნაწილის[344] შესაბამისად, სწავლის დასრულების მიზნით, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში დარჩენის განცხადებით 18 წელს მიღწეულმა ხუთმა მსჯავრდებულმა მიმართა ადმინისტრაციას, რომელთაგან ხუთივე დაკმაყოფილდა.

არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებიდან N8 და N2 დაწესებულებებში გადაყვანის პრაქტიკის მართლზომიერების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წლის 13 აპრილს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა.[345] რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ არასრულწლოვნებმა სასჯელი უნდა მოიხადონ სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და არ უნდა მოხდეს მათი გადაყვანა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განუსაზღვრელი ვადითა და დასაბუთების გარეშე, რადგან აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს რეაბილიტაციის პროცესს და ეწინააღმდეგება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საუკეთესო ინტერესებს. სახალხო დამცველმა მოუწოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველყოს თითოეული არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდა არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მათი უფლებრივი მდგომარეობის დაცვითა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ასევე მიუთითა, რომ მიზანშეწონილია თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებაში არასრულწლოვანის უსაფრთხოების მიზნით გადაყვანა განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული და უფრო მსუბუქი ზომების გამოყენების შემდეგ, უკიდურეს შემთხვევაში და სათანადოდ დასაბუთებით, როგორც დროებითი ღონისძიება.

აღნიშნული რეკომენდაციის პასუხად, სახალხო დამცველს ეცნობა, რომ კონკრეტული მსჯავრდებულების გადაყვანა განპირობებული იყო არასრულწლოვანთა შორის მომხდარი დაპირისპირების გამო, უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, რადგან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის ზომის გამოყენება არ იქნებოდა ეფექტური.[346]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რეაბილიტაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქ-

344 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული რესოციალიზაციის, ზოგადი განათლების მიღების და პროფესიული მომზადების მიზნით, პირადი განცხადებით შესაძლებელია სასჯელის მოსახდელად იმავე დაწესებულებაში იყოს დატოვებული, რომელშიც სრულწლოვანების მიღწევამდე იხდიდა სასჯელს. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი აღნიშნული დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე.

345 საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, 13.04.2016, N10/3382.

346 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წერილი N MOC91600339130, 25.04.2016.

ტივობებში ჩართვას. N2 და N8 დაწესებულებებში სასწავლო პროცესი მხოლოდ განათლების უწყვეტობას უზრუნველყოფს, სარეაბილიტაციო აქტივობები კი არ არის ისეთი მრავალფეროვანი, როგორც არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ 2016 წელს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა. რაც შეეხება წახალისებას, კარგი ქცევისა და სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართულობისთვის მადლობა გამოუცხადეს 24 მსჯავრდებულს, რაც დადებით პრაქტიკას წარმოადგენს და, მნიშვნელოვანია, რომ მომავალშიც გაგრძელდეს და გაძლიერდეს ამგვარი წახალისება.

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანების მიღებას, რომლითაც განისაზღვრა არასრულწლოვანის საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი.[347] დასახელებული ბრძანების მიხედვით, ინდივიდუალური გეგმის განხორციელების მაქსიმალური ვადა 12 თვეა. მისი ეფექტურად განხორციელებისათვის, ყოველ სამ თვეში ერთხელ ხდება გეგმის გადახედვა, 6 თვის შემდეგ იწერება პროგრესის/რეგრესის შუალედური ანგარიში, ხოლო 1 წლის შემდეგ - საბოლოო ანგარიში. ინდივიდუალური გეგმის დასრულებამდე 1 თვით ადრე ხდება მისი შედეგების შეფასება, განახლება ან/და ახალი ინდივიდუალური გეგმის შედგენა.[348]

არასრულწლოვნების დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ შეფასება და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა არსებობს ყველა ბენეფიციარზე, თუმცა გეგმები ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტული აქტივობები დაზუსტებული არ არის. მაგალითად, გეგმებში ხშირადაა ჩანაწერი „შეხვედრა ფსიქოლოგთან“ ან „შეხვედრა სოციალურ მუშაკთან“, მაგრამ არ იკვეთება შეხვედრის მიზანი, საუბრის თემა და ა.შ. რაც არ იძლევა საშუალებას დავინახოთ სრული სურათი და შეუძლებელია სპეციალისტების მხრიდან მიმდინარე სამუშაოს იდენტიფიცირება.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს არასრულწლოვნის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მნიშვნელობას და მიიჩნევს, რომ გეგმის შესრულება და მისი შესაძლო მოდიფიკაცია უნდა იყოს მუდმივი პროცესი, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საჭიროებებს.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით,[349] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის გარანტირებული უნდა იყოს სხვადასხვა აქტივობა და ღონისძიება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომელ-

347 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი ბრძანება N132N95N23.

348 იქვე, დანართი 3, მუხ. 6, 8.

349 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008) 11, „წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ“, მუხლი 79.1; 79.2; იხილეთ ინგლისურ ენაზე: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM [ბოლოს ნანახია 15.03.2017].

იც მიზნად ისახავს ნაკლებად შემზღუდავი რეჟიმის გზით გათავისუფლებისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მომზადებას. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში პატიმრების უმეტესობა არაერთ პროგრამაში იყო ჩართული. N11 დაწესებულების მიერ მთელი წლის განმავლობაში მსჯავრდებულთათვის შემოთავაზებული იყო სხვადასხვა ფსიქოსოციალური პროგრამები, კულტურული ღონისძიებები და სპორტული აქტივობები.[350]

სახალხო დამცველი მიესალმება არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანების მიღებას, რომლითაც დეტალურად მოწესრიგდა არასრულწლოვანი პატიმრების მიერ ზოგადი განათლების მიღების წესები.[351]

არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ფუნქციონირებს სკოლა, რომელიც თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლასთან არის მიერთებული. სკოლაში ხორციელდება არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მიერ როგორც ექსტერნის ფორმით პროგრამის დაძლევის შესაძლებლობას და შემდეგ საფეხურზე გადასვლას, ასევე საატესტატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ატესტატის მიღებას.

N11 დაწესებულებისგან განსხვავებით, N8 და N2 დაწესებულებებში სასწავლო პროგრამა არ არის მიერთებული არცერთ საჯარო სკოლასთან, შესაბამისად, ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაიცემა. ზემოაღნიშნული სპეციალური სასწავლო პროგრამის მიზანია განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა, სანამ არასრულწლოვანი ბრალდებულის სტატუსით იმყოფება დაწესებულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრები უმეტესად დიდ ინტერესს არ იჩენენ სასწავლო პროცესის მიმართ და ხშირად არ ესწრებიან გაკვეთილებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა გარე სამყაროსთან კონტაქტის მნიშვნელობას და განმარტავს: „ყველა საშუალებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ არასრულწლოვანი სათანადო კონტაქტში იყოს გარე სამყაროსთან, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის საზოგადოებისაკენ მოსაბრუნებლად“.[352] არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულე-

350 დეტალურად N11 დაწესებულებაში განხორციელებული სარეაბილიტაციო აქტივობების შესახებ იხ. *ქვეთავი დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები.*

351 არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1-ლი სექტემბრის ერთობლივი ბრძანება N110/6/N124.

352 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები), მუხლი 59.

ბაში მსჯავრდებულებს კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, ვიდეოპაემნებითა და ტელეფონით სარგებლობის უფლება.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ყველა არასრულწლოვანი პატიმარი მოთავსდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში
- მიიღოს ყველა ზომა, რათა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გადაყვანა სხვა დაწესებულებაში მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაყვანა აუცილებელია უსაფრთხოების დაცვის მიზნით, როდესაც სხვა ალტერნატიული ზომები არაეფექტურია, სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით და უმოკლესი ვადით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა N2 და N8 დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ჰქონდეთ განათლების მიღების იგივე შესაძლებლობა, რაც აქვთ N11 დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვნებს.

3.10.2. ქალი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში გათვალისწინებულ იქნას ქალ პატიმართა სპეციალური საჭიროებები.

ქალი პატიმრები, N5 პენიტენციური დაწესებულების გარდა, N2 დაწესებულებაშიც არიან მოთავსებული. ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში[353] 2016 წელს პატიმართა საშუალო რაოდენობა 266 შეადგენდა.[354] დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში კი 2016 წლის განმავლობაში 55 ბრალდებული და 46 მსჯავრდებული ქალი იყო მოთავსებული.[355]

353 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №116, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ (შემდგომში N5 დაწესებულების დებულება).

354 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2016 წლის ანგარიში (შემდგომში სამინისტროს ანგარიში), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.moc.gov.ge/ka/saqarthvelos-sasjelaghsrulebisa-da-probaciis-saministros-sistemis-statistikis-2016-tslis-angarishi [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

355 N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 17 იანვრის წერილი MOC 117 00037938 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/200) (შემდგომში N2 დაწესებულების დირექტორის წერილი).

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ N2 დაწესებულება არ არის მორგებული ქალი პატიმრების სპეციალურ საჭიროებებზე და ვერ უზრუნველყოფს ქალი პატიმრების შესაბამის პირობებში მოთავსებას. კონკრეტულად კი, დაწესებულებაში სახალხო დამცველის 2015 წლის ვიზიტის შემდგომ ანგარიშში[356] გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, დღემდე პრობლემურია ქალ პატიმართა ჩართვა სარეაბილიტაციო აქტივობებში. აგრეთვე შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, სახალხო დამცველი მოითხოვდა N2 დაწესებულებაში სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნასა და რეგულარული მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებების გამართვას.[357]

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, N2 დაწესებულებაში ისევ პრობლემურია ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული ვითარება. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰყავს გინეკოლოგი და პატიმრებს დიდი ხნის განმავლობაში უწევთ მოწვეული გინეკოლოგის ლოდინი. აგრეთვე, 2015 წლის[358] მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც პრობლემურია ქალ პატიმართა ჰიგიენური საფენებით უზრუნველყოფის საკითხი.

2016 წელს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, სპეციალურმა ჯგუფმა სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან ერთად N5 დაწესებულების მონიტორინგი განახორციელა. ვიზიტი მიზნად ისახავდა 2015 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმებას, ქალი პატიმრების საჭიროებების გამოვლენას და შეფასებაზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მონიტორინგის ჯგუფი დაეყრდნო როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, ასევე ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებით (ბანგკოკის წესები) დადგენილ სტანდარტებს.

სახალხო დამცველი მიესალმება 2015 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების კუთხით გადადგმულ რიგ ნაბიჯებს. კონკრეტულად კი, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ქალ მსჯავრდებულთა ტრანსპორტირების საკითხის გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს ავტოპარკის განახლებაში.

სახალხო დამცველი ასევე მიესალმება N5 დაწესებულებაში 2016 წლის განმავლობაში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს, რომლის ფარგლებშიც მოეწყო

356 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში (2015 წლის 1-2 ივლისი) განხორციელებული ვიზიტის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3294.pdf [ბოლოს ნანახია: 19.02.2017] (შემდგომში N2 დაწესებულების 2015 წლის ვიზიტის შემდგომი ანგარიში).

357 N2 დაწესებულების დირექტორის წერილი.

358 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3285.pdf [ბოლოს ნანახია: 19.02.2017](შემდგომში N2 დაწესებულების 2015 წლის ვიზიტის შემდგომი ანგარიში).

საპატიმრო ნაწილის კორპუსის ორი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორი სპეციალური საკანი; გარემონტდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შემოწმება-დათვალიერების ოთახი; შეკეთდა სამედიცინო ნაწილში არსებული რამდენიმე პალატა, ოთახი და კაბინეტი, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა ოთახები. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს პატიმრებისთვის განკუთვნილი საშხაპეების გარემონტება და პრივატულობის დაცვის მიზნით საშხაპე კაბინაზე ფარდების ჩამოკიდება.

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით ჩატარებულ აქტივობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია გათავისუფლებისათვის მომზადების, ოჯახურ სირთულეებთან გამკლავებისა და კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებისათვის ჩატარებული ტრენინგები. მისასალმებელია დაწესებულებაში სპორტული და სხვა სახის კულტურული ღონისძიებების, პროფესიული, სახელობო და სასწავლო ტრენინგების ჩატარება.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2016 წლის მონაცემებით, თითქმის განახევრებულია დისციპლინური სახდელების გამოყენების რაოდენობა. დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2016[359] წელს, წინა წელთან შედარებით,[360] გაზრდილია პატიმართა წახალისება მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობისათვის. 2016 წლის მონაცემებით, ხანმოკლე პაემნების შეზღუდვა არ დაფიქსირებულა.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი ტენდენციებისა, დაწესებულებაში კვლავ არსებობს პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალ პატიმართა მდგომარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი პატიმრების უმრავლესობა მაღალი რისკის პატიმრებს არ წარმოადგენს, უსაფრთხოების პროცედურები, როგორიცაა სხეულის სრული შემოწმება გამოიყენება ბლანკეტურად, აუცილებლობის დაუსაბუთებლად და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ინდივიდუალური შეფასების გარეშე.

N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2016 წლის განმავლობაში სრული შემოწმება/დათვალიერება დაწესებულებაში მიღებისას ჩაუტარდა 1574 პატიმარს, ხოლო დაწესებულებიდან გაგზავნისას – 1469 პატიმარს. სრული შემოწმება მოიცავს, როგორც სხეულის ნაწილების გაშიშვლებას, აგრეთვე სხეულის შინაგან შემოწმებას, რომელსაც მედიცინის მუშაკი ატარებს.[361]

N5 დაწესებულების დირექტორისგან მიღებული წერილის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმება/დათვა-

359 N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193).

360 2015 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობისათვის წახალისდა 26 მსჯავრდებული;

361 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №116, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 22, მე-4 და მე-9 ნაწილი.

ლიერებისას სხეულში აკრძალული ნივთი არ აღმოჩენილა.[362] ის ფაქტი, რომ 2016 წლის განმავლობაში არცერთი ბრალდებული/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას არ იყო აღმოჩენილი რაიმე სახის აკრძალული ნივთი მეტყველებს იმაზე, რომ დაწესებულებაში უსაფრთხოების ღონისძიებების ზედმეტად გამოყენების საჭიროება არ არსებობს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხული ქალი პატიმრების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დაწესებულებაში ყოველი შემოსვლისას, მათ სთავაზობენ სრული „გაშიშვლებით შემოწმებას“ ან ალტერნატივად „შინაგან შემოწმებას“ გინეკოლოგიურად. გამოკითხული პატიმრების უმრავლესობის აზრით, ისინი ასეთ შემთხვევაში იძულებულნი არიან, „გაშიშვლებით შემოწმების“ ჩატარება აირჩიონ. ქალი პატიმრებისაგან მიღებული ინფორმაციით, „გაშიშვლებული შემოწმება“ პრაქტიკაში გულისხმობს სხეულის ყველა ადგილის ერთბაშად გაშიშვლებას. ამასთანავე, მათ, გაშიშვლებულ მდგომარეობაში აკეთებინებენ ბუქნებს, მათ შორის, მენსტრუალური ციკლის დროს. რამდენიმე პატიმარმა ასევე განაცხადა, რომ „გაშიშვლებულ შემოწმებასთან“ ერთად, დამატებით მოუწიათ სკანირების გავლა.

გარდა იმისა, რომ ქალი პატიმრის სრული შემოწმების შემთხვევაში არ ხდება სრული შემოწმების გამოყენების აუცილებლობის ინდივიდუალური დასაბუთება, პრობლემურია სრული შემოწმების ჩატარების მეთოდი. კონკრეტულად კი, სრული შემოწმების დროს ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.[363] აგრეთვე, „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისად, ეს მოთხოვნა არის უკანონო.

ქალი პატიმრების განცხადებით, ინსტრუმენტები, რომლითაც ტარდება მათი სამედიცინო შემოწმება, სტერილური არ არის. გინეკოლოგიური სავარძლის გადასაფარებელი არ არის ერთჯერადი მოხმარების და არც ექიმები არიან უზრუნველყოფილნი ერთჯერადი ხელთათმანებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ პაემანზე მოსული არასრულწლოვნების შემოწმება ხდება გაშიშვლებით. ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა, რომ მასთან პაემანზე მოსულ ბავშვებს გახადეს საცვლები და გააკეთებინეს ბუქნები, რის გამოც ისინი საშინლად შეურაცხყოფილნი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი ბავშვებისათვის სრული შემოწმების მოთხოვნა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.[364]

---

362 N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193) (შემდგომში N5 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის წერილი).

363 ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავარობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2014 წლის 1-10 აპრილის ჩათვლით, პარა 85, გამოქვეყნდა 2015 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":["squat"],"CPTSectionID":["p-cze-20140401-en-30"]} [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

364 ნელსონ მანდელას წესების შესაბამისად, სხეულის სრული შემოწმება მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული მნახველების შემთხვევაში და ის არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვების მიმართ.

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) შესაბამისად, სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა უნდა ჩაანაცვლოს შემოწმების ისეთმა ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა მაგალითად, სკანირება, რათა თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.[365]

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა ჩანაცვლებულიყო ისეთი ალტერნატიული მეთოდით, როგორიცაა სკანირება. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. კონკრეტულად კი, დადებითად უნდა შეფასდეს დაწესებულებაში სკანერის აპარატის დამონტაჟება. მიუხედავად ამისა, როგორც მონიტორინგის დროს დადგინდა, დაწესებულებაში, ყველა შემთხვევაში არ ხდება სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის გამოყენება, გულისხმობს არა სრული შემოწმების მეთოდთან ერთად მის გამოყენებას, არამედ სრული შემოწმების (გაშიშვლებით შემოწმებისა და გინეკოლოგიური შემოწმების) ალტერნატივას, რომლის გამოყენების შემდგომ არ უნდა მოხდეს შემოწმების სხვა, დამატებითი მეთოდების გამოყენება.

რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, საცხოვრებელ საკნებში არ არის საკმარისი ხელოვნური ვენტილაცია. საპატიმრო განყოფილებაში არსებული საკნების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, საკნები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. საკნებში არ მოდის ცხელი წყალი, პატიმრებს ტანსაცმლის გარეცხვა უწევთ ხელით, პირდაპირ ონკანის ქვეშ, ცივ წყალში, ხოლო პირადი ჰიგიენის დასაცავად უხდებათ წყლის გაცხელება მადუღარით. საპატიმრო განყოფილების საკნებში მყოფი პატიმრების განმარტებით, საშხაპეში ყოფნის დრო შეზღუდულია (როგორც პატიმრები ამბობენ, შხაპისთვის 15-20 წუთი აქვთ). პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით.

საპატიმრო განყოფილებაში არსებული სასეირნო ეზოები ვიზუალურად არ განსხვავდება საკნებისგან. პატიმრობის განყოფილებაში მყოფი პატიმრებისთვის არ არსებობს სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის/ვარჯიშისათვის.

სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების მიზანი, საბოლოოდ, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ პიროვნების საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე, რომ მან შეძლოს კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა. ამისათვის დაწესებულებამ ან სხვა უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა

365 გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესები (ბანგკოკის წესები), წესი 19, 20, 2010 წლის 6 ოქტომბერი, A/C.3/65/L.5.

უზრუნველყონ პატიმრის განათლება, პროფესიული სწავლება, მუშაობა და სხვა სახის აღმზრდელობითი და სპორტული ხასიათის დახმარე აქტივობები. აუცილებელია, რომ ყველა მსგავსი პროგრამა, აქტივობა და მომსახურება პატიმარს მიეწოდოს მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.[366]

ბანგკოკის წესების შესაბამისად, ქალ პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ დაბალანსებულ და მრავლისმომცველ პროგრამებზე, რომლებიც გენდერისათვის შესაფერის საჭიროებებს ითვალისწინებს.[367]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტისას, „A“ კორპუსში მცხოვრები პატიმრები აცხადებდნენ, რომ ისინი არ იმყოფებიან სხვა პატიმრებთან თანაბარ მდგომარეობაში, რაც გამოიხატება, დაწესებულების „C“ და „D“ კორპუსების ტერიტორიაზე მცხოვრები პატიმრებისაგან განსხვავებით, მათთვის კომპიუტერის, სპორტული დარბაზისა და სალონის რეგულარულად ხელმისაწვდომობის პრობლემაში. აღსანიშნავია, რომ იგივე პრობლემა იდგა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წელს (19-20 თებერვალი) განხორციელებული ვიზიტის დროს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

სახალხო დამცველი 2015 წელს გაცემულ რეკომენდაციაში აღნიშნავდა, რომ რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებების გამოყენება უნდა ხდებოდეს დანიშნული სასჯელის, ჩადენილი დანაშაულის, დამნაშავის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.

სახალხო დამცველი მიესალმება ქალი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში უნდა განხორციელდეს.

ინდივიდუალური გეგმები არ იძლევა სრულ სურათს პატიმრის საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ დადგენილი ან გატარებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია რესოციალიზაციისათვის კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და პროგრამების შერჩევისას ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის მნიშვნელოვან კომპონენტს პატიმრის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა წარმოადგენს. ბანგკოკის წესების შესაბამისად, საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი მომსახურება იმ ქალი პატიმრებისთვის, რომლებსაც ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ფიზიკური, ფსიქი-

366 მანდელას წესები, წესი 4.
367 ბანგკოკის წესები, წესი 43 (1).

კური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.[368] აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ ჰყავს კლინიკური ფსიქოლოგი, არ ტარდება ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევა და სხვა ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოთერაპიული აქტივობები.

მანდელას წესების შესაბამისად, დასაქმება მოიაზრება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალება. სამუშაო მეთოდები და ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ფარგლებს გარეთ არსებულ სამუშაოს, რათა პატიმრები თანდათანობით მოემზადონ საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის. ასევე, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სამუშაოს არჩევის შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელობის არჩევის წესსა და დაწესებულების მართვისა და დისციპლინის მოთხოვნებს.[369]

მანდელას წესების შესაბამისად, პატიმრებისთვის მიცემული სამუშაო, შეძლებისდაგვარად, ისეთი უნდა იყოს, რომ მათ აუმაღლოს ან მიანიჭოს კვალიფიკაცია, რომელიც გათავისუფლების შემდეგ კეთილსინდისიერი შრომის შესაძლებლობას მისცემს. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ N5 დაწესებულება წარმოადგენს მონინავე დაწესებულებას პატიმრებისათვის მიზნობრივი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზების კუთხით. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესიული და სახელობო კურსების შეთავაზების პრაქტიკა.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2016[370] წელს, 2015[371] წელთან შედარებით, N5 დაწესებულებაში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობის გაზრდას. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ დაწესებულებაში დამკვიდრდეს ისეთი სამუშაოების შეთავაზების პრაქტიკა, რომელიც დაეხმარება პატიმრებს, აიმაღლონ კვალიფიკაცია და დაწესებულების დატოვების შემდგომ შეძლონ აღნიშნული გამოცდილების გამოყენება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N5 დაწესებულებაში მოთავსებული რამდენიმე პატიმარი მიუთითებდა სამედიცინო პერსონალის მხრიდან არაგულმოდგინე, არაგულისხმიერი დამოკიდებულების შესახებ. ზოგი პატიმრის განცხადებით, ექიმები მათ არ უმარტავენ და არ აცნობენ ინფორმაციას მათი დაავადების მიმდინარეობისა და რისკ ფაქტორების შესახებ. ზოგიერთი პატიმარი პრეტენზიას გამოთქვამდა მედიკამენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემანის განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. აღსანიშნავია, რომ N5 პენიტენციურ დაწესებულებაში 2016 წლის განმავლობაში 58 ხანგრძლივი პაემანი განხორციელდა.

368 ბანგკოკის წესები, წესი 42 (4).

369 მანდელას წესები, წესები (96-99).

370 2016 წელს დაწესებულების სამეურნეო ნაწილში დასაქმებული იყო 36 მსჯავრდებული, იხ. N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193).

371 2015 წელს დაწესებულების სამეურნეო ნაწილში დასაქმებული იყო 17 მსჯავრდებული, იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი), გვ. 12, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3285.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ საოჯახო პაემანთან დაკავშირებით კანონპროექტით შემოთავაზებულ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, საოჯახო პაემანით ქალი მსჯავრდებული ისარგებლებს მხოლოდ პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წარდგინებითა და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვის შემთხვევაში.

3.10.3. დედათა და ბავშვთა მდგომარეობა

ბანგკოკის წესების თანახმად, „გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, მიღებული უნდა იქნას ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში."[372] 2015 წელს სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ სახალხო დამცველმა ანგარიშში გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მოითხოვდა, ბავშვის დედისაგან განცალკევებისას არ ეხელმძღვანელათ მხოლოდ ფორმალური წესებით და გადაწყვეტილებისას მიღებისას ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და განვითარების დონე გაეთვალისწინებინათ.[373]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ მეურვის მოძიების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში ბანგკოკის წესები გონივრული ვადით პატიმართა დროებითი გათავისუფლების შესაძლებლობასაც იძლევა. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემისთვის დამახასიათებელი საჯარო ინტერესებით უნდა დაბალანსდეს.[374]

სახალხო დამცველმა 2015 წლის ვიზიტის შემდგომ ანგარიშში მოითხოვა ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურების გადახედვა და დახვეწა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. რეკომენდაციის მიზანი იყო ბავშვის გარე სამყაროსთან შეგუების უზრუნველყოფა და ბავშვის დედასთან განშორების პროცესში ტრავმირების მინიმუმამდე შემცირება.[375]

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადებულ პატიმრობის კოდექსსა და თანმდევ კანონებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც დედათა მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიხედვით, სამი წლის ასაკის მიღწევის გამო, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებისას, იმისათვის, რომ

372 წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 52.

373 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3285.pdf [ბოლოს ნანახია: 19.02.2017].

374 წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 52 2. 3.

375 სახალხო დამცველის ვიზიტის შემდგომი ანგარიში.

იგი გარე სამყაროს შეეგუოს და ბავშვის ტრავმირება დედასთან განშორების დროს მინიმუმამდე შემცირდეს, ცვლილებები შედის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლში, კერძოდ, ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშვმა დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მიეცემა უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში (შაბათ-კვირა) დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულისგან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება, მისი პიროვნული თვისებები, კრიმინალური წარსული, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებსაც პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინებს.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევის გამო დაწესებულების დატოვების წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე მუშაობის დაწყების ვალდებულების კანონპროექტის გარდამავალი დებულებით განსაზღვრას. სახალხო დამცველი დააკვირდება აღნიშნული წესის მიღებისა და განხორციელების პროცესს.

ბანგკოკისა[376] და მანდელას[377] წესების შესაბამისად, დედისა და ბავშვის დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში, დაუშვებელია მშობელთან ციხეში მცხოვრებ ბავშვთან პატიმარივით მოპყრობა. 2016 წლის განმავლობაში N5 დაწესებულების დედათა და ბავშვთა განყოფილებაში მოთავსდა 32 მცირეწლოვანი ბავშვი.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დედებთან ერთად მოთავსებული ბავშვების აღზრდისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული ციხის გარეთ მყოფი ბავშვის გარემოსთან".[378] დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი კორპუსის საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2015 წელს გაცემული რეკომენდაციის შესრულებას, კონკრეტულად კი, მისასალმებელია დედათა და ბავშვთა განყოფილებების საცხოვრებელ კორპუსში რემონტისა და ავეჯის განახლების სამუშაოების ჩატარება.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ბავშვები უზრუნველყოფილი არიან გეგმიური სამედიცინო მომსახურებით, საჭირო საკვებით და ჰიგიენური საშუალებებით. დაწესებულებაში პედიატრი, გეგმიურად, კვირაში ერთხელ დადის, თუმცა, შესაძლებელია გამოძახებაც. ბავშვთა კვებას, საჭიროების შესაბამისად, დაწესებულების პედიატრი უკვეთს. დადებითად უნდა შეფასდეს დედისა და ბავშვის კვებისა და ჰიგიენური საშუალებებით მომარაგების საკითხი.

376 ბანგკოკის წესები, წესი 49.
377 მანდელას წესები, წესი 29 (2).
378 იქვე, წესი 51.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგი დაწესებულებაში დედებთან ვერ მუშაობს. დედებისათვის არ ტარდება სპეციფიკური ფსიქოლოგიური განათლების სესიები ბავშვის აღზრდის და მოვლის უნარ-ჩვევების ასათვისებლად. სათანადო კვალიფიკაციური კადრის არყოლის გამო ასევე არ ტარდება ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევები.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა N2 დაწესებულებაში ქალი პატიმრები უზრუნველყოფილნი იყვნენ რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ გინეკოლოგის რეგულარული კონსულტაციით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა N2 დაწესებულებაში განხორციელდეს ქალი პატიმრების ჰიგიენური საფენებით უზრუნველყოფა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა N2 დაწესებულებაში მყოფი ქალი პატიმრებისათვის შეთავაზებულ იქნას საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობები
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულებაში მიღების დროს ქალი პატიმრების შემოწმება მოხდეს ისე, რომ არ შეილახოს მათი ღირსება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ქალი პატიმრების საკნებში მოდიოდეს ცხელი წყალი ჰიგიენური პროცედურების ჩასატარებლად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ქალი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები შეიცავდეს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც უნდა განხორციელდეს ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში
- დაწესებულებაში დამკვიდრდეს ისეთი სამუშაოების შეთავაზების პრაქტიკა, რომელიც დაეხმარება მათ აიმაღლონ კვალიფიკაცია და დაწესებულების დატოვების შემდგომ შეძლონ აღნიშნული გამოცდილების გამოყენება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დედისა და ბავშვის განშორების პროცესში მაქსიმალურად მოხდეს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და განვითარების დონის გათვალისწინება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებაში ტარდებოდეს ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევა ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც 3 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ და უზრუნველყოფილ იქნას ფსიქოლოგის დედასთან მუშაობა

- მიიღოს ყველა ზომა, რათა ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც 3 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ, ჩატარდეს სპეციფიკური ფსიქოგანათლების სესიები ბავშვის აღზრდის და მოვლის უნარ-ჩვევების ასათვისებლად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა „A“ კორპუსში მცხოვრებ პატიმრებს, „C“ და „D“ კორპუსების ტერიტორიაზე მცხოვრები პატიმრების მსგავსად, მიუწვდებოდეთ ხელი კომპიუტერის, სპორტული დარბაზისა და სალონის მომსახურებაზე.

3.10.4. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირები

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირები მოთავსებული არიან პენიტენციური დეპარტამენტის N6, N7 და N8 დაწესებულებებში. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირები განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, აღნიშნული პირების მიმართ მოპყრობა უნდა იყოს ისეთი, რომ ხელი შეუწყოს მათი თავმოყვარეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას.[379]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირს უნდა შეექმნას ადეკვატური მატერიალური პირობები, მიეცეს შესაძლებლობა იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ, ინტელექტუალურ და ემოციურ სტიმულირებაზე და მაქსიმალურად უზრუნველყოფილი ჰქონდეს კონტაქტი გარე სამყაროსთან.[380]

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, დაწესებულებებში, სადაც უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირები არიან მოთავსებული, 2016 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა მრავალფეროვანი და სისტემატური ხასიათის სარეაბილიტაციო აქტივობები. კონკრეტულად, N6 და N7 დაწესებულებაში საანგარიშო წლის მანძილზე სარეაბილიტაციო პროგრამები საერთოდ არ განხორციელებულა. N6 დაწესებულების დირექტორის წერილის თანახმად, გამომდინარე იქედან, რომ N6 დაწესებულება წარმოადგენს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებას, უსაფრთოხების ნორმებიდან გამომდინარე, მასში მოთავსებული პატიმრებისთვის არ განხორციელებულა პროფესიული განათლების, ხელობის შესწავლისა და სხვა სახის სარეაბილიტაციო აქტივობები.[381]

რაც შეეხება N8 დაწესებულებას, აქ რამდენიმე უვადოდ თავისუფლებააღკვეთილმა პირმა მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებში (ინგლისური ენის კურსები, მართვის მოწმობის კურსები, ქარ-

379 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 65 და 66.

380 ევროპის საბჭო, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრების მენეჯმენტი, მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, პარა. 21-25, 2003 წელი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdpc/(Rec%20_2003_%2023%20E%20Manag%20PRISON%20ADM%20Life%20Sent%20Pris%20%20REPORT%2015_205).pdf [ბოლოს ნანახია: 02.03.2017].

381 N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 17 იანვრის წერილი MOC7 17 00040633 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/205).

თული ენის შემსწავლელი კურსები), რაც მისასალმებელია. მიუხედავად ამისა, ხსენებული პროგრამები ძნელია შეფასდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ, რეგულარულ, მიზანმიმართულ და მრავალფეროვან აქტივობებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ რეაბილიტაციისათვის აუცილებელ სხვადასხვა მიზანმიმართულ და მრავალფეროვან ღონისძიებებში, ასევე მიეცეთ დასაქმების შესაძლებლობა.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და გრძელვადიანი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას.[382]

2015 წელს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის უზრუნველეყო სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა. სახალხო დამცველი მიესალმება N8 დაწესებულებაში უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის საპილოტე პროგრამის დაწყებას. მუხედავად ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათმა უმრავლესობამ არ იცოდა აღნიშნული გეგმის არსებობის შესახებ.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი რამდენიმე პირის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა. გეგმებში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქცევის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიმართ დამოკიდებულების, ცხოვრების წესის, ღირებულებებისა და ინტერესების შესახებ, თუმცა გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში. ინდივიდუალური გეგმები არ იძლევა სრულ სურათს მსჯავრდებულის საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ გაწეული ან დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა შესაბამისი ზედამხედველობის პირობებში, რეგულარული ინტერვალებით ჰქონდეთ კომუნიკაცია საკუთარი ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან, როგორც მიმოწერით, ასევე ვიზიტების მეშვეობით.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშში მიუთითებს, რომ პაემნების რაოდენობა არ უნდა იყოს დამოკიდებული დაწესებულების ტიპზე და ჩადენილ დანაშაულზე. მნიშვნელოვანია, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს მიეცეთ მეტი ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანი, რაც ხელს შეუწყობს

382 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006), 2, წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს.

ოჯახის წევრებთან მყარი კავშირის შენარჩუნებასა და რეაბილიტაციას.[383]

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებს უფლება აქვთ 1 თვის განმავლობაში ჰქონდეთ 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.[384] უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს აგრეთვე უფლება აქვთ, 1 წლის განმავლობაში ჰქონდეთ 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.[385]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პაემნების რაოდენობა არ უნდა იყოს დამოკიდებული დაწესებულების ტიპსა და ჩადენილ დანაშაულზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებთან მყარი კავშირის შენარჩუნება, რამაც შესაძლებელია პოზიტიური გავლენა იქონიოს მსჯავრდებულის რეაბილიტაციის პროცესზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობის გაზრდას.

სახალხო დამცველი მიესალმება N6 დაწესებულებაში მოთავსებული უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. აგრეთვე, დადებითად უნდა აღინიშნოს N8 დაწესებულებაში მოთავსებული უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების N6 დაწესებულებაში გადაყვანის პრაქტიკა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის, თუმცა სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა ასევე უნდა შეიქმნას N8 დაწესებულებაში. სამწუხაროდ, წლის განმავლობაში, N7 დაწესებულებაში მოთავსებული უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები ვერ სარგებლობდნენ ხანგრძლივი პაემნით.

რეკომენდაცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- მიიღოს ყველა ზომა, რათა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირები უზრუნველყოფილები იყვნენ მრავალფეროვანი და სისტემატური ხასიათის სარეაბილიტაციო აქტივობებით
- მიიღოს ყველა ზომა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების საჭიროებებზე მორგებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის დასანერგად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, მათი სურ-

383 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, (2015) ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf [ბოლოს ნანახია: 14.03.2017].

384 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 65-ე მუხლის პირველი ნაწილი ,,ბ'' პუნქტი.

385 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 65-ე მუხლის პირველი ნაწილი ,,დ'' პუნქტი.

ვილის შემთხვევაში, მიეცეთ დასაქმების შესაძლებლობა

- მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირს, შეინარჩუნოს ურთიერთობა ოჯახის წევრებთან
- უზრუნველყოს პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობის გაზრდას; ცვლილებათა პროექტის მთავრობისთვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის გაიზრდება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა

3.10.5. პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულები მოთავსებულები იყვნენ პენიტენციური დეპარტამენტის N2, N3, N5, N6, N7, N8 და N9 დაწესებულებებში. 2016 წლის დეკემბერში პატიმრობაში იმყოფებოდა 1 104 ბრალდებული, მათ შორის, 42 ქალი და 3 არასრულწლოვანი.

პატიმრობის კოდექსით განისაზღვრება დაწესებულების პასუხისმგებელი პირის მიერ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულისთვის მისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის ვალდებულება,[386] თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ ბრალდებულებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ.

გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების („მანდელას წესები“) თანახმად,[387] ბრალდებულები უნდა მოთავსდნენ მსჯავრდებულებისგან განცალკევებით. მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტების დროს ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად იყვნენ მოთავსებულები N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში.

პატიმრობის კოდექსის თანახმად,[388] ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციით, ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს 4 კვ.მ. ფართობით.[389] სახალხო დამცველს

386 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 97, ნაწილი 1.
387 წესი 119.
388 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15, ნაწილი 3.
389 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, პარაგრაფი 119, CPT/Inf (2015) ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf [ბოლოს ნანახია: 22.02.2017].

მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია თითოეული ბრალდებული უზრუნველყოფილი იყოს არანაკლებ 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით. მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულებისთვის 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი უზრუნველყოფილი არ არის.

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულებისთვის არ არის გათვალისწინებული სარეაბილიტაციო აქტივობები. ერთადერთი აქტივობა, რითიც პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები სარგებლობენ, დღის განმავლობაში ერთსაათიანი გასეირნებაა.[390] როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, საკანში ყოფნის დროს ბრალდებულებს არ აქვთ შესაძლებლობა დაკავდნენ მათთვის საინტერესო აქტივობებით. საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წლის ანგარიშში მიუთითა, რომ ბრალდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვა დადებით გავლენას მოახდენს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა, თუმცა ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

„ევროპული ციხის წესების“ 99-ე წესის შესაბამისად, ბრალდებულებს, მსჯავრდებულების მსგავსად, უნდა ჰქონდეთ უფლება შეინარჩუნონ კონტაქტი ოჯახთან და გარე სამყაროსთან. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებში, 2015 წლის ანგარიშში საქართველოში ვიზიტის შესახებ, ყურადღება გაამახვილა პატიმრობაში მყოფი პირების უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და ხაზი გაუსვა ბრალდებულის ოჯახთან კონტაქტის მნიშვნელობას.[391]

პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს აქვს ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის და სატელეფონო ზარების განხორციელების უფლება.[392] თუ, 2016 წლის 1 იანვრამდე, ბრალდებულს ხანმოკლე პაემნით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვით, ხოლო მიმოწერისა და სატელეფონო ზარების განხორციელება გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვის საფუძველზე, 1 იანვრის შემდეგ აღნიშნული შეზღუდვები მოიხსნა. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბრალდებულს ხანმოკლე პაემნის უფლება შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, [393] ხოლო მიმოწერისა და სატელეფონო ზარების განხორციელების უფლება გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე.[394]

2016 წელს ბრალდებულებს 336 შემთხვევაში შეეზღუდათ ხანმოკლე პაემნის, სატელეფონო ზარის და მიმოწერის უფლება.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ემსახურე-

390 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14, I ნაწილი, „ზ“ პუნქტი.
391 გაეროს სპეციალური მომხსენებლის ვიზიტის ანგარიში, 6 ნოემბერი, 2015.
392 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 77, 79.
393 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 79.
394 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 79.

ბოდეს გამოძიების ინტერესებს და არ წარმოადგენდეს დამატებითი სასჯელს. შესაბამისად, პროკურორის/გამომძიებლის მიერ ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, ყოველი ამგვარი შეზღუდვა მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ გამოძიების ინტერესით და მკაფიოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

დღეს მოქმედი პატიმრობის კოდექსი არ ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას, ისარგებლოს ხანგრძლივი პაემნის უფლებით. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული შეზღუდვა დაუსაბუთებელია და წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.[395] შესაბამისად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმრობის კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, განისაზღვროს პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესი.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- გაიზარდოს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის დრო
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულთა სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვა
- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს ბრალდებულებისთვის მინიმალურ საცხოვრებელ ფართად 4 კვ.მ-ის განსაზღვრის საკითხს; წარუდგინოს მთავრობას ცვლილებები პარლამენტში ინიცირებისათვის
- უზრუნველყოს „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომლებიც დაარეგულირებენ ბრალდებულების მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის საკითხს; წარუდგინოს მთავრობას ცვლილებები პარლამენტში ინიცირებისათვის

395 ვარნასი ლიტვის წინააღმდეგ (Varnas v. Lithuania), განჩინება, 2013 წლის 9 დეკემბერი. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს არ ჰქონდა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის მეუღლე სისხლის სამართლის საქმეში არ წარმოადგენდა ბრალდებულს, არც მოწმეს და არ არსებობდა ინფორმაცია მის დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ, შესაბამისად, მომჩივნისა და მისი მეუღლის ხანგრძლივი პაემანი ხელს ვერ შეუშლიდა გამოძიების მიმდინარეობას. სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 მუხლები (დისკრიმინაციის აკრძალვა).

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და ბრალდებულებისთვის მინიმალურ საცხოვრებელ ფართად განისაზღვროს 4 კვ.მ.
- შევიდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსში და, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემანით სარგებლობის შესაძლებლობა

3.10.6. განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები[396]

გბტ პირები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან სახელმწიფოს სრული კონტროლის ქვეშ, კიდევ უფრო მაღალია დისკრიმინაციის, მათ მიმართ ძალადობრივი მოპყრობისა და სტიგმატიზაციის საფრთხეები.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან პატიმრების უსაფრთხოება და ღირსება, მათ შორის, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების დასაცავად გაატარონ სპეციალური ღონისძიებები; იზრუნონ, რომ ისინი არ გახდნენ გაუპატიურების ან სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლნი, არც პატიმრების და არც მომსახურე პერსონალის მხრიდან.[397]

სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული, დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პატიმრები, ხშირ შემთხვევაში, არ წარმოადგენენ თვით იდენტიფიცირებულ გბტ პირებს, თუმცა სხვა პატიმრების მიერ ისინი ასოცირებულნი არიან გბტ პირებთან და სწორედ ამ ნიშნით ხდება მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პატიმრებს სხვა პატიმრები, ცალკეულ შემთხვევაში კი ადმინისტრაციის თანამშრომლებიც შეურაცხმყოფელი ტერმინებით მოიხსენიებენ, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, გამოწვეულია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის აკრძალვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც განსხვავებული მოპყრობა დაკავშირებულია პატიმრობაში მყოფ პირთან. როდესაც განსხვავების მიზეზი ხდება ადამიანის პირადი ცხოვრების მეტად ინტიმური სფერო, გასაკუთრებით წონადი არგუმენტებია საჭიროა, რათა

396 აღნიშნული საკითხი ვრცლად იხილეთ სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები, გვერდი 134 http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

397 Council of Europe, Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, Marich 31, 2010, § 4;

გამართლებული იყოს ეს განსხვავებული მოპყრობა.[398] ამას გარდა, სასამართლო მიუთითებს, რომ თუ პატიმარი უნდა განცალკევდეს სხვა პატიმრებისგან, იგი უნდა მოთავსდეს ისეთ ადგილას, რომელიც შეესაბამება მის სამედიცინო საჭიროებებსა და კეთილდღეობას.[399] სახელმწიფოებს, კონვენციის მე-14 და მე-3 მუხლებიდან გამომდინარე, აკისრიათ პოზიტიური ვალდებულება, გამოიკვლიონ დისკრიმინაციული დამოკიდებულება ხომ არ უდევს საფუძვლად იმ ზომების მიღებას, რომელთა მიხედვითაც მოხდა პატიმრის სრული განცალკევება ციხის ცხოვრებიდან.[400]

სამწუხაროდ, პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილია ვითარება, როდესაც სამეურნეო ნაწილში დასაქმებული, დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პატიმრები სტიგმატიზირებულები, ციხის საერთო ცხოვრებიდან იზოლირებულები და გარიყულები არიან. ამავდროულად, არსებობს მათ მიმართ ძალადობის მაღალი რისკი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაწესებულების თანამშრომლები ანგარიშს უწევენ ციხის არაფორმალურ წესებს და ამით ავლენენ შემგუებლურ დამოკიდებულებას შექმნილი მდგომარეობისადმი.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს არაერთი რეკომენდაციით მიმართა, რომელიც ამ პრობლემების აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს, თუმცა, სამწუხაროდ არცერთი რეკომენდაცია არ შესრულებულა. მე-6[401] რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პასუხის თანახმად[402] სოციალური მიმართულებების გაძლიერება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია, ვინაიდან, სწორედ აღნიშნულ მიმართულებას შეაქვს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წვლილი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში, რაც შემდგომში აისახება რეციდივის შემცირების ფაქტებზეც. 2016 წლის განმავლობაში დაწესებულების სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ გაწეული სამუშაოების შედეგად, შესაძლებელი გახდა სამეურნეო ნაწილში დასაქმებული მსჯავრდებულების ჩართვა იმავე სარეაბილიტაციო პროგრამებში, რომლებსაც სხვა მსჯავრდებულები გადიან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დღეის მდგომარეობით ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებას უკვე შეუძლია ყველა მსჯავრდებულს ერთი და

398 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის განჩინება საქმეზე X თურქეთის წინააღმდეგ (X v. Turkey), პარ. 50; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ალექსეევი რუსეთის წინააღმდეგ (Alekseyev v. Russia), პარ. 108; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე კოზაკი პოლონეთის წინააღმდეგ (Kozak v. Poland), პარ. 83.

399 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *მარტზაკლისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* (Martzaklis and others v. Greece), პარ. 71.

400 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის განჩინება საქმეზე X თურქეთის წინააღმდეგ, (X v. Turkey), პარ. 55.

401 მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა გაძლიერდეს ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მუშაობა სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმრებთან, პატიმართა შორის მიმღებლობის გაზრდის, ასევე თვითიზოლაციისა და თვითდაზიანების პრევენციის მიზნით. მნიშვნელოვანია პატიმრებთან სპეციფიკურად ციხის იმ არაფორმალური წესების მავნე ზეგავლენის შესახებ საუბარი, რომელიც განაპირობებს პატიმართა მიმართ ძალადობას, მათ შეურაცხყოფას, სტიგმატიზირებას და გარიყვას

402 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოსაზრებები „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

იგივე სივრცე შესთავაზოს მსგავსი აქტივობების განსახორციელებლად. ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, გამოყოფილია ადგილი, სადაც უზრუნველყოფილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფსიქოლოგთან შეხვედრის კონფიდენციალობა. 2016 წელს პენიტენციური დაწესებულებების ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მიერ განხორციელდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი 30 მსჯავრდებულის სხვადასხვა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით ამ კუთხით პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა არ შეცვლილა. როგორც სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღინიშნა, ციხის დაუწერელი (არაფორმალური) წესებიდან გამომდინარე, განცალკევებით მოთავსებულ, დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პატიმრებს არავითარი ფიზიკური შეხება თუ ვერბალური კომუნიკაცია არ უნდა ჰქონდეთ დანარჩენ მსჯავრდებულებთან. დამკვიდრებული წესების თანახმად, აკრძალულია მათთან საუბარი, მათ მიერ მიწოდებული ნივთის გამორთმევა, ხელის ჩამორთმევა ან რაიმე სახის მისალმება, მათ მიერ გამოყენებული ინვენტარით სარგებლობა და ზოგადად, მათთან ერთად ერთ სივრცეში ყოფნა. შესაბამისად, აღნიშნული პირები ნაკლებად ერთვებიან დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო თუ სხვა სახის ღონისძიებებში. დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ასეთი კლასიფიცირება აიხსნება უსაფრთხოების მიზნებით და მიჩნეულია, რომ ეს ერთადერთი გზაა პატიმართა ინტერესებისა და დაწესებულებაში ზოგადი რეჟიმის დასაცავად.

აღნიშნული ვითარების გამოსწორება სამინისტროს მხრიდან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. პირველ რიგში, აუცილებელია პრობლემის დროულად აღიარება და მისი მოგვარების გზების ძიება. მნიშვნელოვანია, თანმიმდევრულად გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები ციხეში არსებული არაფორმალური წესების აღმოსაფხვრელად და ციხის მართვის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დასამკვიდრებლად.

ვინაიდან გასულ წელს გაცემული რეკომენდაციებიდან არც ერთი არ შესრულებულა, გბტ პირთა უფლებების დასაცავად მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სრული სერიოზულობით მოეკიდონ აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელებას.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- შემუშავდეს სტრატეგია და სახელმძღვანელო პრინციპები რომლებიც უზრუნველყოფს გბტ პატიმრების მიმართ სექსუალური ორიენტაცი-

ისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომების პრევენციასა და დისკრიმინაციული დაყოფის აღმოფხვრას

- გატარდეს სპეციალური ღონისძიებები პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის - გბტ პირთა უფლებების, საერთაშორისო სტანდარტებისა და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებისას შესაძლო რისკების შესახებ
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის თანამშრომელთა მიმართ მათივე უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების კონტროლის გაძლიერებითა და დისციპლინური სანქციების გამოყენებით, რათა თავიდან იქნას აცილებული დაწესებულებაში მყოფი მოწყვლადი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული, მასტიგმატიზირებელი და ღირსების შემლახველი მოპყრობა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა გბტ და სამეურნეო ნაწილში დასაქმებული, დასუფთავებაზე პასუხისმგებელი სხვა პატიმრები, უსაფრთხო პირობებში, ჩართული იყვნენ დაწესებულებებში დაგეგმილ სხვადასხვა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სპორტულ, კულტურულ და სხვა ღონისძიებებში
- უზრუნველყოფილ იქნას გბტ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ჯგუფების ჩართვა სპეციალური პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა გაძლიერდეს ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მუშაობა სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმრებთან, პატიმართა შორის მიმღებლობის გაზრდის, ასევე თვითიზოლაციისა და თვითდაზიანების პრევენციის მიზნით. მნიშვნელოვანია პატიმრებთან სპეციფიკურად ციხის იმ არაფორმალური წესების მავნე ზეგავლენის შესახებ საუბარი, რომელიც განაპირობებს პატიმართა მიმართ ძალადობას, მათ შეურაცხყოფას, სტიგმატიზირებას და გარიყვას
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სასეირნო ეზოთი თანაბრად სარგებლობდეს ყველა მსჯავრდებული
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ და გბტ პატიმართა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩასართავად.

3.10.7. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ. მათთვის განსაკუთრებულ

პრობლემას წარმოადგენს ენის ბარიერი, რის გამოც პატიმართა უმრავლესობამ არაფერი იცის კანონით მინიჭებული უფლებების შესახებ. ევროპული ციხის წესების შესაბამისად, ენასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს კომპეტენტური თარჯიმნების გამოყენებით და ინფორმაციის წერილობითი ფორმით მიწოდებით იმ ენებზე, რომელზეც საუბრობენ კონკრეტულ ციხეში.[403]

მანდელას წესების შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ციხეში ხშირად გამოყენებულ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს არ ესმის არც ერთი ამ ენათაგან, უნდა უზრუნველყონ თარჯიმნის მომსახურება.[404] აღნიშნული აგრეთვე გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას დაწესებულების შინაგანაწესის, პატიმრის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ შორის, იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც პატიმარს ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციაში დაეხმარება.[405]

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 35 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. მიმდინარე წლის დეკემბრის დასასრულს მათი რიცხვი 338-ს (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 3.6%) შეადგენდა.[406]

აღსანიშნავია, რომ N8 დაწესებულებაში, სადაც 2016 წლის განმავლობაში საშუალოდ 153 უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პატიმარი იმყოფებოდა, თარჯიმნის მომსახურება წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა 8 შემთხვევაში[407]. მაშინ, როდესაც N2 დაწესებულებაში, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პატიმართა წლიური რაოდენობა შეადგენს 50 პატიმარს, თარჯიმნის მომსახურება წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა 129 შემთხვევაში.[408] აგრეთვე N5 დაწესებულებაში, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პატიმრების საშუალო რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 36 პატიმარს, თარჯიმნის მომსახურება წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა 112 შემთხვევაში. [409]

თუმცა, N9 დაწესებულებაში, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პატიმართა წლიური საშუალო რაოდენობა შეადგენს 24 პატიმარს, წლის განმავლობაში თარჯიმნის მომსახურება საერთოდ არ გამოუყენებიათ.[410]

---

403 ევროპული ციხის წესები, წესი 38.3.

404 მანდელას წესები, წესი 55.

405 მანდელას წესები, წესი 54.

406 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში დეკემბერი – 2016 წელი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/02/08/93746902cb8a5fb18b5c2f521e458623.pdf [ბოლოს ნანახია: 18.02.2017].

407 N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის წერილი MOC 617 00046221 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/273).

408 N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 17 იანვრის წერილი MOC 117 00037938 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/200).

409 N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193);

410 N9 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 18 იანვრის წერილი MOC 917 00044181 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193);

წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებებში თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკა არ არსებობს. ზოგიერთ დაწესებულებაში უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პატიმართა შედარებით დიდი რაოდენობის ყოფნის მიუხედავად, დაწესებულებაში წლის განმავლობაში გაწეული თარჯიმნის მომსახურების სიმცირე მიანიშნებს, რომ ამ დაწესებულებაში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი თარჯიმნის მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი პატიმრების კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით, კი პრობლემატურია კომუნიკაცია სამედიცინო პერსონალთან. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში იწვევენ თარჯიმანს, ძირითადად, პატიმრებს დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაცია უჭირთ.

სახალხო დამცველი მიესალმება უფლებების შესახებ ბროშურის სხვადასხვა ენაზე დაბეჭდვას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ბროშურა, მცირე რაოდენობის გამო, არ არის ხელმისაწვდომი ყველა უცხოენოვანი პატიმრისათვის. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ უცხოელ პატიმრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მსჯავრდებულები სათანადოდ არ იყვნენ ინფორმირებულები მათი უფლებების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე; უმრავლესობას არ ჰქონდა გადაცემული მათთვის გასაგებ ენაზე თარგმნილი ინფორმაცია უფლებების შესახებ.[411] დაწესებულებებში ასევე პრობლემას წარმოადგენს უცხოელების ინფორმირება მათი ვალდებულებების შესახებ. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ ამგვარი ინფორმაციის ქონა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პატიმარმა დაიცვას პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული რეჟიმი და დისციპლინა.

ევროპული ციხის წესების მიხედვით, პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და სამუშაოს ხასიათის გათვალისწინებით.[412] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, დაწესებულებებში საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებები, რის გამოც ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მენიუს შედგენის დროს რელიგიური თავისებურებები გათვალისწინებული იყოს.

ენობრივი ბარიერისა და ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების ნაკლებობის გამო, უცხოელი პატიმრები ზოგ შემთხვევაში შეიძლება უფრო მეტ იზოლაციას განიცდიდნენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ უცხოელმა პატიმრებმა მაქსიმალურად შეძლონ, განავითარონ კონტაქტი გარე სამყაროსთან. მათ შორის, ჰქონდეთ კავშირი ახლობლებთან, მეგობრებთან, საკონსულოს წარმომადგენლებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან და მოხალისეებთან. დაკავებული უცხოელისათვის სატელეფონო კავში-

411 სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წელს განხორციელებული ვიზიტები;
412 ევროპული ციხის წესები, მუხ. 22.1.

რი ზოგიერთ შემთხვევაში ახლობლებთან კონტაქტის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, გადახდისუუნარო უცხოელი პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის ხარჯები სახელმწიფოს მიერ უნდა იქნას სუბსიდირებული.[413]

მნიშვნელოვანია, რომ რესურსები მიმართული იყოს იქითკენ, რომ უცხოელ პატიმრებს შესთავაზონ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და იაფი საერთაშორისო ზარის განხორციელების შესაძლებლობა. აგრეთვე, ტელეფონით სარგებლობის უფლების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქვეყნებს შორის არსებული დროის განსხვავება.[414]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ უცხოელ პატიმრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებებში უცხოელი პატიმრები ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის კუთხით პრობლემებს აწყდებიან. პატიმრების განცხადებით, საერთაშორისო ზარების განხორციელების სიძვირიდან გამომდინარე, ისინი ხშირად ოჯახის წევრებს ვერ ესაუბრებიან. ასევე, უცხოელი პატიმრების შეფასებით, ძვირი ღირს წერილის გაგზავნა და ამანათების მიღება. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული სიშორის გამო, უცხოელი პატიმრები ფაქტობრივად მოკლებულნი არიან ახლობლებთან ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემანების განხორციელების შესაძლებლობას. ანალოგიური პრობლემები აწუხებთ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახის წევრები საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ უცხოელმა პატიმრებმა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება და წერილის გაგზავნა გონივრულ, ხელმისაწვდომ ფასად. ამასთან, გადახდისუუნარო უცხოელი პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის ხარჯები სახელმწიფოს მიერ უნდა იქნას სუბსიდირებული.

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს არა აქვს პირადი ტანსაცმელი, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით, რომელიც თავისი ფორმით ადამიანის ღირსებას არ უნდა ლახავდეს.[415] მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ უცხოელ პატიმართა გარკვეულ ნაწილს სეზონის შესაფერისი ტანსაცმლის ხელმისაწვდომობის კუთხით პრობლემები აქვს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გაირკვა, რომ უცხოელ პატიმრებს, სხვა პატიმრების მსგავსად, არ მიუწვდებათ

413 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები უცხოელი პატიმრებთან დაკავშირებით (დამტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2012 წლის 10 ოქტომბრის 1152 მინისტრთა კომიტეტის მოადგილეების შეხვედრაზე), პარ 22.1, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+(2012)+12+concerning+foreign+prisoners.pdf/a13a6dc6-facd-4aaa-9cc6-3bf875ac8b0f [ბოლოს ნანახია: 13.02.2017];

414 წამების პრევენციის ასოციაცია (APT), დაკავება ფოკუსში – სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

415 პატიმრობის კოდექსი, 22-ე მუხლის პირველი ნაწილი

ხელი დაწესებულებებში არსებულ აქტივობებზე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხული უცხოელი პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ დაწესებულებებში მათთვის არ ფუნქციონირებს რაიმე სახის სარეაბილიტაციო პროგრამები, რისი უმთავრესი მიზეზიც ენობრივი ბარიერია.

მართალია, დაწესებულებები რიგ შემთხვევებში სთავაზობენ უცხოელ პატიმრებს ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ენის შემსწავლელი კურსების სამთვიანი ან თუნდაც 6-თვიანი კურსით ენის შესწავლა შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ კურსებს სისტემატური ხასიათი არ აქვს. ზოგიერთი პატიმრის განცხადებით, სურვილის მიუხედავად, ქართული ენის შემსწავლელი კურსების გავლის შესაძლებლობა არ მიეცათ.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს უცხოელი პატიმრების სათანადო ინფორმირება მათთვის გასაგებ ენაზე
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ყველა დაწესებულებაში მოთავსებულ უცხოელ პატიმრებს გადაეცეთ მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მომზადებული ბროშურა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა პატიმრები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელმა პატიმრებმა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება და წერილის გაგზავნა გონივრულ და ხელმისაწვდომ ფასად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა გადახდისუუნარო უცხოელი პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის ხარჯები სახელმწიფოს მიერ იქნას სუბსიდირებული
- მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს უცხოელი პატიმრების სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელი პატიმრებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა.

4. მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში

4.1. შესავალი

წინამდებარე თავში მოცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პოლიციის სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. 2016 წელს მონიტორინგი ჩატარდა 58 პოლიციის სამმართველოსა და 27 დროებითი მოთავსების იზოლატორში. მონიტორინგის ვიზიტების გარდა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა რეგიონებში გამართეს შეხვედრები ადგილობრივ ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთაგანაც მიიღეს ინფორმაცია დაკავებული პირების უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, რეგიონებში არსებული სიტუაციის შესახებ. 2016 წელს სულ ექვსი ასეთი შეხვედრა გაიმართა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს პოლიციის სამმართველოებში წარმოებული დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნები და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალები, ვიზუალურად დაათვალიერეს პოლიციის სამმართველოების შენობები, გაესაუბრნენ სამმართველოს თანამშრომლებს. დროებითი მოთავსების იზოლატორში მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს იზოლატორის ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ იზოლატორის თანამშრომლებს, დაკავებულ პირებს, შეამოწმეს დაკავებულ პირთა საქმის მასალები. საქმის მასალებში არსებული საჭირო ინფორმაციის სისტემატიზებული ამოღების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფი იყენებდა სპეციალურად შემუშავებულ ანკეტას. 2016 წელს, ისევე როგორც 2015 წელს, ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ვიზიტის დღემდე იზოლატორებში შესახლებული ყველა დაკავებულის პირადი საქმე. ანკეტა ივსებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკავების გარემოებების, დაზიანების ლოკალიზაციის, რაოდენობის და ხასიათის[416] მხედველობაში მიღებით, კონკრეტული საქმე ჯგუფის მიერ საეჭვოდ მიიჩნეოდა. სულ შესწავლილ იქნა ასეთი 950 საქმე. დაზიანებების შესახებ წინასწარ შემუშავებული ანკეტის მეშვეობით ამოღებული ინფორმაცია თვისებრივად სტატისტიკური პროგრამის (SPSS) გამოყენებით გაანალიზდა. პოლიციის თანამშრომლებთან გასაუბრებისათვის სპეციალური პრევენციული ჯგუფი იყენებდა წინასწარ შემუშავებულ ინსტრუმენტს - გასაუბრების კითხვარს. ამასთან, ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია კონკრეტულ საქმეებში ადვოკატთა ჩართულობისა და ოჯახის ინფორმირების შესახებ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, საქართველოს რეგიონების მასშტაბით, მონიტორნგის ჯგუფმა 439 შემთხვევა შეისწავლა.

ანგარიშის მომზადების პროცესში ასევე გამოყენებულია 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს მთავარი პროკურორისთ-

416 ანკეტა არ ივსებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს აღენიშნებოდა მხოლოდ ნაწიბურები, ფუფხით დაფარული ან მცირე ნაკაწრები.

ვის გაგზავნილი 6 წინადადება, რომელიც შეეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებულ პირებზე განხორციელებული ძალადობის სავარაუდო ფაქტებს. ანგარიშის მომზადების პროცესში ასევე გაანალიზდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი მონაცემები და ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების სამაგიდე კვლევა.

4.2. ზოგადი მიმოხილვა

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა შემცირებულია, თუმცა გაზრდილია დაზიანებით შესახლებულ პირთა და პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევათა რიცხვი. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში, 2016 წელს იზოლატორში შესახლებულ პირთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით, დაზიანებით შესახლებულ პირთა და იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთაც პოლიციის მიმართ პრეტენზია გამოხატეს, ყველაზე მაღალია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ასევე გაზრდილია დაკავებისას ან დაკავების შემდგომ სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა.

მონიტორინგისას გამოვლინდა ტენდენცია - დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში ან გარეგნული დათვალიერების ოქმში სხეულის უფრო მეტი დაზიანებაა აღწერილი, ვიდრე დაკავების ოქმში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დაკავებისას სხეულის დათვალიერებისა და დაზიანებათა დოკუმენტირების ხარვეზებით, თუმცა ამავდროულად ჩნდება მყარი ვარაუდი, რომ დაკავებულმა დაზიანება პოლიციის კონტროლის ქვეშ მიიღო.

აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის დროს გაანალიზდა შემთხვევები, სადაც დაკავების გარემოებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიციას ძალის გამოყენება დასჭირდებოდა, თუმცა აშკარაა, რომ პოლიციის თანამშრომლები ერიდებიან დაკავების ოქმში ძალის გამოყენების შესახებ მითითებას, რაც აძლიერებს ვარაუდს, რომ მათი მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ძალის გადამეტებას და არასათანადო მოპყრობას.

სახალხო დამცველი დანანებით აღნიშნავს, რომ 2016 წლის განმავლობაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პირი ღამის საათებში, ისე რომ დიდი ალბათობით, ამის საჭიროება არ არსებობდა, პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. აღნიშნული უკიდურესად შემაშფოთებელი პრაქტიკაა, რადგან ამ დროს მაღალია პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის და ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკი. შესაბამისად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში უმოკლეს ვადაში გადაყვანა, რამდენადაც ეს უკანასკნელი შედარებით უსაფრთხო ადგილია.

სახალხო დამცველი დანანებით აღნიშნავს, რომ შენარჩუნებულია პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, საქართველოს პროკურატურა კვლავაც განაგრ-

ძობს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე გამოძიების დაწყებას სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა პირთა თანხმობის გარეშე პოლიციის ავტომობილში ან პოლიციის განყოფილებაში „გასაუბრების" მანკიერი პრაქტიკა, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა. როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული პრაქტიკის სამიზნე ძირითადად პენიტენციური დაწესებულებიდან ახალ გამოსული ან ისეთი პირები არიან, რომლებიც პოლიციის თანამშრომელთა მიერ აღიქმებიან, როგორც „რისკ-ჯგუფი" თავიანთი კრიმინალური წარსულის ან სხვა მიზეზების გამო. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არაგონივრული შეზღუდვის ხარჯზე.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში პოლიციის სამმართველოში პირთა შეყვანის დრო წინ უსწრებს მათი ფორმალური დაკავების მომენტს. ასეთ დროს, როგორც წესი, პირს იძახებენ მოწმის სახით, მის მიმართ ატარებენ გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებებს და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ აკავებენ ოფიციალურად. თუმცა, მას არც მოწმის სტატუსით მიყვანის დროს უმარტავენ საკუთარ უფლებებს, მათ შორის, უფლებას ადვოკატზე, ართმევენ პირად ნივთებს, მათ შორის, მობილურ ტელეფონს, რითაც მიზანმიმართულად უზღუდავენ ოჯახისა და ადვოკატის ინფორმირების უფლებას.

შემაშფოთებელი ტენდენციაა, რომ შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეებიდან თითქმის ნახევარ შემთხვევებში დაკავებულ პირს საერთოდ არ ჰყოლია ადვოკატი. ამას გარდა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაკავებულ პირს ჰყავდა ადვოკატი, იგი პროცესში, როგორც წესი, დაკავების მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (1-2 დღე) ერთვება.

ადვოკატზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანია იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატების რაოდენობის გაზრდა და ამ მიზნით შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა, რათა ის პირები, ვინც საკუთარი ხარჯით ვერ ახერხებენ ადვოკატით სარგებლობას, დროულად და ეფექტიანად იყვნენ ადვოკატის მომსახურებით უზრუნველყოფილნი.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცებას. ინსტრუქცია შეესაბამება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს და ეხმიანება დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევის, სამედიცინო ეთიკის დაცვისა და დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით სახალხო დამცველის მიერ გასულ წლებში გაცემულ რეკომენდაციებს, რაც მისასალმებელია. ამავდროულად, სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს ინსტრუქციის პრაქტიკაში ზუსტად და ზედმიწევნით განხორციელების

მნიშვნელობაზე. სახალხო დამცველი ასევე მოუწოდებს შსს-ს განიხილოს იზოლატორებში დასაქმებული ექიმების დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტიების შექმნა, მათი ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის გზით.

სახალხო დამცველს კვლავ გამოწვევად მიაჩნია იზოლატორში შემოსახლებული პირის პირველადი სამედიცინო შემოწმება კონფიდენციალურ გარემოში. როგორც წესი, გარეგნული დათვალიერების ოქმში დაზიანებების აღწერისას კეთდება მითითება, რომ შემოწმება ჩატარდა ექიმთან ერთად, რაც მიანიშნებს, რომ იზოლატორში შემოსახლებული პირის დათვალიერება და სამედიცინო შემოწმება ექიმმა და იზოლატორის თანამშრომელმა ერთად განახორციელეს.

დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში ვიდეოჩანაწერის შენახვის მინიმალური ვადის განსაზღვრა. შსს-ს დაქვემდებარებულ ორგანოებში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში იწერება. გადაღებული მასალა ცენტრალური მართვის ოთახში ინახება არანაკლებ 24 საათისა, ხოლო როდესაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერება შეივსება, ახალი ინფორმაცია ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებულ ინფორმაციას მისი წაშლის/განადგურების ხარჯზე, ზედ გადაეწერება. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 24 საათით ჩანაწერების შენახვა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას და, შესაბამისად, ჩანაწერების გონივრული ვადით შესანახად ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღებოდეს.

2016 წელს კვლავ პრობლემა იყო პოლიციის სამმართველოებში შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვა. ზოგიერთ რაიონულ სამმართველოებში ვიდეოკამერები არ იყო დამონტაჟებული შენობის არც გარე და არც შიდა პერიმეტრზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმ სამმართველოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სადაც ვიდეომეთვალყურეობა შიდა პერიმეტრზე ხორციელდება, კამერები ძირითადად დამონტაჟებულია შენობის შესასვლელში, ოპერატიული მორიგისთვის გამოყოფილი სივრცის წინ, რაც ვერ უზრუნველყოფს შენობის შიდა პერიმეტრის სრულ მეთვალყურეობას.

სახალხო დამცველი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შემოსული საჩივრების განხილვის 5-დღიანი ვადის დაწესებას, ასევე კონფიდენციალური საჩივრით მიმართვის მიზნით იზოლატორში მოთავსებული პირის კონვერტით უზრუნველყოფის საკითხის ნორმატიულ დონეზე დარეგულირებას.

რამდენად სათანადოდ მოეპყრობა პოლიციელი დაკავებულს, ეს დიდწილად არის დამოკიდებული პერსონალის სამუშაო პირობებსა და მათი მომზადების დონეზე. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პოლიციელები, რომლებიც სათანადო დასვენების გარეშე, ხანგრძლივი დროით მუშაობენ, შეიძლება გადაიღალონ და იმყოფებოდნენ სტრესის ქვეშ, რაც უარყოფითად აისახება მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე და შესაბამისად, ქცევაზეც.

სახალხო დამცველი მიესალმება სამართალდამცავ სტრუქტურებში მიღებული

წვევამდელების, უმცროსი ლეიტენანტების, უბნის ინსპექტორთა, დეტექტივ გამომძიებელთა და პატრულ ინსპექტორთათვის სავალდებულო სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების არსებობას. სასწავლო პროგრამების სილაბუსების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამებში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავთა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან საკითხებზე ერთჯერადი გადამზადება და სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებების სწავლებისათვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ ათვისებასა და გააზრებას. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო პროგრამისა და ტრენინგის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, შემოწმებასა და შეფასებას. ამასთანავე, სახალხო დამცველის აზრით, სპეციფიკური ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიციელთათვის ძალის გამოყენების მეთოდების სწავლებას, რათა მათ შეძლონ კონკრეტული სიტუაციის სწორი შეფასება და ძალის გამოყენების წინასწარ დამუშავებული, ადეკვატური მეთოდის გამოყენება.

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს. მიუხედავად ამისა, დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას საჭიროებს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დადებითი ცვლილებების კვალდაკვალ, 2015 წელს გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციები, სამწუხაროდ, 2016 წელსაც შენარჩუნდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემები ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ დაკავებისას ძალის გადამეტება, დაკავების შემდეგ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, დაკავებული პირის მიერ პროცედურული უფლებებით არაჯეროვნად სარგებლობა და სხეულის დაზიანებების არასრულყოფილი დოკუმენტირება კვლავ გამოწვევად რჩება პოლიციის სისტემისათვის. ამდენად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესება და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდა. აუცილებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ზემდგომი თანამდებობის პირებისგან მიიღონ მკაფიო გზავნილი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა დაუსჯელი არ დარჩება.

4.3. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობა

არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას,[417] არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[418] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა."[419]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ფიზიკური ძალის გამოყენება თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ, რომელიც აუცილებლობით არ არის განპირობებული, ამცირებს ადამიანურ ღირსებას და წარმოადგენს კონვენციის მე–3 მუხლით აღიარებული უფლების დარღვევას.[420] უფრო მეტიც, სასამართლოს შეფასებით, როდესაც სადავო შემთხვევები, მთლიანად ან ნაწილობრივ, წარმოადგენს შესაბამის ორგანოთა ექსკლუზიური ინფორმირებულობის სფეროს, როგორც ეს თავისუფლებაშეზღუდული პირების შემთხვევაშია, ჩნდება ძლიერი ეჭვები მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით და, რასაკვირველია, მტკიცების ტვირთი ეკისრება შესაბამის ორგანოებს, რათა მათ წარმოადგინონ დამაჯერებელი განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.[421]

მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის იმ პირთა საქმეებში, რომლებიც დაზიანებას იღებენ დაკავების პროცესში. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ დაკავების დროს ძალის გამოყენების პროცესი გადაჭარბებული სიმკაცრით არ ხასიათდებოდა.[422] ამასთან, პირის დაკავებისას პოლიციელებმა უნდა გამოიყენონ მინიმალური ძალა, რათა დაკავებულს არ მიაყენონ ფიზიკური ზიანი. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, პოლიციისთვის დაკისრე-

417 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება „წამება" ნიშნავს ნებიერ მოქმედებას, რომელითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშვება მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამოწვეული.

418 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 3.

419 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის N29 ზოგადი კომენტარი, CCPR/C/21/Rev.1/Add.11 (2001), 2001 წლის 31 აგვისტო, პარ. 13a, ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ენებზე, შემდეგ მისამართზე: <http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2fC%2f21%2fRev.1%2fAdd.11&Lang=en> [ბოლოს ნანახია 24.03.2017].

420 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v. Italy, N26772/95), პარ. 120.

421 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey, N21986/93), პარ. 100.

422 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „რეჰბოკი სლოვენიის წინააღმდეგ" (Rehbock v. Slovenia, N29462/95), პარ. 72.

ბული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, პოლიციელი უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[423] იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთანავე, იძულების ღონისძიების გამოყენებისას პოლიციელი უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.[424]

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლის დროს საგულისხმოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული საქმე საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი დარღვევა დაადგინა შსს წყალტუბოს პოლიციის თანამშრომლების მიერ მომჩივნის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამო და პროცედურული დარღვევა - პროკურატურის მხრიდან ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობის გამო.[425]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან სტატისტიკური ინფორმაცია გამოითხოვა. დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა, იზოლატორში შესახლებისას დაკავებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების სტატისტიკა და პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევების ოდენობა წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში[426].

N	მონაცემები წლების მიხედვით	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
1	შესახლებულ პირთა რაოდენობა	16553	17087	16416	13081
2	დაზიანებით შესახლებული პირები	7095(42,9 %)	6908(40,4 %)	5992(36,5 %)	6417 (49 %)
3	პრეტენზია პოლიციის მიმართ	111 (0,8 %)	198 (1,1 %)	168 (1 %)	193 (1,5 %)

აღსანიშნავია, რომ ცხრილში მითითებული მონაცემების თანახმად, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა 20,3 %-ით არის შემცირებული. ამასთან, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, 12,5 %-ით არის გაზრდილი დაზიანებით შესახლებულ პირთა რაოდენობა. 25 ერთეულით, 12,9 %-ით გაიზარდა პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევათა რაოდენობა, ამავდროულად, პოლიციის მიმართ პრე-

423 საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 31, პუნქტი 1.
424 საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 31, პუნქტი 4.
425 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (Dvalishvili v. Georgia N19634/07).
426 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 7 თებერვლის MIA 1 17 00306720 წერილობითი პასუხი (2017 წლის 9 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N1935/17 წერილობითი პასუხი).

ტენზიის გამოთქმის შემთხვევათა ხვედრითი წილი იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობასთან მიმართებით, 2016 წელს 1,5 %-ს შეადგენს. ანალოგიური მაჩვენებელი 2015 წელს 1 %-ს შეადგენდა. აქვე საგანგებოდ უნდა მიეთითოს იმ გარემოებაზე, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში, 2016 წელს, იზოლატორში შესახლებულ პირთა საერთო რაოდენობიდან, დაზიანებით შესახლებულ პირთა და იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთაც პრეტენზია გამოხატეს პოლიციის მიმართ, ყველაზე მაღალია.

სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა 2015 და 2016 წელს	2015	2016
დაკავებამდე	5635	6009
დაკავებისას	243	254
დაკავების შემდეგ	52	53
დაკავებამდე - დაკავებისას	47	76
დაკავებამდე - დაკავების შემდეგ	10	20
დაკავებისას - დაკავების შემდეგ	4	2
დაკავებამდე - დაკავებისას - დაკავების შემდეგ	1	3
	სულ: 5992	**სულ: 6417**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული, ზემოთ, ცხრილში მოცემული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 2015 წელს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ სხეულის დაზიანებათა მიღების შემთხვევათა საერთო რაოდენობა 357-ს შეადგენს, რაც სხეულის დაზიანების შემთხვევების საერთო რაოდენობის 5,9 %-ია. ანალოგიური მაჩვენებელი 2016 წელს 408 და შესაბამისად 6,3 %-ია. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით დაკავებისას ან დაკავების შემდგომ სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა 51 ერთეულით, 12,5 % არის გაზრდილი.

მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში სხეულის დაზიანებით შესახლებულ პირთა შესახებ. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში[427].

წელი	სულ შესახლდა	დაზიანება დაკავებამდე	დაზიანება დაკავებისას	დაზიანება დაკავების შემდგომ	არ მიუთითა	დაზიანების შემთხვევათა ჯამი
2015	6294	818 (86 %)	88 (9,2 %)	37 (3,9 %)	8 (0,8 %)	951 (100 %)
2016	5287	764 (79,3 %)	91 (9,5 %)	103 (10,7 %)	5 (0,5 %)	963 (100 %)

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2015 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში შესახლებულ ბრალდებულთა 15,1 %-ს აღენიშნებოდა დაზიანება,

427 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის 30 იანვრის MOC 3 17 00074038 წერილი.

ხოლო 2016 წელს - 18,2 %-ს. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, სხეულის დაზიანებით პენიტენციურ დაწესებულებებში შესახლების შემთხვევათა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით, 6,7 %-ით შემცირდა იმ შემთხვევათა ხვედრითი წილი, სადაც დაკავებული პირი აცხადებს, რომ სხეულის დაზიანება მიიღო დაკავებამდე. პრაქტიკულად უცვლელი დარჩა დაზიანების დაკავებისას მიღების პროცენტული შეფარდება, ხოლო, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, 6,8 %-ით გაიზარდა დაზიანების დაკავების შემდეგ მიღების ხვედრითი წილი. 2015 წელს დაზიანების დაკავების შემდგომ მიღების შესახებ უთითებდა პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებული 37, ხოლო 2016 წელს - 103 ბრალდებული. გამოდის, რომ 2016 წელს ასეთი შემთხვევების რაოდენობა 64,1 %-ით გაიზარდა, რაც საგანგაშოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხეულის დაზიანებით დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულთა მოთავსების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების ანალიზის თანახმად, 2015 წელს სხეულის დაზიანების დაკავების შემდგომ მიღების შემთხვევათა საერთო რაოდენობა 67-ს, ხოლო 2016 წელს - 78-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მონაცემები 2016 წელს 14,1 %-ით გაიზარდა. რაც შეეხება ასეთი შემთხვევების ხვედრით წილს სხეულის დაზიანებით დაკავებულის იზოლატორში შესახლების შემთხვევათა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, 2015 წელს ეს მონაცემი 1,1 %, ხოლო 2016 წელს - 1,2 %-ია. აშკარაა, რომ ეს მონაცემები რამდენჯერმე ნაკლებია ანალოგიურ მონაცემებზე, რომელიც შეეხება პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებით შესახლებულ ბრალდებულებს. თვალშისაცემია ის გარემოება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2016 წელს სულ 78 დაკავებულმა (სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით), მათივე განმარტებით, დაზიანება მიიღო დაკავების შემდგომ, მაშინ, როცა პენიტენციურ დაწესებულებებში შესახლებული 103 ბრალდებული აცხადებდა სხეულის დაზიანების დაკავების შემდეგ მიღების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის დროს შესწავლილი საქმეების ანალიზის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დაზიანებების შემთხვევები დროებითი იზოლატორების მიხედვით, იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

N	იზოლატორი	დაკავებული მონიტორინგის დროისთვის	ანკეტების[428] რაოდენობა	მონიტორინგის ჩატარების დრო
1.	კახეთის რეგ. დმი (თელავი)	224	47 (21 %)	07.2016
2.	საგარეჯოს დმი	92	30 (32,6 %)	07.2016
3.	სიღნაღის დმი	96	13 (13,5 %)	07.2016
4.	ყვარლის დმი	194	53 (27,3 %)	07.2016
5.	იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგ. დმი (ქუთაისი)	92	36 (39,1 %)	06.2016

428 საქმის მასალებში არსებული საჭირო ინფორმაციის სისტემატიზებული ამოღების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფი ინფორმაციის დასაფიქსირებლად სპეციალურად შემუშავებულ ანკეტას იყენებდა.

6.	ზესტაფონის დმი	124	16 (12,9 %)	09.2016
7.	ბაღდათის დმი	141	22 (15,6 %)	09.2016
8.	ჭიათურის დმი	71	13 (18,3 %)	09.2016
9.	სამტრედიის დმი	169	34 (20,1 %)	09.2016
10.	ამბროლაურის დმი	31	4 (12,9 %)	09.2016
11.	სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგ. დმი (ზუგდიდი)	183	15 (8,2 %)	08.2016
12.	ზუგდიდის დმი	125	7 (5,6 %)	08.2016
13.	სენაკის დმი	187	12 (6,4 %)	08.2016
14.	ფოთის დმი	161	17 (10,5 %)	08.2016
15.	ხობის დმი	126	14 (11,1 %)	08.2016
16.	ჩხოროწყუს დმი	126	7 (5,5 %)	08.2016
17.	მესტიის დმი	13	2 (15, 4 %)	08.2016
18.	აჭარის და გურიის რეგ. დმი (ბათუმი)	1381	162 (11,7 %)	12.2016
19.	ქობულეთის დმი	284	22 (7,7 %)	11.2016
20.	ოზურგეთის დმი	110	22 (20 %)	11.2016
21.	ლანჩხუთის დმი	28	2 (7,1 %)	11.2016
22.	ბორჯომის დმი	49	13 (28,3 %)	10.2016
23.	ახალციხის დმი	155	14 (9 %)	10.2016
24.	თბილისის N1 დმი	279	23 (8,2 %)	05.2016
25.	თბილისის N2 დმი	2774	349 (12,6 %)	07.2016

ზემოთ მოცემული ცხრილის ანალიზის თანახმად, იმ იზოლატორებიდან, სადაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ საყურადღებოდ მიჩნეული და ანკეტების საშუალებით დოკუმენტირებული შემთხვევების ხვედრითი წილი ვიზიტის დროისთვის იზოლატორში მოთავსებულ პირთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით 20 %-ზე ნაკლები არ არის, ყველაზე მეტი საყურადღებო შემთხვევა გამოვლინდა იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქუთაისი) (39,1 %), შემდეგ მოდის საგარეჯოს (32,6 %), ბორჯომის (28,3 %), ყვარლის (27,3 %), კახეთის რეგიონული (თელავი) (21 %), სამტრედიის (20,1 %) და ოზურგეთის (20 %) დროებითი მოთავსების იზოლატორები.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა დინამიკა 2015 წელთან შედარებით. 2015 და 2016 წელს რეგიონებში ჩატარებული მონიტორინგის დროს გამოკვეთილი საყურადღებო შემთხვევების პროცენტული შეფარდების შედარება იზოლატორების მიხედვით, იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

N	იზოლატორი	2015 წელი	2016 წელი
1.	კახეთის რეგ.დმი (თელავი)	14,7 %	21 %
2.	საგარეჯოს დმი	15,8 %	32,6 %
3.	სიღნაღის დმი	4,8 %	13,5 %
4.	ყვარლის დმი	9,7 %	27,3 %
5.	იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგ. დმი (ქუთაისი)	15 %	39,1 %
6.	ზესტაფონის დმი	10 %	12,9 %
7.	ბაღდათის დმი	11,3 %	15,6 %
8.	ჭიათურის დმი	22,8 %	18,3 %
9.	სამტრედიის დმი	12,6 %	20,1 %
10.	სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგ. დმი (ზუგდიდი)	11 %	8,2 %
11.	ზუგდიდის დმი	8,6 %	5,6 %
12.	სენაკის დმი	6,7 %	6,4 %
13.	ფოთის დმი	9,9 %	10,5 %
14.	ხობის დმი	10,8 %	11,1 %
15.	ჩხოროწყუს დმი	9 %	5,5 %
16.	აჭარის და გურიის რეგ. დმი (ბათუმი)	10,4 %	11,7 %
17.	ქობულეთის დმი	16,9 %	7,7 %
18.	ოზურგეთის დმი	16,9 %	20 %
19.	ლანჩხუთის დმი	0	7,1 %
20.	ბორჯომის დმი	39,7 %	28,3 %
21.	ახალციხის დმი	23,9 %	9 %
22.	ახალქალაქის დმი	5,3 %	0

ზემოთ მოცემული ცხრილის ანალიზის საფუძველზე, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საყურადღებო შემთხვევათა პროცენტული შეფარდება 2015 წელთან შედარებით 2016 წელს შემცირდა ახალციხის (14,9 %-ით), ბორჯომის[429] (11,4 %-ით), ქობულეთის (9,2 %-ით), ჭიათურის (4,5 %), ჩხოროწყუს (3,5 %-ით), ზუგდიდის (3 %-ით), სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონულ (ზუგდიდი) (2,8 %-თ) დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორში სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს საყურადღებო შემთხვევა არ გამოუვლენია.

429 2016 წლის განმავლობაში ბორჯომის პოლიციის მიერ დაკავებული პირები ასევე თავსდებოდნენ ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო 2016 წლის სექტემბრიდან ბორჯომის იზოლატორი დაიხურა, ამასთან, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს 2016 წელს ხაშურის იზოლატორში არ განუხორციელებია ვიზიტი. მხოლოდ ბორჯომის იზოლატორში შემოწმებული შემთხვევები არ იძლევა სრულ სურათს ბორჯომის პოლიციის მიერ დაკავების შემთხვევების საერთო რაოდენობიდან, რამდენი შემთხვევა იყო საყურადღებო.

საყურადღებო შემთხვევების პროცენტული შეფარდება 2016 წელს 5 %-ზე მეტით გაიზარდა იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგიონულ (ქუთაისი) (24,1 %-ით), ყვარლის (17,6 %-ით), საგარეჯოს (16,8 %-ით), სიღნაღის (8,7 %-ით), სამტრედიის (7,5 %-ით), ლანჩხუთის (7,1 %-ით) და კახეთის რეგიონულ (თელავი) (6,3 %-ით) დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

კვლევის ფარგლებში ერთმანეთს შეედარა 5 რეგიონში 2015 და 2016 წელს არსებული მდგომარეობა. მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში. [430]

რეგიონი	2015	2016
სამეგრელო, ზემო სვანეთი	9,1 %	8 %
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	14,2 %	19,9 %
კახეთი	11,9 %	23,6 %
გურია	15,4 %	17,4
აჭარა[430]	11,2 %	11 %
	სულ: 11,7 %	**სულ**: 13,9 %

ზემოთ, ცხრილში მითითებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2015 და 2016 წელს მდგომარეობა პრაქტიკულად იგივეა აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო საყურადღებო შემთხვევების რაოდენობის ზრდის ტენდენცია იკვეთება კახეთის (11,7 %-ით), იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის (5,7 %-ით), ასევე გურიის (2 %-ით) რეგიონში. ჯამში, ამ 5 რეგიონში საყურადღებო შემთხვევათა რაოდენობის პროცენტული შეფარდება გაზრდილია 2,2 %-ით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2016 წელს საყურადღებო შემთხვევათა რაოდენობა კახეთის, ასევე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ორ იზოლატორში დოკუმენტირებული შემთხვევების ანალიზის თანახმად, 2016 წელს შესწავლილ საქმეთა 8,9 % მიიჩნია სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა საყურადღებოდ, რაც, პრაქტიკულად, სამეგრელო-ზემო სვანეთის ანალოგიური მონაცემების ტოლია, მაგრამ ამავდროულად დაბალია სხვა რეგიონებთან შედარებით.

საქართველოს რეგიონების მასშტაბით შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაკავების ოქმში 391 (68,7 %) შემთხვევაში (2015 წელი - 419 (58,5 %)) არის სხეულის დაზიანების შესახებ მითითება, ხოლო გარეგნული დათვალიერების ოქმში - 569 (2015 წელი - 716) შემთხვევაში. შესაბამისად, 178 (31,3 %) (2015 წელი - 297 (41,5 %)) შემთხვევაში დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში. ანალოგიურად, თბილისის იზოლატორებში გარეგნული დათვალიერე-

430 2016 წლის განმავლობაში ბორჯომის პოლიციის მიერ დაკავებული პირები ასევე თავსდებოდნენ ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო 2016 წლის სექტემბრიდან ბორჯომის იზოლატორი დაიხურა, ამასთან, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს 2016 წელს ხაშურის იზოლატორში არ განუხორციელებია ვიზიტი. მხოლოდ ბორჯომის იზოლატორში შემოწმებული შემთხვევები არ იძლევა სრულ სურათს ბორჯომის პოლიციის მიერ დაკავების შემთხვევების საერთო რაოდენობიდან, რამდენი შემთხვევა იყო საყურადღებო. ამდენად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მონაცემები ცხრილში არ შეგვიტანია.

ბის ოქმში დაზიანება მითითებულია 367 შემთხვევაში, დაკავების ოქმში - 233 (63,5 %) შემთხვევაში, ხოლო ასეთ მითითებას არ შეიცავს 134 (36,5 %) დაკავების ოქმი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დაკავებისას სხეულის დათვალიერებისა და დაზიანებათა დოკუმენტირების ხარვეზებით, თუმცა ამავდროულად ჩნდება მყარი ვარაუდი, რომ დაკავებულმა დაზიანება პოლიციის კონტროლის ქვეშ მიიღო. ანალოგიურად, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს რეგიონებში შესწავლილ 232 (40,8 %) (2015 წელი - 418 (58,4 %)) შემთხვევაში გარეგნული დათვალიერების ოქმში სხეულის უფრო მეტი დაზიანებაა აღწერილი, ვიდრე დაკავების ოქმში. რაც შეეხება თბილისს, ეს მონაცემი 145-ს (39,5 %) შეადგენს.

პოლიციის თანამშრომელთა განმარტებით, დაკავების ოქმში დაზიანების სრულყოფილად აღწერაზე უარყოფითად მოქმედებს საკმარისი განათების არარსებობა და სხეულის დათვალიერების წესი. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იყო, თუ რა გავლენას ახდენდა საკმარისი განათების არსებობა/არარსებობა დაკავების ოქმში დაზიანების აღწერაზე. დადგინდა, რომ შემთხვევათა დაახლოებით ერთ მეოთხედში (2015 წელი - ერთ მესამედში) პირი დღის შუქზე დააკავეს. ასევე გაირკვა, რომ იმ შემთხვევების ერთ მესამედში, სადაც დაზიანების შესახებ მითითებულია მხოლოდ გარეგნული დათვალიერების ოქმში, პირი ასევე დღის შუქზე იყო დაკავებული. აღსანიშნავია, რომ კვლევამ გამოავლინა საქართველოს რეგიონებში 33 (2015 წელი - 50), ხოლო თბილისში 20 შემთხვევა, როდესაც პირი დღის შუქზე დააკავეს, ხოლო თავის, სახის და თვალბუდის არეში დაზიანებები მითითებულია მხოლოდ იზოლატორის თანამშრომლების მიერ შედგენილ გარეგნული დათვალიერების ოქმში. ამ 53 შემთხვევაში, თუკი პირს დაკავებისას აღენიშნებოდა დაზიანება, ის აუცილებლად უნდა შეემჩნია დამკავებელ პოლიციელს.

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ დაზიანებათა ლოკალიზაცია. მონაცემები[431] თბილისსა და რეგიონებში მდებარე იზოლატორებში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით, იხილეთ ქვემოთ, ცხრილში:

ლოკალიზაცია	რეგიონები 2015	რეგიონები 2016	თბილისი 2016
თავის არეში	14 (1,9 %)	4 (0,7 %)	2 (0,5 %)
სახის არეში	82 (11,4 %)	48 (8,4 %)	26 (7 %)
თვალბუდის არეში	39 (5,4 %)	37 (6,5 %)	21 (5,6 %)
სხეულის სხვადასხვა ნაწილში (თავის, სახისა და თვალბუდის არის გარდა)	263 (36,7 %)	117 (20,6 %)	67 (18 %)
თავისა და სახის არეში	7 (1 %)	5 (0,9 %)	4 (1,1 %)
თავისა და თვალბუდის არეში	4 (0,5 %)	3 (0,5 %)	0
თავის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (სახის და თვალბუდის არის გარდა)	20 (2,8 %)	24 (4,2 %)	14 (3,8 %)

431 კვლევის მიზნებისთვის დაზიანებათა მდებარეობა განზოგადდა და დაჯგუფდა. ვინაიდან კვლევის განსაკუთრებულ ფოკუსს თავის, სახის და თვალბუდის არეში დაზიანება წარმოადგენდა, ეს ნაწილები ცალკე გამოიყო.

თავის, სახის და თვალბუდის არეში	2 (0,3 %)	8 (1,4 %)	3 (0,8 %)
თავისა და სახის არეში, ასევე სხეულის სხვა-დასხვა ნაწილებში	12 (1,7 %)	18 (3,2 %)	13 (3,5 %)
თავისა და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწ.	1 (0,1 %)	8 (1,4 %)	6 (1,6 %)
სახისა და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწ.	51 (7,1%)	55 (9,7 %)	37 (9,9 %)
სახისა და თვალბუდის არეში	31 (4,3 %)	35 (6,1 %)	19 (5,1 %)
სახის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწ-ილებში (თავის და თვალბუდის არის გარდა)	136 (19 %)	136 (23,9 %)	112 (30,1 %)
თვალბუდის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (თავისა და სახის არის გარდა)	41 (5,7 %)	63 (11,1 %)	40 (10,8 %)
თავის, სახის და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწილებში	13 (1,8 %)	8 (1,4 %)	3 (0,8 %)
	სულ: 716	**სულ:** 569	**სულ:** 367

ცხრილში მითითებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ თბილისში, 2016 წელს დამუშავებულ შემთხვევათა 81,7 %-ში, ხოლო რეგიონებში - 79,4 %-ში, დაკავებულ პირს დაზიანება აღენიშნება, ცალკე და სხვა ტრავმებთან ერთად, თავის, სახის და თვალბუდის მიდამოში[432], რაც რეგიონების 2015 წლის მონაცემებს 16,1 %-ით აღემატება (2015 წელი - 63,3 %), რაც საყურადღებოა.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა, მიეთითება თუ არა გარეგნული დათვალიერების ოქმში დაზიანების წარმოშობის დროის შესახებ. იხ. ქვემოთ, ცხრილი:

დაზიანების მიღების დრო	რეგიონები	თბილისი
დაკავებამდე	427 (73,9 %)	314 (84,4 %)
დაკავებისას	121 (20,9 %)	46 (12,4 %)
დაკავების შემდეგ	22 (3,8 %)	9 (2,4 %)
ჩანაწერი არ არის	8 (1,4 %)	3 (0,8 %)ს
	სულ: 578	**სულ: 372**

როგორც ცხრილის ანალიზი აჩვენებს, გარეგნული დათვალიერების ოქმში არსებული ჩანაწერის თანახმად, რეგიონებში დაკავებისას დაზიანების მიღების

432 კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2016 წელს შესწავლილი 950 შემთხვევიდან 31-ში, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე მიღებული სხეულის დაზიანებების გამო დაკავებული პირი გადაყვანილი იყო საავადმყოფოში, აქედან 10 შემთხვევაში დაკავებული პირები განმარტავდნენ, რომ დაზიანება მიიღეს დაკავებისას, ხოლო 4 შემთხვევაში - დაკავების შემდეგ. ამასთან, ხსენებული შემთხვევებიდან 3-ში, დაკავებულ პირებს, რომლებმაც, მათივე განმარტებით, დაზიანება დაკავებისას მიიღეს, პრეტენზია გააჩნიათ პოლიციის მიმართ, 3 შემთხვევაში დაკავებული პირები აცხადებენ, რომ დაზიანება მიიღეს დაკავების შემდეგ და პრეტენზიას გამოთქვამენ პოლიციის მიმართ, 1 შემთხვევაში დაკავებულ პირს პრეტენზია აქვს, მაგრამ გარეგნული დათვალიერების ოქმში არ არის მითითებული სხეულის დაზიანების მიღების დრო, ასევე 1 შემთხვევაში გარეგნული დათვალიერების ოქმში არ არის ჩანაწერი არც სხეულის დაზიანების მიღების დროის და არც პრეტენზიის არსებობა-არარსებობის შესახებ.

შესახებ მითითების შემთხვევების ხვედრითი წილი 8,5 %-ით აღემატება თბილისის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, თბილისთან შედარებით, რეგიონებში მცირედით მეტია იმ შემთხვევათა პროცენტული შეფარდება, სადაც დაკავებული პირი აცხადებს, რომ სხეულის დაზიანება დაკავების შემდგომ მიიღო.

დაზიანების მიღების დრო რეგიონებში	2015	2016
დაკავებამდე	581 (78, 5 %)	427 (73,4 %)
დაკავებისას	116 (15,7 %)	121(20,8 %)
დაკავების შემდეგ	11 (1,5 %)	22 (3,8 %)
ჩანაწერი არ არის	32 (4,3 %)	8 (2,1 %)
	სულ: 740	**სულ: 578**

ცხრილში მითითებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს გაზრდილია დაზიანებების დაკავებისას და დაკავების შემდგომ მიღების პროცენტული შეფარდება, ამასთან, მცირედით შემცირებულია იმ შემთხვევათა რაოდენობა, სადაც გარეგნული დათვალიერების ოქმში სხეულის დაზიანების მიღების დრო მითითებული არ არის.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა, რამდენ შემთხვევაში გააჩნდა დაკავებულ პირს პრეტენზია პოლიციის მიმართ დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლების მომენტისთვის და რამდენ შემთხვევაში არ იყო ჩანაწერი გარეგნული დათვალიერების ოქმში პრეტენზიის არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებით.

პრეტენზია პოლიციის მიმართ	რეგიონი 2015 წელი	რეგიონი 2016 წელი	თბილისი 2016 წელი
გააჩნია	69 (9,3 %)	87 (15 %)	24 (6,4 %)
არ გააჩნია	626 (84,6 %)	482 (83,4 %)	345 (92,8 %)
ჩანაწერი არ არის	45 (6,1 %)	9 (1,6 %)	3 (0,8 %)
	სულ: 740	**სულ:** 578	**სულ:** 372

ზემოთ მოცემული ცხრილის ანალიზიდან ირკვევა, რომ 2015 წელთან შედარებით, დაკავებულის მიერ პოლიციის მიმართ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევების პროცენტული შეფარდება 5,7 %-ით გაიზარდა, რაც საყურადღებოა. ასევე ჩანს, რომ 2016 წელს წინა წელთან შედარებით, 4,5 %-ით შემცირდა იმ შემთხვევათა რაოდენობა, სადაც გარეგნული დათვალიერების ოქმში პოლიციის მიმართ პრეტენზიის შესახებ ჩანაწერი არ არის, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს. რაც შეეხება თბილისს, აქ პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევათა პროცენტული შეფარდება 8,6 %-ით ნაკლებია რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზდა, თუ რა დროს იყო მიღებული სხეულის დაზიანებები იმ შემთხვევებში, სადაც დაკავებულ პირს

პოლიციის მიმართ პრეტენზია გააჩნდა. მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

პრეტენზია პოლიციის მიმართ 2015 და 2016 წელს	**2015**	**2016**
დაკავებამდე	8	2
დაკავებისას	90	96
დაკავების შემდეგ	34	37
დაკავებამდე-დაკავებისას	23	42
დაკავებამდე-დაკავების შემდეგ	8	12
დაკავებისას-დაკავების შემდეგ	4	2
დაკავებამდე-დაკავებისას-დაკავების შემდეგ	1	1
	სულ: 168	**სულ:** 193

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს 25 ერთეულით (12,9 %-ით) გაიზარდა დაკავებული პირის მიერ გარეგნული დათვალიერების ოქმში პოლიციის მიმართ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევათა რაოდენობა.[433] პოლიციის მიმართ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევების საყურადღებო ზრდის ტენდენცია გამოავლინა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ რეგიონებში შესწავლილი შემთხვევების ანალიზმაც. კერძოდ, 2016 წელს წინა წელთან შედარებით, პოლიციის მიმართ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევათა რაოდენობა 18 ერთეულით (20,7 %-ით) გაიზარდა.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა, თუ რამდენ დაკავებულ პირს ჰქონდა პრეტენზია პოლიციის თანამშრომელთა მიმართ და აქედან რამდენს ჰქონდა მიღებული სხეულის დაზიანება დაკავებამდე, დაკავებისას და დაკავების შემდეგ. მონაცემები იხილეთ, ქვემოთ.

დაზიანების მიღების დრო	**პრეტენზია პოლიციის მიმართ (რეგიონები)**						**ჯამი**	
	გააჩნია		არ გააჩნია		ჩანაწერი არ არის			
	2016	2015	2016	2015	2016	2015	2016	2015
დაკავებამდე	10	9	414	543	3	29	**427**	**581**
დაკავებისას	59	50	60	57	2	9	**121**	**116**

433 პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევათა ხვედრითი წილი დროებითი მოთავსების იზოლატორებში სხეულის დაზიანებით შესახლებულ პირთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, 2015 წელს 2,8 %-ს, ხოლო 2016 წელს 3 % შეადგენდა.

დაკავების შემდეგ	16	8	6	3	0	0	22	11
ჩანაწერი არ არის	2	2	2	23	4	7	8	32
ჯამი	**87**	**69**	**482**	**626**	**9**	**45**	**578**	**740**
%	**15 %**	**9,3 %**	**83,4 %**	**84,6 %**	**1,6 %**	**6,1 %**	**100 %**	**100 %**

ცხრილში მითითებული მონაცემების ანალიზის თანახმად, 2016 წელს 16 დაკავებულ პირს (2015 წელი - 8 პირი), რომელსაც პრეტენზია გააჩნია პოლიციის მიმართ, მისივე განმარტებით, სხეულის დაზიანება მიღებული აქვს დაკავების შემდგომ, ხოლო 59-ს - დაკავებისას (2015 წელი - 50 პირი). ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ 66 დაკავებულ პირს (2015 წელი - 60 პირი) დაზიანება მიღებული აქვს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ, მაგრამ მათ პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ. ამ 66 შემთხვევიდან 44 შემთხვევაში (66,7 %) დაკავებულს, ცალკე და სხვა ტრავმებთან ერთად, დაზიანებები აღენიშნებოდა თავის, სახისა და თვალბუდის არეში.[434] შესაბამისად, პოლიციის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ მითითება ნაკლებ დამაჯერებელია. სავარაუდოდ ხსენებულ შემთხვევებში სახეზეა თვითცენზურა შიშის, სტრესისა და გაურკვევლობის გამო, რადგან თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე დაშინების, ზეწოლის, შეურაცხყოფის, სხვა სახის არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია და ამ დროს პირი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფება. ასე, მაგალითად, 2016 წლის 16 აგვისტოს, სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლების საფუძველზე დაკავებულ ბ.ც.-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებისას აღენიშნებოდა ორივე თვალის არეში და მარჯვენა წარბთან სისხლნაჟღენთი, შუბლზე, ცხვირზე, ყურზე, მარცხენა წარბზე და მარცხენა ხელის ცერა თითზე ჭრილობები, მარჯვენა ბეჭზე და მარცხენა ხელის მაჯაზე ნაკაწრები, ცხვირზე და მარცხენა ბეჭზე სიწითლეები, ქვედა ტუჩზე შეშუპება. დაკავებული განმარტავდა, რომ აღნიშნული დაზიანებები მიიღო დაკავებისას, თუმცა პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა.

კოდექსი	**პრეტენზია გააჩნია**		**პრეტენზია არ გააჩნია**	
	რეგიონი	**თბილისი**	**რეგიონი**	**თბილისი**
ასკ[435]	62 (71,3 %)	8 (33,3 %)	333 (69,1 %)	133 (38,5 %)
სსკ[436]	25 (28,7 %)	16 (66,7 %)	149 (30,9 %)	212 (61,4 %)
	სულ: 87	**სულ: 24**	**სულ: 482**	**სულ: 345**

434 2016 წელს, თბილისში 33 დაკავებულ პირს, მისივე განმარტებით, დაზიანება მიღებული აქვს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ, მაგრამ მათ პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ. ამ 33 შემთხვევიდან 13 შემთხვევაში დაკავებულს, ცალკე და სხვა ტრავმებთან ერთად, დაზიანებები აღენიშნებოდა თავის, სახისა და თვალბუდის არეში.

435 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

436 სისხლის სამართლის კოდექსი.

ზემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, რომ სისხლის სამართლის წესით დაკავების შემთხვევაში დაკავებულთა 14 %-ს (თბილისში - 5,7 %) გააჩნია პრეტენზია პოლიციის მიმართ, ხოლო ადმინისტრაციული წესით დაკავების შემთხვევაში - 15,5 %-ს (თბილისში - 7 %). კროსტაბულაციის შედეგად ასევე დგინდება, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავების 400 შემთხვევიდან 77 (19,2 %) შემთხვევაში დაკავებული უთითებს დაზიანების მიღებას დაკავებისას და დაკავების შემდეგ, ხოლო სისხლის სამართლის წესით დაკავების 178 შემთხვევიდან - 56 (31,5 %) შემთხვევაში, ანუ 12,3 %-ით მეტი. მონიტორინგის პროცესში სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შეჯერებით იკვეთება ტენდენცია, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პატიმრების გარკვეული ნაწილი იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმის შევსებისას ერიდება სხეულის დაზიანების დაკავებისას ან დაკავების შემდეგ მიღების ფაქტის მითითებას, რადგან ფიქრობენ, რომ თუ ასე არ მოიქცევიან, „პოლიციას გადაიკიდებენ" და მომავალში პრობლემები შეექმნებათ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ადმინისტრაციული წესით დაკავებულები მიუთითებენ, რომ დაზიანება მიიღეს დაკავებისას ან დაკავების შემდეგ, უმეტესწილად არ ერიდებიან პოლიციის მიმართ პრეტენზიის გამოთქმას (შემთხვევათა 66,2 %), განსხვავებით სისხლის სამართლის წესით დაკავებულებისაგან (შემთხვევათა 42,8 %). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და დამატებით იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული დაკავების სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შემოწმებულ შემთხვევებში ადვოკატის მონაწილეობა იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი მაღალია, შესაბამისად, აუცილებელია ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევებში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით მუშაობის გაძლიერება.

კვლევის ფარგლებში ასევე შემოწმდა დაკავების გარემოებები. ამ შემოწმების მიზანი იყო დაგვედგინა, შესწავლილ შემთხვევებში, პირის დაკავებას ხომ არ უსწრებდა ამ პირის მხრიდან მოქალაქეების შეურაცხყოფა, მათთან ფიზიკური დაპირისპირება, ასევე პოლიციის თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა, მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა და ხომ არ გამოიყენა პოლიციამ ძალა. ქვემოთ, შესაბამისი მონაცემების მითითებით, აღნიშნული იქნება მხოლოდ ის საყურადღებო ტენდენციები, რომელიც 2015 წელთან შედარებით 2016 წელს გამოვლინდა.[437]

დაკავების ოქმებზე დაყრდნობით, კვლევა აჩვენებს, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში არ იკვეთება სხვა მოქალაქეებთან ფიზიკური დაპირისპირება და დაკავებულის მხრიდან მოქალაქეების სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამავდროულად, საყურადღებოა ის გარემოება, რომ კვლევამ რეგიონებში გამოავლინა 258 (44,3 %) შემთხვევა (2015 წელი - 171 (23,1 %) შემთხვევაში), როდესაც პოლიციის თანამშრომლები დაკავების ოქმში მათ მიმართ დაკავებულის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფაზე უთითებდნენ. გამოდის, რომ 2016 წელს ასეთ შემთხვევათა ხვედრითი წილი დამუშავებული შემთხვევების საერთო რაოდენობასთან მიმართებით თითქმის ორჯერ არის გაზრდილი. 2016 წელს

437 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 181-238, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf [ბოლოს ნანახია 23.03.2017].

ანალოგიური მაჩვენებელი თბილისში[438] რეგიონების მაჩვენებელზე 12,9 %-ით ნაკლებია.

რეგიონებში პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის და პოლიციის თანამშრომლისათვის წინააღმდეგობის გაწევის 384 (66,4 %) შემთხვევიდან (2015 წელი - 227 (30,7 %) შემთხვევა), დაკავების ოქმის თანახმად, პოლიციის თანამშრომელს დაკავებულმა სიტყვიერი შეურაცხყოფა 241 შემთხვევაში (2015 წელი - 74 შემთხვევაში) მიაყენა. რაც შეეხება თბილისს, 2016 წელს დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის 225 (60,5 %) შემთხვევიდან 110 შემთხვევაში, დაკავების ოქმის თანახმად, დაკავებულმა პოლიციის თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.[439] ამ შემთხვევებში პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების და შესაბამისად, ძალის გადამეტების ალბათობაც მაღალია. აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დროს ინტერვიუირებული პოლიციელები მწვავედ განიცდიდნენ იმ ფაქტს, რომ სამართალდამრღვევები მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ დედის გინება ქართველი კაცისთვის ძნელი ასატანია, მათ ამ ყველაფრის თმენა უწევდათ.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა, პოლიციის თანამშრომლების შეურაცხყოფის შემთხვევებში, სხეულის რა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა დაკავებულ პირს. თბილისში, 2016 წელს დამუშავებულ შემთხვევათა 81,7 %-ში, ხოლო რეგიონებში - 79,4 %-ში, დაკავებულ პირს დაზიანება აღენიშნება, ცალკე და სხვა სტრავმებთან ერთად, თავის, სახის და თვალბუდის მიდამოში, რაც რეგიონების შემთხვევაში 2015 წლის მონაცემებს (63,3 %) 16,1 %-ით აღემატება და საყურადღებოა.

საქართველოს რეგიონებში შესწავლილი 578 საქმის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის შესახებ დაკავების ოქმში მითითების 384 შემთხვევიდან 6 შემთხვევაში (2015 წელი - 3 (1,3 %) შემთხვევაში) სრულად არის აღწერილი, თუ რაში გამოიხატა დაუმორჩილებლობა/წინააღმდეგობის გაწევა, 199 (51,8 %) შემთხვევაში (2015 წელი - 4 (1,8 %) შემთხვევაში) ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას, შემთხვევათა 46,9 %-ში (2015 წელი - 96,9 %) პოლიციის თანამშრომლები ამას არ განმარტავენ. რაც შეეხება თბილისს, დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის მხოლოდ 1 (0,4 %) შემთხვევაში არის სრულყოფილი აღწერა, 126 (56 %) შემთხვევაში - ნაწილობრივი, ხოლო 98 (43,6 %) შემთხვევაში დაკავების ოქმი ასეთ აღწერას საერთოდ არ შეიცავს.

რეგიონებში დამუშავებული 578 შემთხვევიდან ძალის გამოყენების ფაქტის შესახებ მითითებულია მხოლოდ 33 (5,7 %) შემთხვევაში (2015 წელი - 46 (6,2 %) შემთხვევაში), თბილისში კი 372 შემთხვევიდან - 16 შემთხვევაში. ძალის გამოყენების შესახებ მითითების 33 შემთხვევიდან, დაკავების ოქმში ძალის გამოყენების მეთოდი სრულად აღწერილია მხოლოდ 2 შემთხვევაში (6,1 %) (2015 წელი

438 თბილისში - 117 შემთხვევა (31,4 %).

439 დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევების პროცენტული შეფარდება რეგიონებში და თბილისში თითქმის ტოლია, ხოლო დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის შემთხვევათა საერთო რაოდენობაში სიტყვიერი შეურაცხყოფის ხვედრითი წილი რეგიონებში (62,8 %) თბილისში ანალოგიურ მაჩვენებელს (48,9 %) 13,9 %-ით აღემატება.

- 4,3 %), 10 შემთხვევაში (30,3 %) (2015 წელი - 6,5 %) ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას, ხოლო 21 შემთხვევაში (63,6 %) (2015 წელი - 89,2 %) ოქმში არაფერია ნათქვამი ძალის გამოყენების მეთოდის შესახებ. რაც შეეხება თბილისს, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ძალის გამოყენების მეთოდი ნაწილობრივ აღწერილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის დროს გაანალიზდა შემთხვევები, სადაც დაკავების გარემოებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიციას ძალის გამოყენება დასჭირდებოდა. დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის 384 შემთხვევიდან კვლევამ 344 (89,6 %) ასეთი შემთხვევა გამოავლინა. ამის საპირისპიროდ კი, პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების ოქმში ძალის გამოყენების შესახებ მხოლოდ 33 შემთხვევაში მიუთითეს. ანალოგიურად, თბილისში დამუშავებული ანკეტების ანალიზის თანახმად, დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის 224 შემთხვევიდან 203 (90,6 %) შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლებს ძალის გამოყენება მაღალი ალბათობით დასჭირდებოდათ, ხოლო მათ კი მხოლოდ 16 შემთხვევაში მიუთითეს ძალის გამოყენების შესახებ. აშკარაა, რომ პოლიციის თანამშრომლები ერიდებიან დაკავების ოქმში ძალის გამოყენების შესახებ მითითებას, რაც აძლიერებს ვარაუდს, რომ მათი მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ძალის გადამეტებას და არასათანადო მოპყრობას.

კვლევის ფარგლებში, თბილისში დოკუმენტირებული 372 შემთხვევის გენდერულ ჭრილში ანალიზით დადგინდა, რომ დაზიანება 10 დაკავებულ ქალს აღენიშნებოდა. მათგან 2 დაკავებული ქალი აღნიშნავდა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას. ამ 2 შემთხვევიდან ერთ-ერთში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაკავებულ ქალს პოლიციის მიმართ ჰქონდა პრეტენზია. დაკავებულს დაზიანება აღენიშნებოდა სახის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილში.[440] დაკავების ოქმში მითითებულია, რომ ის არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას და წინააღმდეგობა გაუწია. მიუხედავად იმისა, რომ დაკავების ოქმში არაფერია ნათქვამი დაკავებისას ძალის გამოყენების შესახებ, საქმის გარემოებები ძალის გამოყენების მაღალ ალბათობაზე მიუთითებენ. დაკავებულმა დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმის შევსებისას დამატებით განმარტა, რომ პოლიციის ორმა თანამშრომელმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, პოლიციის ავტომანქანაში ურტყამდნენ ხელებს ტანის არეში. დაკავებისას დაზიანების მიღების მეორე შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაკავებულ ქალს პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

რეგიონებში დამუშავებული 578 შემთხვევიდან 7 დაკავებულ ქალს აღენიშნებოდა სხეულის დაზიანება, აქედან 2 დაკავებულს პრეტენზია ჰქონდა პოლიციის თანამშრომლების მიმართ. ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალ-

440 თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორში 2016 წლის 20 აპრილს შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, დაკავებულს აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ექსკორიაციები, ნაკაწრები, სისხლნაჟღენთები, ჰიპერემიული უბნები სახეში და მთელ სხეულზე მცირე ზომის ერთეული ჰემატომები.

დარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაკავებული ქალი აცხადებდა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებისას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.[441] მეორე შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის შესაბამისად დაკავებული ქალი განმარტავდა, რომ სხეულის დაზიანებები დაკავებამდე მიიღო, თუმცა პრეტენზია ჰქონდა პოლიციის თანამშრომლების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების გამო.[442] ამასთან, ერთ-ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 173-ე მუხლის საფუძველზე დაკავებული ქალი უთითებდა, რომ სხეულის დაზიანებები მიღებული ჰქონდა როგორც დაკავებამდე, ასევე დაკავებისას, მაგრამ პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა. მან დამატებით განმარტა, რომ მაჯაზე არსებული დაზიანება ხელბორკილის დადების შედეგად მიიღო.[443]

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პოლიციის თანამშრომლები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ ქალების მიმართ ძალის გამოყენების საკითხს. ასევე მნიშვნელოვანია დაკავებულ ქალებთან ვერბალური კომუნიკაციის დროს პროფესიული ეთიკის განუხრელი დაცვა, რათა არ მიმართონ ისეთი ენით, რომელიც მათ მიერ დამამცირებლად აღიქმება.

2016 წელს მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე[444] და 353[1]-ე[445] მუხლის, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე[446] მუხლის გამოყენების პრაქტიკის შესწავლას.

მიღებული ოფიციალური მონაცემების თანახმად[447], 2015 წელს სისხლის სამარლის კოდექსის 353-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 162 საქმეზე; სასამართლოში განიხილეს 161 საქმე; გამამართლებელი განაჩენი დადგა 9 პირის მიმართ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი - 244 პირის მიმართ, აქედან 113 საქმეზე 187 პირის მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. 353[1] მუხლით გამოძიება დაიწყო 24 საქმეზე; 25 საქმე განიხილეს სასამართლოში; გამამართლებელი განაჩენი დადგა 2 პირის მიმართ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი - 41 პირის მიმართ, აქედან 17 საქმეზე 34 პირის მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

441 ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში 2016 წლის 1 მაისს შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის შესაბამისად, დაკავებულს შუბლის არეში აღენიშნება მცირე ზომის ჰიპერემიული უბანი.

442 გარეგნული დათვალიერების ოქმი შედგენილია 2016 წლის 5 მარტს თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

443 გარეგნული დათვალიერების ოქმი შედგენილია 2016 წლის 16 ივლისს ბაღდათის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

444 წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ.

445 პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა.

446 სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა.

447 შინაგან საქმეთა სამინისტროდან: 2015 წლის მონაცემები – 2017 წლის 6 თებერვლის N293573 წერილი; 2016 წლის მონაცემები – 2017 წლის 6 თებერვლის N293333 წერილი. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან: 2015 წლის მონაცემები – 2017 წლის 11 თებერვლის N13/9693 წერილი; 2016 წლის მონაცემები – 2017 წლის 17 იანვრის N13/3327 წერილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან: 2015 და 2016 წლის მონაცემები – 2017 წლის 3 თებერვლის Nპ-27-17,პ-28-17 წერილი.

ანალოგიურად, 2016 წელს 353-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 100 საქმეზე; დევნა დაიწყო 172 პირის მიმართ და აქედან შეწყდა 6 პირის მიმართ; სასამართლოში განიხილეს 113 საქმე; გამამართლებელი განაჩენი დადგა 10 პირის მიმართ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი - 151 პირის მიმართ, აქედან 73 საქმეზე 114 პირის მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. 353[1]-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 15 საქმეზე; დევნა დაიწყო 22 პირის მიმართ და აქედან შეწყდა 1 პირის მიმართ; 21 საქმე განიხილეს სასამართლოში; გამამართლებელი განაჩენი დადგა 7 პირის მიმართ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი - 19 პირის მიმართ, აქედან 14 საქმეზე 14 პირის მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ზემოთ მითითებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს 353-ე მუხლით გამოძიების დაწყების 62, ხოლო 353[1]-ე მუხლის საფუძველზე დაწყების 9 შემთხვევით ნაკლები იყო. მიუხედავად კლების ტენდენციისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2015 წელს 353-ე მუხლით ბრალდებულთა 96,4 %-ის, ხოლო 2016 წელს 93,8 %-ის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, აქედან 2015 წელს საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ბრალდებულთა 76,6 %-ის, ხოლო 2016 წელს - ბრალდებულთა 75,5 %-ის მიმართ. გამამართლებელი განაჩენის დადგენის უკიდურესად მცირე რაოდენობისა და ბრალდებულთა მიმართ საპროცესო შეთანხმების დადების მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე და 353[1] მუხლების ბოროტად გამოყენების მაღალი რისკი, რასაც საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში ადასტურებდნენ ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ 2016 წლის მონიტორინგის დროს გამოვლენილი ერთ-ერთი საყურადღებო შემთხვევა. კერძოდ, 2016 წლის 8 აპრილს, 19:55 საათზე, ადიგენის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში პოლიციის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის კოდექსის 353[1] მუხლის პირველი ნაწილის[448] საფუძველზე დააკავეს ლ.დ., რომელიც დაკავების ოქმის თანახმად, „პოლიციის თანამშრომლებს უწევდა ფიზიკურ წინააღმდეგობას, იგინებოდა და ილანძღებოდა უცენზურო სიტყვებით“, ასევე აღნიშნულია, რომ მას პირადი ჩხრეკა ჩაუტარდა 20:00 საათიდან 20:15 საათამდე, რომლის დროსაც პოლიციის თანამშრომლებს უწევდა ფიზიკურ წინააღმდეგობას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დაკავების ოქმში მწირი ჩანაწერებისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა პოლიციის თანამშრომლებთან და ფოკუს ჯგუფში მონაწილე ადვოკატებთან გასაუბრების შედეგად დაადგინეს, რომ ლ.დ., სისხლის სამართლის წესით დაკავებამდე, გადაყვანილი იყო ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, სადაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი არ დაუდასტურდა. პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, სწორედ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის ფაქტით აღშფოთებული ლ.დ. გინებით შევარდა ადიგენის რაიონული სამმართველოს ეზოში და ითხოვდა პოლიციის სამმართველოს უფროსთან შეხვედრას. ეზოს გავლის შემდეგ პირდაპირ მივიდა ოპერატიულ მორიგესთან და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ეს ვერსია ნაკლებად დამაჯერებელია.

448 პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მათ სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მათი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

როგორც ახალციხეში ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას გაირკვა, ამ შემთხვევის შესახებ სმენიათ და ვარაუდობენ, რომ ლ.დ.-ს მიმართ სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას და შესაძლოა ეს მის სამეწარმეო საქმიანობას უკავშირდებოდა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაკავებული კიდევ უფრო დაუცველია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის[449] საფუძველზე დაკავების შემთხვევაში. წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლე შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ძირითადად ეყრდნობა პოლიციის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებს. ამასთან, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს, როგორც წესი, არ ჰყავთ ადვოკატი და უმეტეს შემთხვევაში, ისინი ერიდებიან პოლიციის „გადაკიდებას“[450]. ასეთ პირობებში მაღალია პოლიციის თანამშრომელთა თვითნებობის რისკი. მონიტორინგის დროს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა გამოავლინა ერთი შემთხვევა, რომელიც პოლიციის თანამშრომლების თვითნებობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს გამოვლინდა ერთი შემთხვევა, რომელიც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის ბოროტად გამოყენების მაგალითია. მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლო განხილვაზე პოლიციის თანამშრომლები უთითებდნენ, რომ დაკავებული, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ზუგდიდში ილანძღებოდა და იგინებოდა, პოლიციის შემჩნევის შემდეგ კი, მიმალვა სცადა. პოლიციის თანამშრომლები მასთან მივიდნენ ვითარების გასარკვევად, თავი წარუდგინეს და საიდენტიფიკაციო დოკუმენტი მოსთხოვეს, რაზეც მოქალაქემ შეურაცხმყოფელი სიტყვებით უპასუხა და არ დაემორჩილა კანონიერ მოთხოვნას, შეეწყვიტა ლანძღვა-გინება. ოქმის შემდგენის განმარტებით, აღნიშნულმა ქმედებამ ის დააეჭვა, ხომ არ იყო იგი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ და გამოსკვლევად საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დაწესებულებაში გადაიყვანა. გამოკვლევის შედეგად მას ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარების ფაქტი არ დაუდგინდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მაინც იქნა დაკავებული ადმინისტრაციული წესით.

სასამართლო განხილვაზე პოლიციის თანამშრომლების ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები არ დადასტურებულა, ვინაიდან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა სასამართლოს წარუდგინა ვიდეოჩანაწერი, რომელიც უტყუარად ადასტურებდა აღნიშნული გარემოებების არარსებობას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პირი თავდაპირველად დაკავებული იყო 173-ე

449 სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ თბილისში და რეგიონებში შესწავლილი შემთხვევების 55,7 %-ში პირი დაკავებული იყო, ცალკე და სხვა მუხლებთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით.

450 ასე, მაგალითად, გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, 2016 წლის 17 აგვისტოს, ასკ 173-ე მუხლით დაკავებულ ზ.კ.-ს აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: მარცხენა თვალბუდის არეში ნახეთქი ჭრილობა, სისხლნაჟღენთი და შეშუპება, ცხვირზე სიწითლე, შუბლზე მარცხნივ და კეფაზე მარჯვენა მხარეს ექსკორიაციები. დაკავებულმა განმარტა, რომ აღნიშნული დაზიანებები მიიღო დაკავებისას, თუმცა პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

მუხლის საფუძველზე და მხოლოდ მოგვიანებით დაემატა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს 166-ე მუხლი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს პოლიციის თანამშრომლების თვითნებობა და მოქალაქის მიზანმიმართული, უკანონო დევნის ფაქტი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, იძულების ღონისძიების გამოყენების შემთხვევებში არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ ვარაუდს წარმოშობს ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში დაკავების ოქმი არ შეიცავს ძალის გამოყენების მეთოდის აღწერას და არ ჩანს მკაფიო კავშირი ძალის გამოყენების მეთოდსა და დაკავებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებს შორის. ამასთან, რიგ შემთხვევებში, სხეულის დაზიანებების ხასიათი და მდებარეობა არასათანადო მოპყრობის შესახებ ვარაუდს კიდევ უფრო აძლიერებს. ასე მაგალითად,[451] დაკავების ოქმის თანახმად, 2016 წლის 24 იანვარს, კ.ძ.-მ[452], ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, დაკავების დროს ხელბორკილების დადებისას გასწია წინააღმდეგობა. მის მიმართ გამოყენებულ იქნა ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები, რის გამოც პოლიციის სამმართველოს ეზოში სახით დაეცა ძირს და დაიზიანა ტუჩი და სახე. აღნიშნულ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ პოლიციის თანამშრომლები არ უთითებენ, რაში გამოიხატა კ.ძ.-ს მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა და ორთაბრძოლის რა სპეციალური ილეთები გამოიყენეს, რომლის შედეგადაც კ.ძ. სახით დაეცა ძირს. დაკავების ოქმში არსებული ჩანაწერით ვერ დგინდება, შესაძლებელი იყო თუ არა ხელბორკილების დადება დასაკავებელი პირის სხეულის დაუზიანებლად.

მონიტორინგის ფარგლებში, პოლიციის თანამშრომლებთან გასაუბრებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ დაკავებისას პროპორციული ძალის გამოყენების საკითხს. ინტერვიუს დროს პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ აეხსნათ ძალის გამოყენების მეთოდები (სპეციალური ილეთები) სტანდარტულ სიტუაციებში[453], თუმცა სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ

451 დაკავების ოქმის თანახმად, 2016 წლის 3 მაისს, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის საფუძველზე დაკავების დროს, წინააღმდეგობის გაწევის გამო ვ.ჯ.-ს მიმართ გამოყენებული იყო ძალა. ამავე ოქმის მიხედვით, დაკავებულს მარჯვენა ზედა კიდურზე, მაჯის არეში აღენიშნებოდა ექსკორაციები, ხოლო მარცხენა მკლავზე და მაჯაზე სისხლნაჟღენთები. გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად (შედგენილია კახეთის რეგიონალურ დმი-ში), დაკავებულს აღენიშნება მარჯვენა იდაყვზე ექსკორიაცია, მარცხენა წვივზე ნაკაწრი, ცხვირზე და ორივე ყურზე სიწითლე, ორივე ხელის ზედა კუნთზე სისხლნაჟღენთები, მაჯაზე ნაკაწრები და სიწითლეები, ზურგის ზედა მხარეს სისხლნაჟღენთი და ნაკაწრი, რაც, დაკავებულის განმარტებით, მიიღო დაკავებისას.

452 გარეგნული დათვალიერების ოქმი შედგენილია 2016 წლის 24 იანვარს, ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

453 ერთ-ერთ ასეთ სტანდარტულ სიტუაციას წარმოადგენს პოლიციის ავტომანქანაში დაკავებული პირის მოთავსება, რომელიც პოლიციის თანამშრომელთა განმარტებით, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემურია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ამ დროს მაღალია პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის რისკი. ასე მაგალითად, დაკავების ოქმის თანახმად, 2016 წლის 21 ივნისს, რ.ს. ქუჩაში იგინებოდა და არღვევდა წესრიგს. პოლიციის მოთხოვნას არ დაემორჩილა, გახდა აგრესიული, მიაყენა პოლიციის თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა. დაკავებისას გაწია წინააღმდეგობა, მოხდა მისი იძულებით მოთავსება პოლიციის ავტომანქანაში. დაკავების ოქმში მითითებულია, რომ დაკავებულს მარჯვენა ფეხის არეში აღენიშნება შესიება, რაც, მისი განმარტებით, გამოწვეული იყო სიარულის დროს ფეხის გადაბრუნებით. ასევე ლოყაზე ჰქონდა ნაკაწრი, რომელიც მიიღო წვერის გაპარსვის დროს. გარეგნული დათვალიერების ოქმის (შედგენილია ჩხოროწყუს დროებითი მოთავსების იზოლატორში) თანახმად კი, დაკავებულს აღენიშნება ექსკორიაცია ლოყაზე და თვალბუდის არეში, ასევე თვალბუდის არეში ჰემატომა, ჰიპერემიული უბანი, უჩივის ტკივილს კოჭის არეში.

პოლიციის თანამშრომლების მიერ აღწერილი მეთოდები მათი იმპროვიზაცია უფრო იყო და არ გამომდინარეობდა ძალის გამოყენების მეთოდების შესახებ პოლიციის თანამშრომელთა ერთიანი, სპეციალური სასწავლო პროგრამიდან. სახალხო დამცველი, გააზრებული აქვს რა, პოლიციის თანამშრომელთა მიერ შესასრულებელი სამუშაოს უკიდურესად რთული, სტრესული და სახიფათო ხასიათი, მიიჩნევს, რომ ძალის გამოყენების მეთოდების სპორადული სწავლება, ვერ უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლეთა სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. შესაბამისად, მიაჩნია, რომ ძალის გამოყენების მეთოდებში მომზადება უნდა ატარებდეს რეგულარულ ხასიათს, რათა საბოლოო ჯამში პოლიციის თანამშრომლებმა შეძლონ კონკრეტული სიტუაციის სწორი შეფასება, ძალის გამოყენების წინასწარ დამუშავებული, ადეკვატური მეთოდის გამოყენება და პირის დაკავება ამ უკანასკნელის ფიზიკური ჯანმრთელობის დაუზიანებლად ან, სადაც ეს გარდაუვალია, მინიმალური ზიანის პირობებში.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა, შესწავლილ შემთხვევებში, რამდენ ხანში მიიყვანეს პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებული პირი პოლიციის დაწესებულებაში და მთლიანობაში, რამდენი ხანი იმყოფებოდა დაკავებული პოლიციის კონტროლის ქვეშ. მონაცემები იხილეთ ქვემოთ.

პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა	რეგიონი	თბილისი
1-3 საათი	337 (59,8 %)	183 (50 %)
4-6 საათი	139 (24,6 %)	121 (33.1 %)
7-9 საათი	53 (9,4 %)	41 (11,2 %)
10-12 საათი	21 (3,7 %)	17 (4,6 %)
13-15 საათი	9 (1,6 %)	3 (0,8 %)
16-18 საათი	4 (0,7 %)	0
19 საათი	1 (0,2 %)	0
20 საათი	0	1 (0,3 %)
სულ:	**564**	**366**

რეგიონებსა და თბილისში პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა არსებითად არ განსხვავდება. რეგიონებში ცხრილში მოცემულ შემთხვევათა 31 %-ში პირი დაკავებული იყო სისხლის სამართლის წესით (აქედან 44 % დღის საათებში, ხოლო 63,6 % ღამის საათებში), ხოლო 69 %-ში - ადმინისტრაციული წესით (აქედან 18,5 % დღის საათებში, ხოლო 81,5 ღამის საათებში). თბილისში სისხლის სამართლის წესით დაკავებულთა ხვედრითი წილი შეადგენს 38,8 %-ს (აქედან 48,6 % დღის საათებში, ხოლო 51,4 % ღამის საათებში), ხოლო ადმინისტრაციული წესით - 62,2 %-ს (აქედან 18,4 % დღის საათებში, ხოლო 81,6 % ღამის საათებში).

კვლევის ფარგლებში ასევე შევისწავლეთ დაკავებული პირის უახლოეს პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის დრო. რეგიონებში, შემთხვევათა უმრავლესობაში (55,8 %) დაკავებული პოლიციის დაწესებულებაში დაკავების მომენ-

ტიდან ნახევარ საათში მიიყვანეს, შემთხვევათა დაახლოებით ერთ მეხუთედში (26,2 %) – 1 საათში, შემთხვევათა 7,3 %-ში - 2 საათში, ერთეულ შემთხვევებში, კერძოდ, 8 შემთხვევაში დაკავებიდან პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის დრო 3 საათიდან 5 საათამდე მერყეობს. რაც შეეხება თბილისს, აქაც შემთხვევათა უმრავლესობაში (52,6 %) დაკავებული პოლიციის დაწესებულებაში ნახევარ საათში მიიყვანეს, შემთხვევათა ერთ მესამედში - 1 საათში, შემთხვევათა 5,2 %-ში - 2 საათში, ხოლო 7 შემთხვევაში - 3-5 საათში.

კვლევის ფარგლებში ასევე შემოწმდა, რამდენ შემთხვევაში გაატარა დაკავებულმა ღამე[454] პოლიციის კონტროლის ქვეშ[455]. აღმოჩნდა, რომ რეგიონებში შესწავლილი შემთხვევებიდან 39 შემთხვევაში, ხოლო თბილისში 18 შემთხვევაში, დაკავებული ღამის განმავლობაში პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ამ 57 შემთხვევიდან პირი ადმინისტრაციული წესით 16, ხოლო სისხლის სამართლის წესით 41 შემთხვევაში იყო დაკავებული. სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის ცნობილი არ არის, თუ რამ განაპირობა ზემოთ მითითებულ შემთხვევებში დაკავებულთა მიერ ღამის პოლიციის კონტროლის ქვეშ გატარების საჭიროება, მაშინ, როცა შეიძლებოდა დაკავებულ პირთა მოთავსება დროებითი მოთავსების იზოლატორში. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დაკავებული პირის პოლიციის კონტროლის ქვეშ ხანგრძლივი დროით ყოფნა (მით უმეტეს ღამის საათებში) უკიდურესად სარისკო პრაქტიკაა, ვინაიდან ამ დროს მაღალია პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის და ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკი. შესაბამისად, მიაჩნია, რომ აუცილებელია დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში უმოკლეს ვადაში მოთავსება, ვინაიდან ეს უკანასკნელი შედარებით უსაფრთხო ადგილს წარმოადგენს.[456]

მონიტორინგის მიმდინარეობისას, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა, თუ რა პირობებში იმყოფებოდნენ დაკავებული პირები პოლიციის დაწესებულებაში. გასაუბრებისას პოლიციის თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ დაკავებული პირები პოლიციის თანამშრომელთა სამუშაო გარემოში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. ამის საპირისპიროდ, 2016 წლის 11 აგვისტოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა, რომლებიც შსს ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობას ათვალიერებდნენ, აღმოაჩინეს ოთახში მარტო, უმეთვალყურეოდ მყოფი ორი დაკავებული პირი. ერთი დაკავებული პირი იმყოფებოდა მორიგე თანამშრომელთა მოსასვენებელ ოთახში, ხოლო მეორე - უბნის ინსპექტორების სამუშაო ოთახში. როგორც შემდგომ შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებითა და პოლიციის თანამშრომლებთან გასაუბრებით გაირკვა, ხსენებული პირები პოლიციის თანამშრომლებ-

454 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-17 ნაწილის თანახმად, ღამედ ითვლება დრო 22:00 საათიდან 6:00 საათამდე. შესაბამისად, კვლევის მიზნებისთვის პოლიციის კონტროლის ქვეშ ღამის გატარების შემთხვევად მიჩნეული იყო შემთხვევა, როდესაც დაკავებული პირი პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 22:00 საათიდან 6:00 საათამდე პერიოდში არანაკლებ 6 საათისა.

455 ღამის საათებში (22:00 საათიდან 6:00 საათამდე) პოლიციის კონტროლის ქვეშ 6 საათზე ნაკლები დროით ყოფნის შემთხვევათა რაოდენობა: 5 საათი - 65 შემთხვევა; 4 საათი - 91 შემთხვევა; 3 საათი - 143 შემთხვევა; 2 საათი - 219 შემთხვევა; 1 საათი - 152 შემთხვევა.

456 აღნიშნულ საკითხზე საუბრობს გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში 2015 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიშში. ანგარიში ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3 [ბოლოს ნანახია 22.03.2017].

მა სისხლის სამართლის წესით 05:49 საათზე დაკაავეს, ხოლო პოლიციის სამმართველოში 07:55 საათზე მიიყვანეს. დაახლოებით 14 საათისთვის დაგეგმილი საგამოძიებო მოქმედებები დასრულებული იყო და დაკავებული პირები დროებითი მოთავსების იზოლატორში უნდა მოეთავსებინათ. მიუხედავად ამისა, ისინი იზოლატორში დაახლოებით 17 საათისთვის შეასახლეს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პრობლემურია ასევე ის გარემოება, რომ დაკავებული პირის საჩივრის შემთხვევაში შეუძლებელია ვიდეომეთვალყურეობის სისტემის საშუალებით საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება, ვინაიდან პოლიციის დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების აბსოლუტურ უმრავლესობაში სათვალთვალო კამერები[457] არ არის დამონტაჟებული იმ ადგილებში, სადაც დაკავებულ პირებს უწევთ ყოფნა. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, პროაქტიურად[458], ვიდეომეთვალყურეობის სისტემის საშუალებით გადაამოწმოს, თუ რა პირობებში იმყოფებიან დაკავებული პირები, ასევე მოწმეები და საპროცესო სტატუსის არმქონე მოქალაქეები პოლიციის სამმართველოში.

პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში მოქალაქის განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაზე მიუთითებს ახალქალაქში მომხდარი შემთხვევა. კერძოდ, 2016 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონულ სამმართველოში ვიზიტისას გაარკვიეს, რომ პოლიციის შენობაში იმყოფებოდნენ მოქალაქეები, რომლებთან დაკავშირებასაც მათი ახლობლები ვერ ახერხებდნენ (სულ 8 პიროვნება). ამასთან, ჯგუფის წევრებმა დაინახეს, რომ პოლიციის შენობიდან პოლიციის თანამშრომლებმა გამოიყვანეს რამდენიმე პირი და ავტომანქანებით წაიყვანეს.

საკითხის გარკვევის მიზნით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს სამმართველოს სამორიგეოში არსებული დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი და გაირკვა, რომ ზემოთ მითითებული მოქალაქეების დაკავების ფაქტი მითითებული არ იყო. ამის შემდგომ ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს სამმართველოს შენობა და სხვადასხვა ოთახში აღმოაჩინეს კიდევ ორი პირი, მათ შორის 1 არასრულწლოვანი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა სამმართველოს უფროსს სთხოვეს, განემარტა, თუ რის საფუძველზე და რა სტატუსით იმყოფებოდნენ

457 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „აუდიო-ვიდეო ჩანაწერები“.

458 მონიტორინგის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფი ხშირად აწყდება საეჭვო, საყურადღებო შემთხვევებს, სადაც მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული დათვალიერების ოქმში დაკავებული პირი პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზიას არ გამოხატავს, არსებობს დაკავების შემდგომ ფიზიკური ძალადობის მაღალი ალბათობა. ასე მაგალითად, 2016 წლის 8 ივლისს, დაკავების ოქმის თანახმად, გურჯაანის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში გ.ჩ., რომელიც იყო აგრესიული და აგინებდა პოლიციის თანამშრომლებს, არ დაემორჩილა ამ უკანასკნელთა კანონიერ მოთხოვნას და შენობის მე-2 სართულზე არსებულ ლითონის ბოძს მარცხენა მხრიდან შემოარტყა თავი, რითაც მიიყენა თვითდაზიანება. გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, დაკავებულს აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: მარცხენა თვალბუდის, ცხვირის და მარხენა ლოყის არეში დაჟეჟილობები და სიწითლეები, მარცხენა ყურის არეში სიწითლე, ძველი ნაწიბურები წინამხარზე, ძველი ნაწიბურები და სიწითლე მარჯვენა ლავიწის არეში. დაკავებულს პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა.

ზემოხსენებული პირები სამმართველოში, თუმცა სამმართველოს უფროსს ჯგუფის წევრებისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია და მოუწოდა მათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურისთვის მიემართათ.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მოგვიანებით გაარკვიეს, რომ პოლიციის შენობაში ასევე იმყოფებოდა ერთი მოქალაქე. აღმოჩნდა, რომ მითითებული 3 პირის გარდა, პოლიციას ფაქტობრივად დაკავებული ჰყავდა კიდევ 5 პირი, რომლებიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის სამმართველოში შესვლამდე პოლიციის თანამშრომლებმა წაიყვანეს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც ჯგუფის წევრებმა გაარკვიეს, ზემოაღნიშნული 8 პირი ფორმალურად დაკავებული არ ყოფილა და პოლიციის თანამშრომლებს ისინი მოწმის სტატუსით ჰყავდათ მიყვანილები, თუმცა მათ ფაქტობრივად შეზღუდული ჰქონდათ თავისუფალი გადაადგილების უფლება და პოლიციის თანამშრომლები არ აძლევდნენ სამმართველოს შენობის დატოვების შესაძლებლობას. ასევე, მათ ჩამორთმეული ჰქონდათ მობილური ტელეფონები და შეზღუდული ჰქონდათ ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან კონტაქტი. საგულისხმოა, რომ მითითებული 8 პირიდან 5 იყო ახალქალაქის რაიონის მცხოვრები, რომლებიც პოლიციამ 22 ოქტომბერს ღამის საათებში წაიყვანა, ხოლო, 3 პიროვნება, მათ შორის 1 არასრულწლოვანი ცხოვრობდა რუსთავში. როგორც გაირკვა, რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა 22 ოქტომბერს დილის საათებში ის ჯერ რუსთავის პოლიციის N1 განყოფილებაში წაიყვანეს და ღამის საათებში გადაიყვანეს ახალქალაქის რაიონულ სამმართველოში. აღნიშნული შემთხვევა ნათლად მიუთითებს, თუ რამდენად დაუცველია მოქალაქე პოლიციის კონტროლის ქვეშ, როგორ ხდება მოწმის ფაქტობრივი დაკავება და პოლიციის სამართლებრივი დაცვის გარანტიების უგულებელყოფის პირობებში თვითინკრიმინირება, რაც შემდგომ მათი დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის საფუძველი ხდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევების გაანალიზება. 2016 წელს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების ჩატარების წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს 6 შემთხვევაში მიმართა (2015 წელს გაიგზავნა 11 წინადადება). მოქალაქეებს სხეულის სხვადასხვა დაზიანებები აღენიშნებოდათ.[459] საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორ შემთხვევაში, არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ფიზიკურ ძალადობას, ასევე სექსუალური ძალადობის მუქარას. კიდევ ორ შემთხვევაში, სექსუალური ძალადობით დაემუქრნენ ი.ჯ.-ს და გ.ა.-ს. არასრულწლოვნებზე შესაძლო ძალადობის ორივე შემთხვევაში[460] ძალადობის მიზანს დანაშაულის ჩადენის ფაქტის აღიარება

459 ორ დაკავებულს დაუდგინდა თავის ტვინის შერყევა.

460 შსს თერჯოლის რაიონული სამმართველოდან მიღებული ოფიციალური წერილის თანახმად, ერთ-ერთ შემთხვევაში 3 არასრულწლოვანი „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შსს თერჯოლის რაიონულ სამმართველოში იდენტიფიცირების მიზნით

წარმოადგენდა.

სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნული პრობლემების და გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიეღო ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, სათანადო სწავლების, ანგარიშვალდებულების გაზრდის და მკაცრი ზედამხედველობის გზით, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად. სამწუხაროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული უარყოფითი ტენდენციები 2016 წელს შენარჩუნებულია. ამდენად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესება და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდა. აუცილებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ზემდგომი თანამდებობის პირებისგან მიიღონ მკაფიო გზავნილი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა დაუსჯელი არ დარჩება.

სახალხო დამცველი დანანებით აღნიშნავს, რომ კვლავ შენარჩუნებულია პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, საქართველოს პროკურატურა კვლავაც განაგრძობს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე გამოძიების დაწყებას სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) საფუძველზე. სახალხო დამცველი კვლავ მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას, მსგავს შემთხვევებში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 და 144^3 მუხლებით დაიწყოს.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, სათანადო სწავლების, ანგარიშვალდებულების გაზრდის და მკაცრი ზედამხედველობის გზით
- უზრუნველყოს ძალის გამოყენების მეთოდებში (სპეციალური ილეთების გამოყენებაში) პოლიციის თანამშრომელთა რეგულარული მომზადება

მიიყვანეს. აღსანიშნავია, რომ როგორც სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ შემთხვევის შესწავლისას დადასტურდა, არასრულწლოვნები პოლიციის სამმართველოში პოლიციის კონტროლის ქვეშ დაახლოებით 8 საათის (22:00 საათიდან 6:00 საათამდე) განმავლობაში იმყოფებოდნენ. ამ პერიოდში მათ არ მიეცათ შესაძლებლობა დაკავშირებოდნენ ოჯახის წევრებს.

საქართველოს მთავარ პროკურორს

- უზრუნველყოს პოლიციის მხრიდან დაკავებული პირების მიმართ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ეფექტიანი გამოძიება, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილ შესწავლას
- პოლიციის მხრიდან დაკავებულ პირთა მიმართ წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, გამოძიება დაიწყოს და ჩატარდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] და 144[3] მუხლებით.

4.4. არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ძირითადი გარანტიები

4.4.1. დაკავებულის ინფორმირება უფლებების შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5(2) მუხლის მიხედვით, ყველა დაკავებულ პირს დაკავებისთანავე, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს დაკავების საფუძვლები და მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების შინაარსი, რათა მას შეეძლოს თავისი დაკავების კანონიერების საკითხი სადავო გახადოს შესაბამის ორგანოში. ამ მუხლის შესახებ დაკავებულს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მარტივი ენით, რათა მისთვის გასაგები იყოს დაკავების საფუძვლები და წარდგენილი ბრალდება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პოზიციის თანახმად, დაკავების პირველსავე ეტაპზე დაკავებულ პირებს სისტემატურად უნდა დაურიგდეთ სტანდარტული ფორმა, რომელშიც გასაგებად იქნება აღწერილი მათი ყველა უფლება; თხოვნის საფუძველზე, მათ ხელი უნდა მოაწერონ უფლებების გაცნობის დამადასტურებელ დოკუმენტს.[461]

საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულია დაკავებული პირისათვის მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება[462], თუმცა საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა პირთა თანხმობის გარეშე პოლიციის ავტომობილში ან პოლიციის განყოფილებაში „გასაუბრების“ მანკიერი პრაქტიკა, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა.[463] საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციითაც მიმართა, შემწყდარიყო აღნიშნული პრაქტიკა, რომლის დროსაც პირს რეალურად შეზღუდული აქვს თავისუფლება.[464] მიუხედავად ამისა, როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფისათვის სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, პოლიციის თა-

461 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 16, პუნქტი 44.

462 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38(1-2); საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 245(1).

463 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 204, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

464 იქვე, გვ. 214.

ნამშრომლებისაგან გახდა ცნობილი, მოქალაქეებთან „გასაუბრების“ პრაქტიკა კვლავ გრძელდება. კერძოდ, პირს პოლიციაში იძახებენ ყოველგვარი სტატუსის გარეშე, აყოვნებენ გარკვეული ვადით (რამდენიმე საათი) და უსვამენ სხვადასხვა შეკითხვას. ამ დროს მას არ მიეწოდება ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ; მისი პოლიციის სამმართველოსა თუ განყოფილებაში შესვლისა და გამოსვლის შესახებ არ დგება არანაირი დოკუმენტი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა სტატუსით და რა მიზნით იმყოფებოდა ესა თუ ის პირი პოლიციაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს „გამოკითხვის“ ინსტიტუტს, თუმცა ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემა ხდება ნებაყოფლობით და გამოკითხვის დაწყებამდე პირს უნდა განემარტოს თავისი უფლებები.[465]

უკანონო დაკავების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახის შეზღუდვა თუ დაკავება, რომელიც პირს უზღუდავს თავისუფალ გადაადგილებას თუნდაც შედარებით მცირე პერიოდით, განიხილება თავისუფლების აღკვეთად.[466] აქედან გამომდინარე, თუკი პირი მოექცევა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ, ეს უკვე განიხილება თავისუფლების აღკვეთად და აუცილებელია მას თავიდანვე განემარტოს, თუ რა პროცედურული უფლებებით სარგებლობა შეუძლია. ამის საპირისპიროდ, ე.წ. „გასაუბრებაზე“ გამოძახებულ პირებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ რა პროცედურის ფარგლებში, რა სტატუსით და რა მიზნით არიან დაბარებულები პოლიციაში. მათ ასევე არ განემარტებათ, რა უფლებებით შეუძლიათ ისარგებლონ.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ „გასაუბრების“ სარისკო პრაქტიკა არ უზრუნველყოფს პოლიციასთან ურთიერთობისას მოქალაქის უსაფრთხოებას. ამის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ დ.ს.-ს საქმე, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. წერილში, რომელიც მისი გარდაცვალების მერე იპოვეს და სავარაუდოდ მას ეკუთვნის, პოლიციელის მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობაზეა საუბარი, ნარკოდანაშაულის გამოვლენის მიზნით. დ.ს.-ს საქმეზე სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების ჩატარებაა საჭირო, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. ამავდროულად აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ასეთი შემთხვევების მინიმალურ გამოვლინებასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და აღკვეთოს პოლიციელების მხრიდან მსგავსი მეთოდებით მუშაობა და მოქალაქეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.

როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული პრაქტიკის სამიზნე, ძირითადად, პენიტენციური დაწესებულებიდან ახალგამოსული ან, ზოგადად, ისეთი პირები არიან, რომლებიც პოლიციის თანამშრომელთა მიერ აღიქმებიან, როგორც „რისკ-ჯგუფი“ კრიმინალური წარსულის ან სხვა მიზეზების გამო. პოლიციის ზოგიერთი თანამშრომელი ამას საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მოტივით ხსნის და მიუთითებს, რომ აღნიშნულ პირებთან „გასაუბრება“ ოპ-

465 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 113(1-2).

466 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უკანონო დაკავების შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიში (2012 წლის 24 დეკემბერი) პარ. 55, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session22/A.HRC.22.44_en.pdf [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

ერატიული-სამძებრო მოქმედებების ფარგლებში ხდება და მიღებული ინფორმაცია მიეწოდება შს სამინისტროს საიდუმლო კორესპონდენციის გზით. აღნიშნული ინფორმაცია განეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას, რაზეც ხელი არ მიუწვდებათ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს. შესაბამისად, ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა, რამდენად კანონიერად მოხდა ამ პირთა დაბარება პოლიციის სამმართველოებში და რა გარემოებებში მოხდა მათგან ინფორმაციის მიღება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არაგონივრული შეზღუდვის ხარჯზე. პირის ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და პროცედურული გარანტიების უგულებელყოფით „გასაუბრებაზე" მიყვანის პრაქტიკა კი სწორედ ასეთ არაგონივრულ შეზღუდვას წარმოადგენს, რაც დაუშვებელია.

წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა მიიჩნია, რომ პირის გადაყვანა „გასაუბრებისთვის" მისი მკაფიოდ გამოხატული და თავისუფალი თანხმობის გარეშე არა მხოლოდ ზღუდავს პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, არამედ ზრდის წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკსაც.[467]

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პირის „გასაუბრებისთვის" პოლიციის ავტომობილსა თუ განყოფილებაში გადაყვანის პრაქტიკა ქმნის უკანონო დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკს. პირისათვის თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ და გასაგებად უნდა ეცნობოს უფლებების შესახებ.[468]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში პოლიციის სამმართველოში პირთა შეყვანის დრო წინ უსწრებს მათი ფორმალური დაკავების დროს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, პირს იძახებენ მოწმის სახით, მის მიმართ ატარებენ გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებებს და, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, აკავებენ ოფიციალურად. თუმცა, მოწმის სტატუსით მიყვანის დროსაც პირს არ უმარტავენ საკუთარ უფლებებს, მათ შორის, უფლებას ადვოკატზე, ართმევენ პირად ნივთებს, მათ შორის, მობილურ ტელეფონს, რითაც მიზანმიმართულად უზღუდავენ ოჯახისა და ადვოკატის ინფორმირების უფლებას. აღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ ამ პირებს უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება, რადგან სამმართველოში შემოყვანისას ისინი ოფიციალურად დაკავებული არ ყოფილან, მათთვის არ განუმარტავთ არანაირი უფლება და ამავდროულად, არ ჰქონდათ პოლიციის განყოფილების ან სამმართველოს თავისუფლად დატოვების შესაძლებლობა. სახალხო დამცველი დანანებით აღნიშნავს, რომ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის სრულ ამოქმედებამდე, გამოძიების პროცესში მოწმის და-

467 წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, 2015, პარ. 43, ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3 [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

468 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 6, პუნქტი 37.

კითხვის შესაძლებლობა პოლიციას აძლევს დაცვის მინიმალური გარანტიების არარსებობის პირობებში, ფაქტიურად თავისუფლებაშეზღუდული პირისაგან სასურველი ჩვენების მიღების განუსაზღვრელ შესაძლებლობას, რომელსაც რამდენიმე საათში შეიძლება მოჰყვეს პირის ფორმალური დაკავებაც. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში, როდესაც პირის მიერ თვითინკრიმინირების რისკი მაღალია, პრინციპულად მნიშვნელოვანია, პოლიციის მხრიდან პირს მკაფიოდ განემარტოს მისი სტატუსი და უფლება–მოვალეობების ჩამონათვალი, მათ შორის, უფლება, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ პოლიციის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებაში პირის ნებისმიერი სტატუსით მიყვანისას მას მკაფიოდ და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს მისი სტატუსი, დაწესებულებაში მიყვანის მიზანი და მისი უფლებები. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ პირის სტატუსის ყოველი ცვლილებისას (მაგ., თუკი მოწმის სტატუსით მიიყვანეს და შემდგომ ბრალდებულად ცნეს), მას ხელახლა განემარტოს შესაბამისი უფლებები და მიეცეს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან შეხვედრისას, რეგიონში მომუშავე ადვოკატები ასევე ხშირად აღნიშნავენ, რომ გამომძიებლები აქტიურად იყენებენ უბნის ინსპექტორებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით. უბნის ინსპექტორები, რომელთა მიმართაც ადგილობრივ მოსახლეობას ნდობა აქვს, ახერხებენ სახლში, პრივატულ გარემოში, ინფორმაციის შეგროვებას და, შემდგომში, ამ პირების მოწმის სახით სამმართველოში მიყვანას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევებში მოქალაქეები არ არიან ინფორმირებულები, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს უბნის ინსპექტორთან ინფორმაციის გაცვლას, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ ეს უბნის ინსპექტორის ერთ-ერთი მორიგი სტანდარტული ვიზიტია.

დამატებით, ადვოკატები საუბრობენ პირის ნარკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი უარს აცხადებს ნარკოლოგიური ტესტის ჩატარებაზე, მისი დაკავება, როგორც წესი, ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წესით.[469] რის შემდეგაც, პოლიციას მაინც გადაჰყავს პირი ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და აყოვნებს მას 12 საათამდე პერიოდით. ასეთ დროს პირი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაშია და მის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი მაღალია. გარდა ამისა, დაკავებულ პირს, როგორც წესი, არ განემარტება მისი უფლებები, მათ შორის უფლება – არ ჩააბაროს ბიოლოგიური მასალა ანალიზისთვის. დაკავებულს მიეწოდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია, თუ რა სახის ტესტირებაზე იმყოფება და როგორ ტარდება შემოწმება. შესაბამისად, დაკავებული პირები ზეწოლისა და დაშინების შედეგად წერენ ხელწერილს, თითქოსდა ისინი ნებაყოფლობით აბარებენ მასალას. გარდა ამისა, უშუალოდ ანალიზის ჩაბარების პროცესი მიმდინარეობს დამამცირებელ გარემოში.[470]

469 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე.

470 ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანისას ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების კანონიერებაზე დეტალური ინფორმაციაა სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშის შემდეგ თავში *„თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.“* ანგარიში ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf [ბოლოს ნანახია: 07.06.2017].

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იზოლატორში მოთავსებისას იზოლატორის ცვლის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა მოსამსახურე მოსათავსებელ პირს წერილობით აცნობს მის უფლებებსა და მოვალეობებს, საჩივრის შეტანის წესებს, შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე საპროცესო უფლებებს, რასაც მოსათავსებელი პირი ადასტურებს ხელმოწერით. თუ მოსათავსებელმა პირმა არ იცის სახელმწიფო ენა, აღნიშნული ინფორმაცია პირს მიეწოდება მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე. იზოლატორში მოსათავსებელ წერა-კითხვის უცოდინარ, აგრეთვე უსინათლო ან მხედველობადაქვეითებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზეპირი ფორმით, ყრუ-მუნჯს კი - შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით. იზოლატორში მოსათავსებელ არასრულწლოვან პირს ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგები ფორმით.[471]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ ყველა პირს მისთვის გასაგებ ენაზე განემარტება მისი საპროცესო უფლებები, ასევე ცალკე განემარტება იზოლატორში მისი უფლება-მოვალეობები. ამ მიზნით, იზოლატორში ინახება სხვადასხვა ენაზე თარგმნილი უფლებათა ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც გასაცნობად გადაეცემა მოთავსებულ პირს. ტექსტის გაცნობის შემდეგ, იზოლატორში მოთავსებული პირი ხელს აწერს დოკუმენტს, რომელიც ინახება მის პირად საქმესთან ერთად, ხოლო ასლი, საკანში შესანახად, გადაეცემა იზოლატორში მოთავსებულ პირს.

სპეციალური ჯგუფის წევრებმა რამდენიმე იზოლატორში დააფიქსირეს, რომ დაკავებული პირისათვის გადასაცემი უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი არასრული იყო და არ შეიცავდა იმ უფლებებს, რომლებითაც პირმა უნდა ისარგებლოს უშუალოდ იზოლატორში ყოფნის დროს. რიგ შემთხვევაში, დაკავებული პირები ამბობდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია შხაპის მიღების უფლების შესახებ, რის გამოც ვერ ისარგებლეს ამ უფლებით.

სახალხო დამცველი 2015 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ იზოლატორში მიყვანილ ყველა პირს მკაფიოდ და მისთვის გასაგებად უნდა განემარტოს არა მხოლოდ პროცესუალური უფლებები, არამედ ყველა ის უფლება და მოვალეობა, რომელიც მას უშუალოდ იზოლატორში ყოფნისას აქვს. ვინაიდან ამ უფლებების განმარტება, როგორც წესი, ხდება დაკავებულის იზოლატორში მისვლისთანავე, როდესაც პირი აღელვებულია და, შესაძლოა, სიღრმისეულად ვერ აღიქვამს თავის უფლებებს, ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ უფლებების ჩამონათვალი მას გადაეცეს საკანში შესატანადაც, რათა მან შემდგომ, შედარებით მშვიდ გარემოში, შეძლოს საკუთარი უფლება-მოვალეობების ხელახლა გაცნობა.

შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით უფლება-მოვალეობების ასლის დაკავებული პირისათვის გადაცემის ვალდებულება გაიწერა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №692 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების

471 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ, დანართი N2, მუხ.3(9-11).

იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციით“, რაც მისასალმებელია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემდგომი მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ აღნიშნული დებულების პრაქტიკაში დანერგვას მიექცევა.

4.4.2. ოჯახის ინფორმირება

გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხაზს უსვამს დაკავებული პირის მიერ ოჯახის ინფორმირების უფლების მნიშვნელობას.[472] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც მიუთითებს დაკავებული პირის მიერ თავისი დაკავების შესახებ ინფორმაციის მესამე პირთათვის დაუყოვნებლივ მიწოდების უფლებაზე. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ეს უფლება შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს პოლიციის მიერ გამოძიების წარმოების კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა, ამგვარი გამონაკლისები ნათლად უნდა განიმარტოს, მკაცრად განისაზღვროს დროში და მათი დაშვებისას შესაბამისი დაცვის გარანტიები უნდა იყოს გათვალისწინებული.[473] მოცემული უფლების მიზანია, დაკავებული პირის ოჯახი (ან მესამე მხარე) დროულად იყოს ინფორმირებული დაკავების ფაქტისა და დაკავებული პირის ადგილსამყოფელის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის დაკავებიდან არა უგვიანეს 3 საათისა, პროკურორმა ან, მისი დავალებით, გამომძიებელმა დაკავებული პირის ოჯახის წევრებს ან მესამე პირებს უნდა შეატყობინოს დაკავების შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია დაკავებული პირის უფლება, სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს.

პოლიციის მიერ ოჯახის წევრების ან ადვოკატისთვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა განსხვავებულია. ზოგიერთ შემთხვევებში, პოლიციის თანამშრომელი ბრალდებულს უფლებას აძლევს, ოჯახის წევრს მისი საკუთარი ტელეფონით დაუკავშირდეს, ან პოლიციის თანამშრომელი თავად რეკავს ბრალდებულის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და აცნობებს ოჯახს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პოლიციის რეგიონულ სამმართველოებში გამოკვლეული საქმეების ანალიზიდან დგინდება, რომ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ 56%-ში მოხდა ოჯახის ინფორმირება კანონით გათვალისწინებულ 3 საათიან ვადაში. დანარჩენ შემთხვევებში ოჯახის ინფორმირება მოხდა 3-დან 24 საათიან შუალედში, ან სამმართველომ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი ოჯახის ინფორმირების შესახებ, ან სპეციალურ პრე-

472 გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2, პარ.13, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/docs/CAT.C.GC.2.CRP.1.Rev.4_en.pdf [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

473 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 15, პუნქტი 43.

ვენციულ ჯგუფს წერილობით ეცნობა, რომ ოჯახის ინფორმირება მოხდა, მაგრამ ზუსტი დრო ჯგუფის წევრთათვის არ გახდა ცნობილი. ხოლო შესწავლილ საქმეთა 4.2%-ში საერთოდ არ/ვერ მოხდა დაკავებულის ოჯახის ინფორმირება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთათვის მინიჭებული დაცვის ფუნდამენტური გარანტიები გამყარებული იქნება, თუ თითოეული დაკავებულისთვის ცალ-ცალკე იწარმოება ერთიანი და ზედმიწევნითი ჩანაწერი, რომელშიც აისახება მისი პატიმრობის ყველა ასპექტი და მათთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები (თავისუფლების აღკვეთის დრო და საფუძვლები, როდის განემარტა უფლებები, როდის დაუკავშირდა ოჯახს/საკონსულოს, ადვოკატს და როდის მოინახულეს მათ). გარდა ამისა, ადვოკატს ხელი უნდა მიუწვდებოდეს აღნიშნულ ჩანაწერებზე.[474]

აღსანიშნავია, რომ არც პოლიციის სამმართველოში და არც დროებითი მოთავსების იზოლატორებში არ წარმოებს რეესტრი, თუ რამდენმა პირმა მოითხოვა ოჯახის ინფორმირების უფლებით სარგებლობა, რამდენმა ისარგებლა, ვინ დაუკავშირდა დაკავებული პირის ახლობლებს, რა ინფორმაცია მიაწოდა და ა.შ. შესაბამისი რეესტრის არარსებობა კი ოჯახის ინფორმირების უფლებით სარგებლობას პოლიციის კეთილ ნებაზე დამოკიდებულს ხდის, რაც ზრდის პოლიციელთა მხრიდან თვითნებობის საფრთხეს. შესაბამისად, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ოჯახის ინფორმირების ყოველი შემთხვევა იყოს დოკუმენტირებული და წარმოებდეს რაიმე სახის რეესტრი, რომელშიც ყოველი ასეთი მოთხოვნა და მასზე რეაგირება აღინიშნება.

გარდა ამისა, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან შეხვედრისას, რეგიონში მომუშავე ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებდნენ, რომ პოლიციის სამმართველოებში განზრახ ხდება დროის გაწელვა, სანამ დაკავებულის ოჯახს დაუკავშირდებიან, რადგან ოჯახის ინფორმირება იქცევა ხოლმე მანიპულაციის თემად, რისი მეშვეობითაც პოლიციის თანამშრომლები დაკავებულისაგან იღებენ სასურველ ჩვენებას, ან ატარებენ რაიმე საგამოძიებო მოქმედებას.

ოჯახის ინფორმირების უფლებით სარგებლობა პირდაპირაა დაკავშირებული დაკავებულის ადვოკატზე ხელმისაწვდომობასთან, რადგან, როგორც წესი, ადვოკატის პროცესში ჩართვას ოჯახი უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაკავებულის ოჯახს დაუყოვნებლივ ეცნობოს დაკავების ფაქტისა და დაკავებულის ადგილმდებარეობის შესახებ, რათა ოჯახმა შეძლოს ადვოკატის დროულად შერჩევა და საქმეში ჩართვა.

4.4.3. ადვოკატის ხელმისაწვდომობა

პოლიციის განყოფილებაში ადვოკატის ყოფნა დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა, განსაკუთრებით დაკავების პირველ საათებში.[475] ადვოკატი უნდა ესწრებოდეს დაკა-

474 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 7, პუნქტი 40.
475 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 13; პუნქტი 41.

ვებულის მიმართ განხორციელებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებას. ეს, ერთი მხრივ, საგრძნობლად ამცირებს არსათანადო მოპყრობის რისკს, ხოლო, მეორე მხრივ, მინიმუმამდე დაჰყავს პოლიციის წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობის შესახებ დაუსაბუთებელი ბრალდების წარდგენის ალბათობა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაკავებულის და ადვოკატის შეხვედრა მიმდინარეობდეს კონფიდენციალურად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან საუბრის მიყურადების შესაძლებლობის გარეშე. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების მიხედვით, ადვოკატის მიერ შესაბამისი დოკუმენტის (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და შესაბამისი ორდერი) წარდგენის შემთხვევაში იზოლატორში მოთავსებულ პირს უფლება აქვს, პირისპირ შეხვდეს მას ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე, იზოლატორის საგამოძიებო ოთახში, სხვა პირის დაუსწრებლად, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის განუსაზღვრელად[476]

სახალხო დამცველს აქამდეც აღუნიშნავს,[477] რომ ადვოკატის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავების მომენტიდან უმოკლეს ვადაში, რადგან დაშინების, ზეწოლის, შეურაცხყოფისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია სწორედ თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე, როდესაც პირი განსაკუთრებულად მოწყვლადია. მიუხედავად ამისა, შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ საქმეებში, სადაც დაკავებულს ჰყავდა ადვოკატი, იგი დაკავების მომენტისთანავე საქმეთა მხოლოდ 7.8%-ში ჩაერთო. როგორც წესი, ადვოკატი საქმეში ერთვება დაკავებიდან 1-2 დღის შემდეგ (შესწავლილი საქმეებიდან, რომელშიც დაკავებულს ჰყავდა ადვოკატი, 26.1%-ში ადვოკატი საქმეში ჩაერთო 24-36 საათში, ხოლო 30.6%-ში კი 36-60 საათში). შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, დაკავებული პირები, პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ადვოკატის გარეშე, რაც ზრდის მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს.

შესწავლილი საქმეების ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ დაკავების მომენტიდან საქმეში ადვოკატის ჩართვამდე, პოლიციის სამმართველოში დაკავებულის მიმართ ხორციელდებოდა სხვადასხვა საგამოძოებო მოქმედება, მაგ. დაკითხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებულია, როგორც ადმინისტრაციულ,[478] ისე სისხლის სამართლის[479] პროცესში, მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები თითქმის არასოდეს სარგებლობენ ადვოკატის დახმარებით. ხოლო სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირთა საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ დამუშავებული საქმეების 46%-ში, პირებს საერთოდ არ ჰყავდათ ადვოკატი იმ პერიოდში, როდესაც ისინი პოლიციის სრული კონტროლის ქვეშ

476 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ, დანართი N2, მუხ.8(2).

477 სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში; გვ. 208; იხ. ბმული: http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

478 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 255.

479 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38(5).

იმყოფებოდნენ ან მოთავსებულები იყვნენ დროებითი მოთავსების იზოლატორებში. შესაბამისად, ადვოკატების სისხლის სამართლის საქმეებში ჩართულობის შესახებ რეგიონებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შესწავლილი შემთხვევების 54%-ში პროცესში, სხვადასხვა ეტაპიდან ადვოკატი მონაწილეობდა. ადვოკატი საქმეში პროცესის დასაწყისი ეტაპიდანვე მხოლოდ შემთხვევების 3%-ში ჩაერთო, ბრალის წარდგენისას 27%-ში, დაკითხვისას 18%-ში, საპროცესო შეთანხმების დადებისას 3.5%-ში, ხოლო სხვა საგამოძიებო მოქმედების ეტაპზე შესწავლილი შემთხვევებისას - 2.5%-ში.

შესწავლილი საქმეებიდან, რომლებშიც დაკავებულ პირს ჰყავდა ადვოკატი პროცესის რომელიმე ეტაპზე მაინც, ცალკე დამუშავდა ადვოკატის მთლიან პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი. მიღებული შედეგებით, შემთხვევათა ყველაზე მეტ შემთხვევაში (37.1%), ადვოკატი ჩართული იყო დაკითხვისა და ბრალის წარდგენის ეტაპზე, საქმეთა 26.6%-ში - მხოლოდ ბრალის წარდგენის ეტაპზე, 13.5% შემთხვევაში - ბრალის წარდგენის, დაკითხვის და დამატებით სხვა რომელიმე საგამოძიებო მოქმედების ეტაპზე, საქმეთა 10.1%-ში ადვოკატი მხოლოდ დაკითხვის ეტაპზე იყო პროცესში ჩართული, 6.8%-ში - მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების ეტაპზე, 0.4%-ში დაკითხვის და დამატებით სხვა საგამოძიებო მოქმედების ეტაპზე, ასევე შემთხვევათა 0.4%-ში ადვოკატი ჩართული იყო ბრალის წარდგენისა და საპროცესო შეთანხმების დადების ეტაპზე, 2.5%-ში - ბრალის წარდგენისა და დამატებით სხვა საგამოძიებო მოქმედების დროს. ადვოკატი ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საგამოძიებო მოქმედების ეტაპზე მხოლოდ შესწავლილ საქმეთა 1.3%-ში იყო ჩართული, ხოლო დარჩენილი 1.3%-ის შემთხვევაში ადვოკატი წარმოდგენილი იყო ზემოთ ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედებების გარდა სხვა რომელიმე საგამოძიებო მოქმედების დროს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის[480] მიხედვით, მოთავსებული პირის უფლება ადვოკატზე მოიცავს ადვოკატთან დაკავშირებისა და ადვოკატის მიერ პირის მონახულების უფლებას. ადვოკატთან დაკავშირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს იზოლატორში მოთავსებიდან გონივრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია მოთავსებული პირის ადვოკატის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები, იზოლატორის მოსამსახურე თავად უკავშირდება მას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატის ვინაობა ან/და საკონტაქტო მონაცემები უცნობია, ადვოკატთან დაკავშირებას უზრუნველყოფს მოთავსებული პირის დამკავებელი ორგანო.[481]

რეგიონებში შესწავლილი 178 სისხლის სამართლის საქმიდან ადვოკატმა დაკავებული იზოლატორში 123 (69,1 %) შემთხვევაში მოინახულა, თბილისში კი 143 საქმიდან - 80 (55,9 %) შემთხვევაში.

საქართველოს შსს-ს ინფორმაციით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირები სრულად სარგებლობენ მათთვის კანონმდებლობით

480 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ, დანართი N2.

481 იქვე, მუხ. 8(1).

მინიჭებული უფლებით, მათ შორის, ადვოკატზე ხელმისაწვდომობის, ადეკვატური სამედიცინო მომსახურების, გასაჩივრების და სხვა უფლებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შეგროვებული და დამუშავებული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ რეგიონებში სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული პირებისათვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია. შესწავლილი საქმეებიდან თითქმის ნახევარ შემთხვევებში (46%) დაკავებულ პირს საერთოდ არ ჰყოლია ადვოკატი, რაც სახალხო დამცველის შეშფოთებას იწვევს. ამას გარდა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაკავებულ პირს ჰყავდა ადვოკატი, იგი პროცესში, როგორც წესი, ერთვება დაკავების მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

დაკავებული პირის მიერ ადვოკატის დახმარებაზე უარის თქმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯებია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება არა თუ უზრუნველყოს დაკავებული პირი ადვოკატზე ხელმისაწვდომობით, არამედ, თუკი პირის მიერ არჩეული ან სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი ვერ შეძლებს ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელებას, ჩაერიოს და უზრუნველყოს დაკავებული პირის მიერ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტურობა.[482]

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით პირისათვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ხდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე ამ კანონით დადგენილი წესით, თუ ბრალდებული, მსჯავრდებული ან/და გამართლებული პირი გადახდისუუნაროა.[483] აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ადვოკატების სისხლის სამართლის საქმეში ჩართვა ხდება სამ შემთხვევაში: (1) თუ პირი გადახდისუუნაროა; (2) თუ პირი ექვემდებარება სავალდებულო დაცვას; (3) იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის გადაწყვეტილებით საგამონაკლისო შემთხვევებში.[484]

სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს“ საქართველოს მასშტაბით აქვს 12 ბიურო (1 თბილისში და 11 ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში), სადაც სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ დასაქმებული იყო 92 საზოგადოებრივი ადვოკატი, აქედან ყველაზე მეტი - 29 ადვოკატი - თბილისის ბიუროში საქმიანობდა.[485] გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახური პირებს იურიდიულ დახმარებას უწევს მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების მეშვეობით, რომლებიც სამსახურის მუდმივ თანამშრომლებად არ განიხილებიან.

2016 წლის განმავლობაში საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართვა საჭირო გახდა 10973 შემთხვევაში, საიდანაც 9233 შემთხვევაში საქმეში იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების თანამშრომელი ადვოკატები

482 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე *გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ* (Güveç v. Turkey), N70337/01, პარ. 130-131.

483 საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხ. 5(1).

484 იქვე, მუხ. 5(3).

485 სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორის 2017 წლის 24 თებერვლის წერილი N LA91700003629, გვ. 1-2.

ჩაერთვნენ, ხოლო დარჩენილ 1740 შემთხვევაში კი საჭირო გახდა მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართვა.[486]

6800 შემთხვევაში საზოგადოებრივი ადვოკატი საქმეში ჩაერთო გამოძიების ეტაპზევე, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ერთვებოდა სასამართლოს ან განაჩენის აღსრულების ეტაპზე.[487]

იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების სწრაფი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით პირის დაკავების მომენტში, სამართლიანი სასამართლოს და კანონის უზენაესობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა. გარდა ამისა, ადვოკატის ადრეულ ეტაპზევე ჩართვა წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. სახალხო დამცველი მიესალმება საზოგადოებრივი ადვოკატების სისხლის სამართლის პროცესის პირველივე - გამოძიების - ეტაპზე მონაწილეობას, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფისათვის უცნობია, უშუალოდ გამოძიების რა სტადიაზე ხდება ადვოკატის საქმეში ჩართვა. სახალხო დამცველი კვლავ ხაზს უსვამს დაკავებული პირის მიერ დაკავების მომენტიდან უმოკლეს ვადაში ადვოკატის უფლებით სარგებლობის მნიშვნელობას, თუკი მას საკუთარი სახსრებით არ შეუძლია დაიქირავოს ადვოკატი.

სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დებულების მიხედვით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, ბიუროს უფროსი მოთხოვნისთანავე ნიშნავს ადვოკატს, ხოლო თუ საქმის გარემოებები არ მოითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღებას, ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია საქმეში ადვოკატის დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიღების მაქსიმუმ 2 დღიანი ვადა.[488]

იურიდიული დახმარების სამსახურის ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმეებში ადვოკატის დანიშვნა ხდება პრაქტიკულად დაუყოვნებლივ. ორდღიანი ვადის გამოყენება ხდება ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება და ბენეფიციარის ინტერესებს არ ადგება არსებითი ზიანი.[489] სახალხო დამცველი მიესალმება საზოგადოებრივი ადვოკატის დაუყოვნებლივ დანიშვნის დამკვიდრებულ პრაქტიკას, ვინაიდან მიაჩნია, რომ დაკავებიდან 2 დღის შემდეგ საქმეში ადვოკატის ჩართვამ შესაძლოა არსებითი ზიანი მიაყენოს დაკავებული პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

იურიდიული დახმარების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს სამსახურის ბიუჯეტის 39.6% მოხმარდა ბიუროებში დასაქმებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა შრომის ანაზღაურებას, რაც მიანიშნებს, რომ არსებული ოდენობით საზოგადოებრივი ადვოკატების მომსახურებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსია გათვალისწინებული. თუმცა სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სამომავლოდ სასურველია გაიზარდოს სამსახურის ადამიანური რესურსი.

486 იქვე, გვ. 4-5.
487 იქვე.
488 სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება, მუხ. 21.
489 სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორის 2017 წლის 24 თებერვლის წერილი N LA91700003629, გვ. 6.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის განმავლობაში საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვაზე უარის თქმის მიზეზი არასოდეს გამხდარა ადამიანური რესურსის ნაკლებობა,[490] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ, ისეთ პირობებში, როდესაც ერთ ადვოკატს წელიწადში საშუალოდ 100 სისხლის სამართლის საქმის წაყვანა უწევს, საადვოკატო მომსახურების ხარისხი და იურიდიული დახმარების ეფექტიანობა შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს, რაც არც-ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს თავად ადვოკატის პროფესიონალიზმის მიმართ კითხვის ნიშნების გაჩენას. აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების უკეთ აღსრულებისათვის მიზანშეწონილია იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატების რაოდენობის გაზრდა.

დამატებით, პრობლემურია დაკავებულის მიერ ადვოკატის მოთხოვნის ფაქტის დოკუმენტირება. როდესაც დაკავებული პირი ითხოვს ადვოკატთან დაკავშირებას, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც საოქმო ჩანაწერის ან სხვა რეგისტრირებული დოკუმენტის სახით აღწერდა ნამდვილად დააკავშირეს პირი ადვოკატს, თუ პოლიციის მხრიდან თვითნებურად ეთქვა უარი ამ უფლებით სარგებლობაზე გამოგონილი მოტივით. აღნიშნულის შესახებ სახალხო დამცველი საუბრობდა 2015 წლის ანგარიშშიც,[491] თუმცა, ამ მხრივ, მდგომარეობა არ შეცვლილა, აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ადვოკატის უფლებით სარგებლობის ყოველი მოთხოვნა უნდა იყოს დოკუმენტირებული და წარმოებდეს აღრიცხვა, რომელშიც ყოველი ასეთი მოთხოვნა და მასზე რეაგირება აღინიშნება.

4.4.4. ექიმის ხელმისაწვდომობა

პირს დაკავებისთანავე უნდა გაეწიოს აუცილებელი სამედიცინო დახმარება, რაც გულისხმობს კვალიფიციური ექიმის მომსახურებას ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მესამე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს დაკავებული ადეკვატური სამედიცინო დახმარებით.[492] დაკავებულ პირს დაკავების მომენტიდანვე უნდა შეეძლოს სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, რაც ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკს. სამედიცინო შემოწმებისას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა აღიწეროს დეტალურად და შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს დაკავებული პირის ან მისი ადვოკატისათვის. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად, იმ სამედიცინო შემოწმების გარდა, რომელიც დაკავებულ პირს პოლიციის დაწესებულებაში მისვლისას

490 სისხლის სამართლის საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვაზე უარის საფუძვლები იხ. სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორის 2017 წლის 24 თებერვლის წერილი N LA91700003629, გვ. 7.

491 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 209, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

492 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudła v. Poland) N30210/96 (დიდი პალატა) პარ. 94; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kalashnikov v. Russia), N47095/99, პარ. 95.

ჩაუტარდება, მას ასევე უნდა ჰქონდეს საკუთარი სურვილით ექიმის არჩევის უფლება.[493]

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებას[494], რომლითაც დამტკიცდა იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქცია ვრცელდება სამინისტროს ყველა იმ იზოლატორზე, რომელშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.[495] საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, ინსტრუქცია შეესაბამება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს[496] და ეხმიანება, დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევის, სამედიცინო ეთიკის დაცვისა და დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით, სახალხო დამცველის მიერ 2014-2015 წლებში გაცემულ რეკომენდაციებს,[497] რაც მისასალმებელია.

აღნიშნული ინსტრუქციის მიხედვით, დმი-ში მოთავსებული პირისათვის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს დღე–ღამის ნებისმიერ დროს. იზოლატორში მოთავსებისას, ინფორმირებული წერილობითი თანხმობის მიღების შემდგომ, პირი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მიზნით, დაუყოვნებლივ უნდა გამოიკითხოს და სათანადოდ შემოწმდეს იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ. იზოლატორში მიღებისას მას ასევე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იქ არსებული სამედიცინო მომსახურებისა და ამ მომსახურებით სარგებლობის წესების შესახებ. იზოლატორის სამედიცინო მუშაკთან კონსულტაციის მოთხოვნა დაკმაყოფილებული უნდა იყოს შეუზღუდავად, დაყოვნების გარეშე. დმი-ში მოთავსებული პირისათვის ადგილზევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება ისეთივე ხარისხით, როგორითაც სარგებლობენ თავისუფალი მოქალაქეები სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში.[498]

იმ იზოლატორებში, რომლებშიც არაა მოწყობილი სამედიცინო პუნქტი, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირის შესახლებისას ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება და სასწრაფო დახმარების ექიმი დაკავებულ პირს უტარებს სამედიცინო შემოწმებას.

---

493 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 15; პუნქტი 42.

494 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანება, დანართი, მუხ. 1(2).

495 დღეისათვის ამგვარი სამედიცინო პუნქტები მოწყობილია შემდეგ რვა იზოლატორში: თბილისის N1 დმი, თბილისის დმი, აჭარისა და გურიის რეგიონალური დმი, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დმი, ქვემო ქართლის რეგიონალური დმი, კახეთის რეგიონალური დმი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური დმი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დმი.

496 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74.

497 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 218, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 214.

498 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანება, დანართი, მუხ. 3.

ზემოთ ხსენებული ბრძანებით ასევე დეტალურადაა გაწერილი დაზიანებების დოკუმენტირების ინსტრუქცია და მითითებულია, რომ დაკავებულთა დაზიანებების აღწერა უნდა მოხდეს ე.წ. სტამბოლის პროტოკოლის[499] შესაბამისად.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციაში მოცემულია იზოლატორში მოთავსებული პირის, იზოლატორში შემოყვანისას ჩატარებული, სამედიცინო შემოწმების ფორმა, რომელიც შეიცავს ექიმის დეტალურ ინსტრუქციას, პაციენტის შესახებ ზოგად ინფორმაციას და ასევე, ინფორმაციას პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის შესახებ. სამედიცინო შემოწმების ფორმაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ინფორმაციას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ან სქესობრივი ძალადობის შესახებ; შესაბამის ველებში ივსება შესაძლო ძალადობის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად, სხეულის ანატომიური ნახაზის გრაფიკულ გამოსახულებაზე ექიმს ევალება მონიშნოს პაციენტის სხეულზე არსებული დაზიანებები, დააფიქსიროს ისინი ფოტოგადაღებით და გადაღებული მასალა თან დაურთოს სამედიცინო შემოწმების ფორმას.[500] გარდა ამისა, ექიმი ვალდებულია დმი-ში მოთავსებული პირის იზოლატორში მიღებისთანავე დაიწყოს მისი სამედიცინო ბარათის წარმოება და სამედიცინო შემოწმების შედეგები ასახოს შესაბამის ფორმაში. ამავდროულად, ექიმი ვალდებულია, ინფორმირებული თანხმობის არსებობის შემთხვევაში, პირს, იზოლატორიდან გაყვანის დროსაც ჩაუტაროს სამედიცინო შემოწმება და შეავსოს პირველადი სამედიცინო შემოწმების ფორმის მსგავსი დამატებითი ფორმა. აღნიშნული ფორმები თან დაერთვება პაციენტის სამედიცინო ბარათს.[501] ინსტრუქციის თანახმად, სამედიცინო პუნქტი ახორციელებს: შემოსახლებული პირის სხეულის დათვალიერებას; დაზიანების არსებობის შემთხვევაში, მის რეგისტრაციას და აუცილებლობის შემთხვევაში, მოთავსებული პირის თანხმობით, სათანადო უწყებებისათვის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.[502]

სახალხო დამცველი მიესალმება ამგვარ რეგულაციას[503] და მიიჩნევს, რომ პირის სრულყოფილი სამედიცინო შემოწმება იზოლატორში შეყვანისას და მისი დატოვებისას მნიშვნელოვნად შეამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკს და ხელს შეუწყობს, როგორც პირის იზოლატორში მიყვანამდე, ასევე უშუალოდ იზოლატორში ყოფნისას მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენასა და დოკუმენტირებას.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ახლად დამტკიცებული ინსტრუქცია იძლევა ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების

499 საუბარია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელოზე (ე.წ. სტამბოლის პროტოკოლი).

500 ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანება, დანართი 4.

501 იქვე, დანართი, მუხ. 7(2).

502 იქვე, მუხ. 25.

503 სახალხო დამცველი, თავის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საუბრობდა დმი-ში შემოსახლებულ პირთა დაზიანებების არასრული აღწერის პრობლემაზე და ხაზს უსვამდა დაზიანების დოკუმენტირებისას ყოვლისმომცველი და ერთიანი სტანდარტის გამოყენების მნიშვნელობას, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნებთან.

ეფექტიანი გამოვლენისა და დოკუმენტირების შესაძლებლობას, როგორც იზოლატორში დაკავებულის პირველადი შემოყვანის დროს, ასევე ყველა სხვა შემთხვევაშიც; მაგალითად, როდესაც მოთავსებულ პირს გაეწევა სამედიცინო მომსახურება უშუალოდ იზოლატორში მომხდარი ძალადობის ფაქტის შემდეგ ან თუკი რაიმე მიზეზით მოხდება მისი გაყვანა და შემდგომ ისევ დაბრუნება იზოლატორში. ინსტრუქცია ასევე მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, მათ შორის, სამედიცინო კონფიდენციალურობას, სამედიცინო შემოწმების ჩატარებას პაციენტის ინფორმირებული თანხმობის შემდეგ და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი ორგანოებისადმი, პაციენტის თანხმობის საფუძველზე.

სახალხო დამცველი, ამავდროულად, ხაზს უსვამს ინსტრუქციის პრაქტიკაში ზუსტად და ზედმიწევნით განხორციელების მნიშვნელობას. ვინაიდან მინისტრმა ბრძანება 2016 წლის ბოლოს გამოსცა, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ვერ შეძლო საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გამოეკვლია აღნიშნული ბრძანების პრაქტიკული იმპლემენტაციის საკითხი.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ყველა სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს არასამედიცინო პერსონალის მხრიდან მოსმენისა და ვიზუალური დაკვირვების გარეშე, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ექიმი ან პაციენტი თავად ითხოვს გამონაკლისის დაშვებას, თუმცა ეს არ უნდა იქცეს მუდმივ პრაქტიკად. იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმს უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე, არ სურს დაკავებულთან მარტო შესვლა, საჭიროა შემუშავდეს უსაფრთხოების სხვა ალტერნატიული ზომები, რადგან დაკავებული პირის სამედიცინო დათვალიერების პროცესზე იზოლატორის თანამშრომლის დასწრება, შესაძლოა, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ასევე, დაზიანების წარმოშობის არასრული დოკუმენტირების მიზეზი გახდეს.

დმი-ში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის მიხედვით, თუ თავად ექიმი მოითხოვს სამედიცინო მომსახურების პროცესში იზოლატორის სხვა თანამშრომლის დასწრებას, ასეთ შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მხრიდან მიყურადების გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით.[504]

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დაკავებულის პირველადი სამედიცინო შემოწმება, როგორც წესი, ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა თანდასწრებით, იმ მიზეზით, რომ ექიმს ეშინია დაკავებულთან მარტო დარჩენა. ასეთ შემთხვევაში, ექიმთან გასაუბრებისას დაკავებული პირის გახსნილობაზე (დაზიანების წარმოშობის რეალური მიზეზის დასახელებაზე, პოლიციის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირებაზე) უარყოფით ზეგავლენას ახდენს იზოლატორის თანამშრომლის შორიახლო ყოფნა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, აღნიშნული პრაქტიკა ატარებს რუტინულ, რეგულარულ ხასიათს, რაზეც მეტყველებს დმი-ში მოთავსებულ პირთა სამედიცინო ანკეტებში არსებული ჩანაწერებიც. როგორც წესი, გარეგნული დათვალიერების ოქმში დაზიანებების აღწერისას კეთდება მითითება, რომ შემოწმება

504 იქვე, მუხ. 4(6).

ჩატარდა ექიმთან ერთად, რაც იმას ნიშნავს, რომ იზოლატორში შემოსახლებული პირის დათვალიერება და სამედიცინო შემოწმება ექიმმა და იზოლატორის თანამშრომელმა ერთად განახორციელეს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული შემთხვევები, როდესაც სასწრაფო დახმარების ექიმი საერთოდ არ უთითებს დაზიანებების არსებობა-არარსებობის შესახებ (არ არის ჩანაწერი), მაშინ როცა გარეგნული დათვალიერების ოქმში, ერთ შემთხვევაში მითითებულია დაზიანება, ხოლო მეორე შემთხვევაში, აღწერილია დაზიანება, მაშინ როდესაც სასწრაფო დახმარების ექიმი მიუთითებს, რომ დაკავებულს დაზიანება არ აღენიშნება.

იზოლატორი	არ არის ჩანაწერი	არ აღენიშნება
კახეთის რეგიონალური დმი (თელავი)	20	5
სიღნაღის დმი	0	3
ყვარლის დმი	5	7
იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონული დმი (ქუთაისი)	6	5
ზესტაფონის დმი	0	2
ბაღდათის დმი	3	0
ჭიათურის დმი	0	1
სამტრედიის დმი	8	3
ზუგდიდის რეგიონალური დმი	5	2
ზუგდიდის დმი	2	1
სენაკის დმი	3	1
ფოთის დმი	1	1
ჩხოროწყუს დმი	3	3
ხობის დმი	1	1
ბათუმის დმი	13	9
ქობულეთის დმი	5	1
ოზურგეთის დმი	6	1
ლანჩხუთის დმი	0	1
ბორჯომის დმი	2	1
სულ	83	48

შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, რომ წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა იზოლატორებში სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით არსებული მდგომარეობა[505], თუმცა მნიშვნელოვანია,

505 2015 წელს შესწავლილი 740 საქმიდან 264 შემთხვევაში (35,7 %) სასწრაფო დახმარების ექიმი საერთოდ არ უთითებდა სხეულის დაზიანების არსებობა-არარსებობის შესახებ, ხოლო 67 (9 %) შემთხვევაში უარყოფდა დაზიანების არსებობას მაშინ, როდესაც დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლები გარეგნული დათვალიერების ოქმში უთითებდნენ სხეულის დაზიანების არსებობის შესახებ. 2016 წელს, 578 შემთხვევის შესწავლის შედეგად, ანალოგიური მაჩვენებლები 83-ს(14,4 %) და 48-ს (8,3 %) შეადგენს.

რომ სასწრაფო დახმარების ექიმმა ყოველთვის სრულყოფილად მოახდინოს დაზიანებების აღწერა - ამ მხრივ მათ შეიძლება მიეცეთ სპეციალური ინსტრუქციებიც.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს ჩატარებული მონიტორინგის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ მიუღია რაიმე ინფორმაცია იზოლატორებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის მიკერძოებულობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირისათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების განევა მოხდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექიმის მიერ, რაც, დაკავებულ პირს მისცემდა საშუალებას ექიმისათვის ღიად და შიშის გარეშე დაეფიქსირებინა ყველა დაზიანება ან ჩივილი, რაც მას დაკავების ან მის შემდეგ პერიოდში შეიძლება ჰქონოდა. სახალხო დამცველის მოსაზრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობამ დაკავებულ პირში შესაძლოა გამოიწვიოს შიშისა და უიმედობის განცდა, შეგრძნება იმისა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არაჯეროვნად იქნება აღწერილი, ხოლო პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტი, რეაგირების გარეშე დარჩება.[506]

აღსანიშნავია ისიც, რომ დმი-ში მოთავსებულ პირს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს, იქ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, ასევე, ამ შემოწმების ჩატარების მიზნით, საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი.[507]

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- შეწყდეს პროცედურული გარანტიების უგულებელყოფით პირთა პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში დაბარება და მათთან „გასაუბრება“
- უზრუნველყოს პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით
- უზრუნველყოს, რომ პოლიციის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებაში პირის ნებისმიერი სტატუსით მისვლისას მას მკაფიოდ და გასაგებ ენაზე განემარტოს მისი სტატუსი, დაწესებულებაში მიყვანის მიზანი და უფლებები

506 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 213.

507 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N692 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქცია“, მუხ. 5.1(4).

- უზრუნველყოს, რომ ყველა შემთხვევაში პირის დაკავების შესახებ ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში ეცნობოს მისი ოჯახის წევრებს/ახლობლებს/საკონსულო დაწესებულებას
- განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატისათვის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრის წარმოების გზით
- უზრუნველყოს, რომ პოლიციის სამმართველოსა თუ განყოფილებაში მოწმის სახით მიყვანილ პირს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან თავისუფალ გარემოში განემარტოს ადვოკატის ყოლის უფლება და, მისი სურვილის შემთხვევაში, საქმეში ადვოკატის ჩართვას არ შეექმნას დაბრკოლება
- შეიქმნას სამედიცინო პუნქტები ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანების მოქმედება გავრცელდეს ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორზე
- უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანების ეფექტიანი განხორციელება პრაქტიკაში
- უზრუნველყოს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში მიყვანილი პირის სამედიცინო შემოწმებაზე, არასამედიცინო პერსონალის დასწრება მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და არა რეგულარულად
- ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, განიხილოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესაძლებლობა

საქართველოს მთავრობას

- გაიზარდოს სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ბიუჯეტი სამსახურის ბიუროებში ადამიანური რესურსის გაზრდის მიზნით
- მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა დროებითი მოთავსების იზოლატორებში გამოძახების შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების ექიმებმა მოახდინონ დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების სრულყოფილი დოკუმენტირება.

4.5. პროცედურული გარანტიები

4.5.1. აუდიო და ვიდეო ჩანაწერები

ვიდეოჩანაწერი, რომელშიც აისახება პირის პატიმრობის ყველა ასპექტი და მათთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები, წამების პრევენციის ეფექტური გარანტიაა.[508] როგორც წამების საწინააღმდეგო კომიტეტი,[509] ასევე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიესალმება წევრი სახელმწიფოების პოლიციის დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დანერგვას.

ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული სტანდარტები, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, გადაღებული მასალის დამუშავება და შენახვა, მეთვალყურეობა იმავე სქესის პირის მიერ, თუკი საქმე ეხება ქალთა დაკავების ადგილებს; თუ ვიდეოგადაღება ხორციელდება პირის დაკითხვისას, მაშინ ჩანაწერში უნდა ჩანდეს ყველა დამსწრე და არა მხოლოდ დაკავებული პირი და სხვ.

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, ფორმის ტანსაცმელზე, გზასა და შენობების გარე პერიმეტრზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამონტაჟოს/განათავსოს, აგრეთვე გამოიყენოს სხვა პირის მფლობელობაში არსებული დამონტაჟებული ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკა დანაშაულის პრევენციის, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით.

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, პირის, ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების სპეციალური საპოლიციო კონტროლი ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ჩადენილია ან ჩადენილი იქნება დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა. სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას პოლიციელი აღჭურვილი უნდა იყოს ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული ჩართული ვიდეოგადამღები ტექნიკით.

აღსანიშნავია, რომ სამხრე ვიდეოკამერებით აუდიო-ვიდეო ჩანაწერს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ახორციელებენ. ჩანაწერის შენახვის ვადა დამოკიდებულია ტექნიკური საშუალების მახასიათებლებზე, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს.[510] სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით[511] მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, განესაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს ჩანაწერის გაკეთებისას სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების

508 იხ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები (CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2015), პარ. 36, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/docsstandards.htm [ბოლოს ნანახია 29.03.2017].

509 CAT general comment N2 on art. 2 UNCAT, para.14.

510 შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის N53 ბრძანება.

511 სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015 წ, გვ. 218. იხ. ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

ვალდებულება, გაკეთებული ჩანაწერის შენახვის წესი და ვადა. აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სამხრე კამერების გამოყენება სავალდებულო უნდა იყოს პოლიციელთა მხრიდან მოქალაქეებთან ყველა სახის ურთიერთობის დროს და აღნიშნული ჩანაწერები უნდა ინახებოდეს გონივრული ვადით.

მნიშვნელოვანია, რომ სამხრე ვიდეოკამერებით და მანქანის ვიდეორეგისტრატორებით აღიჭურვონ არა მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, არამედ დეტექტივ-გამომძიებლები და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებიც. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით[512] მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, თუმცა არც ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

გასაუბრებისას პოლიციის თანამშრომლების ნაწილი აცხადებდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქეების აგრესიულ ქცევას საკუთარი მობილური ტელეფონის აპარატით იღებენ. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ ვიდეოგადაღება, სათანადო ნორმატიული რეგულირების გარეშე, დაუშვებელია. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციელთა მხრიდან ვიდეოგადაღების წარმოება კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ რიგ შემთხვევებში, თავად პოლიციის თანამშრომლები არიან დაინტერესებული მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოკამერაზე დაფიქსირებით. თუმცა, სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ ყოველი ამგვარი ჩანაწერის გაკეთება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ გადაღებული მასალა სათანადოდ იყოს დაცული შემდგომში არამიზნობრივი გამოყენების პრევენციის მიზნით. ვიდეოგადაღების განხორციელებისა და ჩანაწერების დამუშავების პირობები, ასევე შენახვის წესი და ვადები უნდა შეესაბამებოდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედ სტანდარტებსა და კანონმდებლობას.

2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, პოლიციის ყველა სამმართველო აღჭურვილი ყოფილიყო შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით.[513] შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2016 წლის 4 მარტს მიღებული N555482 წერილის თანახმად, 2014 -2015 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის შეძენილი იქნა ვიდეოკამერები, რომელთა მონტაჟი დაგეგმილი იყო 2016 წელს. სახალხო დამცველის აპარატმა N03-1/8104 და N03-2/234 წერილებით შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია პოლიციის სამმართველოების შიდა და გარე პერიმეტრის, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორების ვიდეოკამერებით აღჭურვასთან დაკავშირებით. 2017 წლის 17 იანვარს სამინისტრომ N105466 წერილით მოგვაწოდა გარე სამეთვალყურეო ვიდეოკამერების შესახებ ინფორმაცია 2016 წლის თებერვალი-მარტის თვის მდგომარეობით.

როგორც სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის და სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები მოწმობს, 2016

512 იხ. იქვე, გვ. 218.

513 სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015 წ, გვ. 218. იხ. ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენს პოლიციის სამმართველოებში შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვა. კერძოდ, ჩხოროწყუს, მარტვილის, სენაკის, წალენჯიხის, მესტიის, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონულ სამმართველოებში ვიდეოკამერები არ იყო დამონტაჟებული შენობის არც გარე და არც შიდა პერიმეტრზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმ სამმართველოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სადაც ვიდეომეთვალყურეობა შიდა პერიმეტრზე ხორციელდება, კამერები ძირითადად დამონტაჟებულია შენობის შესასვლელში, ოპერატიული მორიგისთვის გამოყოფილი ადგილის წინ.

დაკავებული პირის შენობაში შეყვანის შემდეგ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სად და რა პირობებში იმყოფება ის პოლიციის სამმართველოში ან ხომ არ დაექვემდებარა ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას. საქართველოს სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია პოლიციის სამმართველოების შენობების სათვალთვალო კამერებით აღჭურვა და ვიდეოჩანაწერის შენახვა გონივრული ვადით, რაც დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის დამატებით გარანტიას წარმოადგენს. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ პირის დაკავებიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანამდე, მანამ, სანამ იგი იმყოფება პოლიციის კონტროლის ქვეშ, ყველა შემთხვევაში მოხდეს სრული პროცესის ვიდეოგადაღება.

ვიდეომეთვალყურეობა მიმდინარეობს ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში, თუმცა დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დროებითი მოთავსების იზოლატორში მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობის პროცესის ჩაწერა და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა. საჭიროების შემთხვევაში, ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის. სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, უზრუნველყო დროებითი მოთავსების იზოლატორებში მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობის ჩაწერა და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა.[514] დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში ვიდეოჩანაწერის შენახვის მინიმალური ვადის განსაზღვრა.[515] ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. გადაღებული მასალა ინახება ცენტრალური მართვის ოთახში არანაკლებ 24 საათისა, რა დროსაც, ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას, ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის წაშლის/განადგურების შედეგად. თუმცა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 24 საათით ჩანაწერების შენახვა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას და, შესაბამისად, მიღებული უნდა იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა ჩანაწერები ინახებოდეს გონივრული ვადით.

514 სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015 წ, გვ. 218. იხ. ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

515 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება და შინაგანაწესი, მუხლი 11, პუნ. 7.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში დამონტაჟდეს სათვალთვალო კამერები
- უზრუნველყოფილი იქნას ყველა შემთხვევაში პოლიციის მიერ პირის დაკავებიდან მისი დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე, მათ შორის, დაკავების, უფლებების გაცნობის, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების და ტრანსპორტირების პროცესის უწყვეტი ვიდეოგადაღება
- განისაზღვროს საპატრულო პოლიციელის მიერ მოქალაქესთან ურთიერთობის დროს სამხრე ვიდეოკამერის გამოყენებით შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება და განხორციელებული ჩანაწერების შენახვის წესი და ვადები
- განისაზღვროს დეტექტივ-გამომძიებლების და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლების მიერ მოქალაქესთან ურთიერთობის დროს სამხრე ვიდეოკამერის გამოყენებით შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება და განხორციელებული ჩანაწერების შენახვის წესი და ვადები
- უზრუნველყოფილ იქნას დროებითი მოთავსების იზოლატორებში მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა
- უზრუნველყოფილი იქნას ყველა ვიდეოჩანაწერის გონივრული ვადით შენახვა.

4.5.2. დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება

2016 წლის მანძილზე განხორციელებული ვიზიტების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა საქმეები, პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში არსებული ჟურნალები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები და ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს N605 ბრძანების N6 დანართით დამტკიცებულია შინაგან საქმეთა ორგანოებში „დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნის“ ფორმა, ხოლო ამავე ბრძანების N7 დანართით „საპყრობილეში (დროებითი მოთავსების იზოლატორში) გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალი“. საყურადღებოა, რომ მოცემული ჟურნალების შემოწმების პროცესში, პოლიციის სამმართველოებისა და განყოფილებების

თანამშრომლები სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, როგორც 2015, ასევე 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგების დროსაც ეკითხებოდნენ, თუ როგორ უნდა შეევსოთ კონკრეტული გრაფები. აღმოჩნდა, რომ შსს თანამშრომლები ჟურნალებს ხარვეზებით ავსებენ. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ჟურნალები მოძველებულია, საჭიროებს გადახედვას და განახლებას.

შსს პოლიციის სამმართველოებისა და განყოფილებების ჟურნალების შევსებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელების განმარტებით, მათ ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი „დაკავებულ პირთა აღრიცხვისა" და „საპყრობილეში (დროებითი მოთავსების იზოლატორში) გადაყვანილ პირთა" აღრიცხვის ჟურნალების სრულყოფილი წარმოების უზრუნველსაყოფად, თუმცა 2016 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მითითებული დოკუმენტაცია კვლავაც ხარვეზებით ივსება. კერძოდ, რიგ შემთხვევებში ვერ დგინდება პირის დაკავების დრო, გაურკვეველია დაკავებულის სამმართველოში შეყვანის თარიღი/დრო, ასევე, რა ბედი ეწია დაკავებულს; არეულია ჟურნალებში არსებული ნუმერაცია, არ არის მითითებული, სად და რა ვითარებაში მოხდა სამართალდარღვევა, ზოგ შემთხვევებში კი, გრაფები ჟურნალებში საერთოდ არ არის შევსებული.

2016 წელს ჟურნალების შევსების ხარვეზები დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტებში, ხობის, ზესტაფონის, ტყიბულის, ბორჯომის, ადიგენის, ახალქალაქის, თერჯოლის, ხარაგაულის, ამბროლაურის, ბაღდათის, ლანჩხუთის, ონის, წყალტუბოს, ხონის, ასპინძის, ხელვაჩაურის, მარტვილის, ჩხოროწყუს, სამტრედიის, ჭიათურის, საჩხერის, ლენტეხის, ცაგერის, ახალციხის, ოზურგეთის, ქობულეთის, ნინოწმინდის, ფოთის, მესტიის და ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ხარვეზები არ აღმოუჩენია აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, ბათუმის საქალაქო, წალენჯიხის, სენაკის, ზუგდიდის და ვანის რაიონულ სამმართველოებში წარმოებულ, დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნებსა და საპყრობილეში (დროებითი მოთავსების იზოლატორებში) გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალების 2016 წლის ჩანაწერებში.

განხორციელებული ვიზიტების დროს დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილებებსა და სამმართველოებში არ წარმოებს შემსვლელ პირთა აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები.[516] მაგალითად, მოწმის სახით პირის პოლიციის სამმართველოში/განყოფილებაში გამოცხადების შემთხვევაში მისი შენობაში შესვლის ფაქტი არ აღინიშნება ერთიანი ფორმის ჟურნალში. მნიშვნელოვანია, რომ დეტალურად აღირიცხებოდეს პოლიციის განყოფილებასა და სამმართველოებში, მოქალაქეთა შენობაში შესვლის და შენობის დატოვების თარიღი და დრო, ასევე შესვლის მიზანი, რათა შემდგომში სადავო არ გახდეს სამმართველოში/განყოფილებაში მოქალაქის ნებაყოფლობით მისვლის ფაქტი, შენობაში საკუთარი სურვილით ყოფნის ხანგრძლივობა და მიზანი. აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენ-

516 გარდა რამდენიმე სამმართველოსი, სადაც გარე დაცვის სამსახური ინიშნავს აღნიშნულ ინფორმაციას.

ტო ანგარიშში შესაბამისი რეკომენდაციითაც მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, თუმცა მოცემული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია სისხლის სამართლის წესით და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა დაკავების ოქმის ფორმები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, კოდექსში მითითებული რომელი საფუძველითაა დაკავებული; დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში; რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ბრალდებული; მისი პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის ზუსტი დრო; ამ კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა; აგრეთვე, შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე.

საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელებული ვიზიტების დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ შემოწმდა, რამდენად სრულყოფილად ავსებენ სამართალდამცავი პირები ოქმებს და დადგინდა, რომ ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, ხშირ შემთხვევაში, არ ივსება სრულყოფილად. კერძოდ, სრულყოფილად არ მიეთითება, თუ რა ვითარებაში მოხდა პირის დაკავება; ჰქონდა თუ არა ადგილი წინააღმდეგობის გაწევას; იქნა თუ არა გამოყენებული იძულების პროპორციული ზომა და რა ფორმით; განხორციელდა თუ არა დაკავება მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების შესახებ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში აღინიშნება ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი; ცნობები დაკავებული პიროვნების შესახებ; დაკავების დრო და საფუძველი. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში ხდება მითითება.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის, პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის ოქმის, საჯარიმო ქვითრის, სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის, ახსნა-განმარტებისა და ცნობის ფორმების შევსებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N625 ბრძანების თანახმად, დამტკიცებულია ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმა.[517] აღნიშნული ოქმი, სისხლის სამართლის წესით დაკავების ოქმისგან განსხვავებით, არ მოითხოვს დაკავების ოქმის შედგენის დროის,[518] დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებებისა და იმის აღნიშვნას, თუ

517 დანართი N9.
518 იგულისხმება რომელ საათზე მოხდა დაკავება.

რა ვითარებაში მოხდა პირის დაკავება (ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას, გამოყენებული იყო თუ არა იძულების პროპორციული ზომა, რა ფორმით იქნა გამოყენებული, განხორციელდა თუ არა დაკავება მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმის სრულყოფა, შესაბამისი გრაფების დამატებით, სადაც ჩაინიშნება დაკავების ოქმის შედგენის დრო, დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებები და დაკავების გარემოებები. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმის სრულყოფასთან დაკავშირებით 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

პირის დაკავების შემდეგ, მისი ფიზიკური დათვალიერების დროს, ძალადობის ნებისმიერი კვალი, რომელიც შესაძლებელია გამოეწვია წამებას ან არასათანადო მოპყრობას, აუცილებლად უნდა იქნას შესაბამისი წესით აღწერილი და დოკუმენტირებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა რომ, როდესაც პირი სხეულის დაზიანებას იღებს დაკავებისას ან პოლიციის თანამშრომლების კონტროლს ქვეშ ყოფნის პერიოდში, ყოველი ასეთი დაზიანება წარმოშობს მყარ პრეზუმფციას, რომ დაკავებული დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.[519]

საქართველოს რეგიონების მასშტაბით შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაკავების ოქმში 391 (68,7 %) შემთხვევაში (2015 წელი - 419 (58,5 %)) არის სხეულის დაზიანების შესახებ მითითება, ხოლო გარეგნული დათვალიერების ოქმში - 569 (2015 წელი - 716) შემთხვევაში. შესაბამისად, 178 (31,3 %) შემთხვევაში (2015 წელი - 297 (41,5 %)) დაკავების ოქმში არ არის მითითებული ის დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში. ანალოგიურად, თბილისის იზოლატორებში გარეგნული დათვალიერების ოქმში დაზიანება მითითებულია 367 შემთხვევაში, დაკავების ოქმში - 233 (63,5 %) შემთხვევაში, ხოლო ასეთ მითითებას არ შეიცავს 134 (36,5%) დაკავების ოქმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმა არ ავალდებულებს დამკავებელს, მიუთითოს დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ იმ შემთხვევათა დაახლოებით სამ მეოთხედს, სადაც გარეგნული დათვალიერების ოქმისგან განსხვავებით დაკავების ოქმში არ არის მითითებული სხეულის დაზიანება, ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევები შეადგენს.

კვლევის ფარგლებში ასევე შემოწმდა, თუ რამდენად ემთხვეოდა სხეულის დაზიანებათა რაოდენობა და მდებარეობა გარეგნული დათვალიერებისა და დაკავების ოქმებში. აღმოჩნდა, რომ შემთხვევათა მხოლოდ ერთ მეოთხედში არის იდენტური ჩანაწერები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სხეულის დაზიანებების დოკუმენტირების ხარვეზებზე.

დაზიანებათა რაოდენობის თანხვედრა იხილეთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

519 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე კოლიბაბა მოლდავეთის წინააღმდეგ (Colibaba v. Moldova), საქმე N29089/06.

დაზიანების შესახებ ჩანაწერების თანხვედრა	რეგიონი 2015 წელი	რეგიონი 2016 წელი	თბილისი 2016 წელი
იდენტური ჩანაწერები	194 (29.6 %)	100 (26 %)	53 (23,5 %)
უფრო მეტი დაზიანება დაკავების ოქმში	36 (5.5 %)	50 (13 %)	28 (12.4 %)
უფრო მეტი დაზიანება გარეგნული დათვალიერების ოქმში	425 (64.9 %)	234 (61 %)	145 (64,1 %)
სულ	655	384	226

რეგიონებში დამუშავებული იმ 234 შემთხვევიდან, სადაც გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებულია უფრო მეტი დაზიანება, 150 (64,1 %) შემთხვევაში (2015 წელი - 69,1 %) პირი დაკავებული იყო ადმინისტრაციული წესით, ხოლო 84 (35,49%) შემთხვევაში (2015 წელს - 30,9%) სისხლის სამართლის წესით. თბილისში დამუშავებული იმ 145 შემთხვევიდან, სადაც გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებულია უფრო მეტი დაზიანება, 94 შემთხვევაში (64,8 %) პირი დაკავებული იყო ადმინისტრაციული წესით, ხოლო 51 (35,2 %) შემთხვევაში - სისხლის სამართლის წესით.

2016 წელს თბილისსა და რეგიონებში ჩატარებული მონიტორინგების დროს შევსებული ანკეტების ანალიზიდან ირკვევა, რომ დაკავებისა და გარეგნული დათვალიერების ოქმებში დაზიანებათა მდებარეობა არ ემთხვევა ერთმანეთს - შემთხვევათა 76.6%-ში, ხოლო დანარჩენ 23.4%-ში აღნიშნული მონაცემები იდენტურია. 2016 წელს თბილისში, რეგიონთან შედარებით დაზიანებათა მდებარეობა 15.7%-ით მეტ შემთხვევაში არ ემთხვეოდა ერთმანეთს გარეგნული დათვალიერებისა და დაკავების ოქმებში.[520] რეგიონთან შედარებით, თბილისში 16.1%-ით ნაკლებ შემთხვევებში არის იდენტური ჩანაწერები დაკავების ოქმებსა და გარეგნული დათვალიერების ოქმებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის სამმართველოებში მორიგე თანამშრომლებს, როგორც წესი, დაკავებულ პირთა მონაცემები დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ, დაკავების ოქმებიდან გადააქვთ აღრიცხვის წიგნებში. ისინი ცალკე არ ახდენენ დაკავებულთა დაზიანებების დოკუმენტირებას.

საქართველოს რეგიონებში შესწავლილი 578 საქმის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის შესახებ დაკავების ოქმში მითითების 384 შემთხვევიდან 6 შემთხვევაში (2015 წელი - 3 (1,3 %) შემთხვევაში) არის სრული აღწერა, თუ რაში გამოიხატა დაუმორჩილებლობა/წინააღმდეგობის გაწევა, 199 (51,8 %) შემთხვევაში (2015 წელი - 4 (1,8 %) შემთხვევაში) ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას, შემთხვევათა 46,9 % -ში (2015 წელი - 96,9 %-ში) პოლიციის თანამშრომლები ასეთ აღწერას არ ახდენენ. რაც შეეხება თბილისს, დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის გაწევის მხოლოდ 1 (0,4 %) შემთხვევაში არის სრულყოფილი აღწერა, 126 (56 %) შემთხვევაში - ნაწ-

520 რეგიონში- 70.6%, ხოლო თბილისში 86.7%.

ილობრივი, ხოლო 98 (43,6 %) შემთხვევაში დაკავების ოქმი ასეთ აღწერას საერთოდ არ შეიცავს.

2016 წელს, წინა წელთან შედარებით სამართალდამცავი პირები დაკავების ოქმებში უფრო სრულყოფილად უთითებენ, თუ რაში გამოიხატა დაკავებული პირის მხრიდან წინააღმდეგობა/დაუმორჩილებლობა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

რეგიონებში დამუშავებული 578 შემთხვევიდან ძალის გამოყენების ფაქტის შესახებ მითითებულია მხოლოდ 33 (5,7 %) შემთხვევაში (2015 წელი - 46 (6,2 %) შემთხვევაში), თბილისში კი 372 შემთხვევიდან - 16 შემთხვევაში (4,3 %). ძალის გამოყენების შესახებ მითითების 33 შემთხვევიდან, დაკავების ოქმში ძალის გამოყენების მეთოდი სრულად აღწერილია მხოლოდ 2 შემთხვევაში (6,1 %) (2015 წელი - 4,3 %); 10 შემთხვევაში (30,3 %) (2015 წელი - 6,5 %) ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას; ხოლო 21 შემთხვევაში (63,6 %) (2015 წელი - 89,2 %) ოქმში არაფერია ნათქვამი ძალის გამოყენების მეთოდის შესახებ. რაც შეეხება თბილისს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში არის ძალის გამოყენების მეთოდი ნაწილობრივ აღწერილი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იყო, თუ რა გავლენას ახდენდა საკმარისი განათების არსებობა/არარსებობა დაკავების ოქმში წარმოებულ დაზიანების აღწერაზე და დადგინდა, რომ 2016 წელს, შემთხვევათა დაახლოებით ერთ მეოთხედში (2015 წელი - ერთ მესამედში) მოხდა პირის დაკავება დღის შუქზე. ასევე გაირკვა, რომ იმ შემთხვევების ერთ მესამედში, სადაც დაზიანების შესახებ მითითებულია მხოლოდ გარეგნული დათვალიერების ოქმში, პირის დაკავება მოხდა დღის შუქზე. აღსანიშნავია, რომ კვლევამ გამოავლინა საქართველოს რეგიონებში 33 (2015 წელი - 50), ხოლო თბილისში 20 შემთხვევა, როდესაც პირის დაკავება მოხდა დღის შუქზე, ხოლო თავის, სახის და თვალბუდის არეში დაზიანებები მითითებულია მხოლოდ იზოლატორის თანამშრომლების მიერ შედგენილ გარეგნული დათვალიერების ოქმში. ამ 53 შემთხვევაში, თუ პირს დაკავებისას აღენიშნებოდა დაზიანება, ის აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინა დამკავებელ პოლიციელს.

კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ რეგიონებში 2016 წელს შესწავლილი 578 საქმის მასალებიდან, 9 (1,6 %) შემთხვევაში (2015 წელი - 45 (6,1 %) შემთხვევაში) გარეგნული დათვალიერების ოქმის შესაბამის გრაფაში, დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელმა არ მიუთითა, ჰქონდა თუ არა დაკავებულ პირს პრეტენზია პოლიციის მიმართ. თბილისში შესწავლილი 372 საქმიდან კი 2 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა, მითითებულია თუ არა გარეგნული დათვალიერების ოქმში დაზიანების წარმოშობის დროის შესახებ. იხ. ქვემოთ ცხრილი.

დაზიანების მიღების დრო	რეგიონები 2015 წელი	რეგიონი 2016 წელი	თბილისი 2016 წელი
დაკავებამდე	581 (78.5%)	427 (73.9%)	314 (84.4%)
დაკავებისას	116 (15.7%)	121 (20.9%)	46 (12.4%)
დაკავების შემდეგ	11 (1.5%)	22 (3.8%)	9 (2.4%)
ჩანაწერი არ არის	32 (4.3%)	8 (1.4%)	3 (0.8%)
სულ	740	578	372

როგორც ცხრილში არსებული მონაცემებიდან ჩანს, 2015 წელს, რეგიონებში არსებულ გარეგნული დათვალიერების ოქმებში, დაზიანების წარმოშობის დროის შესახებ მითითება არ იყო 32 (4.3%) შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემი 2016 წელს 2.9 %-ით შემცირდა, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს. 2016 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლებმა მხოლოდ 11 (1.16 %) შემთხვევაში არ დააფიქსირეს შესაბამის ოქმებში დაზიანების მიღების დროის შესახებ ინფორმაცია.

რეკომენდაციები

შინაგან საქმეთა მინისტრს:

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის შესაბამისი ინსპექტირების გზით, დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოების უზრუნველსაყოფად
- განხორციელდეს ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის, პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის ოქმის, საჯარიმო ქვითრის, სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის, ახსნა-განმარტებისა და ცნობის ფორმების შევსებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N625-ე ბრძანებაში და N9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების პროპორციული ზომა და რა ფორმით
- გადაიხედოს და განახლების მიზნით შევიდეს შესაბამისი ცვლილება 2014 წლის 8 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N605 ბრძანების N6 დანართით დამტკიცებულ შინაგან საქმეთა ორგა-

ნოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნსა და ამავე ბრძანების N7 დანართით დამტკიცებულ, საპყრობილეში (დროებითი მოთავსების იზოლატორში) გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალის ფორმაში

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა პოლიციის სამმართველოსა და განყოფილებისთვის შემუშავდეს ერთიანი ჟურნალის ფორმა, სადაც დაფიქსირდება მოქალაქეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების თარიღი და დრო, ასევე შესვლის მიზანი

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მეხუთე ნაწილში, იმ მიზნით, რომ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში შესატან ინფორმაციას დაემატოს: ოქმის შედგენის დრო; დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების პროპორციული ზომა და რა ფორმით.

4.5.3. საჩივრები

წამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფი და მიუკერძოებელი განხილვის უფლება. აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზება შეუძლებელია დაკავებული პირების შესაბამისი საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურების უზრუნველყოფის გარეშე.

საჩივრის განხილვის პროცედურების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია საჩივრების შეტანისა და განხილვის მარტივი და ნათელი პროცედურების არსებობასთან. მნიშვნელოვანია, რომ პროცედურები გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს, როგორც დაკავებული პირების, ისე სამართალდამცავი ორგანოებისთვის. დაკავებული პირების საჩივრის უფლებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან გარანტიებს ადგენს გაეროს კონვენცია[1] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ.[521]

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროე-

521 კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ღონისძიებებს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად. მე-13 მუხლის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლებას. მიიღება ზომები საჩივრის ან ნებისმიერი მოწმის ჩვენებების გამო მომჩივნის და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან დასაცავად.“

ბითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება და შინაგანაწესი. ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანება. საჩივრის შეტანის უფლება უზრუნველყოფილი იყო 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანებითაც, თუმცა 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის 30-ე მუხლით, დამატებით განისაზღვრა შინაგან საქმეთა მინისტრის და დროებითი მოთავსების იზოლატორის დირექტორის მიერ საჩივრის განხილვის ვადა, არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს პრობლემას წარმოადგენდა შესაბამისი პროცედურის არარსებობა, რომელიც დროებითი მოთავსების იზოლატორებში მყოფი პირების კონფიდენციალური საჩივრებით მიმართვის უფლებას უზრუნველყოფდა. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაკავებული პირი მოითხოვდა საჩივრის გაგზავნას, ის უნდა გაგზავნილიყო ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რაც გულისხმობდა საჩივრის სკანირებას და ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვას დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლის მიერ. აღნიშნული კი, გამორიცხავდა დაკავებული პირის მიერ კონფიდენციალურად საჩივრის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, უზრუნველეყო დროებითი მოთავსების იზოლატორებში კონფიდენციალური საჩივრის მექანიზმის დანერგვა. 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტით განისაზღვრა, რომ განცხადებების, საჩივრების და სხვა სახის მიმართვების შესადგენად მოთავსებული პირი, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საჭირო საშუალებათა აუცილებელი რაოდენობით, მათ შორის ქაღალდით, კონვერტებით კონფიდენციალური საჩივრებისათვის, საწერი საშუალებებით და სხვა. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება კონფიდენციალური საჩივრისთვის იზოლატორში მოთავსებული პირის კონვერტით უზრუნველყოფის საკითხის ნორმატიულ დონეზე დარეგულირებას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ პროკურატურისთვის შეტყობინების პროცედურის მარეგულირებელი კონკრეტული წესი დადგენილი არ იყო. შესაბამისად, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გაწერილიყო მკაფიო ინსტრუქცია, პროკურატურაში შეტყობინების გაგზავნის შესახებ, თუკი დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული პირების შესახლებისას, მათ სხეულზე აღმოჩენილი იქნებოდა დაზიანებები.

საგულისხმოა, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ საგამოძიებო ორგანოსთვის გაგზავნის წესი განსხვავდება იმის მიხედვით, იზოლატორში ფუნქციონირებს თუ არა სამედიცინო პუნქტი.

2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იზოლატორში, რომელშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, მოსათავსებელი პირისათვის პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად იზოლატორის ცვლის უფროსი იძახებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადას. ასეთ შემთხვევაში, სამედიცინო შემოწმების ჩატარების შემდეგ, გარეგნული დათვალიერების ოქმს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ შევსებული სამედიცინო ბარათის შესაბამისად ავსებს იზოლატორის მოსამსახურე. გარეგნული დათვალიერების ოქმში მიეთითება მოსათავსებელი პირის გარეგნული მდგომარეობა, სხეულის დაზიანების შესაძლო ნიშნები, აგრეთვე, თუ სად მიიღო აღნიშნული დაზიანებები და რა ვითარებაში, ვის მიერ, აქვს თუ არა მოსათავსებელ პირს ვინმეს მიმართ რაიმე სახის პრეტენზია, რომელსაც შემდგომ ადასტურებს ხელმოწერით. მოთავსებული პირის მხრიდან პრეტენზიის გამოთქმის ან/და სხეულის ახლად მიღებული დაზიანების არსებობის შემთხვევაში იზოლატორის უფროსი ვალდებულია, ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს პროკურატურას და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

აღსანიშნავია, რომ მითითებული წესის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული არ აცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ, მის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ შეტყობინება საგამოძიებო ორგანოში უნდა გააგზავნოს იზოლატორის უფროსმა იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის, რომ დაზიანება ახლად მიღებულია. თუმცა გაურკვეველია, კონკრეტულად რა შემთხვევაში და რა კრიტერიუმებით უნდა ჩათვალოს დაზიანება ახლად მიღებულად, მით უმეტეს მაშინ, როდესაც იზოლატორის უფროსს არ მოეთხოვება სამედიცინო განათლების ქონა. შესაბამისად, ეფექტური სამართლებრივი დაცვის გარანტიის არსებობისათვის, აუცილებელია, შესაბამისი ნორმატიული აქტით გაიწეროს მკაფიო რეგულირება იმის შესახებ, თუ რა პროცედურის და კრიტერიუმების შესაბამისად უნდა გაიგზავნოს შეტყობინება.

ამ მხრივ საყურადღებოა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარებული შემოწმებისას გამოვლენილი შემთხვევები: მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს არაერთი დაზიანება აღენიშნებოდა, მათ შორის, სახისა და თვალბუდის არეში, თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან შეტყობინება არ გაიგზავნა 17 შემთხვევაში, ხოლო, რეგიონებში არსებული იზოლატორებიდან - 111 შემთხვევაში, ასევე იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პირი აცხადებდა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ (სულ 4 შემთხვევა).

რაც შეეხება იმ იზოლატორებს, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, პირველად სამედიცინო

შემოწმებას ატარებს დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შტატგარეშე მოსამსახურე და შემოწმების შესახებ ადგენს იზოლატორში მოთავსებული პირის სამედიცინო შემოწმების ფორმას. თუ ექიმს გაუჩნდება ეჭვი წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე, იგი ვალდებულია, აცნობოს იზოლატორის უფროსს, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულის შესახებ შეტყობინებას გაუგზავნის საქართველოს პროკურატურას და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია“, რომლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ იზოლატორებში, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

ინსტრუქციის მე-7 მუხლის თანახმად, იზოლატორში მოთავსებისას პირი ინფორმირებული თანხმობის გაცხადების შემდგომ დაუყოვნებლივ გადის პირველად სამედიცინო შემოწმებას, რომელსაც ახორციელებს იზოლატორის მორიგე ექიმი. პირისათვის პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩატარება წარმოადგენს იზოლატორის მორიგე ექიმის ვალდებულებას. პირველადი სამედიცინო შემოწმებისას პირი გამოიკითხება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ხდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დაფიქსირება, ასევე ვიზუალური დათვალიერება სხეულზე არსებული დაზიანებების სრულად დაფიქსირების მიზნით. იზოლატორის სამედიცინო მუშაკმა პირველადი სამედიცინო შემოწმებისას სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ფიზიკური დაზიანებებისა და მათი კვალის აღწერას.

ინსტრუქციის 25-ე მუხლის თანახმად, იზოლატორის სამედიცინო პუნქტი იზოლატორში პირის შემოყვანისას უნდა ახორციელებდეს ამ პირის სხეულის დათვალიერებას, დაზიანებების რეგისტრაციასა და აუცილებლობის შემთხვევაში, მოთავსებული პირის თანხმობით, სათანადო უწყებებისათვის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. იზოლატორში მოთავსებისას პირის სამედიცინო შემოწმების დროს აღმოჩენილი ძალადობის ნებისმიერი კვალი დეტალურად უნდა იქნას დოკუმენტირებული, აღნიშნული პირის შესაბამისი განცხადებისა და ექიმის დასკვნასთან ერთად. ანალოგიური მიდგომა უნდა იყოს ყოველთვის, როდესაც მოთავსებულ პირს მიეწოდება სამედიცინო მომსახურება იზოლატორში მომხდარი ძალადობის ფაქტის შემდეგ ან რაიმე მიზეზით ხორციელდება მისი იზოლატორიდან გაყვანა და შემდგომ დაბრუნება.

ამავე ინსტრუქციით დამტკიცდა ჩასატარებელი სამედიცინო შემოწმების ფორმა (დანართი N4), რომელშიც ასევე გაწერილია მისი გამოყენების ინსტრუქცია. კერძოდ, ინსტრუქციის მიხედვით, სამედიცინო შემოწმებისას ექიმმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ და დოკუმენტურად გააფორმოს შესაბამისი სამედიცინო მტკიცებულება. სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული დაზიანებების არსებობა ან არარსებობა უნდა დაფიქსირდეს ფოტოგრაფიულად. ამავე ინსტრუქციით გაწერილია ექიმის ვალდებულება, რომ არასათანადო მოპყრობაზე ეჭვის

შემთხვევაში, შევსებული ფორმა მიაწოდოს საგამოძიებო ორგანოს. აღნიშნული ინსტრუქცია ასევე ითვალისწინებს გრაფების შევსებას, სადაც დაკავებული პირის მონათხრობის შესაბასისად, ექიმმა უნდა შეიტანოს ინფორმაცია, გამოყენებული იქნა თუ არა მის მიმართ რაიმე ძალადობა ან არაადამიანური მოპყრობა - როდის, სად, რა ფორმით და ვის მიერ. აღნიშნული ფორმა ასევე ითვალისწინებს ძალადობის, როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქიკური მტკიცებულებების დაფიქსირების აუცილებლობას. ასევე, ინსტრუქციაში მოცემულია ადამიანის სხეულის ილუსტრაციები, სადაც ექიმმა უნდა მონიშნოს ხილული დაზიანების მდებარეობა და ხასიათი. გარდა ამისა, მითითებული ფორმა ითვალისწინებს ექიმის მიერ ძალადობის შეფასებას, სადაც ექიმმა უნდა შეაფასოს შესაბამისობის ხარისხი თითოეულ ფიზიკურ ნიშანსა და დაზიანების მიყენების ნავარაუდევ მეთოდს შორის. შეაფასოს და დაწეროს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი დასკვნა:არ შეესაბამება - აღნიშნული ტრავმა ვერ გამოიწვევდა მითითებულ დაზიანებას; შეესაბამება - აღნიშნული ტრავმა გამოიწვევდა მითითებულ დაზიანებას, ოღონდ ის არ არის სპეციფიკური და ბევრი სხვა მიზეზითაც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული; შეესაბამება მაღალი ხარისხით - აღნიშნული ტრავმა გამოიწვევდა მითითებულ დაზიანებას, ამასთან, სხვა შესაძლო მიზეზების რიცხვი არცთუ ისე დიდია; დიაგნოსტიკურია - მითითებულ დაზიანებას მხოლოდ აღნიშნული ტრავმა გამოიწვევდა და სხვა მიზეზის არსებობა შეუძლებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი ცალსახად წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს ზემოაღნიშნული რეგულაციების დამტკიცებას და სტამბოლის პროტოკოლის სტანდარტების დანერგვას, თუმცა თვლის, რომ აუცილებელია ხსენებულ წესებში შევიდეს გარკვეული ცვლილებები, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოვლენის მიზნით, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-6 მუხლის დათქმა ეწინააღმდეგება, 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის 25-ე მუხლს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში არასათანადო მოპყრობაზე ეჭვის მიტანისას ექიმმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს იზოლატორის უფროსს, რომელიც თავის მხრივ შეტყობინებას უგზავნის საგამოძიებო ორგანოს. ხოლო, მეორე შემთხვევაში კი, ექიმმა თავად უნდა გააგზავნოს შეტყობინება.

ამდენად, აუცილებელია შესაბამისი ცვლილება შევიდეს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესში და განისაზღვროს, რომ ექიმმა თავად უნდა გაუგზავნოს შეტყობინება საგამოძიებო ორგანოს, რათა შინაგანაწესი შესაბამისობაში იყოს სტამბოლის პროტოკოლით დადგენილ სტანდარტებთან.

ამასთან, უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლის მანდატიც იქნება სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებულ პირთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ეფექტიანი გამოძიება, ხოლო, აღნიშნული მექანიზმის შექმნამდე, მითითებული საქმეები უნდა გამოიძიოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ. შესაბამისად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან შეტყობინებები არ უნდა იგზავნებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, არამედ უნდა იგზავნებოდეს საქართველოს პროკურატურაში.

გარდა ამისა, ისევე როგორც 2015 წელს, 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული შემოწმების შედეგებმა ცხადყო, რომ პროკურატურის მიერ სათანადოდ არ ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული პირების პრეტენზიებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და გამოძიების ჩატარება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, იზოლატორებში მოთავსებული პირების სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით გაგზავნილ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგრების შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის[522] თანახმად, 2016 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან საქართველოს პროკურატურაში სულ შევიდა 240 შეტყობინება.[523] აქედან გამოძიება დაიწყო 60 სისხლის სამართლის საქმეზე (59 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333 მუხლით, ხოლო 1 საქმეზე - 144[1] მუხლით), ამათგან შესწავლილ იქნა 66 შეტყობინება. 15 შეტყობინება დაერთო და შესწავლილ იქნა იზოლატორში მოთავსებული პირის ბრალდების საქმეში. 7 შეტყობინება შესწავლილ იქნა დაკავებული პირის მიმართ არსებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. 3 შეტყობინება გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ხოლო 1 საქმე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოში და ანტიკორუფციულ სააგენტოში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოში. 7 შეტყობინების შემთხვევაში, პირებმა უარი განაცხადეს პროკურატურის წარმომადგენლებთან გასაუბრებაზე, ხოლო, 3 შეტყობინების შემთხვევაში ვერ მოხერხდა მითითებული პირების გამოკითხვა, ვინაიდან მათი ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა. 138 შეტყობიენების საფუძველზე პროკურორები გაესაუბრნენ იზოლატორში შესახლებულ პირებს, თუმცა მათ არ დაადასტურეს პოლიციელების მხრიდან რაიმე სახის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი და შესაბამისად, გამოძიება აღარ დაწყებულა.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ 138 შემთხვევაში გამოძიების არდაწყებას პროკურატურამ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ დაკავებულმა პირებმა გამოკითხვისას უარყვეს მათ მიმართ რაიმე შეურაცხყოფის მიყენების ფაქ-

522 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2017 წლის 1 მარტის N13/13869 წერილი.

523 2016 წლის განმავლობაში დაკავებულმა პირებმა პოლიციის მიმართ პრეტენზია დააფიქსირეს 193 შემთხვევაში.

ტი, ხოლო 7 შემთხვევაში გამოძიების არდაწყების მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ პირებმა უარი განაცხადეს პროკურატურის წარმომადგენელთან გასაუბრებაზე. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ყველა შემთხვევაში უნდა დაწყებულიყო გამოძიება დამოუკიდებელ სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის დაკავებული პირების მხრიდან ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც, რადგან აღნიშნული შესაძლოა იყოს თვითცენზურის, შიშის, სტრესისა და გაურკვევლობის შედეგი, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავისუფლების პირველ ეტაპზე დაშინების, ზეწოლის, შეურაცხყოფის და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია და ამ დროს პირი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფება.

უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლის მანდატიც იქნება სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებულ პირთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ეფექტიანი გამოძიება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავარ პროკურორს

- დაკავებულ პირთა მიმართ პოლიციის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მათ შორის, დაკავებული პირის ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც, გამოძიება დაიწყოს ცალკე წარმოებად და აწარმოოს საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესში გაიწეროს მკაფიო რეგულირება იმის შესახებ, თუ რა პროცედურის და კრიტერიუმების შესაბამისდ უნდა გაიგზავნოს შეტყობინება დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების თაობაზე

- შევიდეს ცვლილება 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესში და განისაზღვროს, რომ ექიმმა თავად უნდა გაუგზავნოს შეტყობინება საგამოძიებო ორგანოს, რათა შინაგანაწესი შესაბამისობაში იყოს 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებით დამტკიცებულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ

პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციასთან და სტამბოლის პროტოკოლით დადგენილ სტანდარტებთან

- უზრუნველყოს, რომ დაკავებული პირების მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული შეტყობინებები დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან მხოლოდ საქართველოს პროკურატურაში გაიგზავნოს.

4.5.4. ინსპექცია და მონიტორინგი

დაკავებულ თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დაცვისათვის, სათანადო შიდა და გარე ინსპექციის მნიშვნელობაზე მიუთითებს გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია[524] და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები[525].

საქართველოს პოლიციის შიდა ინსპექციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანებით დამტკიცებული გენერალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, გენერალური ინსპექციის ამოცანებია: სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი; ასევე, სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[526] 2015 წლის და 2016 წლის განმავლობაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების და დაკისრებული დისციპლინური სახდელების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

524 კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, ყოველი მონაწილე სახელმწიფო, რათა არ დაუშვას წამების რაიმე შემთხვევა, სისტემატურად განიხილავს წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომლებიც ეხება იმ პირთა დაკითხვას, აგრეთვე პატიმრობაში ყოლის და მოპყრობის პირობებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე.

525 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-12 საერთო ანგარიში, [CPT/Inf (2002) 15], პარ 50. პოლიციის დაწესებულებათა შემოწმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის საქმეში. იგი ხელს შეუწყობს თავისუფლების აღკვეთის დამაკმაყოფილებელი პირობების უზრუნველყოფას. სრული ეფექტიანობისათვის, ზემოაღნიშნული დამოუკიდებელი სტრუქტურის ვიზიტები უნდა იყოს რეგულარული და მოულოდნელი; ვიზიტების დროს შესაძლებელი უნდა იყოს დაკავებულ პირებთან კონფიდენციალურად გასაუბრება. გარდა ამისა, ამ სტრუქტურამ უნდა შეამოწმოს დაკავებულ პირთა მოპყრობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

526 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 25 იანვრის N31700195320 და 2016 წლის 9 იანვრის MIA 61600048372 წერილები.

	2015	2016
სამსახურებრივი შემოწმების რაოდენობა	22447	11196
დაკისრებული დისციპლინური სახდელების რაოდენობა	2630	2294

მითითებული მონაცემები ცხადყოფს, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით, ფაქტიურად ორჯერ ნაკლები სამსახურებრივი შემოწმება ჩატარდა, ასევე დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევები 336-ით შემცირდა.

მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, წარმოებული სამსახურებრივი შემოწმების შესახებ მოწოდებული მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

	2015	2016
დადასტურებული უფლების დარღვევის ფაქტების რაოდენობა	172	149
შედეგად, დაკისრებული დისციპლინური სახდელების რაოდენობა		
სარეკომენდაციო ბარათი	0	14
შენიშვნა	19	43
საყვედური	44	60
სასტიკი საყვედური	68	25
თანამდებობიდან ჩამოქვეითება	5	1
სამსახურიდან დათხოვნა	36	4
თანამდებობიდან ჩამოშორება	0	2

დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით გენერალურ ინსპექციაში შევიდა 76 განცხადება/საჩივარი. აქედან 61 შემთხვევაში არ დადასტურდა უფლების დარღვევის ფაქტი, პროკურატურას გადაეცა 13 საქმე, ხოლო, 2 საქმეზე მიმდინარეობს წარმოება. რაც შეეხება 2015 წელს, გადაცდომის ფაქტი დადასტურდა 2 შემთხვევაში და დაკისრებულ იქნა დისციპლინური სახდელი - საყვედური.

გარდა სამსახურებრივი შემოწმებისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისგან უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ სისხლის სამართლის საქმეებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, ჩაატაროს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

საანგარიშო პერიოდში გენერალურ ინსპექციაში გამოძიება მიმდინარეობდა 31 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საქმეებიდან მოქალაქის უფლე-

ბების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული იყო 6 საქმე, კერძოდ, ქურდობა - 1, თაღლითობა - 4, ცემა - 1. მითითებულ 6 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

რაც შეეხება 2015 წელს, გენერალურ ინსპექციაში გამოძიება მიმდინარეობდა 42 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საქმეებიდან მოქალაქის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული იყო 7 საქმე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - 1 საქმე; ქურდობა - 2 საქმე; გაუპატიურება - 1 საქმე; ხულიგნობა - 1 საქმე; თაღლითობა - 2 საქმე). დასახელებული საქმეებიდან ერთი შეწყდა განრიდებით, ორი სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, საიდანაც ერთ საქმეზე უკვე არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო მეორე საქმე გამოძიების ეტაპზეა. გამამართლებელი განაჩენი არცერთ საქმეზე არ დამდგარა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მექანიზმის შექმნამდე სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებულ პირთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტები უნდა გამოიძიოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.

რაც შეეხება დროებითი მოთავსების იზოლატორებში მონიტორინგის საკითხს, აღნიშნული ფუნქცია დაკისრებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტს, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიან დროებითი მოთავსების იზოლატორები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N1006 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ამოცანას წარმოადგენს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაკავებულ ან/და ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირთა დროებითი მოთავსების იზოლატორში (შემდგომში – იზოლატორი) მოთავსება და მათი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, დეპარტამენტში ფუნქციონირებს მონიტორინგის სამსახური, რომელიც კონტროლს უწევს იზოლატორში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვას; ახორციელებს იზოლატორის მოსამსახურეთა მიერ იზოლატორში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგს; ახორციელებს იზოლატორში მოთავსებულ პირთა საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების მონიტორინგს; კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებას ახდენს მიღებული განცხადებების, ინფორმაციის ან/და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შესაძლო დარღვევებზე.

რაც შეეხება გარე მონიტორინგს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი და მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირი (მათ შორის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი) უფლებამოსილნი არიან დროებითი მოთავსების იზოლატორებში და პოლიციის სამმართველოებ-

ში შემოწმება ჩაატარონ, იქ მყოფი დაკავებული პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ვიზიტის ფარგლებში, ყველა სამმართველოსა და იზოლატორის თანამშრომლები კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სრულად თანამშრომლობდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან და ხელს უწყობდნენ მათ მონიტორინგის სრულყოფილ განხორციელებაში.

ასევე, ნიშანდობლივია, რომ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა პოლიციის დანაყოფებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებულ ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემებზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის დაუბრკოლებლად დაშვების მნიშვნელობაზე და რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, უზრუნველეყო სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაუბრკოლებელი წვდომა აღნიშნულ სისტემებზე.

მითითებული რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ვიდეომეთვალყურეობა ხორციელდება სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში არსებული ცენტრალური მართვის ოთახიდან, სადაც შესვლის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. რაც შეეხება ვიდეო ჩანაწერებზე საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციის ჯგუფის წარმომადგენელთა წვდომას, აღნიშნული უფლება მათ გააჩნიათ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური მართვის ოთახში შესვლის წესი განსაზღვრულია შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-11 მუხლით, კერძოდ, ცენტრალური მართვის ოთახში შესვლის/ყოფნის უფლება აქვს: მინისტრს; დეპარტამენტის კურატორ მინისტრის მოადგილეს; დეპარტამენტის დირექტორს; დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეებს; დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის მოსამსახურეებს და ასევე, მინისტრის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სხვა პირს, ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან ან სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება პოლიციის შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის საკითხს, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, ფორმის ტანსაცმელზე, გზასა და შენობების გარე პერიმეტრზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამონტაჟოს/განათ-

ავსოს, აგრეთვე გამოიყენოს სხვის მფლობელობაში არსებული, დამონტაჟებული ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკა, კერძოდ, დანაშაულის პრევენციის, აგრეთვე პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისათვის; საგზაო მოძრაობის წესების დაცვის უზრუნველსაყოფად; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის თავიდან აცილების, აღმოჩენის, აღკვეთისა და საზღვარზე პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით; სასაზღვრო-გამტარ პუნქტში პირებისა და ქონებისათვის შექმნილი საფრთხის დროულად გამოვლენის მიზნით.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის N53 ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ადმინისტრაციულ შენობებში პირთა და სატრანსპორტო საშუალებათა შესვლა-გასვლის შესახებ მონაცემებს ამუშავებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე თანამშრომელთა და უცხო პირთა შესვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 10 ოქტომბრის №1084 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული მონაცემების შენახვის ვადაა 3 წელი.

მე-4 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერებს ამუშავებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უსაფრთხოების ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №1035 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული მონაცემების შენახვის ვადა დამოკიდებულია ტექნიკური საშუალებების მახასიათებლებზე, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.

მე-5 პუნქტის თანახმად, სამინისტრო გზებსა და შენობების გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ჩანაწერებს ამუშავებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული მონაცემების შენახვის ვადა დამოკიდებულია ტექნიკური საშუალებების მახასიათებლებზე, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით დროებითი მოთავსების იზოლატორებისა, პოლიციის ადმინისტრაციულ შენობებში ვიდეომეთვალყურეობის და ჩანაწერების განხორციელების წესი განსაზღვრული არ არის. ასევე, არ არის დადგენილი იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ ჩანაწერების გაცნობა.

ამდენად, ნათელია, რომ ჩანაწერებზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება განსაზღვრული არ არის და შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ შესრულებულა.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-11 მუხლით განსაზღვრულ პირთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ შევიდნენ ცენტრალური მართვის ოთახში, დაემატოს სახალხო დამცველის რწმუნებული/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი

- უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის გამოცემა, რომლითაც გარანტირებული იქნება საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის დაუბრკოლებელი წვდომა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე არსებული ვიდეო-კამერებით განხორციელებულ ჩანაწერებზე.

4.6. თანამშრომელთა სამუშაო პირობები და სწავლება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, რაიონული და საქალაქო სამმართველოების, პოლიციის განყოფილებებისა და საპატრულო პოლიციის ოფისებში დასაქმებულია 7667 მამრობითი და 886 მდედრობითი სქესის სამართალდამცავი.[527]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, რაიონული და საქალაქო სამმართველოების, პოლიციის განყოფილებებისა და საპატრულო პოლიციის ოფისებში მცირედი რაოდენობით არიან დასაქმებულები ქალები, არის რეგიონები, სადაც ქალები ან საერთოდ არ არიან, ან მათი რაოდენობა ძალიან მცირეა.[528]

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიჩნევს, სამართალდამცავ სტრუქტურებში უზრუნველყოფილი იყოს ქალისა და მამაკაცის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა; მდედრობითი სქესის წარმომადგენლების სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმება მნიშვნელოვანია იმის გამო, , რომ განხორციელდეს ქალი დაკავებულების გენდერულად სპეციფიკური მოპყრობა და შესაბამისი შემოწმების პროცედურები.

527 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 2017 წლის 15 თებერვლის MIA 517 00374701 წერილი.

528 მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონულ სამმართველოში დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების განყოფილებაში დასაქმებულია 50 მამაკაცი და არცერთი ქალი. მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი ყაზბეგის რაიონული სამმართველოს დეტექტივების, პოლიციისა და უბნის ინსპექტორების განყოფილებაში 12 დასაქმებულიდან არცერთი არ არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საჩხერის რაიონული სამმართველოს დეტექტივების, პოლიციისა და უბნის ინსპექტორების განყოფილებაში დასაქმებულია 35 მამრობითი სქესისა და ერთი მდედრობითი სქესის სამართალდამცავი.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წერილობით გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, რაიონული და საქალაქო სამმართველოების, პოლიციის განყოფილებებისა და საპატრულო პოლიციის ოფისებში დასაქმებულ პირთა მუშობის განრიგის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, რაიონული და საქალაქო სამმართველოების და პოლიციის განყოფილებების თანამშრომლები ძირითადად მუშაობენ 24 საათიან ცვლაში და მათ მორიგეობა უწევთ ყოველ მესამე დღეს, ხოლო ზოგიერთი თანამშრომელი მუშაობს 24 საათიან ცვლაში, ყოველ მეორე დღეს. გარდა ამისა, ტურისტული სეზონისა და სხვადასხვა ღონისძიების გათვალისწინებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც თანამშრომლებს უწევთ მორიგეობა ყოველ მეორე დღეს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას ზოგიერთი თანამშრომელი აღნიშნავდა, რომ შრომატევადი და დამღლელი საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქებოდა სამუშაოს რეჟიმის შემსუბუქება.

ქალი სამართალდამცავების სამუშაო დრო, როგორც წესი, მოიცავს 09.00 საათიდან 18.00 საათამდე (ორშაბათი-პარასკევი) პერიოდს. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, ქალი სამართალდამცავის დღე-ღამის ნებისმიერ პერიოდში გამოძახება ისეთი საპოლიციო ფუნქციის შესასრულებლად, როგორიცაა სამმართველოში ქალი დაკავებულის პირადი შემოწმება და გარეგნული დათვალიერება, დროებითი მოთავსების იზოლატორში ბადრაგირებისას დასწრება და, ასევე, პირის/პირთა ჯგუფის დაკავების მიზნით ოპერატიული ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციელთა მორიგეობის გრაფიკის დარეგულირება უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ პოლიციელთა შრომითი უფლებების დასაცავად, არამედ იმიტომაც, რომ აღნიშნულს მნიშნელოვანი ზეგავლენა აქვს პოლიციელის მხრიდან დაკავებულის სათანადო მოპყრობასთან. პოლიციელები, რომლებიც სათანადო დასვენების გარეშე მუშაობენ ხანგრძლივად, შეიძლება გადაიღალონ და იმყოფებოდნენ სტრესის ქვეშ, რაც უარყოფითად აისახება მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და, შესაბამისად, ქცევაზე.

სახალხო დამცველი მიიჩვევს, რომ კონტროლის, უსაფრთოხებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზანი უკეთესად მიიღწევა ისეთ გარემოში, სადაც პატივისცემით ეპყრობიან მოქალაქის ღირსებას. მოქალაქისადმი სამართლიანი, კანონიერი და თავაზიანი მოპყრობა არა მხოლოდ კრიტიკულად მნიშვნელოვანია კარგი გარემოს უზრუნველსაყოფად, არამედ მას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა წესრიგის უზრუნველსაყოფად. იქ, სადაც დაცულია მოქალაქეთა უფლებები, აღიარებულია პოლიციის ავტორიტეტი და მისდამი პატივისცემა.

იმისათვის, რომ პოლიციის მხრიდან მიღწეული იყოს უსაფრთოხებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზანი, მნიშვნელოვანია, პოლიციის მუშაობა დაე-

მყაროს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს. აღნიშნული მიზანი მიიღწევა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ პოლიციელების სწავლებისა და გადამზადების პროგრამებში მაქსიმალურად ინტეგრირებული იქნება ადამიანის უფლებების საკითხები, სწავლება განხორციელდება რეგულარული ინტერვალებით და უზრუნველყოფილი იქნება ცოდნის თეორიული და პრაქტიკული შემოწმება სარწმუნო ინსტრუმენტებით.

სახალხო დამცველი მიესალმება სამართალდამცავ სტრუქტურებში მიღებული წვევამდელების, უმცროსი ლეიტენანტების, უბნის ინსპექტორთა, დეტექტივ-გამომძიებელთა და პატრულ-ინსპექტორთათვის სავალდებულო სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების არსებობას. სასწავლო პროგრამების სილაბუსების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამებში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავთა სპეციალური საგანმანათლებლო პროგამების ფარგლებში, ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან საკითხებზე ერთჯერადი გადამზადება და სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებების სწავლებისათვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ ათვისებასა და გააზრებას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, უბნის ინსპექტორები თანამდებობაზე ინიშნებიან ისე, რომ არ აქვთ გავლილი უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც სახალხო დამცველის შეფასებით დაუშვებელია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებული პირების უმრავლესობა არ არის გათვითცნობიერებული ისეთ საკითხებში, როგორიცაა მოქალაქეებთან გასაუბრების ჩატარების სტანდარტები (გასაუბრების ჩატარების საფუძვლები, ადგილი, გამოყენებული საპოლიციო ღონისძიების შესახებ მოქალაქეებისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება, თითოეულ ღონისძიებასთან დაკავშირებით საპროცესო უფლებების განმარტების ვალდებულება, თვითნებური დაკავების აკრძალვა); დაკავებულის ინფორმირება უფლებების შესახებ და მათი უზრუნველყოფა (ოჯახის ინფორმირება, ადვოკატისა და ექიმის ხელმისაწვდომობა); ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იძულების ღონისძიებების გამოყენების სტანდარტები (სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ); ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იძულების ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში არსებული ვალდებულებები (მიყენებული დაზიანებების სრულყოფილი აღწერა და ოქმის წარმოება, შესაბამისი ორგანოების ინფორმირება); არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება (მედიაცია, ეფექტური კომუნიკაცია, კონფლიქტური სიტუაციებისა და მოქალაქეთა აგრესიის მართვა); ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; დაკავებულის სამმართველოში მიღებისა და შემოწმე-

ბის პროცედურები (ტრანსგენდერი/ლგბტ პირის შემოწმება); დაზიანებების აღწერის/შემოწმების/ჩხრეკის/ ზედაპირული შემოწმების/ სპეციალური შემოწმებისა და დათვალიერების დროს არსებული პროცედურები და სტანდარტები; დაკავებულის დაკითხვის პროცედურები და ტექნიკა; არასრულწლოვნის/მოწმის/ნებაყოფლობით მოწვეული პირის დაკითხვა; ნარკოტიკული საშუალებების, ალკოჰოლის და ა.შ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა დაკითხვის თავისებურებები; პოლიციელთა ეთიკის კოდექსი, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის შემთხვევაში არსებული პასუხისმგებლობა; დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სწავლება (დაკავების ოქმების, სამმართველოებში არსებული ჟურნალების შევსება და წარმოება).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებული პირების გადამზადება უნდა განხორციელდეს პერიოდულად. მათ შორის, მნიშნელოვანია, რომ პოლიციის აკადემიის მიერ შემუშავდეს პოლიციელთა გადამზადების მოკლევადიანი კურსები, რომლებიც გათვლილი იქნება სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებული თანამშრომლების გადამზადებისათვის. აღნიშნული კურსები შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციური სწავლების სახით და წლის განმავლობაში მოიცვას ყველა თანამშრომელი. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს პოლიციელთა გადამზადების კურსის მასალა, რომლითაც მათ შეეძლებათ დამოუკიდებლად გაეცნონ პოლიციისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული წერილით[529] ირკვევა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამუშაოზე მისაღებად, რაიმე სახის სპეციალურ სასწავლო პროგრამის გავლა გათვალისწინებული არ არის. თუმცა, სამინისტროდან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ 2016 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში დაიწყო დროებითი მოთავსების იზოლატორების მოსამსახურეთა გადამზადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამა, დღეის მდგომარეობით, გაიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების 20 (ოცმა) მოსამსახურემ და სასწავლო კურსს 2017 წლის დასრულებამდე გაივლის იზოლატორების ყველა მოსამსახურე. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას და აქტიურად დააკვირდება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები ისეთ საკითხებში, როგორიცაა „სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების დოკუმენტირება, დროე-

529 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 1 თებერვლის N247190 წერილი.

ბითი მოთავსების იზოლატორებში ჯანსაღი გარემოს შექმნისა და დაავადებათა პრევენცია“, „მომზადება-გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, „ტრენინგი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლების გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამყარების თავისებურებანი. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას და მნიშვნელოვნად მიიჩნევს, თანამშრომელთა გადამზადების ფარგლებში ჩატარდეს არასრულწლოვან პირებთან ურთიერთობის თავისებურებების შესახებ ტრენინგიც.

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ თითოეული სასწავლო პროგრამისა და ტრენინგის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შემოწმებასა და შეფასებას სხვადასხვა პრაქტიკული სიტუაციების იმიტაციისა და როლურ თამაშებზე დაკვირვების შედეგად თანამშრომელთა შეფასების გზით.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის სამუშაო გრაფიკის გადახედვის გზით, რათა, მძიმე სამუშაო პირობების გამო, მინიმუმამდე იყოს შემცირებული პოლიციის თანამშრომელთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუარესებისა და პროფესიული გადაწვის რისკები

- მიიღოს ყველა ზომა, რათა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, რაიონული და საქალაქო სამმართველოებისა და პოლიციის განყოფილებებში შეიქმნას ქალისა და მამაკაცის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა, ასევე თანაბარი სამუშაო პირობა

- მიიღოს ყველა ზომა, რათა არ მოხდეს უბნის ინსპექტორების თანამდებობაზე დანიშვნა უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის გარეშე

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებული პირების გადამზადება განხორციელდეს პერიოდულად. მნიშნელოვანია, რომ პოლიციის აკადემიის მიერ შემუშავდეს პოლიციელთა გადამზადების მოკლევადიანი კურსები, რომლებიც გათვლილი იქნება სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებული თანამშრომლების გადამზადებაზე. აღნიშული კურსები შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციური სწავლების სახით

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს პოლიციელთა გადამზადებისა და სხვა ნებისმიერი სასწავლო კურსის მასალები
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა გადამზადების ფარგლებში ჩატარდეს არასრულწლოვან პირებთან ურთიერთობის თავისებურებების შესახებ ტრენინგიც
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნა არ განხორციელდეს იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის გარეშე.

4.7. დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მდგომარეობა

2016 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მონიტორინგი განახორციელეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 27 დროებითი მოთავსების იზოლატორში. მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო და ზემო სვანეთი და თბილისი. მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ იზოლატორის თანამშრომლებს და შეამოწმეს 2016 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით.

2016 წელს არ ფუნქციონირებდა გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორი. 2016 წელს ასევე გაუქმდა ბორჯომის, ლენტეხის, ხობის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თერჯოლისა და ჩოხატაურის დროებითი მოთავსების იზოლატორები. რუსთავისა და ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში წლის მანძილზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქვემოთ მითითებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2016 წლის მანძილზე შესახლდა 13 081 პირი. თითოეულ დროებითი მოთავსების იზოლატორში 2015 და 2016 წელს დაკავებულ პირთა შესახლების მონაცემები მითითებულია ცხრილში.

N	დროებითი მოთავსების იზოლატორის დასახელება	დაკავებულ პირთა რაოდენობა 2015 წელს	დაკავებულ პირთა რაოდენობა 2016 წელს
1	თბილისის N1 დმი	417	690
2	თბ. და მცხ. მთიანეთის დმი	5 556	4 836
3	მცხეთის დმი	379	341

4	დუშეთის დმი	29	27
5	თელავის დმი	503	333
6	საგარეჯოს დმი	224	160
7	სიღნაღის დმი	189	153
8	ყვარლის დმი	359	307
9	გორის დმი	581	566
10	ხაშურის დმი	325	233
11	ბორჯომის დმი	118	49
12	ახალციხის დმი	214	203
13	ახალქალაქის დმი	36	54
14	რუსთავის დმი	356	109
15	თეთრიწყაროს დმი	34	5
16	წალკის დმი	29	6
17	მარნეულის დმი	545	653
18	ქუთაისის დმი	1 104	397
19	ლენტეხის დმი	11	5
20	ზესტაფონის დმი	330	183
21	ბაღდათის დმი	64	172
22	ჭიათურის დმი	146	82
23	სამტრედიის დმი	325	211
24	ამბროლაურის დმი	25	40
25	ზუგდიდის რეგ. დმი	366	304
26	ზუგდიდის დმი	661	125
27	სენაკის დმი	288	328
28	ხობის დმი	143	126
29	ფოთის დმი	219	264
30	ჩხოროწყუს დმი	162	101
31	მესტიის დმი	16	17
32	ბათუმის დმი	2 039	1 515
33	ქობულეთის დმი	355	308
34	ოზურგეთის დმი	153	132
35	ლანჩხუთის დმი	82	31
36	ჩოხატაურის დმი	28	15
სულ		**16 416**	**13 081**

აღსანიშნავია, რომ საერთო ჯამში, 2016 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა 20,3 %-ით არის შემცირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, შინა-

გან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2016 წელს ჩატარდა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: ქვემო ქართლის[530] რეგიონული დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული ფიცარნაგების ნაცვლად ინდივიდუალური საწოლები დამონტაჟდა. იზოლატორი სრულად განახლდა და აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, ასევე განხორციელდა საპირფარეშოების იზოლირება და დროებითი მოთავსების იზოლატორი შშმ პირთათვის ადაპტირდა. ამავე იზოლატორში დამატებით მოეწყო სასეირნო ეზო და სამედიცინო ოთახი.

სარემონტო სამუშაოების შედეგად სრულად განახლდა ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ასევე მოხდა საპირფარეშოების იზოლირება. იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის[531] რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში გარდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებისა, ასევე მოეწყო სამედიცინო ოთახი.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, წლის მანძილზე სამედიცინო ოთახები მოეწყო 5 დროებითი მოთავსების იზოლატორში. კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის[532] რეგიონულ, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ[533], კახეთის რეგიონულ[534], სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ[535], აჭარისა და გურიის რეგიონულ[536] დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

ახალი სავენტილაციო სისტემა დამონტაჟდა თბილისის N2, ქვემო ქართლის რეგიონულ[537], იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონულ, ბაღდათის, ამბროლაურის, დუშეთის, ახალქალაქის, ქობულეთისა და წალკის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. არსებული სავენტილაციო სისტემა შეკეთდა თბილისის N1, აჭარისა და გურიის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

გარდა აღნიშნულისა, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონულ, ამბროლაურის, ჭიათურის, რუსთავის, დუშეთისა და თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორებში დამონტაჟდა გათბობის ახალი სისტემა, ხოლო შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორში შეაკეთეს არსებული გათბობის სისტემები. [538]

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად სარემონტო სამუშაოების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს.

530 რუსთავი.
531 ქუთაისი.
532 მცხეთა.
533 გორი.
534 თელავი.
535 ზუგდიდი.
536 ბათუმი.
537 რუსთავი.
538 2017 წლის 20 თებერვლის MIA 8 17 00412954 წერილობითი პასუხი.

4.7.1. საცხოვრებელი ფართი

წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტის თანახმად, „პოლიციის დაწესებულებაში საკნის (ან დაკავებულის/პატიმრის განთავსების ნებისმიერი სხვა ტიპის ადგილის) ფართობის განსაზღვრა რთული საკითხია. ასეთი შეფასებისას ბევრი ფაქტორი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. კომიტეტის აზრით, ამ სფეროში აუცილებელია მკაცრი სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა. ამჟამად, პოლიციის დაწესებულებაში ისეთი საკნების შეფასებისას, რომელიც განკუთვნილია ერთ ადამიანზე, რომელიც იქ რჩება რამდენიმე საათზე მეტ ხანს, მოქმედებს შემდეგი სტანდარტი (რომელიც მიიჩნევა უფრო სასურველად, ვიდრე მინიმალურ სტანდარტად): 7 კვადრატული მეტრი - საკნის ფართობი, 2 მეტრი ან მეტი დაშორება კედლებს შორის, 2.5 მ საკნის იატაკიდან ჭერამდე."[539] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის თანახმად,[540] იზოლატორში მოთავსებულ პირზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა არ უნდა იყოს 4 კვ. მ-ზე ნაკლები.[541]

თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში შვიდი ოთხადგილიანი საკანია. საკნების ფართი 10მ^2-11მ^2 მერყეობს. სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორში სამი სამადგილიანი საკანია, რომელთა ფართი 11მ^2–13მ^2 მერყეობს. ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში სამი ოთხადგილიანი საკანია. სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორში ორი ორადგილიანი საკანია, რომელთა ფართი დაახლოებით 6.3 მ^2-ია. საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორში არის ოთხი სამადგილიანი საკანი, რომელთა ფართი 9მ^2 - 9,65 მ^2 მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნების სრულად დატვირთვის შემთხვევაში, თითოეული დაკავებული ვერ იქნება უზრუნველყოფილი 4 მ^2 ფართით, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის[542] სტანდარტის დარღვევაა.

4.7.2. ფიზიკური გარემო

წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტით, „პოლიციის განყოფილებაში ყველა საკნის ფართი გათვლილი უნდა იყოს პირთა იმ რაოდენობაზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, იქ თავსდებიან. საკნებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათება (რომელიც იძლევა კითხვის საშუალებას, ძილის პერიოდის გამოკლებით) და ვენტილაცია. სასურველია, საკნებში იყოს ბუნებრივი განათება. გარდა ამისა,

539 წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), გვერდი 8, პარ. 43. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf [ბოლოს ნანახია 13.02.2017].

540 დამტკიცებულია 2016 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით.

541 მუხლი 26, ნაწილი 2.

542 დამტკიცებულია 2016 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით.

საკნებში უნდა იყოს დასვენების პირობები (მაგალითად, იატაკში ჩამონტაჟებული სკამი ან ძელსკამი).[543]

ახალციხის და თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნებში არსებული ფანჯრები არ იღება. შესაბამისად, არ ხდება საკნების ბუნებრივი გზით განიავება, საკანში არ აღწევს მზის სხივები და, შესაბამისად, ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი. ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში არასაკმარისი ხელოვნური ვენტილაციაა. ოზურგეთის, ჭიათურის, საგარეჯოს და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ, დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნებში არსებულ ფანჯრებს აკრული აქვს დახვრეტილი ლითონის ფირფიტები, რაც ხელს უშლის საკნების ბუნებრივ განათებას და განიავებას.

საკნებში არასაკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციაა ფოთის და ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორებშიც. ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის პრობლემაა ბათუმის (აჭარისა და გურიის რეგიონულ) დროებითი მოთავსების იზოლატორში. ამბროლაურის და სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნებში არასაკმარისია ბუნებრივი ვენტილაცია, ასევე ბუნებრივი და ხელოვნური განათება. ზესტაფონისა და ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში ბუნებრივი განათება არასაკმარისია.

რიგ დროებითი მოთავსების იზოლატორში საკნების განათება და ხელოვნური ვენტილაცია გარედან რეგულირდება თანამშრომლის მიერ. ასე, მაგალითად, ამბროლაურის, ჭიათურის, ზესტაფონის, სამეგრელო - ზემო სვანეთის (რეგიონულ), ფოთის, საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნების განათება რეგულირდება გარედან, თანამშრომლების მიერ. ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში საკნებში ხელოვნური ვენტილაცია გარედან კონტროლდება.

ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებულ საკნებში ინდივიდუალური საწოლების ნაცვლად ფიცარნაგია. საკნებში არ არის მაგიდა და სკამები.

4.7.3. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის თანახმად,[544] იზოლატორში არსებული საცხოვრებელი პირობები უნდა შეესაბამებოდეს სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს; უზრუნველყოფდეს მოთავსებული პირის უსაფრთხოებას და ჯანმრთელობის შენარჩუნებას; არ უნდა ხელყოფდეს მოთავსებული პირის პატივსა და ღირსებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას;[545] მოთავსებული

543 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, პარაგრაფი 42, ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ნანახია: 26.03.2017].

544 დამტკიცებულია 2016 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით.

545 მუხლი 26 (1).

პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო შემდეგი ჰიგიენური საშუალებებით, როგორებიცაა ჰიგიენური ქაღალდი, საპონი, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, პირსახოცი, აგრეთვე მათი განთავსების შესაძლებლობით; ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირი დამატებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საპარსი საშუალებით, ხოლო იზოლატორში მოთავსებული ქალები გენდერსპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე-სხვა დამატებითი ჰიგიენური საშუალებებით.[546]

ფოთის დროებითი მოთავსების იზოლატორისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკნებში სინესტეა, კედლებზე და ლეიბებზე შეიმჩნევა ნესტის და ობის კვალი. იგრძნობა მძაფრი სპეციფიკური სუნი. სინესტე შეიმჩნევა ასევე ბათუმის (აჭარისა და გურიის რეგიონულ) დროებითი მოთავსების იზოლატორში. ზესტაფონისა და ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორში არადამაკმაყოფილებელია საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. იზოლატორები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში საწოლებზე არსებული მატრასები დაზიანებულია და გამოსაცვლელია. ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული ვიზიტის[547] დროს არ იყო ახალი პირსახოცების მარაგი, ხოლო ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიზიტის დროს[548] მარაგში არ ჰქონდათ ერთჯერადი ჩანგლები.

მიუხედავად იმისა, რომ ზესტაფონის იზოლატორში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის[549] დროს იყო პირადი ჰიგიენის ნივთების (ჯაგრისი, კბილის პასტა) მარაგი, აღმოჩნდა, რომ ისინი არც ერთ დაკავებულს არ მიეწოდა. მეტიც, მათ არც კი ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე, სამი დაკავებულიდან არც ერთს არ ჰქონდა პირსახოცი, რომელიც ისედაც მხოლოდ 2 ცალი იყო მარაგში.

სამწუხაროდ, დროებითი მოთავსების იზოლატორები არ მარაგდება ჰიგიენური საფენებით, რის გამოც იზოლატორის თანამშრომლებს უწევთ მათი სახსრებით შეიძინონ ჰიგიენური საფენები დაკავებული ქალებისთვის.

4.7.4. კვება და სასმელი წყალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის თანახმად,[550] იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის განკუთვნილი საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელ კომპონენტებს, აკრძალულია მოთავსებული პირის დასჯის მიზნით საჭმლის კალორიულობის შემცირე-

546 მუხლი 27 (2).
547 14.09.2016.
548 15.09.2016.
549 13.09.2016.
550 დამტკიცებულია 2016 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით.

ბა.[551] მოთავსებული პირი ყოველდღიურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამჯერადი კვებით.[552] ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, არასრულწლოვნებს უნდა შეექმნათ მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.[553]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ პირთა სადღეღამისო კვების ნორმებით[554] განსაზღვრულია შსს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ პირთა სადღეღამისო სასურსათო ულუფის ნორმა[555], ასევე არასრულწლოვნებისთვის,[556] ორსული და მეძუძური დედებისთვის, ტუბერკულოზით, დისტროფიით, წყლულოვანი ავიტამინოზით და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა[557] სასურსათო ულუფის ნორმა. როგორც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, დაკავებულ პირებს მიეწოდებათ მხოლოდ მშრალი სასურსათო ულუფის ნორმა, რაც მოიცავს[558] პურს, მშრალ სუპს, საქონლის ხორცის კონსერვს, პაშტეტს, შაქარს და ჩაის (ერთჯერადი).

აღსანიშნავია, რომ რეგიონებში არსებული იზოლატორების უმრავლესობას არ მიეწოდება დაკავებულების კუთვნილი პური. აღნიშნულ იზოლატორებს პურის მიწოდებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებებიც არ აქვთ გაფორმებული. არის შემთხვევები, როდესაც იზოლატორის თანამშრომლები საკუთარი სახსრებით იძენენ პურს დაკავებულებისთვის. დაკავებულები ძირითადად იკვებებიან ამანათით შემოსული საკვები პროდუქტებით. გასათვალისწინებელია, რომ პირს შეიძლება არ ჰყავდეს ახლობლები, რომლებიც ამანათით საკვებს და პურს შეუგზავნიან. იზოლატორში შეიძლება ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირი 15 დღემდე ვადით იმყოფებოდეს. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი სათანადო კვებით უზრუნველყოფა და საცხოვრებელი პირობების შექმნა.

განსხვავებულად იკვებებიან თბილისის N1 და N2 იზოლატორში მყოფი დაკავებულები. მათი საკვებით უზრუნველყოფა ხდება სასადილოში მომზადებული საკვებით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

თბილისის N1 იზოლატორში დაკავებულებს საკვები მიეწოდებათ დღეში სამჯერ, ერთი კვირით ადრე შედგენილი მენიუს შესაბამისად. ძირითად მენიუს წარმოადგენს: ბურღულეული, ჩაი, პური, ბოსტნეული, ხორცი და თევზი. საკვები მზადდება ამავე შენობაში მდებარე სასადილოში, რომელიც ძირითადად განკუთვნილია მომსახურე პერსონალისთვის. სამზარეულოში დაკავებულებისთვის საკვებს ამზადებს სპეციალურად გამოყოფილი ერთი მზარეული განერილი კალორაჟის გათვალისწინებით.[559] გამზადებული საკვები, სპეციალური დახურული კონტეინერებით საკნებში მიეწოდებათ დაკავებულებს.

551 მუხლი 28 (1).
552 იხ. იქვე, მუხლი 28 (3).
553 მუხლი 28 (4).
554 დამტკიცებულია 2005 წლის 5 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N457 ბრძანებით.
555 დანართი N1.
556 დანართი N3.
557 დანართი N2.
558 დანართი N4.
559 2005 წლის 5 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N457 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ პირთა სადღეღამისო კვების ნორმების განსაზღვრის შესახებ.

2016 წლის 10 ნოემბერს ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული ვიზიტის დროს შესწავლილი 284 დაკავებული პირის საქმიდან 3 შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ დაკავებული პირები დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის დროს საკვებით მოიწამლნენ.

ასე მაგალითად, 2016 წლის 23 ივნისს (02:51 საათზე.) ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებული ე.ე. ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში ამავე დღის 06:41 საათზე შეასახლეს. დროებითი მოთავსების იზოლატორში სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ გაკეთებული ჩანაწერების თანახმად, პაციენტი უჩიოდა საერთო სისუსტეს, თავბრუსხვევას, გულისრევას, კუჭის აშლილობას. დიაგნოზი: კვებითი ინტოქსიკაცია. აღნიშნული დიაგნოზით დაკავებული გადაიყვანეს[560] ქობულეთის რეგიონულ საავადმყოფოში. სამედიცინო ცნობის თანახმად, პაციენტი უჩიოდა გულისრევას, ღებინებას, ფაღარათს, ტკივილს მუცლის არეში (დიაგნოზი: კვებითი ინტოქსიკაცია).

ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ზემოთ მითითებულ დაკავებულს ახლობლებისგან ამ პერიოდში ამანათი არ მიუღია. დროებითი მოთავსების იზოლატორში კი მიირთვა პაშტეტი და დალია ჩაი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის თანახმად,[561] მოთავსებულ პირს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელი წყალი.[562]

დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებულ საკნებში არ არის პირსაბანი. ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორში სანიტარული კვანძიდან 20 სმ სიმაღლეზე არის წყლის მილი. აღნიშნული მოუხერხებელი და არაჰიგიენურია, როგორც ხელ-პირის დასაბანად, ასევე დასალევად. ანალოგიური მდგომარეობაა ჭიათურისა და ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში არ არის წყალი. როგორც თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში, ასევე სამტრედიის, ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში სასმელ წყალს დაკავებულებს საკანში ბოთლით/ჭიქით აწვდიან იზოლატორის თანამშრომლები.

4.7.5. სანიტარული კვანძის პრივატულობა

დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა სუფთა და ღირსების შეულახავ პირობებში, ასევე შხაპის მიღების საშუალება.[563]

560 25.06.2016 წელს 11:22 საათზე.

561 დამტკიცებულია 2016 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით.

562 მუხლი 28 (5).

563 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, პარაგრაფი 42, ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ნანახია: 26.03.2017].

სიღნაღის, საგარეჯოს, ახალციხის, ახალქალაქის, თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორებში სანიტარული კვანძი არ არის საკანში. დაკავებული პირები სარგებლობენ საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძით.

ამბროლაურის, ჭიათურის, ზესტაფონის, სამტრედიის, ოზურგეთის, ფოთის, ბათუმის (აჭარისა და გურიის რეგიონულ), თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ორ და მეტ ადგილიან საკნებში, სადაც დაკავებული პირი მარტო არ არის საკანში მოთავსებული და ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უწევს სხვა პირის თანდასწრებით.

სამტრედიის, ოზურგეთის, ფოთის, ამბროლაურის, ზესტაფონისა და ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნებში სანიტარულ კვანძებში არ არის ჩამრეცხი მოწყობილობა და მათ ფუნქციას ასრულებს იატაკიდან 20-30 სმ-ის სიმაღლეზე არსებული წვრილი მილი, რომელიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ჩარეცხვას. ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში საპირფარეშოს ჩამრეცხი მილი იატაკიდან 1 მეტრზეა დამონტაჟებული. აღნიშნული მოუხერხებელი და არაჰიგიენურია, როგორც საპირფარეშოს ჩასარეცხად, ასევე ხელ-პირის დასაბანად.

ზესტაფონის, ფოთის, ბათუმის[564] (აჭარისა და გურიის რეგიონულ) დროებითი მოთავსების იზოლატორებში საპირფარეშოს ჩარეცხვა შესაძლებელია მხოლოდ საკნის გარედან, იზოლატორის დერეფანში არსებული ონკანით. შესაბამისად, ჩარეცხვის საჭიროების შემთხვევაში, დაკავებულმა საკნიდან უნდა დაუძახოს თანამშრომელს და სთხოვოს საპირფარეშოში წყლის გაშვება.

4.7.6. სუფთა ჰაერზე ყოფნის/გასეირნების უფლება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის თანახმად,[565] სუფთა ჰაერზე გასეირნება ხორციელდება მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელის ზომად განუსაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა ერთ დღე-ღამეზე მეტი ვადით.[566] გასასეირნებლად გაყვანა ხორციელდება 10:00 საათიდან 18:00 საათამდე პერიოდში, იზოლატორის უფროსის მიერ შედგენილი გრაფიკით. გასეირნების ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 1 საათით.[567] სამწუხაროდ, გასეირნების უფლებით ვერ სარგებლობს სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირი.

დროებითი მოთავსების იზოლატორების დაკავებულ პირთათვის განკუთვნილი ეზოები არ არის აღჭურვილი სკამებით. თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სასეირნო ეზოს არქონის გამო, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირების მიღება არ ხდება. ამბროლაურის, ახალციხის,

564 8 საკანში გარედან რეგულირდება, ხოლო დანარჩენ 2-ში საკნის შიგნიდან.
565 დამტკიცებულია 2016 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით.
566 მუხლი 32 (1).
567 იხ. იქვე მუხლი 32 (2).

სიღნაღის, საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული პირებისთვის სასეირნო ეზო არ არის გათვალისწინებული.

ახალქალაქის, სამეგრელო-ზემო სვანეთის (რეგიონულ), თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორის სასეირნო ეზოები გადახურულია მხოლოდ რკინის ბადით, რის გამოც წვიმიან/თოვლიან ამინდში გასეირნება შეუძლებელია.

როგორც 2016 წელს განხორციელებული ვიზიტების საფუძველზე გამოიკვეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში კვლავ პრობლემად რჩება საკნებში არასაკმარისი გათბობა, ბუნებრივი და ხელოვნური განათებისა და ვენტილაციის ნაკლებობა, არაიზოლირებული სანიტარული კვანძები, საკნებში ხელსაბანის არარსებობა, არასათანადო კვება, პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგების პრობლემა, ასევე, რიგ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ინდივიდუალური საწოლების ნაცვლად ფიცარნაგების არსებობა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული პრობლემების შესახებ სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც მიუთითა, თუმცა, ეს რეკომენდაციები დღემდე შეუსრულებელია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღიდან 15 დღემდე შემცირდა, რაც უდავოდ პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში ამჟამად არსებული მდგომარეობა შეუთავსებელია ადმინისტრაციული პატიმრობა შეფარდებული პირების მოსათავსებლად.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკანში დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა, ასევე უზრუნველყოფილ იქნეს საკნების სათანადო ბუნებრივი/ხელოვნური განათება და განიავება
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს სანიტარული კვანძის სრული იზოლირება
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირი უზრუნველყოფილ იქნეს ინდივიდუალური საწოლით
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში დაცულ იქნეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი ყველა დაკავებული უზრუნველყოფილ იქნეს პირადი ჰიგიენის დაცვისთვის აუცილებელი ნივთებით, მათ შორის, ჰიგიენური საფენებით

- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორი უზრუნველყოფილი იყოს ახალი მატრასებითა და ლეიბებით
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში თითოეული დაკავებული უზრუნველყოფილი იყოს 4 $მ^2$ ფართით
- ყველა იზოლატორის სასეირნო ეზოში დამონტაჟდეს სკამები, გამოიყოს წვიმისა და მზისგან თავშესაფარი ადგილი, დაიდგას ნაგვის ურნები
- შევიდეს შესაბამისი ცვლილება 2016 წლის 2 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპურ დებულებასა და შინაგანაწესში და სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირებს მიეცეთ სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება
- ყველა დაკავებული უზრუნველყონ სათანადო რაციონის საკვებით, მათ შორის, დიეტური საკვებით.

5. დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგს 2014 წლის დეკემბრიდან ახორციელებს.

დაბრუნების ერთობლივი ოპერაცია ტარდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში „რეადმისიის შეთანხმება“') საფუძველზე. რეადმისიის შეთანხმების ძირითადი მიზანია თანამშრომლობის გაძლიერება ხელშემკვრელ მხარეებს შორის უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და პირთა უსაფრთხო დაბრუნება ევროპიდან საქართველოში, ან პირიქით.

რეადმისიის ხელშეკრულება მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, განსაზღვრონ დაბრუნების ადმინისტრაციული და პროცედურული მხარეები. გარდა ამისა, შეთანხმება ადგენს ზოგად პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც, არ უნდა დაირღვეს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ხოლო რეადმისიის პროცესში პერსონალური მონაცემების მიღება და დამუშავება კანონიერი გზით უნდა მოხდეს.

ევროპის საბჭოს ოცი სახელმძღვანელო პრინციპი იძულებითი დაბრუნების შესახებ, ითვალისწინებს რა იმ რისკებს, რომლებიც შესაძლებელია ახლდეს იძულებითი დაბრუნების აღსრულებას, მოუწოდებს სახელმწიფოებს, იხელმძღვანელონ აღნიშნული პრინციპებით და ხაზს უსვამს იმ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად აკისრიათ. კერძოდ, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ კონვენციის პირველ თავში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები.[568]

დაბრუნების პროცესს კოორდინირებას უწევს ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი" (FRONTEX), რომელსაც შემუშავებული აქვს დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის ქცევის კოდექსი[569] და დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების გზამკვლევი, რომლებშიც გაწერილია დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების დროს გამოსაყენებელი პრინციპები ამ ოპერაციების განხორციელებისას ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით.

ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების წარმდგენი სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ამ პროცესში ადამიანის უფლებების დაცვა (გადაწყვეტილების მიღება, აღსრულება, დაკავება, გასაჩივრების უფლება და ა.შ) წარმდგენი სახელმწიფოს იურისდიქციას წარმოადგენს. მეორე მხრივ კი, ქართული მხარე (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ესკორტი) თვითმფრინავის ბორტზე დასაბრუნებელი პირების გადმოცემის შემდგომ უზრუნველყოფს აღნიშნული პირების „უსაფრთხო და ორგანიზებულ დაბრუნებას".

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2016 წლის განმავლობაში 5-ჯერ (10 მარტი, 15 აპრილი, 7 ივნისი, 27 სექტემბერი, 29 ნოემბერი) განახორციელეს ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს 206 მოქალაქის რეადმისიის/დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტის შენობაში მოწყობილი სპეციალური ადგილიდან დაწყებული ესწრებოდნენ დასაბრუნებელი მოქალაქეების რეგისტრაციის, ბარგის ჩაბარების, ევროკავშირის შესაბამისი ქვეყნის წარმომადგენლების მიერ თვითმფრინავის ბორტამდე მიცილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტისათვის გადაცემის, ფრენისა და საქართველოში მათი მიღების პროცედურებს.

568 ევროპის საბჭოს ოცი პრინციპი იძულებითი დაბრუნების შესახებ, მე-16 პრინციპი, სექტემბერი 2005, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.coe.int/t/dg3/migration/archives/Source/MalagaRegConf/20_Guidelines_Forced_Return_en.pdf [ბოლოს ნანახია 14.06.2017].

569 ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი" (FRONTEX), ფრონტექსის მიერ კოორდინირებული დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის ქცევის კოდექსი, მუხლი 7, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, http://frontex.europa.eu/assets/Publications/General/Code_of_Conduct_for_Joint_Return_Operations.pdf [ბოლოს ნანახია 28.02.2017].

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის განმავლობაში განხორციელებულმა დაბრუნების ყველა ოპერაციამ, ძირითადად, მშვიდ გარემოში ჩაიარა. მიუხედავად ამისა, დაბრუნების ოპერაციების მიმდინარეობისას დაფიქსირდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ფრონტექსის ქცევის კოდექსის შესაბამისად, დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის განხორციელებამდე, დაბრუნების ოპერაციაში მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია პერსონალური მონაცემების დაცვით მიაწოდოს ინფორმაცია დაბრუნების ოპერაციებში მონაწილე შესაბამის სახელმწიფოებს დასაბრუნებელი პირების სამედიცინო საჭიროებებისა და სპეციალური მოპყრობის აუცილებლობის შესახებ.[570]

იძულებითი დაბრუნების შესახებ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, დაბრუნების ოპერაციის ორგანიზატორმა სახელმწიფოებმა დასაბრუნებელი პირის სამედიცინო შემოწმება უნდა განახორციელონ იმ შემთხვევებში, როდესაც მათ აქვთ ცნობები, რომ პირი საჭიროებს სამედიცინო დახმარებას, ან როდესაც შეზღუდვის საშუალებაა გათვალისწინებული. ამავდროულად, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები რეკომენდაციას უწევს დეპორტაციის ორგანიზატორ სახელმწიფოებს, ზემოთ ნახსენებ შემთხვევებში დასაბრუნებელ პირთან მიმართებით გასცენ ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გამორიცხავს თვითმფრინავით მგზავრობის შესაძლებლობას (Fit to fly).[571]

„ფრონტექსის" მიერ მიღებულ ქცევის კოდექსში ხაზგასმულია, რომ დასაბრუნებელი პირების დეპორტაცია უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაბრუნების ოპერაციის დროს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გამორიცხავს თვითმფრინავით მგზავრობის შესაძლებლობას.[572]

დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების მონიტორინგის განხორციელებისას დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტის წევრი ექიმისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი სრულყოფილი ინფორმაცია ზოგიერთი დასაბრუნებელი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დიაგნოზის შესახებ.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დასაბრუნებელი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წინასწარ ქონა დაეხმარება დაბრუნების განმახორციელებელი ესკორტის სამედიცინო პერსონალს, წინასწარ გაითვალ-

570 ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი" (FRONTEX), ფრონტექსის მიერ კოორდინირებული დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის ქცევის კოდექსი, (დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების ქცევის კოდექსი) მუხლი 7, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, http://frontex.europa.eu/assets/Publications/General/Code_of_Conduct_for_Joint_Return_Operations.pdf [ბოლოს ნანახია 15.03.2017].

571 ევროპის საბჭოს ოცი სახელმძღვანელო წესი იძულებითი დაბრუნების შესახებ, მე-16 წესი, სექტემბერი 2005, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.coe.int/t/dg3/migration/archives/Source/MalagaRegConf/20_Guidelines_Forced_Return_en.pdf [ბოლოს ნანახია 4.03.2017].
ფრონტექსის გზამკვლევი სახელმძღვანელო დაბრუნების ფრენის ერთობლივი ოპერაციების შესახებ, გვ. 21, ვარშავა 12 მაისი 2016 წელი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://frontex.europa.eu/assets/Publications/General/Guide_for_Joint_Return_Operations_by_Air_coordinated_by_Frontex.pdf [ბოლოს ნანახია 3.03.2017].

572 დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების ქცევის კოდექსი.

ისწინოს დასაბრუნებელი პირების სპეციალური საჭიროებები და მზად იყოს ადეკვატური სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად.

როგორც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, იძულებითი დეპორტაციის მოლოდინისგან გამომდინარე შიშმა, რომელიც ხშირად აქვთ იმ დაკავებულებს, რომლებსაც არ მიუღიათ წინასწარი ინფორმაცია მათი დეპორტაციის ზუსტი თარიღისა და დროის შესახებ, შეიძლება დეპორტაციის დღეს გამოიწვიოს დეპორტირებულის მღელვარება, რაც შესაძლებელია ძალადობაში გადაიზარდოს. აღნიშნულთან დაკავშირებით წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ კარგი პრაქტიკის მაგალითს წარმოადგენს დეპორტაციაზე პასუხისმგებელი ესკორტის შემადგენლობაში, დეპორტაციისათვის მომზადების მიზნით, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის ჩართვა.[573]

დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების მონიტორინგის განხორციელებისას დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დასაბრუნებელ პირებს შორის ფსიქიკური აშლილობისა და აბსისტენციის სინდრომის მქონე პირები იყვნენ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დასაბრუნებელი პირების მიერ ოჯახთან სატელეფონო კონტაქტის უზრუნველყოფის საკითხი პრობლემურია.

აღსანიშნავია, რომ დაბრუნების ოპერაციის განხორციელებისას, დასაბრუნებელი პირების მიერ ოჯახთან დაკავშირების უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმის არარსებობის გამო, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ოჯახთან დაკავშირების საჭიროების შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ დამბრუნებელი სახელმწიფოსა და „ფრონტექსის“ წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდნენ დასაბრუნებელ პირთა ოჯახის წევრებთან ტელეფონით დაკავშირებას.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების ორგანიზატორებთან და შესაბამისი ქვეყნების წარმომადგენლებთან კოორდინაციის გზით უზრუნველყოს სრულყოფილი წინასწარი ინფორმაციის მიღება დასაბრუნებელი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დიაგნოზის შესახებ

- მიიღოს ყველა ზომა, რათა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების ორგანიზატორებთან და შესაბამისი ქვეყნების წარმომადგენლებთან კოორდინაციის გზით უზრუნველყოს დასაბრუნებელი პირების ოჯახის წევრებთან დაკავშირება

573 ევროპის საბჭოს ოცი პრინციპი იძულებითი დაბრუნების შესახებ, მე-15 პრინციპი, სექტემბერი 2005, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.coe.int/t/dg3/migration/archives/Source/MalagaRegConf/20_Guidelines_Forced_Return_en.pdf [ბოლოს ნანახია 13.02.2017].

- ესკორტის შემადგენლობას დაემატოს ფსიქოლოგი, რომელიც დასაბრუნებელ პირებს საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიურ დახმარებას გაუწევს
- მიიღოს ყველა ზომა, რათა წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე დასაბრუნებელ პირთა შორის ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების არსებობის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტის შემადგენლობას დაემატოს ფსიქიატრი, რომელიც ადეკვატურ ფსიქიატრიულ დახმარებას უზრუნველყოფს.

6. შშმ პირთა პანსიონატების მონიტორინგი

2016 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველისთვის მინიჭებული ორი მნიშვნელოვანი მანდატის – პრევენციის ეროვნული მექანიზმის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის აღსრულების მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში.[574]

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს ხუთ რეზიდენტულ დაწესებულებაში: თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში, ძევრის, დუშეთისა და მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატებში განთავსებული ბენეფიციარების უფლებათა დაცვის ხარისხი შეამოწმეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან, სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის მიხედვით.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობა, ფსიქო-სოციალური სერვისებისა და პროფესიული კადრების ნაკლებობა და დაბალი პროფესიონალიზმი არსებით გამოწვევებს ქმნის შშმ პირთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის შეთავაზების თვალსაზრისით.

გამოწვევას წარმოადგენს არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, გარესამყაროსთან და ოჯახებთან (მათ შორის შვილებთან) კონტაქტის სიმწირე, სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაცია, ასევე დაწესებულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარვეზები და სამედიცინო დახმარე-

574 მონიტორინგის შედეგები ვრცლად ასახულია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში „შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში“ ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3958.pdf [ბოლოს ნანახია: 07.06.2017].

ბასთან დაკავშირებული პრობლემები.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბენეფიციართა უსაფრთხოებაზე, მათ ემოციურ, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ასევე სერვისის მიმწოდებელთა მიერ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციებისა და სტანდარტების ცოდნის დონე უკიდურესად დაბალია. ბენეფიციარები არ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება არ მიაჩნიათ ზრუნვის მნიშვნელოვან სტანდარტად.

შემაშფოთებელია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ბენეფიციართა უფლებების უხეში დარღვევების, მათ შორის, დისკრიმინაციული მოპყრობის მაპროვოცირებელი ხდება, ზოგჯერ კი იწვევს შშმ პირთა სიცოცხლის უფლების დარღვევას. გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა შეიმუშავა რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების და ბავშვთა სახლების ადმინისტრაციის მიმართ.

სპეციალურ ანგარიშში ასახული რეკომენდაციების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში, პანსიონატების ნაწილში ვითარება არსებითად არ შეცვლილა. მონიტორინგის შემდგომ პერიოდში სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია მარტყოფის პანსიონატიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონირების გაზრდილი დინამიკის თაობაზე.[575] ასევე ამავე პანსიონატის ბენეფიციარებს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ.[576]

მოცემული საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება არის გადატვირთული. მძიმე შეზღუდვის მქონე პირების, ფსიქიკური და ქცევითი პრობლემების მქონე პირების ერთდროულად მართვის ბერკეტი კი ადმინისტრაციას არ გააჩნია, ბენეფიციარებს შორის კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების გავრცელებული ფორმაა მათი გადაყვანა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ან მუქარა გადაყვანაზე.

მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების მოგვარების თაობაზე შემუშავდა რეკომენდაცია სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიმართ.[577]

575 საქმე N11746/16–12.09.2016; N12558/16–28.09.2016; N14619/16–14.11.2016.
576 საქმე N14098/16–02.11.2016.
577 <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-martyofis-shezguduli-shesadzleblobis-mqone-pirta-pansionatshi-arsebuli-problemebis-taobaze.page>